

ქართული დროშები
და
ევროპული პორტოლანები

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Mamuka Tsurtsunia

მამუკა წურწუმია

GEORGIAN FLAGS
AND
EUROPEAN PORTOLANS

ქართული დროშები
და
ევროპული პორტოლანები

Tbilisi
2025

თბილისი
2025

წინამდებარე ნაშრომი მონოგრაფიულად შეისწავლის შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო დროშის ისტორიასა და სიმბოლიკას. მასში განხილული და გაანალიზებულია ქართული და უცხოურენოვანი (სომხური, სპარსული, ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული) წყაროების მონაცემები, რომლებიც ქართული დროშების ისტორიას ასახავენ; საგანგებო ყურადღება ეთმობა პორტოლანებს, ევროპულ საზღვაო რუკებს, რომლებიც მნიშვნელოვანი მონაცემებით ამდიდრებენ ისტორიულ ვექსილოლოგიას; გამოკვლეულია თავად ხუთჯვრიანი კომპოზიციის, იგივე იერუსალიმის ჯვრის წარმოშობა და გავრცელება, მისი ასახვა ნუმიზმატიკასა და ჰერალდიკაში. კვლევის პროცესში შემოტანილია და განხილულია მრავალი ახალი, ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის უცნობი მასალა. ნაშრომს თან ერთვის საქართველოს ტერიტორიაზე გამოსახული დროშების ვრცელი კატალოგი.

გარეკანზე ანჯელინო დულჩეტის 1339 წლის რუკა.
ყუაზე ქარების ვარდული ხაიმე ბერტრანისა და ბერენგერ რიპოლის 1456 წ. რუკიდან.

© საავტორო უფლებები დაცულია

ქართული დროშები და ევროპული პორტოლანები
ISBN 978-9941-33-988-2

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტი FR-21-2041).
This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant FR-21-2041).



პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
The Project is implemented in the Ivane Javakhishvili Tbilisi State University

სიმბოლური საგანი, ემბლემური გამოსახულება, პერსონიფიცირებული ალეგორია, ერთდროულად მეხსიერების სიგნალი და ჭურჭელი, წარსული და მომავალი – დროშა, ძალით შემოსილი ნიშნებისათვის დამახასიათებელი ყველა რიტუალური ზემოქმედების ობიექტია. დროშა ცხოვრობს და კვდება, აცოცხლებს და გლოვობს, მას კუნავენ და ატყევენ, ათავისუფლებენ, აახლებენ და მალა სწევენ, აძლევენ სამხედრო სალამს, ეამბოვებიან, ზედ იფარებენ, მასთან ერთად იძინებენ და მასთან ერთად კვდებიან.

მიშელ პასტურო

წინამდებარე წიგნი იმ ვექსილოლოგიური სამუშაოს ერთგვარი შეჯამებაა, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, მისი კომისიებისა და საბჭოს გარშემო თავმოყრილი, ჰერალდიკით დაინტერესებული მკვლევართა ჯგუფის მიერ.

კვლევის დროს ჩვენ ვიყენებდით ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს არქივს, რომლის თავმჯდომარე მამუკა გონგაძე თავად იღებდა მონაწილეობას პროექტში. 2011 წლიდან ჰერალდიკის საბჭო არის ვექსილოლოგთა საერთაშორისო ასოციაციების ფედერაციის (The Fédération internationale des associations vexillologiques, FIAV) წევრი და დამყარებული აქვს კავშირი საზღვარგარეთის წამყვან ჰერალდიკურ და ვექსილოლოგიურ ცენტრებთან.

პროექტის ფარგლებში ნაყოფიერი თანამშრომლობა გვქონდა ანტვერპენის უნივერსიტეტთან, რომლის დეკანი ლუკ დუერლო ამავე უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორი და პროექტის უცხოელი კონსულტანტი იყო. ის ასევე არის ფლანდრიის ჰერალდიკის საბჭოს პრეზიდენტი და ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის გამგეობის წევრი, მრავალი ნაშრომის ავტორი ჰერალდიკის დარგში, რომლის გამოცდილებამ და საერთაშორისო კონტაქტებმა ნაყოფიერად იმოქმედა პროექტის მიმდინარეობაზე.

კავშირი გვქონდა ბელგიის სახელმწიფო არქივთანაც, რომლის ციფრული კარტოგრაფიული კოლექციების ხელმძღვანელი პროფესორი იასონ იონგეპიერი პროექტის უცხოელი კონსულტანტიც იყო. ამ კოლექციებთან წვდომა, ისევე როგორც რუკებთან და არქივებში მუშაობის გამოცდილება, სასარგებლო იყო პორტოლანებთან მუშაობაში.

პროექტის მსვლელობაში ჰერალდიკის საბჭოს ხელშეწყობა ფასდაუდებელი აღმოჩნდა უცხოური არქივებიდან პორტოლანური რუკების მოპოვების საქმეში. წლების განმავლობაში საბჭო ევროპული არქივებიდან და ბიბლიოთეკებიდან აგროვებდა და ინახავდა რუკებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული ვექსილოლოგიისათვის. ეს პროცესი ჯერ კიდევ 1998 წელს ელდარ შენგელაიას თაოსნობით დაიწყო, როდესაც მან საფრანგეთიდან ჩამოიტანა ანჟელინო დულჩეტის 1339 წლის პორტოლანის ასლი. ეს საქმე წარმატებით განაგრძო მამუკა გონგაძემ, რომელსაც მოპოვებული აქვს ანჟელო დულჩეტის 1330 და 1340 წლების რუკები, ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანების 1367 წლის და გილელმო სოლერის 1368-85 წწ. პორტოლანები და მრავალი სხვ. პროექტის

ფარგლებში ამ მუშაობამ კიდევ უფრო მიზანდასახული სახე შეიძინა, რომლის დროსაც შესწავლილ იქნა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (Bibliothèque nationale de France), ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში (British Library), გრინვიჩის საზღვაო მუზეუმში (National Maritime Museum), ვატიკანის ბიბლიოთეკაში (Biblioteca Apostolica Vaticana), ფლორენცი-აში მედიჩების ბიბლიოთეკაში (Biblioteca Medicea Laurenziana), გალილეის მეცნიერების ისტორიის მუზეუმში (Museo Galileo), ცენტრალურ ბიბლიოთეკასა (Biblioteca Nazionale Centrale di Firenze) და სახელმწიფო არქივში (Archivio di Stato di Firenze), პარმას პალატი-ნის ბიბლიოთეკაში (Biblioteca Palatina), ბარსელონას საზღვაო მუზეუმში (Museu Maritim de Barcelona), იელის უნივერსიტეტის იშვიათი წიგნებისა და ხელნაწერების ბიბლიოთეკა-ში (Beinecke Rare Book and Manuscript Library), ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში (Humboldt-Universität zu Berlin), ოლომიუცის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (Státní Vedecká Knihovna), გალათას საზღვაო მუზეუმში (Gala-ta Museo del mare), ამერიკის ესპანური საზოგადოების ბიბლიოთეკაში (Hispanic Society Museum & Library) და ა.შ. დაცული რუკები. დღეისათვის ჩვენ მიერ მოპოვებული და შეს-წავლილია მრავალი საზღვაო რუკა დროშებით საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის ორ ათეულამდე ხუთჯვრიანი დროშით), რომელთა კატალოგი ნაშრომშიცაა წარმოდგე-ნილი.

დაბოლოს, მსურს მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც თუნდაც უმნიშ-ვნელო დახმარება გაგვინია პროექტის მსვლელობის დროს და რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა;

მადლობა ეკუთვნის ფლანდრიის ჰერალდიკის საბჭოს პრეზიდენტს ლუკ დუერლოს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს პროექტში და რომელთან თანამონაწილეობი-თაც დღის სინათლე იხილა 1460-61 წწ. ქართული ელჩობის ბურგუნდიულმა ანგარიშმა;

მადლობა პარიზის სერჟის უნივერსიტეტის მკვლევარსა და ჰერალდიკის საერთაშო-რისო აკადემიის მრჩეველს ნიკოლა ვერნოს, რომელმაც ფრანგულენოვანი ლიტერატუ-რით მოგვამარაგა და ყურადღება გაგვამახვილებინა ხუთი ჯვრის სიმბოლურ მნიშვნე-ლობაზე ქრისტიანულ ლიტურგიკაში;

მადლობას მოვასხენებ ბელგიის სახელმწიფო არქივის კარტოგრაფიული კოლე-ქციების დიგიტალიზაციისა და გეოლოკალიზაციის პროექტის ხელმძღვანელს, პროფე-სორ იასონ იონგეპიერს;

ჯოვანი დი კარინიანოს რუკის უნიკალური ფოტოასლის მოწოდებისათვის მადლო-ბას ვუხდი იტალიელ მკვლევარს ალბერტო ქუორტეპელის;

ქართველ მეფეთა ხელრთვების მოწოდებისათვის მადლობას მოვასხენებ საქართვე-ლოს ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს თეონა იაშვილს და სამეცნიერო გან-ყოფილების ხელმძღვანელს ქეთი ასათიანს;

და მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს მაია პატარიძეს ნუ-მიზმატიკური მასალის მოწოდების გამო.

მამუკა წურწუშია
თბილისი, 2024

The present work serves as a summary of the vexillological efforts carried out over many years by the State Council of Heraldry at the Parliament of Georgia, its commissions, and a dedicated group of researchers interested in heraldry. This research utilized the archives of the State Council of Heraldry, whose chairman, Mamuka Gongadze, actively participated in the project. Since 2011, the Council of Heraldry has been a member of the Fédération internationale des associations vexillologiques (FIAV), fostering connections with leading heraldic and vexillological institutions worldwide.

As part of the project, we collaborated closely with the University of Antwerp. Luc Duerloo, their professor of History, an esteemed historian and president of the Flemish Heraldic Council, served as a foreign advisor. As a member of the board of the International Academy of Heraldry and a prolific author in the field, his expertise and international networks significantly enriched the project.

We also established a connection with the Belgian State Archives, where Professor Iason Jongepier, head of the Digitization and Digital Valorization Service, served as another foreign advisor. Access to these collections, combined with his expertise in maps and archives, proved invaluable, particularly in the study of portolan charts.

Throughout the project, the support of the Council of Heraldry was critical in acquiring portolan maps from foreign archives. Over the years, the Council amassed and preserved a remarkable collection of maps from European archives and libraries, an undertaking that began in 1998 with Eldar Shengelaia’s initiative to bring a copy of Angelino Dulceti’s 1339 portolan from France. This effort was continued by Mamuka Gongadze, who acquired maps such as Angelino Dulceti’s 1330 and 1340 portolans, Francesco and Domenico Pizzigani’s 1367 chart, and Guillelmus Soleri’s chart from 1368-1385. Within the framework of this project, the process of gathering materials received renewed emphasis. Research was conducted in major repositories, including the Bibliothèque nationale de France, the British Library, the National Maritime Museum in Greenwich, the Vatican Library, the Biblioteca Medicea Laurenziana in Florence, the Museo Galileo, the Biblioteca Nazi-onale Centrale di Firenze, the Archivio di Stato di Firenze, the Biblioteca Palatina in Parma, the Museo Maritim de Barcelona, Yale University’s Beinecke Rare Book & Manuscript Library, the Department of Geography at Humboldt University of Berlin, the State Science Library of Olomouc, the Galata Museo del Mare, and the Hispanic Society Museum & Library, among others.

To date, we have gathered and analyzed numerous nautical charts featuring flags used in Georgian territories, including nearly two dozen representations of flags with five crosses. A catalog of these findings is included in this work.

Finally, I extend heartfelt thanks to everyone who contributed, even in small ways, to the project. While listing all their names would be impossible, I wish to highlight a few individuals:

– Professor Luc Duerloo, for his active participation in the project and for shedding light on the 1460-61 Burgundian report of the Georgian Embassy.

– Nicolas Vernot, a researcher at CY Cergy Paris University and counselor of the International Academy of Heraldry, for providing French-language literature and insights into the symbolic significance of the five crosses in Christian liturgy.

– Professor Jason Jongepierre, for his participation in the project.

– Italian researcher Alberto Quartapelle, for sharing a rare photocopy of Giovanni di Carignano’s map.

– Teona Yashvili, General Director of the National Archives of Georgia, and Ketii Asatiani, head of the scientific department, for granting access to Georgian royal documents.

– Professor Maia Pataridze of Ilia State University, for contributing numismatic materials.

This work would not have been possible without their invaluable support and dedication.

Mamuka Tsurtsunia,
Tbilisi, 2024

წინათქმა	7
შესავალი	13
თავი 1. შუა საუკუნეების საზღვაო რუკები	18
მსოფლიო რუკები (<i>Mappaemundi</i>)	18
პორტოლანები	21
კარტოგრაფიული ინოვაციები	26
პორტოლანების დამზადების ტექნოლოგიური თავისებურებები	27
კარტოგრაფიული სკოლები	28
პორტოლანების ტოპონიმია	29
პორტოლანების გექსილოლოგია	30
თავი 2. დროშები საქართველოზე	35
თავი 3. იერუსალიმის ჯვარი	74
არმორიალები	79
ჯვაროსნული მონეტების იკონოგრაფია	85
ხუთი ჯვარი ქრისტიანულ ლიტურგიკაში	92
ჯვარი ბეზანტებით ბაიოს გობელენზე	93
ხუთფიგურიანი ჯვრები ბიზანტიაში	98
ქრისტიანული აღმოსავლეთის ჰერალდიკა	101
კონსტანტინოპოლის ლათინური იმპერია	103
თავი 4. პოლემიკა პორტოლანების გარშემო	106
პორტოლანების ხუთჯვრიანი დროშები	109
კათოლიკური მისიები აღმოსავლეთში (XIII-XIV სს.)	128
ფრანცისკელები და იერუსალიმის დროშა	131
თავი 5. წმინდა გიორგი თუ ხუთჯვრიანი დროშა?	134
წმინდა გიორგი ქართულ დროშებზე	134
ქართულ-სომხური და აღმოსავლური მატრიანეები ქართული დროშის შესახებ	140
ხუთჯვრიანი დროშა და ქართული სახელმწიფო იდეოლოგია	144

თავი 6. ცნობები ხუთჯვრიანი დროშის შესახებ	146
იერუსალიმის ჯვრის გამოსახულებები საქართველოს ტერიტორიაზე	146
ხუთფიგურიანი ჯვრები ქვასვეტებზე	149
ნუმიზმატიკური მონაცემები	152
გიორგი მეფის „ხუთჯვრიანი“ ბეჭედი	156
ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა	157
კონრად გრიუნენბერგის ცნობა ქართველების შესახებ	157
ალმოსავლეთის დიდი ელჩობა ევროპაში და ქართული ჰერალდიკა	161
ჩანაწერები ჰერალდიკის შესახებ	165
ელჩობის ჰერალდიკა	167
ანრი დე როჰანი და ქართული სახელმწიფო დროშა	169
სვიმონ I-ის დროშა	175
თავი 7. ზოგიერთი მოსაზრება ერთიანი მონარქიის დროშის შესახებ	178
ბოლოთქმა	186
ევროპული საზღვაო რუკები დროშებით საქართველოს ტერიტორიაზე. კატალოგი	189
Summary	275
შემოკლებები	302
ბიბლიოგრაფია	303
საძიებელი	321

შეიძლება ითქვას, რომ დროშა გამოიგონა მეომარმა, რომელმაც პირველმა ამოავლო ქსოვილის ნაჭერი დაცემული მტრის სისხლში და საზეიმოდ აღმართა ის, ან ვინც სა-კუთარი სისხლიანი ტუნიკა შუბის წვერს მიამაგრა თანამოძმეების შემოსაკრებად.¹ დროშას ჩვენთვის ცნობილი ყველა ცივილიზაცია იყენებდა. დროშები გვხვდება ძველ აღთქმაში და მას იყენებდნენ ეგვიპტელები ჩვ.წ.-მდე 3 ათასი წლით ადრე. თუმცა, რეალურად ისინი შტანდარტები იყო და არა დროშები.² როგორც ჩანს, ჩინელები იყვნენ ერთ-ერთი პირველნი, ვინც სისტემატიურად იყენებდა ნამდვილ დროშებს, სა-ვარაუდოდ, აბრეშუმისგან დამზადებულს. უადრესი ქსოვილის დროშები ძვ.წ. 1122 წელს ჩინეთში მოიხსენიება და დროშის უადრესი გამოსახულებაც ჰანის დინასტიის (ძვ.წ. 202 წ. – ჩვ.წ. 220 წ.) ჩინური სამარხიდან გვაქვს. სტეპის მომთაბარეები ცხენის შეღებილ კუდებსა და ლითონის დისკებს ხმარობდნენ; სხვები, მაგალითად, ინდოელები და სპარსელები, ლითონის, ხის და ქსოვილის ნიშნებს იყენებდნენ. ძვ.წ. V საუკუნეში დროშებმა აღმოსავლეთიდან ხმელთაშუა ზღვის რეგიონშიც შეაღწია, სადაც გვხვდება ფინიკიელებთან. შემდეგ დროშებმა ფეხი მოიკიდა რომის რესპუბლიკაშიც.³ რომის ლეგიონების *ვექსილუმი* ჩვენთვის ცნობილი პირველი ევროპული ქსოვილის დროშაა,⁴ თუმცა ისიც ჯვარედინად დამაგრებულ ჯოხზე იყო ვერტიკალურად ჩამოკიდებული. დღეს საყოველთაოდ გავრცელებული გრძივი ფორმის დროშა მოგვიანებით დამკვიდრდა დასავლეთის სამყაროში. დროშა, როგორც შუბის ტარზე მიმაგრებული ჰორიზონტალური ქსოვილის ნაჭერი, ევროპაში დაახ. 500 წლისათვის გაავრცელეს მომთაბარეებმა.⁵ ჰორიზონტალური დროშის პირველი გამოსახულებები ბიზანტიაში VI საუკუნის I ნახევარში გვხვდება.⁶

სხვა მარადიული სიმბოლოების მსგავსად, დროშა თან ახლავს კაცობრიობას ათასობით წლის განმავლობაში და სულ უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს. უხსოვარი დროიდან რელიგიური წარმოდგენები განუყოფლად იყო დაკავშირებული დროშის იდეასთან. მეომრებს სურდათ, რომ მათი ტომის ღმერთები ბრძოლაში თან ხლებოდათ, რისთვისაც მათ გამოსახულებებს შუბის თავზე ატარებდნენ. მრავალი ცვალებადობის მიუხედავად, დროშა რჩებოდა ზებუნებრივი ძალების სიმბოლოდ, რომელსაც მეომარი გამარჯვებამდე მიჰყავდა.⁷ სამხედრო დროშები ყოველთვის საკულტო ობიექტს წარმოადგენდა. ანტიკურ ხანაში შტანდარტები იყვნენ „ღვთაებები“, რომლებსაც იუპიტერს უთანაბრებდნენ და თაყვანს სცემდნენ. დღესასწაულებზე შტანდარტებს ნელ-

¹ George T. Dennis, “Byzantine Battle Flags,” *Byzantinische Forschungen*, 8 (1982), 51.

² უძველესი დროშა, რომელიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა, დაახლოებით 5 ათასი წლისაა. ეს არის ლითონის შტანდარტი ირანიდან, არწივით, მზითა და ლომით. Dominique Zahan, *Les drapeaux et leur symbolique* (Strasbourg, 1993), 33.

³ Terence Wise, *Military Flags of the World, 1618-1900* (Bungay, 1977), 16; Dennis, “Byzantine Battle Flags,” 51.

⁴ Marcus E. V. Schmöger, “The Roman Vexillum,” in *Proceedings of the XX International Congress of Vexillology*, ed. Jan Oskar Engene (Bergen, 2004), 532.

⁵ Helmut Nickel, “The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour,” in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. D. Nicolle (Woodbridge, 2002), 118.

⁶ Andrea Babuin, “Standards and Insignia of Byzantium,” *Byzantion*, 71 (2001), 24.

⁷ H. Wescher, *Flags* (Winchester, MA, 1949), 4-6.

საცხელებლით ფარავდნენ, მშვიდობიანობის დროს კი ათავსებდნენ სატურნის ტაძარში ან, ავგუსტუსიდან მოყოლებული, მარსის ტაძარში. ლეგიონის ინსიგნიებს საკუთარი სამლოცველო ჰქონდათ სამხედრო ბანაკში. ეს წმინდა ადგილი იყო და იქ შეფარებულს ხელს ვერავინ ახლებდა. ლეგიონის „არნივების“ წინ საზავო ხელშეკრულებებს დებდნენ და დღესასწაულებს მართავდნენ, ბრძოლების წინ კი მსხვერპლს წირავდნენ. ინსიგნიე-ბი მონაწილეობას იღებდნენ ყველა ოფიციალურ ცერემონიაში, ალღუმების სათავეში. მოგვიანებით, განსაკუთრებით იმპერიულ ეპოქაში, დროშათა კულტის ბუნება იცვლე-ბა. ნიშანი ხდება ამა თუ იმ ღვთაების სიმბოლო, ბოლოს კი, თავად იმპერიულ ძალაუ-ფლებას განასახიერებს.⁸ შუა საუკუნეებში დროშები წმინდანების გამოსახულებით ბრძოლის ველზე სამღვდელოებას გამოჰქონდა, რითაც მებრძოლებს ჩააგონებდნენ, რომ წმინდანები მათ შემწეობას უწევდნენ ბრძოლაში. ჟანა დ’არკი ირწმუნებოდა, რომ მისი დროშა ას რაინდულ შუბს უდრიდა.⁹

დროშას, როგორც შორიდანვე იოლად აღსაქმელ ნიშანს, მრავალგვარი ფუნქცია ჰქონდა: წარმოადგენდა რა მძლავრ სიმბოლოს, დროშა აღნიშნავდა როგორც მფლობე-ელობას (ქალაქის, ციხის), ასევე ძალაუფლებას (სახელოს, თანამდებობას): როდესაც X საუკუნეში აშოტ კისკასმა არტანუჯის მფლობელობა ბიზანტიელებს გადასცა, ქალაქ-ის თავზე ბიზანტიური დროშა აფრიალდა.¹⁰ დანიშვნისას, სხვადასხვა სახის აღჭურვი-ლობასთან ერთად, ერისთავს დროშასაც გადასცემდნენ. ასე უბოძეს ცხრაზმისხევის ერისთავს „საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშაჲ და შუბი“.¹¹ ს. ბარნაველი აღნიშ-ნავს დროშის დიდ მნიშვნელობას ძველ საქართველოში, რომელსაც ის დღემდე ინარჩუ-ნებს: დროშა იყო როგორც ძალაუფლების გამომხატველი, ისე განმასხვავებელი ნიშანი და საკულტო საგანი.¹²

სიმბოლური მნიშვნელობის გარდა, დროშებმა ყველაზე მრავალფეროვანი და პრაქ-ტიკული გამოყენება სამხედრო საქმეში პოვეს.¹³ შუა საუკუნეების ომებში დროშებს ჰქონდათ საიდენტიფიკაციო ფუნქცია და სხვადასხვა ნაწილებს აღნიშნავდნენ; დროშები წარმოადგენდნენ ორიენტირს, რომელთა მიხედვითაც ხელმძღვანელობდ-ნენ საბრძოლო ხაზისა თუ ბანაკის მოწყობისას, ისინი აჩვენებდნენ მთავარსარდლის ადგილს, შეტევისა და რაზმების მოძრაობის მიმართულებას; დროშების მეშვეობით იძლეოდნენ სიგნალებსაც. XV საუკუნის I ნახევარში ცნობილი ესპანელი რაინდის პერო ნინიოს დროშისმტკირთველი ასე მოგვითხრობს დროშის მნიშვნელობას: „სანთელი მე-ტად ანათებს, როდესაც ის წინ არის და დროშაც ჩირალდნის მსგავსად ნათელს ჰფენს ყველას; თუკი რაიმე მიზეზით ის ჩაქრა, ყველა სიბნელეში რჩება, ბრმავდება და მარცხ-დება“.¹⁴

პატივისცემისა და განსაკუთრებული დამოკიდებულების ნიშნად დროშებს არქმევდ-ნენ საკუთარ სახელებსაც, როგორიცაა ფრანგული *ორიფლემი*, დანიური *დანებროგი*, ბრიტანული *იუნიონ ჯეკი* და სხვ.¹⁵ როდესაც მ. კატკოვმა რუსულ პრესაში შეურაცხყ-ოფა მიაყენა ქართულ დროშას, ილია ჭავჭავაძემ თავის წერილში „კატკოვის პასუხად“ გარკვევით მიუთითა მის მნიშვნელობაზე: დროშას „ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თავყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომ-ლის შეუმწიკველად დაცვისათვის – არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველ-გან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია“.¹⁶

თანამედროვე ადამიანისთვის დროშა ჯერ კიდევ არის იდეის მძლავრი გამოხატ-ულება, სიმბოლო, რომელიც რეალურია, თუმცა ზებუნებრივიც ახლავს. დროშა არის ეროვნული ერთიანობის ნიშანი, რომელიც თავისი ფერების ქვეშ აერთიანებს მილიონ-ობით მოქალაქეს ომსა და მშვიდობაში.¹⁷ დროშა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწ-ილია. მას იყენებენ ქვეყნები, ქალაქები, ტერიტორიული ერთეულები, ორგანიზაციე-

^[8] Zahan, Les drapeaux et leur symbolique, 44-45.

^[9] Wise, Military Flags of the World, 25.

^[10] Constantine Porphyrogenitus, De Administrando Imperio, ed. Gy. Moravcsik, trans. R. J. H. Jenkins (Washington, 1967), 221.

^[11] „ძეგლი ერისთავთა“, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II (თბილისი, 1965), 104.

^[12] სარა ბარნაველი, ქართული დროშები (თბილისი, 1953), 1.

^[13] ვრცლად, დროშების გამოყენებაზე სამხედრო საქმეში იხ. მამუკა წურწუშია, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700): ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება (თბილისი, 2016), 171-80.

^[14] Gutierre Diaz de Gamez, The Unconquered Knight: A Chronicle of the Deeds of Don Pero Nino, trans. Joan Evans (Cambridge, 2000), 51-52.

^[15] დავით კლდიაშვილი, დროშა სვიანად მოხმარებული (თბილისი, 2003), 5.

^[16] ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები, ტ. 5 (თბილისი, 1987), 12.

^[17] Wescher, Flags, 4, 6.

^[18] Whitney Smith, “Flag Abuse,” in Proceedings of the XVIII International Congresses of Vexillology, ed. Kevin Harrington (Toronto, 2001), 83.

^[19] William G. Crampton, “The Dynamics of Flag Evolution,” in Proceedings of the 15th International Congresses of Vexillology, eds. Emil Dreyer and Harald Müller (Zurich, 1993), 93.

^[20] Whitney Smith, Flags Through the Ages and Across the World (New York, 1975), 8.

^[21] Zahan, Les drapeaux et leur symbolique, 32.

^[22] Smith, Flags Through the Ages, 12, 30. როგორც ისტორიული მეცნიერების დარგი, ვექსილოლოგია არა მხოლოდ სვამს კითხვას, თუ რა მოხდა, არამედ სვამს კითხვას იმის შესახებაც, თუ რატომ განვითარდა მოვლენები ასე. ეს ინვეეს ურთიერთკავშირს ისტორიის ისეთ დარგებთან როგორიცაა პოლიტიკური და სამხედრო ისტორია, ვაჭრობისა და ნავიგაციის ისტორია, კონსტიტუციური და სამართლის ისტორია და, რა თქმა უნდა, ჰერალდიკა. Hans von Horstmann, “Vor- und Frühgeschichte des europäischen Flaggenwesens,” in Recueil du Ile Congrès International de Vexillologie (Zurich, 1967), 30.

^[23] ზოგადად, ბიზანტიური და, საერთოდ, აღმოსავლური მართლმადიდებლური ხელოვნება ჰერალდიკას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა და ნაკლებად ინუხებდა თავს დროშების აღწერითა თუ გამოსახვით. Babuin, “Standards and Insignia of Byzantium,” 5-6. ძველი ქართული დროშების ტიპის (სამკუთხა, ოთხკუთხა, მოგრძო), ფორმის (უკუდო, ორ- და სამკუდიანი) და ქართულ ხელნაწერებში არსებული გამოსახულებებისათვის იხ. მამუკა წურწუშია, „დროშები შუა საუკუნეების საქართველოში“, პეროლდი, 4 (2015), 30-43.

^[24] სამწუხაროდ, ამ კამათს ხშირად პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავდა, სადაც მხარეების პოზიციას მათი პოლიტიკური სიმპათიები განაპირობებდა.

ბი და სხვ. დროშებს ამაგრებენ მანქანებზე, გემებსა და თვითმფრინავებზე, იყენებენ დაჯილდოებისას, დაკრძალვისა და სხვა ცერემონიებზე, კერძო სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მოსართავად, ეკლესიასა თუ თეატრში, ზეიმებსა და გამოფენებზე, სკოლასა და სპორტში, სარეკლამო საქმეში, ელექტრონულ თუ ბეჭდურ გრაფიკაში. ამასთანავე, დროშა კვლავ რჩება პოლიტიკური გამოხატვის უპირველეს ინსტრუმენტად, რომლებსაც ვხედავთ არჩევნების, დემონსტრაციებისა თუ რევოლუციების დროს.¹⁸

ამჟამად ეროვნული დროშა ისეთი აბსოლუტური აუცილებლობაა, რომლის მსგავსი წარმოუდგენელი იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. მაგალითისათვის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლობისათვის ომის დაწყებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაამტკიცა პირველი ეროვნული დროშა; არც ავსტრალიას ჰქონია დროშა დამოუკიდებლობის გამოცხადების ჟამს. „დღეს კი“, – როგორც ცნობილი ვექსილოლოგი უილიამ კრემპტონი წერდა, – „ერი ერად არ ითვლება, თუკი მისი დროშა გაეროს შენობის წინ არ ფრიალებს“.¹⁹ ამრიგად, დროშა ერთდროულად უძველესი და ამავე დროს, უაღრესად თანამედროვე სიმბოლოა.²⁰

დროშების ასეთმა პოპულარობამ და ფართო გამოყენებამ მათი შემსწავლელი საგანგებო საისტორიო დარგის შექმნა განაპირობა. მეცნიერული ვექსილოლოგიის ფუძემდებელმა, ამერიკელმა მკვლევარმა უიტნი სმიტმა, რომაული სიტყვიდან *ვექსილუმი* გამოიყვანა ტერმინები *ვექსილოლოგია*, *ვექსილოლოგი*, *ვექსილოიდი* (ობიექტი, რომელიც დროშა არ არის, მაგრამ იდენტურ როლს ასრულებდა ძველ საზოგადოებებში), *ვექსილარი* (რომაული ნიშნის მატარებელი), *ვექსილოლატრია* ან *ვექსილატრია* (დროშის აღიარება წმინდა საგნად).²¹ ტერმინი *ვექსილოლოგია* პირველად 1950-იანი წლების ბოლოს გაჟღერდა და ის მიზნად ისახავს დროშების ისტორიის, სიმბოლიზმისა და გამოყენების მეცნიერულ შესწავლას.²²

დროშის სიმბოლიზმმა და მნიშვნელობამ წარმოშვა მწვავე კამათიც თანამედროვე საქართველოს დროშის გარშემო, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე არ წყდება. სამწუხაროდ, ერთიანი ქართული მონარქიის გორგასლიან-დავითიანი დროშის ზუსტი აღწერილობა წყაროებში არ გვხვდება.²³ სახელმწიფო დროშის გარეგნობაზე მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსი, სტეფანოს ორბელიანი და რავენდი გვანჭდიან ძუნწ ცნობებს.

ქართული დროშების შესახებ ინფორმაციას ევროპელ მოგზაურებთანაც ვხვდებით. საუკუნეების მანძილზე მრავალი ევროპელი აღწერს ქართველებს, როგორც კარგად შეიარაღებულ, ბრძოლაში ძლევამოსილ და მშ. გიორგის თაყვანისმცემელ ერს; საგანგებოდ აღნიშნავენ, ყველა სხვა პილიგრიმთაგან განსხვავებით, წმინდა მიწაზე მათ მიმოსვლას ყოველგვარი გადასახადის გარეშე, მხედრულად და გაშლილი დროშებით. ლუდოლფ ფონ ზუდჰაიმი (1336–41), ქვემორაინელი ანონიმი (1355), იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი (1364–75), ჟან თენო (1512), იოჰანეს კოტოვიკუსი (1598), ფრანც ფერდინანდ ფონ ტრიოლო (1666) და სხვ. გვამცნობენ, რომ ქართველებს აქეთ წმინდა გიორგის დროშები.

შუა საუკუნეების ევროპულ საზღვაო რუკებზე, პორტოლანებზე საქართველოს ტერიტორიაზე გამოსახული ხუთჯვრიანი დროშების გამოვლენის შემდეგ, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართულ პრესასა და სამეცნიერო გამოცემებში ხუთჯვრიანი დროშის წარმოშობისა და კუთვნილების შესახებ მძაფრი კამათი გაჩაღდა, რომელიც დღემდე არ ჩამცხრალა.²⁴ საბოლოოდ, 2004 წელს საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო დროშად თეთრ ველზე ხუთი წითელი ჯვარი დაამტკიცა. თუმცა, სამეცნიერო დავა ამით სულაც არ დასრულებულა.

თავის დროზე, ხუთჯვრიანი დროშის ოპონენტებმა ეჭვი შეიტანეს პორტოლანების, როგორც წყაროს საიმედოობაში (1); კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ევროპელების ცოდ-

ნა ქართული დროშის შესახებ (2); აღნიშნეს, რომ თბილისის თავზე აღმართული ხუთ-ჯვრიანი დროშა პორტოლანებზე გამოსახულ სხვა ქალაქებზეცაა (3); ხუთჯვრიანი დროშა მიიჩნიეს „კათოლიკურად“, „ჯვაროსნულად“ ან „ფრანცისკანულად“ (4); მიუთითეს, რომ ევროპული ცნობებით, ქართველი პილიგრიმები იერუსალიმში „წმინდა გიორგის გამოსახულებიანი“ დროშებით შედიოდნენ (5).²⁵

კამათი ხუთჯვრიანი დროშის შესახებ მისი სახელმწიფო დროშად დამტკიცების შემდეგაც არ შემწყდარა, რისი მაგალითიცაა, თუნდაც, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეში გამოქვეყნებული სტატია, სადაც ავტორი კატეგორიულად უარყოფს ხუთჯვრიანი სიმბოლოს ქართულ სინამდვილესთან კავშირს.²⁶ მეტიც, ცოტა ხნის წინ, 2019 წლის 17 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა სხდომა, რომელმაც საქართველოს პარლამენტისაგან სახელმწიფო დროშის შეცვლაც კი მოითხოვა.

თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც საქართველოს სახელმწიფო დროშისა და პორტოლანების ურთიერთდამოკიდებულებაზე მსჯელობდა, აცხადებდა, რომ საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებდა. 2003 წლის 31 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა დისკუსია თემაზე: „იყო თუ არა ჯვრიანი ალამი საქართველოს ფეოდალური მონარქიის სახელმწიფო დროშაზე?“ პროფ. მიხეილ კეკელიამ დისკუსიის მონაწილეებს შესთავაზა წარმოდგენილი რუკების კარტოგრაფიული ანალიზის ჩატარება, „რადგან ძველი რუკების შედგენის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეციალური კვლევაა ჩასატარებელი. ეს რუკები უზარმაზარ ინფორმაციას იტევენ. უნდა მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური მიდგომები. საჭიროა წარმოდგენილ რუკებზე დატანილი კარტოგრაფიული ნიშნების სემანტიკური ბუნების ზუსტი განსაზღვრა“.²⁷ აკად. მარიამ ლორთქიფანიძის აზრით, „საკითხი – იყო თუ არა სახელმწიფო დროშაზე ხუთჯვრიანი ალამი – დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს, მით უმეტეს, რომ თბილისის თავზე ამართული ხუთჯვრიანი დროშისნაირი სიმბოლოები სოხუმზე (ცხუმზე) და მცირე აზიის ქალაქ სეზბასტიაზეც (სივასზე) არის გამოსახული“.²⁸

აპოლონ სილაგაძე და გოჩა ჯაფარიძე აღნიშნავდნენ, რომ პორტოლანებზე გამოსახულ დროშებთან მიმართებაში რიგი საკითხები ჯერ კიდევ არ არის გარკვეული და მიუთითებდნენ შემდგომი კვლევის აუცილებლობაზე: „კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ, რომ პრობლემა შესასწავლია. სხვათა შორის, პორტულანებზე დროშების მოთავსების შესახებ ძალიან მდიდარი ლიტერატურა არსებობს და ისიც შესასწავლია, ისევე როგორც გასაანალიზებელია არსებული ურთიერთსაპირისპირო მონაცემები და თვალსაზრისები“.²⁹

ალექსანდრე თვარაძეც, რომელმაც თავის ნაშრომში რვა ევროპულ პორტოლანზე გამოსახული დროშები განიხილა, მიუთითებს, რომ „როგორც პიეტრო ვესკონტესი, ასევე სხვა რუკების ჩემს მიერ მოპოვებული მასალა არასრულია. მთელი რიგი პორტოლანების თუ ჩვეულებრივი რუკებისა, საერთოდ არ არის გამოცემული. ამ მხრივ ფართომასშტაბიანი სამუშაოა ჩასატარებელი“.³⁰

სამწუხაროდ, პორტოლანების გამოწვლილვითი კვლევა, რომელიც დასმულ კითხვებზე პასუხს გასცემდა, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ განხორციელებულა. დ. მუსხელიშვილისა და ა. თვარაძის შრომები საკითხის შესწავლაში მხოლოდ პირველ ნაბიჯებს წარმოადგენს.³¹

^[25] პარმენ ზაქარაია, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ნუკრი შოშიაშვილი, გივი ჯამბურია, ოთარ ჯაფარიძე, „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკა, 56 (1998), 9; აპოლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე,

^[26] ალექსანდრე თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (თბილისი, 2004), 254.

^[27] დავით მუსხელიშვილი, „ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში“, ლიტერატურული საქართველო, 11 (1998); თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში.

^[32] Giuseppe Gerola, “Le carte nautiche di Pietro Vesconte dal punto di vista araldico,” in Atti del secondo Congresso di studi coloniali, Napoli, 1-5 ottobre 1934-XII, vol. 2 (Firenze, 1935), 102-23.

^[33] Georges Pasch, “Les drapeaux des cartes-portulans: L’atlas dit de Charles V (1375),” Vexillologia, 1/2-3 (1967), 38-60; Id., “Les drapeaux des cartes-portulans: Portulans de Petrus Vesconte (1320),” Recueil du Ile Congrès International de Vexillologie (Zurich, 1968), 131-34; Id., “Les drapeaux des cartes-portulans, II: Drapeaux du “Libro del conocimiento,” Vexillologia, 2/1-2 (1969), 8-32; Id., “Les drapeaux des cartes-portulans: portulans du groupe Vesconte,” Vexillologia, 3/2 (1973), 52-62.

^[34] Anna-Dorothee von den Brincken, “Portolane als Quellen der Vexillologie,” Archiv für Diplomatik, Schriftgeschichte, Siegel- und Wappenkunde, 24 (1978), 408-26.

^[35] Tony Campbell, “Portolan Charts from the Late Thirteenth Century to 1500,” in The History of Cartography, vol. 1, Cartography in Prehistoric, Ancient and Medieval Europe and the Mediterranean, eds. J. B. Harley and David Woodward (Chicago, 1987), 374, 386, 393, 398-401.

^[36] Ramon J. Pujades, Les cartes portolanes: la representació medieval d’una mar solcada (Barcelona, 2007), 224-35, 481-85; Id., La carta de Gabriel de Vallseca de 1439 (Barcelona, 2009), 339-45.

^[37] И.К. Фоменко, Образ мира на старинных портоланах. Причерноморье, конец XIII – XVII в., 2-е изд. (Москва, 2011), 153-221.

ბუნებრივია, ამ საკითხში დასავლელ მკვლევართა გამოცდილება უნდა გავითვალისწინოთ. პორტოლანები ჰერალდიკური კუთხით განხილული აქვთ შემდეგ ავტორებს: ჯუზეპე გეროლას,³² ჟორჟ პაშს,³³ ანა-დოროთი ფონ დენ ბრინკენს,³⁴ ტონი კემპბელს,³⁵ რამონ პუიადესს,³⁶ იგორ ფომენკოს³⁷ და სხვ.

ძველი საქართველოს სახელმწიფო დროშის ისტორიასა და სიმბოლიკაში გარკვევა მოითხოვს ისტორიის, გეოგრაფიის, კარტოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ჰერალდიკის, ნუმიზმატიკისა და სხვა მომიჯნავე დისციპლინების მიერ დაგროვილი ცოდნის კომპლექსურ გამოყენებასა და ანალიზს.

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის როგორც ქართულ, ასევე უცხოურენოვან (სომხურ, სპარსულ, ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ) წყაროებს, რომლებიც ქართული დროშების ისტორიას ასახავენ. საგანგებო ყურადღება ეთმობა პორტოლანებს, შუა საუკუნეების სანავიგაციო რუკებს, რომლებიც მნიშვნელოვანი მონაცემებით ამდიდრებენ ისტორიულ ვექსილოლოგიას. გამოკვლეულია პორტოლანების რაობა და მნიშვნელობა, მათი ზოგადი მახასიათებლები და თავისებურებები, პორტოლანების დამზადების ტექნოლოგია, სხვადასხვა კარტოგრაფიული სკოლები, პორტოლანებზე დროშების გამოსახვის ტრადიციები და მათი შესაბამისობა იმჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებასთან, მათი სუბიექტურობისა თუ შეცდომების მიზეზები; გაანალიზებულია პორტოლანებზე გამოსახული ხუთჯვრიანი დროშები და საქართველოს ტერიტორიაზე გამოსახული დროშები. დროშების გამოსახვის ტრადიცია და კანონზომიერება განსაზღვრულია არა მხოლოდ საქართველოს ან შავი ზღვის სანაპიროს, არამედ მთელი ხმელთაშუა ზღვის მასშტაბით, რათა ქართული დროშების ანალიზი საერთაშორისო მონაცემებთან შესაბამისობაში მოხდეს. ამ გზით უზრუნველყოფილია მონაცემების ფართო კონტექსტში აღქმა და ქართული დროშების ისტორიის სიღრმისეულად, გლობალურ პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში, გაანალიზება.

პორტოლანების შესწავლის გარდა, გამოკვლეულია თავად ხუთჯვრიანი კომპოზიციის, იგივე იერუსალიმის ჯვრის წარმოშობა და გავრცელება, მისი ასახვა ნუმიზმატიკასა და ჰერალდიკაში, ამ სიმბოლოს გამოვლინება საქართველოში და იერუსალიმის როლი ქართული იდეოლოგიური დოქტრინის ჩამოყალიბებაში; კვლევის შედეგები შედარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებთან, შესაბამისი შედეგებითა და დასკვნებით; კვლევის პროცესში შემოტანილია და განხილულია მრავალი ახალი, ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის უცნობი მასალა. ნაშრომს თან ერთვის კვლევის დროს მოპოვებული, საქართველოს ტერიტორიაზე გამოსახული დროშების ვრცელი კატალოგი, რომელიც ძვირფას მასალას წარმოადგენს ისტორიოგრაფიული და ვექსილოლოგიური კვლევებისათვის.

კვლევის შედეგები დააინტერესებს ყველას, ვისაც სურს შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურული ასპექტების უკეთ გაგება. ის საინტერესო იქნება როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტებისათვის, რადგან პორტოლანების ვექსილოლოგია კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე დაუმუშავებელ საკითხად მეცნიერებაში.

დღეს, როდესაც საქართველო კვლავ იბრძვის თავისი ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დასავლური არჩევანის დასაცავად, წიგნში შესული მასალები საუკეთესო საშუალება იქნება უჩვენოს ყველას, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, საუკუნეების სიღრმიდან მომავალი ნაციონალური დროშის ტრადიცია და დაასურათოს მისი გამოვლინების ყველა ასპექტი. სწორედ ამიტომ, გარდა თავისთავად სამეცნიერო ღირებულებისა, კვლევა ქართული სახელმწიფო დროშის შესახებ სცილდება მხოლოდ აკადემიურ ჩარჩოებს და იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას ქვეყნის იდეოლოგიისა და ისტორიისათვის.

შენახუნიების საზღვაო ხუხები

მსოფლიო რუკები (*Mappaemundi*)

რუკა, გარდა იმისა, რომ სივრცეში ორიენტირების იარაღია, მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროცაა, რომელშიც თვალნათლივაა ასახული იმდროინდელი გეოგრაფიული, ფილოსოფიური თუ სხვა შეხედულებები და ამ მხრივ ეპოქის სახეს წარმოადგენს.¹ პორტოლანური რუკების გამოჩენამდე შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ე.წ. *მსოფლიო რუკები* ანუ *mappaemundi*, როგორც მათ უწოდებენ.² მსოფლიო რუკები კაცობრიობის მთელი ისტორიასა და ფილოსოფიას გეოგრაფიულ ჩარჩოში ათავსებდა. ამ რუკებზე შუა საუკუნეების მსოფლმხედველობა წარმოდგენილი იყო სივრცულ ფორმატში, რომელიც ჰარმონიულად აერთიანებდა ისტორიას, გეოგრაფიას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, ეთნოლოგიასა და თეოლოგიას. მსოფლიო რუკების სივრცით ორგანიზაციაში მთავარი იყო ადგილების მნიშვნელობა და არა მათი ზომა ან მანძილი. შედარებით მცირე ზომის წმინდა მიწას, მისი საკრალური მნიშვნელობის შესაბამისად, არაპროპორციულად დიდი სივრცე ეთმობოდა.³

ანტიკური სამყაროს ან შუა საუკუნეების არაბული კარტოგრაფიისგან განსხვავებით, დასავლური რუკები შუა საუკუნეებში არ ასრულებდა რაიმე პრაქტიკულ ფუნქციას; ის არც მოგზაურობის სახელმძღვანელოდ გამოდგებოდა და არც ადმინისტრაციულ ინსტრუმენტად. იმ დროს, როდესაც მუსლიმებს თავიანთი ადგილობრივი მმართველობა რუკაზე ჰქონდათ დაფუძნებული და მის მიხედვით აშენებდნენ საფოსტო სადგურებს, დასავლური კარტოგრაფია იყო *imago mundi*, მსოფლმხედველობა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანიტი მნიშვნელობით და, უპირველესად, ბიბლიის ახსნა-განმარტებას ემსახურებოდა. კარტოგრაფებს არ აინტერესებდათ ტერიტორიის მასშტაბური რეპროდუქცია და თანამდევი დეტალები; ისინი არ ისწრაფოდნენ დედამიწის პოლიტიკური დაყოფის ან ფიზიკურად სწორად ჩვენებისაკენ, როგორც ამას თანამედროვე რუკები ცდილობენ, არამედ ცდილობდნენ მოეცათ ის, როგორც არენა ღმერთის შესაქმისათვის.⁴ მსოფლიო რუკების უმთავრესი დანიშნულება, გეოგრაფიულის ნაცვლად, დიდაქტიკური და მორალისტური იყო. მათი სიმბოლიზმი ისტორიისა და გეოგრაფიის შერწყმის შედეგადაა წარმოქმნილი. რუკებზე ასახულია რელიგიური ისტორიები და სეკულარული ლეგენდები და დატანილია ქრისტიანული და ბიბლიური ტოპოგრაფია. როგორც წესი, აქ გვხვდება ქრისტიანული ისტორიის სამი მთავარი მოვ-


¹ Фоменко, *Образ мира на старинных портланах*, 9.

² ტერმინი *mappaemundi* წარმოდგება ლათინური სიტყვებისაგან *mappa* (სუფრა, ხელსახოცი) და *mundus* (მსოფლიო). David Woodward, “Medieval Mappaemundi,” in *The History of Cartography*, vol. 1, *Cartography in Prehistoric, Ancient and Medieval Europe and the Mediterranean*, ed. J. B. Harley and David Woodward (Chicago, 1987), 287. დამახასიათებელია, რომ სიტყვა „რუკის“ ლათინური შესატყვისი არც არსებობდა. P. D. A. Harvey, *Medieval Maps* (London, 1991), 19.

³ Evelyn Edson, *The World Map, 1300-1492: The Persistence of Tradition and Transformation* (Baltimore, 2007), 11-18.

⁴ Brincken, “Portolane als Quellen der Vexillologie,” 410.

სურ. 1
T-O რუკა ისიდორე სევილიელის *ეტიმოლოგიის* XII ს. ასლიდან. British Library, Royal MS 12 F IV, f. 135v.



ლენა – სამყაროს შექმნა, ქრისტეს მიერ მისი ხსნა და საშინელი სამსჯავრო.⁵ მსოფლიო რუკების მიზანი მორწმუნეების ინფორმირება ქრისტიანული ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ უფრო იყო, ვიდრე ზუსტი მდებარეობის ჩვენება. მათ ჰქონდათ გეომეტრიული ფორმა, სქემატური ხასიათი და იშვიათად გააჩნდათ მასშტაბი. საზღვაო რუკებისაგან განსხვავებით, მსოფლიო რუკებს არ ქმნიდნენ კარტოგრაფები. 1100 მსოფლიო რუკიდან, 900 ხელნაწერ ნიგნებშია შემორჩენილი, ძირითადად, როგორც ილუსტრაციები, თუმცა, დიდი ზომის გამონაკლისებიც გვხვდება.⁶ მსოფლიო რუკები იხაზებოდა წინასწარ განსაზღვრული გეომეტრიული ფორმით (მრგვალი, ოვალური, მართკუთხა), სადაც თითოეულ ფორმას თავისი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან ცხადია, რომ რუკის მისტიკურ ფუნქციას მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე მის გეოგრაფიულ დანიშნულებას.⁷ დღევანდელისაგან განსხვავებით, შუა საუკუნეების მსოფლიო რუკა აღმოსავლეთზე იყო ორიენტირებული: მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, სინათლე და სითბოც აღმოსავლეთიდან მოდიოდა და სამოთხეც აღმოსავლეთში ეგულებოდათ; ქრისტე ზეცაში აღმოსავლეთით ამალდდა და ამიტომ მისი დაბრუნებაც იქიდან იყო მოსალოდნელი; შემთხვევითი არ არის, რომ ქრისტიანული ეკლესიებიც აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული.⁸

მსოფლიო რუკების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტიპი იყო ე.წ. T-O რუკა (*orbis terrarum*), სადაც მინების წრე (O) წყლით (T) სამად იყო გაყოფილი; მას ასევე ისიდორეს რუკას უწოდებენ, რადგან მსოფლიოს წარმოგვიდგენს ისიდორე სევილიე-

რუკა 1

ინგლისელი ბერის რანულფ ჰიგდენის (დ. 1280-1364) ოვალური ფორმის მსოფლიო რუკა, რომელიც მისივე საისტორიო თხზულებას *პოლიქრონიკონს* ახლავს. რუკის ცენტრში წითელ მედალიონში მოთავსებული იერუსალიმია. დ. 1350 წ. British Library, Royal MS 14 C IX, ff. 1v-2r.

ლის (დ. 560-636) აღწერილობის მიხედვით (სურ. 1).⁹ T–O რუკებში, T წარმოდგენილია სამი ძირითადი წყალგამყოფით: ტანაისით (მდ. დონი), რომელიც ჰყოფს ევროპასა და აზიას, აფრიკისა და აზიის გამყოფი ნილოსით, და ხმელთაშუა ზღვით, რომელიც ჰყოფს ევროპასა და აფრიკას.¹⁰ ქრისტეზე ორიენტირებული შუა საუკუნოვანი სამყაროს აღქმისათვის ამ სქემაში T გაგებული იყო როგორც ჯვარი.¹¹ (რუკა 1)

პორტოლანები

პორტოლანურ (საზღვაო) რუკებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ შუა საუკუნეების ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში. მათი მნიშვნელობა უზარმაზარი და მრავალმხრივია. სწორედ პორტოლანებმა განაპირობეს კარტოგრაფიის განვითარება და მოამზადეს ტექნიკური ბაზა ახალი სამყაროს აღმოსაჩენად და დედამიწის გარშემო მოგზაურობებისათვის.¹² XIII საუკუნის მიწურულს პორტოლანური რუკების გამოჩენა ხმელთაშუა ზღვის სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება კარტოგრაფიის ისტორიაში. ამ რუკების არაჩვეულებრივი რეალიზმი მკვეთრად განსხვავდებოდა რელიგიური ელფერითა და კლასიკური ელემენტებით დატვირთული თანადროული მსოფლიო რუკებისაგან (*mappaemundi*). ეს იყო უპრეცედენტო წინგადადგმული ნაბიჯი კარტოგრაფიულ პრაქტიკაში, რომელმაც განსაზღვრა რუკების შედგენის პრინციპები აღმოჩენების ეპოქაში და მის შემდგომაც.¹³

პორტოლანური ანუ საზღვაო რუკების სახელწოდება წარმოდგება იტალიური სიტყვისაგან *portolano*, რომელიც ნავსადგურების წერილობით ჩამონათვალს წარმოადგენდა.¹⁴ პორტოლანი თავდაპირველად სანაპირო მარშრუტს აღნიშნავდა და იძლეოდა მიმართულებებსა და მანძილს სანაპიროზე არსებულ წერტილებს შორის. როგორც ეტიმოლოგია მიუთითებს, ეს არის პორტებისა და ადგილების აღწერა, რასაც გემი შეიძლება მიადგეს ანუ მარშრუტი. თანდათანობით, ტერმინი ამ მარშრუტის ამსახველ რუკებზეც გავრცელდა: პორტოლანური რუკა, მოკლედ – პორტოლანი.¹⁵

პორტოლანები ანუ „პირველი ნამდვილი რუკები“, როგორც მათ უწოდებენ,¹⁶ თავისი დროის ყველაზე რეალისტური გეოგრაფიული რუკები იყო. ბევრი თვალსაზრისით, ისინი ძალიან თანამედროვეა,¹⁷ და გამოიყურებიან, როგორც თანამედროვე რუკები, ისეთები, როგორსაც არის მიჩვეული ჩვენი ეპოქის ადამიანი.¹⁸ შუა საუკუნეების პორტოლანი მისი დროის უზუსტესი დოკუმენტი იყო, რომელიც ახერხებდა პერგამენტის ერთ ფურცელზე აესახა იმდროინდელ ევროპაში არსებული გეოგრაფიული და ისტორიული ცოდნა.¹⁹ მიუხედავად იმისა, რომ არ არის მართებული, გვიანდელი სტანდარტებით შევაფასოთ და დღევანდელი მოთხოვნები წაფუყნოთ ჩვენგან საუკუნეებით დამორეზულ მოვლენებსა თუ არტეფაქტებს, შუა საუკუნეების საზღვაო რუკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში მათ ასეთი გამოცდა წარმატებით ჩააბარეს.

პორტოლანები XIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შექმნილი. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი ე.წ. პიზური და კორტონას რუკებია, რომელთაც XIII საუკუნის მიწურულს აკუთვნებენ (რუკა 2 და 3).²⁰ საზღვაო რუკის არსებობის ყველაზე ადრეული

ტულან: Portulans de Petrus Vesconte,” 131; Campbell, “Portolan Charts,” 404. საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული პიზური რუკა ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უადრესი პორტოლანია, რომელიც XIII საუკუნის მი-

წურულითაა დათარიღებული. 2016 წელს ლისაბონის კონფერენციაზე ქ. ჰოფმანმა წარმოადგინა საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული პიზური რუკის C-14 რადიონახშირბადული დათარიღების ანალ-

იზი, რომლის მიხედვითაც რუკის პერგამენტი 1170-1270 წლებშია დამზადებული. Tony Campbell, “Cartographic Innovations by the Early Portolan Chartmakers,” (2016): <https://www.maphistory.info/PortolanChartInnovations.html#general>.

¹⁰ Woodward, “Medieval Mappaemundi,” 296.

¹¹ Л.С. Чекин, *Картография христианского средневековья. VIII-XIII вв.* (Москва, 1999), 17.

¹² Фоменко, *Образ мира на старинных портоланх*, 9, 49.

¹³ Roel Nicolai, “How Old are Portolan Charts Really?”, *Maps in History*, 52 (2015), 16. მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის I ნახევრის პროგრესმა კარტოგრაფიაში დაანახა გეოგრაფებს თუ რამდენად რეალისტური და ზუსტი იყო შუა საუკუნეების საზღვაო რუკები. Roel Nicolai, *The Enigma of the Origin of Portolan Charts: A Geodetic Analysis of the Hypothesis of a Medieval Origin* (Leiden, 2016), 2.

¹⁴ Campbell, “Portolan Charts,” 375.

¹⁵ Pasch, “Les drapeaux des cartes-portulans: Portulans de Petrus Vesconte,” 131. ჩვენამდე მოღწეული უადრესი წერილობითი პორტოლანი არის იტალიური *La Compasso da Navigare*, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. Richard Pflederer, *Finding Their Way at Sea: The Story of Portolan Charts, the Cartographers who Drew Them and the Mariners who Sailed by Them* (Houten, 2012), 24.

¹⁶ Charles Raymond Beazley, “The First True Maps,” *Nature*, 71 (1904), 159.

¹⁷ Campbell, “Portolan Charts,” 445.

¹⁸ P. D. A. Harvey, “Medieval Maps: An Introduction,” in *The History of Cartography*, vol. 1, *Cartography in Prehistoric, Ancient and Medieval Europe and the Mediterranean*, ed. J. B. Harley and David Woodward (Chicago, 1987), 284.

¹⁹ Фоменко, *Образ мира на старинных портоланх*, 10.

²⁰ Pasch, “Les drapeaux des cartes-port-





მონმოზა 1270 წლით თარიღდება, ლუი IX-ის ტუნისის ექსპედიციით. როგორც გიომ დე ნანგისი გვამცნობს, ფრანგულ ფლოტს, რომელიც კალიარიში უნდა შესულიყო, ოთხი დღის განმავლობაში თავს დაატყდა ორი ქარიშხალი, რომელმაც თავგზა აუზნია ჯვაროსნებს. გემის კაპიტანმა მათ რუკა აჩვენა და დაუდასტურა, რომ სარდინიის სანაპიროსთან იმყოფებოდნენ, რაშიც რამდენიმე საათში თავად დარწმუნდნენ, როდესაც ჰორიზონტზე პორტი გამოჩნდა.²¹ ჩვენამდე მოღწეული საზღვაო რუკები XIV საუკუნის პირველ ნახევარში ჩნდება იტალიისა და ესპანეთის დიდ სავაჭრო ქალაქებში. უადრესი დათარიღებული პორტოლანი ვენეციაში მოღვაწე გენუელი პიეტრო ვესკონტეს 1311 წლის რუკაა, შემდეგ მოდის აწველინო დალორტოს რუკა (1330), რომელიც იგივე აწველინო დულჩე-ტია, ცოტა მოგვიანებით მოქმედი მაიორკაში.²² პორტოლანები იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული, რომ ჩვენამდე მოაღწია XIII-XVII საუკუნეებში დამზადებულმა ასეულობით რუკამ. XX საუკუნის დასაწყისში რ. ოლდემი ევროპის ბიბლიოთეკებში დაცულ 1500-მდე პორტოლანს ითვლიდა.²³ დღევანდელი აღწერით 1852 პორტოლანია აღწუსხული, რომელთაგან 518 ატლასია, 1334 კი ცალკე არსებული რუკაა.²⁴

პორტოლანი ახალი ტიპის რუკაა, რომლის ნიშან-თვისებებს XVIII საუკუნემდე ყველა საზღვაო რუკა ატარებდა.²⁵ ჩვენამდე მოღწეულ უადრეს რუკებზეც კი, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს კონტური საკმაოდ ზუსტი იყო.²⁶ მათი უპირატესობა პტოლემეოსის რუკებთან შედარებით, რომლებიც იმავე ტერიტორიას აღწერს, ერთი შეხედვითაც ამკარაა.²⁷ განსაკუთრებით საგრძნობია პორტოლანების სხვაობა შუა საუკუნეების მსოფლიო რუკასთან (*mappamundi*) შედარებით, რომელიც სამყაროს აღიქვამდა და გად-

რუკა 2
პიზური რუკა. XIII ს. Bibliothèque nationale de France, MS Ge B-1118 RES.

რუკა 3
კორტონას რუკა. XIII ს. Biblioteca di Cortona e dell’Accademia Etrusca, MS n. 105.

Attribution to Individual Chartmakers or to Their Supposed Workshops,” (2011): <https://www.maphistory.info/PortolanAttributions.html#vensecond>; Corradino Astengo, “The Renaissance Chart Tradition in the Mediterranean,” in *The History of Cartography*, vol. 3, *Cartography in the European Renaissance*, ed. David Woodward (Chicago, 2007), 190.

²⁵ Nicolai, “How Old are Portolan Charts Really?”, 16.

²⁶ შავი ზღვის მონაკვეთი ჩვენამდე მოღწეულ უადრეს პორტოლანებზე უკვე არის დატანილი, თუმცა პიზურ რუკაზე მისი დიდი ნაწილი დაზიანებულია. კორტონას რუკაზე შავი ზღვა შთამბეჭდავად ზუსტადაა გამოსახული, თუმცა წაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე. ვესკონტეს 1311 წლის რუკაზე მაგმა ზღვამ შეიძინა ჩვენთვის ნაცნობი მოხაზულობა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ხმელთაშუა ზღვისას, რაც ზუსტ დაკვირვებებსა და აზომვებზე მიუთითებს. Pujades, *La carta de Gabriel de Vallseca*, 371, 382.

²⁷ Campbell, “Portolan Charts,” 371. მაგალითად, ხმელთაშუა ზღვის სიგრძე, რომელიც გაზეიადებული იყო პტოლემეოსის მიერ, პორტოლანებზე ბევრად სწორადაა გადმოცემული. Edson, *The World Map*, 35.

²⁸ Gerald R. Crone, *Maps and Their Makers: An Introduction to the History of Cartography* (Folkestone, 1978), 28.

²⁹ *El Libro del conocimiento de todos los reinos* (*The Book of Knowledge of All Kingdoms*), edition, translation, and study by Nancy F. Marino (Tempe, 1999), XXVIII.

³⁰ ვენეციელმა მარინო სანუდომ სწორედ პორტოლანები გამოიყენა ჯვაროსნული ლაშქრობის დასაგეგმად და მისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იტალიელი კარტოგრაფი პიეტრო ვესკონტე მოიწვია რუკების შესადგენად. სანუდოსა და ვესკონტეს რუკები უადრესად პრაგმატულია და უპირატესობას ანიჭებს ზუსტ ინფორმაციას, რაც ახალი მიდგომა იყო კარტოგრაფიაში. Julia Harte, “How One Fourteenth-Century Venetian Remembered the Crusades: The Maps and Memories of Marino Sanuto,” *Penn History Review*, 15/2 (2008), 10-14.

³¹ Roel Nicolai, “The Premedieval Origin of Portolan Charts: New Geodetic Evidence,” *Isis*, 106/3 (2015), 519, Id., “How Old are Por-

tolan Charts Really?”, 18.

მოცემდა რელიგიური პოზიციიდან. როგორც 1457 წლის პორტოლანის ავტორი გენუელი ანონიმი წერდა, „ეს არის სამყაროს ჭეშმარიტი აღწერა, გადმოცემული საზღვაო რუკით, რომლიდანაც ამოღებულია უაზრო ზღაპრები“.²⁸ მოგზაურები, ვაჭრები, ელჩები და მისიონერები, რომლებიც საჭიროებდნენ მგზავრობისათვის აუცილებელ სანდო ინფორმაციას, მსოფლიო რუკების ნაცვლად პორტოლანებს იყენებდნენ, რომლებზეც სწორად იყო ასახული სანაპიროები და ზღვები. ტიპური მსოფლიო რუკები მხოლოდ კაბინეტური მოგზაურობისთვის თუ გამოდგებოდა.²⁹

შუა საუკუნეების მსოფლიო რუკები უფრო წარმოსახვითი და სიმბოლური იყო, ვიდრე აღწერილობითი, რაც გამორიცხავდა მათ გამოყენებას პრაქტიკაში. განსხვავებით, საზღვაო რუკები (პორტოლანები) პრაქტიკული დანიშნულებისა იყო და კომპასის დახმარებით შედგენილი სანაპირო ზოლით ხასიათდებოდა.³⁰

პორტოლანური რუკები გეომეტრიულად სწორი იყო, რეალურ გაზომვებს ეფუძნებოდა და არა სამყაროს მენტალურ მოდელს. მათი სიზუსტე სხვა ახსნის საშუალებას არ იძლევა.³¹ პორტოლანურ რუკებზე გამოხაზული სანაპირო ზოლი ზუსტი იყო,³² იმდენად ზუსტი და დეტალური, რომ ლოიდ ბრაუნის აზრით, „შეუძლებელია ერთი კაცის ან თუნდაც ნავიგატორების ჯგუფის ნამუშევარი ყოფილიყო და ერთი თაობის კვლევის შედეგსაც არ წარმოადგენს, რადგან მეტისმეტად დიდ არეალსა და ზედმეტად რთულ დეტალებს მოიცავს“.³³ ნათელია, რომ პორტოლანური რუკები ხმელთაშუა და ჩრდილოეთ ევროპის ზღვებში მრავალსაუკუნოვანი ნავიგაციური გამოცდილების შედეგია.³⁴

²¹ Patrick Gautier Dalché, “D’une technique à une culture: Carte nautique et portulan au XIIe et au XIIIe siècle,” *Atti della Società Ligure di Storia Patria*, 32/2 (1992), 307; Campbell, “Portolan Charts,” 439.

²² Patrick Gautier Dalché, “La carte marine au Moyen Âge: outil technique, objet symbolique,” in *The Sea in History – The Medieval World*, eds. Christian Buchet, Michel Balard (Woodbridge, 2017), 103.

²³ R. D. Oldham, “The Portolan Maps of the Rhône Delta: A Contribution to the History of the Sea Charts of the Middle Ages,” *The Geographical Journal*, 65/5 (1925), 405. დღემდე მოღწეული საზღვაო რუკების ოდენობა საუკუნეების ზრდასთან ერთად გეომეტრიული პროგრესით მატულობს: XIII საუკუნის ორიოდე პორტოლანია შემორჩენილი, დაახლ. 33 – XIV საუკუნიდან და თითქმის 150 – XV საუკუნიდან. Tony Campbell,

“Census of Pre-Sixteenth-Century Portolan Charts,” *Imago Mundi*, 38 (1986), 69.

²⁴ Pflederer, *Finding Their Way at Sea*, 85. 1469 წლამდე არსებული რუკების 42%-ს ანონიმური რუკები შეადგენს: 68 ხელმოწერილია, 50 კი არა. ჩვენთვის ცნობილია 39 კარტოგრაფი, რომელიც ამ დრომდე მუშაობდა და 26 ანონიმი. XVI და XVII საუკუნეების რუკების 40%-იც ანონიმურია. Tony Campbell, “Anonymous Works and the Question of Their

ceedings of the IX International Reunion for the History of Nautical Science and Hydrography (Cascais, 1999), 355.

³³ Lloyd A. Brown, *The Story of Maps* (New York, 1979), 139.

³⁴ Piero Falchetta, “The Use of

Portolan Charts in European Navigation During the Middle Ages,” in *Europa im Weltbild des Mittelalters: Kartographische Konzepte*, eds. Ingrid Baumgärtner, Hartmut Kugler (Berlin, 2008), 270.

პორტოლანები იმ ადამიანთა რთული და მრავალმხრივი შრომის შედეგია, რომელთაც ჰქონდათ წვდომა სხვადასხვა წყაროებსა და რესურსებზე ხმელთაშუა ზღვის, დასავლეთ აზიის, შავი და კასპიის ზღვების რეგიონებიდან. ამ რუკების ავტორებს ხელი მიუწვდებოდათ სხვადასხვა წყაროებზე და თავმოყრილი სანდო მონაცემები შეიტანეს ახალ გამომსახველობით სქემაში, რომელიც გარდაქმნეს გეოგრაფიული ცოდნის ისეთ ვიზუალურ ფორმაში, რომელმაც გასტანა XV და, ნაწილობრივ, XVI საუკუნეშიც კი. მათი მიდგომა წყაროების, გამოსახულებების, სიტყვებისა და რიცხვებისადმი უმთავრესად ახლებური და პრაქტიკული იყო და არა მოძველებული ან თეორიული.³⁵ შუა საუკუნეების რუკების ავტორები ბევრ პრობლემას აწყდებოდნენ ხმელეთის ან ზღვის უცხო მონაკვეთის აღწერისას. როგორც წესი, მათ არ ჰქონდათ პირდაპირი წვდომა უცხო ადგილებსა და მათ სახელებზე და უწევდათ თანამშრომლობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და განათლების მრავალ ადამიანთან. კარტოგრაფებს უნდა გამოერჩიათ ტექსტებში, რუკებსა და სურათებში ნაპოვნი სხვადასხვა ინფორმაცია, ისევე როგორც ადამიანებისაგან მიღებული ცნობები და შეეფასებინათ მათი სანდოობა.³⁶ ისინი იყენებდნენ როგორც რამდენიმე საუკუნოვან (ლათინურ, არაბულ), ისე თანადროულ (ბიზანტიურ, მონღოლურ, პოსტილხანურ) წყაროებს; ინფორმაციას იღებდნენ სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებისაგან და ითვალისწინებდნენ როგორც სამეცნიერო ხელნაწერებს, ისე ადგილობრივ მასალას.³⁷

კარტოგრაფებს ინფორმაციას აწვდიდნენ მოგზაურები, პილიგრიმები, ნაოსნები. ფრანჩესკო ბეკარი, თავისი 1403 წლის რუკის აღწერაში, სადაც მან რიგი გაუმჯობესებები შეიტანა, მოგვითხრობს, რომ ჭეშმარიტება დაადგინა „კაპიტნების, გემთმფლობელების, სკიპერებისა და ლოცმანების გამოცდილებისა და სარწმუნო მოხსენების საფუძველზე, ასევე მათი დახმარებით, რომლებიც გამოცდილი არიან საზღვაო საქმეში და ხშირად და დიდი ხნის განმავლობაში ცურავდნენ ამ რეგიონებსა და ზღვებში“. ის აზუსტებს, რომ რამდენიმე შემთხვევაში ზღვაოსნებმა მას მიუთითეს შეცდომებზე არსებულ რუკებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მეზღვაურები ამ რუკებს აქტიურად იყენებდნენ და ეხმარებოდნენ კარტოგრაფებს მათ გაუმჯობესებაში.³⁸

ამასთან, შუა საუკუნეების კარტოგრაფები არ იყვნენ „კაპიტნების სწავლულები“, არამედ ზღვაოსნები, გემთმეპატრონეები, სანავიგაციო ხელსაწყოების შემქმნელები; მამის საქმეს ხშირად შვილები აგრძელებდნენ, რაც განსწავლულ კარტოგრაფთა დინასტიების ჩამოყალიბებას იწვევდა.³⁹ ზოგიერთი კარტოგრაფი თავადაც იყო ნაოსანი და კარგად ესმოდა საგანი. ვენეციელი ანდრეა ბიანკო ნლეების მანძილზე გალერას მეთაურობდა და 1437-51 წლებში რეგულარულად გადიოდა ზღვაში, ხოლო 1460 წელს კვიპროსის ფლოტის ადმირალის მრჩეველადც დაინიშნა. გრაციოზო ბენიკაზა გემის კაპიტანი იყო და სულ მცირე, 1435 წლიდან დატურავდა; მხოლოდ 1461 წელს, გენუელ კორსართან შეტაკებაში გემის დაკარგვის შემდეგ, მიჰყო მან ხელი რუკების შედგენას, სადაც საკუთარ გამოცდილებასაც იყენებდა. გალერას მეთაურობდა მისი უფროსი ვაჟი, ანდრეაც, რომელიც მამის კვალს გაყვა და რუკებსაც ადგენდა.⁴⁰ XIV-XV საუკუნეების ვენეციელი კარტოგრაფების ვინაობის გადამოწმებამ ცხადყო, რომ მათი უმეტესობა დიდ საზღვაო გამოცდილებას ფლობდა და არქივებში მოიხსენიებიან როგორც გემთმფლობელები, კაპიტნები და ნავიგატორები.⁴¹

გეოგრაფიული ობიექტების ვიზუალიზაცია პორტოლანებზე ემყარება სამ მთავარ ტრადიციას კარტოგრაფიაში: შუა საუკუნეების ლათინურ მსოფლიო რუკებსა და ბიზანტიურ და არაბულ მსოფლიო და რეგიონალურ რუკებს. მიუხედავად საერთო მსგავსებისა, ერთი და იგივე გეოგრაფიული ობიექტები პორტოლანებზე სხვადასხვაგვარადაა გამოსახული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რუკების შემქმნელები, ერთმანეთის წაბძვის გარდა, შემოქმედებითად უდგებოდნენ თავიანთ წყაროებს და აუმჯობესებდნენ მიღწეულ შედეგებს.⁴²

⁴³ Brentjes, "Fourteenth-Century Portolan Charts," 120.

⁴⁴ ასეთი მიდერულად გაფორმებული პორტოლანები დიდი თანხა ღირდა: გაბრიელ დე ვალსკესა 1439 წლის ცნობილ პორტოლანში (ზომა 112 X 75 სმ), სადაც ცხემის თავზე ზუთჯვრიანი დროშაა გამოსახული, ამერიკო ვესპუჩიმ 130 ოქრის ლუკები ადგილობრივ აბრაშაძე კრესკეს ატლასი არავონის მმართველებს 150 ოქრის ფლორინი დაუჯდება. Фоменико, *Образ мира на старинных портулках*, 122-23.

⁴⁵ Patrick Gautier Dalché, "Les cartes marines: origines, caractères, usages. À propos de deux ouvrages récents," *Geographia antiqua*, 20-21 (2011-2012), 224-27.

⁴⁶ Campbell, "Portolan Charts," 439.

⁴⁷ Patrick Gautier Dalché, "Maps, Travel and Exploration in the Middle Ages: Some Reflections about Anachronism," *The Historical Review*, 12 (2015), 157.

⁴⁸ Campbell, "Portolan Charts," 439-40; Gautier Dalché, "D'une technique à une culture," 309; Фоменко, *Образ мира на старинных портоланов*, 105. აპვე დროს, ისტორიკოსების მიერ ხშირად დამონ-მებული აზბეი, თითქმისა პეტრე არაგონელის 1354 წლის ორდონანსი გავსეხედეს, რომ ყოველ გაღორანსი გეოგოგლბად უნდა ყოფილიყ 2 საზ-დლო რუკა, რ. პუიადესის სკრუპულო-ზური გადამონმების შემდეგ, გამოიცე-მების შესცდომის ნაყოფი აღმოჩნდა. Pujades, *Les cartes portolanes*, 426.

49. Gutierre Diaz de Gamez, *The Unconquered Knight*, 97.

⁵⁰ *Fratris Felicis Fabri Evagatorium in Terrae sanctae, Arabiae et Egypti peregrinationem*, ed. C. D. Hassler, vol. 1 (Stuttgartiae, 1843), 124.

⁵¹ Dalché, "Maps, Travel and Exploration in the Middle Ages," 153-56.

⁵² Kevin E. Sheehan, "The Functions of Portolan Maps: An Evaluation of the Utility of Manuscript Nautical Cartography from the Thirteenth through Sixteenth Centuries," PhD thesis (Durham University, 2014), 236.

⁵³ Dalché, "La carte marine au Moyen Âge: outil technique, objet symbolique," 108.

³⁵ Sonja Brentjes, "Fourteenth-Century Portolan Charts. Challenges to our Understanding of Cross-Cultural Relationships in the Mediterranean and Black Sea Regions and of (Knowledge?) Practices of Chart-Makers," *Journal of Transcultural Medieval Studies*, 2/1 (2015), 119.

³⁶ Sonja Brentjes, "Medieval Portolan Charts as Documents of Shared Cultural Spaces," in *Acteurs des transferts culturels en Méditerranée médiévale*, eds. Rania Abdellatif, Yassir Benhima, Daniel König, Elisabeth Ruchaud (München, 2012), 136.

³⁷ Brentjes, "Fourteenth-Century Portolan Charts," 119.

³⁸ Campbell, "Portolan Charts," 427-28; Pujades, *Les cartes portolanes*, 461.

³⁹ Фоменко, *Образ мира на старинных порtolанах*, 243.

⁴⁰ Campbell, "Portolan Charts," 432-33.

⁴¹ Piero Falchetta, "Marinai, Mercanti, Cartografi, Pittori: Ricerche sulla Cartografia Nautica a Venezia (sec. XIV-XV)," *Ateneo Veneto*, 182 (1995), 68.

⁴² Brentjes, “Medieval Portolan Charts as Documents of Shared Cultural Spaces,” 141-42. როგორც ტონი კემპბელი წერს, „პორტოლანური რუკები უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ხმელთაშუა ზღვის აუზში არსებული ცოდნის შედეგად განახლებადი ჩანაწერი“. Campbell, “Portolan Charts,” 373.

ვევაში ესპანური გემის კაპიტანს უნდა გაენადგურებინა საზღვაო რუკები, რომელთაც ამისათვის საგანგებოდ ჰქონდათ მიმაგრებული ტყვიის ტვირთი.⁵⁴

ტ. კემპბელი,რომელიც ეყრდნობა რამონ პუიადესის ნაშრომში მოყვანილ 1501 წლამდე ნაოსნობისას რუკების გამოყენების 24 მაგალითს, მკაფიოდ აცხადებს: „ადრინდელი მოსაზრება, რომ პორტოლანურ რუკებს არ ჰქონდათ პრაქტიკული დანიშნულება და მათ არასოდეს იყენებდნენ ზღვაში, აღარ უნდა განმეორდეს“.⁵⁵ როგორც თავად რ. პუიადესი აღნიშნავს, „საზღვაო რუკებს უპირველესად ფლობდა ის ხალხი, ვინც ან პროფესიონალი მეზღვაური იყო ანდა როგორც ვაჭარი ან სამხედრო ფლოტის ოფიცერი, ხშირად გადიოდა ზღვაში“.⁵⁶ თავად დალშეც ასკვნის, რომ ერთი მხრივ, პორტოლანებს გემებზე იყენებდნენ, მეორე მხრივ კი, ხმელეთზე მყოფი ადამიანებისათვის ის გეოგრაფიული ცოდნის იარაღი იყო.⁵⁷

მეზღვაურებისთვის შემუშავებულ პორტოლანებზე აქცენტი პრაქტიკულობასა და ფუნქციონალურობაზე კეთდებოდა. ასეთი რუკით ხელში და კომპასის გამოყენებით, ის დარწმუნებული იყო, რომ შეძლებდა პორტიდან პორტში ცურვას და დანიშნულების ადგილზე მისვლას. პორტოლანური რუკების საშუალებით მეზღვაურები ოთხსასზე მეტ წელს დაცურავდნენ ხმელთაშუა და შავი ზღვების წყლებში, შემდეგ ევროპისა და აფრიკის სანაპიროების გასწვრივ, ბოლოს კი, ოკეანეების გავლით ამერიკას, აზიასა და ავსტრალიას მიაღწიეს.⁵⁸

პორტოლანური რუკის ნაგებობა

კარტოგრაფიული ინოვაციები

შუა საუკუნეებში, გემთმშენებლობაში მიღწევებისა და კომპასის გამოგონების წყალობით, კარტოგრაფიამ დიდი წინსვლა განიცადა. ნამდვილი კარტოგრაფიული პროგრესი XIV საუკუნეში დაიწყო და განპირობებული იყო სიახლეებით ნავიგაციაში. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ზღვაოსნები ცურვისას იყენებდნენ პორტოლანებს, სადაც ასახული იყო მათი აღმოჩენები, სანაპიროსა და ნავსადგურების აღწერები და სხვა გეოგრაფიული მონაცემები.⁵⁹

პორტოლანურ რუკებს სამართლიანად უწოდებენ „კომპასურ რუკებს“ – ისინი შექმნილია კომპასის საშუალებით და გამიზნულია მასთან ერთად გამოსაყენებლად.⁶⁰ მეზღვაურებს შეეძლოთ აერჩიათ მარშრუტი კომპასის მიმართულებების შესაბამისი რუმბის ხაზების გამოყენებით. გემის სიჩქარის, მოგზაურობის დროისა და რუკის მასშტაბის გათვალისწინებით, მათ შეეძლოთ არჩეულ მიმართულებაზე გავლილი მანძილის და, შესაბამისად, საკუთარი მდებარეობის დადგენა.⁶¹ XV საუკუნეში იტალიელი ვაჭარი და დიპლომატი ბენედეტო კოტრული შენიშნავდა, რომ გამოთვლების შედეგად მიღებული გემის მდებარეობა რუკაზე ცვილის ლაქით უნდა აღენიშნათ.⁶²

რეალისტურობა და პრაქტიკულობა პორტოლანურ რუკებს მკვეთრად გამოარჩევს შუა საუკუნეების რუკების შექმნის სხვა ტრადიციებისაგან. ჩვეულებრივ, მათ მეზღვაურებისათვის ადგენდნენ, რომელთათვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მანძილისა და მიმართულების სიზუსტე. ეს რუკები, რომლის უადრესი შემორჩენილი ეგზემპლარიც კი შთამბეჭდავად ზუსტი იყო, ადრეულ ეტაპებზევე ავლენენ მნიშვნელოვან ჰიდროგრაფიულ გაუმჯობესებებს, რომლებიც შემდგომში გრძელდება სანაპირო ადგილების სახელების კორექტირებით.⁶³

პორტოლანური რუკები წარმოადგენენ საზღვაო ნავიგაციისათვის განკუთვნილ უადრეს სისტემატურ საშუალებას, სადაც ნებისმიერ სხვა ტიპის რუკაზე უფრო მეტი კარტოგრაფიული სიახლეები გვხვდება. ცნობილი პორტუგალიელი კარტოგრაფი არმანდო კორტეზაუ თვლიდა, რომ პორტოლანების გამოჩენა კარტოგრაფიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.⁶⁴ ალბერტო მანიაგი კი

⁵⁴ Фоменко, *Образ мира на старинных портоланах*, 123.

⁵⁵ Tony Campbell, “Preface,” in *Les cartes portolanes: la representació medieval d’una mar solcada*, 410. ეს მაგალითები იხ. Pujades, *Les cartes portolanes*, 444-46.

⁵⁶ იქვე, 456.

⁵⁷ Dalché, “La carte marine au Moyen Âge: outil technique, objet symbolique,” 112-14.

⁵⁸ Pflederer, *Finding Their Way at Sea*, 41.

⁵⁹ José Fernández Gaytán, “Banderas y escudos en las cartas de marear españolas,” *Revista General de la Marina*, 213 (1987), 179-80. საზღვაო რუკების შემოღებამდე ნავიგაცია მეტწილად ლოცმანის გამოცდილებასა და მესხიერებას ემყარებოდა. Campbell, “Portolan Charts,” 386-87.

⁶⁰ XII საუკუნის დამლევს ინგლისელი ბერმა და თეოლოგმა ალექსანდერ ნეკემმა ევროპაში პირველად აღწერა კომპასი, ხოლო კომპასის პირველ გამოყენებას 1218 წელს ვხვდებით ჟაკ დე ვიტრისთან, რომელიც ყოველთვის ჩრდილოეთის ვარსკვლავისაკენ მიმართულ დამაგნიტებულ ნემსზე მოგვითხრობს, როგორც ზღვაოსანთა აუცილებელ ინსტრუმენტზე. E. G. R. Taylor, *The Haven-Finding Art: A History of Navigation from Odysseus to Captain Cook* (London, 1956), 92-95; Bremner, “Written Portulans and Charts from the 13th to the 16th Century,” 349.

⁶¹ Monique Pelletier, “Le portulan d’Angelino Dulcert, 1339,” *Cartographica Helvetica*, 9 (1994), 26.

⁶² Falchetta, “The Use of Portolan Charts in European Navigation During the Middle Ages,” 272.

⁶³ Campbell, “Portolan Charts,” 446.

⁶⁴ Armando Cortesão, *The History of Portuguese Cartography*, vol. 1 (Coimbra, 1969), 215-16.

⁶⁵ Alberto Magnaghi, “Nautiche, carte,” in *Enciclopedia italiana di scienze, lettere ed arti*, vol. 24 (Rome, 1934), 323-31.

⁶⁶ Campbell, “Cartographic Innovations by the Early Portolan Chartmakers,” (2016).

⁶⁷ რუმბი, რუმბის ხაზი, იგივე ლოქსოდრომი არის წარმოსახვითი ხაზი, რომელიც კვეთს ყველა მერიდიანს ერთი და იმავე კუთხით; გამოიყენება გემის კურსის რუკაზე გამოსახვისათვის.

⁶⁸ Pujades, *Les cartes portolanes*, 479. უფრო მოგვიანებით, მარტინ კორტესის 1545 წელს დაწერილი ტრაქტატის მიხედვით, გამჭვირვალე ქაღალდს, რომელზეც სანაპირო ზოლი იყო დატანილი, ქვეშ უდებდნენ გაჭვარტლულ ქაღალდს და ზედ გადაატარებდნენ მრგვალთაიგან პუანსონს, რითიც ნაპირის ხაზი პერგამენტზე აღიბეჭდებოდა. ჭვარტილი მონიშნულ ხაზს შავ მელანს გადაატარებდნენ, რომლის გაშრობის შემდეგ, ჭვარტლს პურის გულით აშორებდნენ. იქვე, 471-72.

⁶⁹ იქვე, 474.

⁷⁰ თავის ნაშრომში მარტინ კორტესი ჯერ ნითელი ტოპონიმების დატანას ურჩევდა, თუმცა პორტოლანების შესწავლამ ცხადყო, რომ პროფესიონალი კარტოგრაფები პირიქით იქცეოდნენ და ჯერ შავი ტოპონიმები დაჰქონდათ რუკაზე. იქვე, 480.

მათ მიიჩნევს უნიკალურ მიღწევად არა მარტო ნავიგაციის, არამედ საერთოდ ცივილიზაციის ისტორიაში.⁶⁵

პირველივე პორტოლანებში გვხვდება მრავალი ინოვაცია, რომელთაგან უმთავრესებს ქვემოთ ჩამოვთვლით:

- ახალი ტიპის საზღვაო რუკების ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე იყო თავად პორტოლანური რუკის იდეა და ხმელთაშუა ზღვის სრულად დატანა ერთ დიდ პერგამენტზე;
- კომპასთან, ქვიშის საათთან, ლოტსა და ნავიგაციურ ცხრილებთან ერთად, პორტოლანი გვევლინება ნავიგაციის უადრეს ხელოვნურ საშუალებად;
- ხმელეთზე მოგზაურთან შედარებით, მეზღვაურების ხელთ ბევრად უფრო რთული, დახვენილი და პრაქტიკული საშუალება აღმოჩნდა;
- პორტოლანები არიან ხმელთაშუა და შავი ზღვების პირველი რეალისტური და გარჩევადი რუკები;
- უადრესი პორტოლანებიც კი, პირველად კარტოგრაფიის ისტორიაში, იძლევა სანაპირო ზოლის ნათელ, სრულ და უტყუარ სურათს;
- პორტოლანებზე უხვი ტოპონიმიკური მასალაა დატანილი;
- მნიშვნელოვანი ტოპონიმები ნითელი მელნით არის გამოყოფილი (საერთო დასახელებების 1/6);

- რუკებზე დატანილია 16/32 კომპასის მიმართულებების ბადე;
- პორტოლანებზე პირველად არის მოცემული მასშტაბი;
- ნავიგაციური საფრთხეები (კლდეები, რიფები, მეჩჩეები, მარჩხობები) პირველადაა აღნიშნული რუკებზე უნიკალური სიმბოლოებით – შავი და ნითელი ჯვრებითა და წერტილებით;
- პორტოლანები პირველი საგზაო რუკებია, რომლებიც შექმნილია მოგზაურობის დროს გამოსაყენებლად, მარშრუტის გასამართად და არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების მიზნით;
- ბეჭდვის შემოღებამდე, რელიგიურ ტექსტებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, პორტოლანები ყველაზე ფართოდ გავრცელებული დოკუმენტები იყო.⁶⁶

პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა. პორტოლანური რუკის ნაგებობა.

პორტოლანების დამზადების ტექნოლოგიური თავისებურებები

პორტოლანების დამზადების პროცესი ჯერ კიდევ არ არის სრულად აღდგენილი. დასაწყისში რუკის შემდგენელს უნდა გადაეწყვიტა თუ სამყაროს რა ნაწილის გეოგრაფიას ასახავდა, რა მასშტაბს გამოიყენებდა და, შესაბამისად, რა ზომის ეტრატს საჭიროებდა. მოსამზადებელ ეტაპზე ხდებოდა პერგამენტისა და მელნის დამზადება, რასაც მოსდევდა მათემატიკური სამუშაო: ერთმაგი ან ორმაგი რუმბების ბადის ცენტრისა და გადაკვეთის ადგილების განსაზღვრა.⁶⁷ სანაპირო ზოლის რუკაზე დატანის ხერხი ზუსტად არ არის ცნობილი. ვარაუდობენ, რომ იყენებდნენ დაჩხვლეტისა და მელნით მარკირების მეთოდს: ამ დროს პერგამენტზე დადებული თარგის ძირითად წერტილებს ხვრეტდნენ და მელნის ფხვნილს აყრიდნენ, რაც ტყავზე კვალს ტოვებდა; მეორე ეტაპზე ამ წერტილებს აერთიანებდნენ უწყვეტ სანაპირო ზოლში.⁶⁸ შემდეგ ხაზავდნენ რუმბების ბადეს: ჯერ რვა მთავარ მიმართულებას შავი ან ყავისფერი მელნით, დანარჩენებს კი – ნითლით და მწვანით.⁶⁹ რუკაზე აკურატულად დაჰქონდათ 1800-მდე ტოპონიმის სახელი, ჩვეულებრივ, შავი ან ყავისფერი მელნით, მნიშვნელოვან ადგილებს კი ნითლად აღნიშნავდნენ.⁷⁰ ბოლო ეტაპზე ინყებოდა გაფერადება და ილუსტრირება: ჩვეულებრივ, კუნძულებისა და მდინარეების შესართავებისათვის რვა

ფერს იყენებდნენ; ზოგიერთი რუკა მდიდრულადაა მორთული სხვადასხვა სახის გამო-სახულებებით. ყველა ეს სამუშაო საჭიროებდა კოორდინაციას და გარკვეული თანმიმ-დევრობის დაცვას.⁷¹

პორტოლანური რუკებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ისინი ხელითაა გამოხაზული მაღალი ხარისხის პერგამენტზე,⁷² სადაც სანაპირო ზოლი შავი მელნით გავლებულ კონტურს წარმოადგენდა.⁷³ ხშირად, პერგამენტი ერთი ხბოს ტყავისაგან არის გაკეთებული, სადაც „კისერი“ კარგად ჩანს;⁷⁴ 32-ხაზიანი კომპასის მიმართულე-ბების ბადე შავ-წითელ-მწვანე ფერებითაა გადმოცემული; სახმელეთო პუნქტების დასახელებები სანაპირო ზოლის პერპენდიკულარულადაა ხმელეთზე განთავსებული და ზღვას არ ფარავს; შავი მელნის გარდა, მნიშვნელოვანი ადგილების აღსანიშნად იყენებენ წითელ და აკვარელის ფერებს; ქვეყნის შიდა მხარეების შესახებ ინფორმა-ცია ძუნწია; ვხედებით საილუსტრაციო დეტალებს, როგორიცაა ქალაქის სიმბოლოები, მმართველთა, ცხოველთა, გემების გამოსახულებები, ქართა ვარდული და, რაც მთა-ვარია, დროშები ქალაქების თავზე. ამავე დროს, პორტოლანებს აკლია განმარტებები, არ არის ახსნილი ზედ დატანილი სიმბოლოები, ქალაქების ემბლემები და სხვ. მეტ-ნა-კლებად, ამ ნიშან-თვისებებს პორტოლანები ინარჩუნებენ 1700 წლამდე. ასეთი ხანგრ-ძლივობა ერთი ფორმატის ფარგლებში, რომელიც შენარჩუნებულია მისი პრაქტიკული ღირებულების გამო, უპრეცედენტოა კარტოგრაფიაში.⁷⁵

კარტოგრაფიული სკოლები

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკების წარმოშობა დებატების საგნად იქცა, სადაც ძირითადი დავა იტალიურსა და ესპანურ (კატალანურ) საზღვაო სკოლებს შორის მიმდინარეობდა.⁷⁶ თუმცა, ფაქტია, რომ უადრეს კატალანურ (1330 წლის დულჩეტის) რუკას წინ უსწრებს ხუთი იტალიური (პიზური, კორტონას, პიეტრო და პერინო ვესკონტებისა და ჯოვანი დი კარინიანოს) რუკა.⁷⁷ თავის ცნობილ მონოგრაფიაში ესპანელი რ. პუიადესიც აღ-იარებს, რომ „საზღვაო კარტოგრაფიის სამშობლო გენუასა და პიზას შორის არსე-ბული სანაპიროა“⁷⁸ და რომ XIII საუკუნეში საზღვაო კარტოგრაფიის ერთბაშად აღ-მოცენება განაპირობა ჩრდილოეთ იტალიაში მომხდარმა პროგრესმა მათემატიკასა და გეომეტრიაში, რამაც შესაძლებელი გახდა რუკებზე მასშტაბის შემცირებისა და ქარების ბადის გამოყენება. მისი აზრით, ვენეციასა და მაიორკაშიც რუკების წარმოე-ბა შესაძლებელი გახდა გენუური კარტოგრაფიული და ტოპონომიკური მოდელის – ვენეციაში ვესკონტების, ხოლო მაიორკაში ანჯელინო დულჩეტის მიერ – დანერგვის შედეგად.⁷⁹

პორტოლანების კატალანურმა სკოლამ არაბებისა და ებრაელების გეოგრაფი-ული ცოდნა გამოიყენა, გააუმჯობესა ის და შექმნა უმაღლესი ხარისხის საზღვაო რუკები. ბალეარის კუნძულებსა და პალმა დე მაიორკაზე, ხელნაწერი თუ მოხატული კარტოგრაფია ყველაზე მეტად XV საუკუნეში აყვავდა. ეს რეგიონი რუკებით ამარ-აგებდა ევროპული ქვეყნების საზღვაო ძალებს. დღემდე მოღწეული მათი რუკების დიდი ოდენობა მათივე ხარისხის მოწმობაა. რუკების შექმნის ტრადიცია გვარში გა-დაეცემოდა და ბევრი მათგანი ებრაული წარმოშობის იყო, საკუთარი სტილითა და ტექნიკით. მაიორკელმა კარტოგრაფებმა პირველმა გამოსახეს თავიანთ რუკებზე რელიეფის, სანაპიროების, ქალაქების, ცხოველების, დროშების, გერბების, ისტორი-ული პერსონაჟების სხვადასხვა თავისებურებები. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმ-რავლესობა ებრაელი იყო, ისინი თავიანთ ნამუშევრებზე მაცხოვრის, ღვთისმშობლის ან რომელიმე წმინდანის გამოსახულებებს ათავსებდნენ. მაიორკის სკოლას ახასი-

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

ათებს მდიდრულად გაფორმებული რუკები უხვი მონაცემებით უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მიწების შესახებ, როგორიც იყო შავი ზღვის, სპარსეთის ყურის, აფრიკი-სა და ჩრდილოეთ ევროპის სანაპიროები, რომელთაც ისინი იცნობდნენ კატალონე-ლი ვაჭრების წყალობით.⁸⁰ ანჯელინო დულჩეტის შემდეგ, 250 წლის განმავლობაში მაიორკაზე მომუშავე 17 კარტოგრაფის სახელია ცნობილი. მათ შორისაა ისეთი ცნო-ბილი სახელები, როგორიცა გაბრიელ დე ვალსეკა (1439–49 წლებში), პეტრუს როსელი (1447-69), სალვატ დე პილესტრინა (1502-33), მატეო და ვინსენტე პრუნესები (1553-1601) და სხვ.⁸¹

პორტოლანების გამოჩენიდან პირველი 150 წლის განმავლობაში, ამ რუკების გა-მოშვება სამი საპორტო ქალაქის – გენუის, ვენეციისა და მაიორკის მიერ იყო მონოპ-ოლიზებული. XV საუკუნის მიწურულისათვის მათ სამი ახალი ცენტრი დაემატა – ან-კონა, ნეაპოლი და ლისაბონი. ახალი მიწების ათვისებისათვის ესპანეთის მეტოქეობამ პორტუგალიასთან XVI საუკუნის დამდეგს სევილია რუკების წარმოების მსხვილ ცენ-ტრად აქცია. ამავე საუკუნეში რუკების წარმოება დაიწყეს მომავალმა კოლონიურმა იმ-პერიებმა: საფრანგეთმა დიეპსა (1538) და მარსელში (1550), პოლანდიამ ედამში (1559), ინგლისმა კი ლონდონში (1586). მომდევნო საუკუნეში, 1618 წლიდან უკვე ამსტერდამი იქცა კარტოგრაფიის ერთ-ერთ ცენტრად.⁸²

როგორც ვხედავთ, კარტოგრაფიის ისტორია ზღვაოსნობის ცენტრების განვითარე-ბას მისდევდა. XV საუკუნეში საზღვაო და სავაჭრო ცენტრებმა ხმელთაშუა ზღვიდან ესპანეთსა და პორტუგალიაში გადაინაცვლა, XVI და XVII საუკუნეებში კი უფრო ჩრდი-ლოეთით გადაინია. შესაბამისად, იტალიელმა კარტოგრაფებმა პირველობა პირენეის ნახევარკუნძულის მკვიდრებს დაუთმეს, ხოლო პორტუგალიელებისა და ესპანელების აღმოჩენების ეპოქის შემდეგ, ინიციატივა ფრანგების, ინგლისელებისა და ჰოლანდი-ელების ხელში გადავიდა.⁸³

პორტოლანების ტოპონიმიკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

პორტოლანური რუკა

^[1] Gaytán, “Banderas y escudos en las cartas de marear españolas,” 182-83.

^[2] Pflederer, Finding Their Way at Sea, 89.

^[3] იქვე, 75-78.

^[4] Putman, Early Sea Charts, 76.

^[5] Campbell, “Portolan Charts,” 371.

^[6] Brentjes, “Medieval Portolan Charts as Documents of Shared Cultural Spaces,” 136.

^[7] Campbell, “Cartographic Innovations by the Early Portolan Chartmakers,” (2016).

^[8] Tony Campbell, “A detailed reassessment of the Carte Pisane: A late and inferior copy, or the lone survivor from the portolan charts’ formative period?”, (2015): https://www.maphistory.info/CartePisaneTEXT.html.

პორტოლანების ვექსილოლოგია

შუა საუკუნეების დროშების ფორმის, გამოსახულებებისა და გამოყენების შესახებ ჩვე-ნი ცოდნის უმეტესი წილი ლიტერატურული (ქრონიკები, განწესებები) და იკონოგრაფი-ული წყაროებიდან (მხატვრობა, მინიატურები) მომდინარეობს. ამ უკანასკნელთა შორის პორტოლანურ რუკებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.^{⁠**88**} საზღვაო რუკები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მდიდარი წყაროა შუა საუკუნეების დროშე-ბის რეკონსტრუქციისათვის. მთელ რიგ კარტოგრაფიულ სკოლებში ადრიდანვე დამ-კვიდრდა ჩვეულება, დროშებით აღენიშნათ ტერიტორიის მფლობელობა. ეს ტენდენ-ცია განსაკუთრებით იყო ფეხმოკიდებული კატალანურ სკოლაში, რომელმაც უმაღლეს მხატვრულ სრულყოფილებამდე განავითარა იტალიური ტრადიცია.^{⁠**89**} მდიდრულად დასურათებულ და პერგამენტზე გამოხაზულ პორტოლანებს ამშვენებდა ქალაქების, ადამიანების, ცხოველების, გემების, დროშებისა და გერბების გამოსახულებები, რომ-ლებიც სხვადასხვა ქვეყნებსა თუ ტერიტორიებს აღწერდა.^{⁠**90**} სწორედ ამიტომ უწოდებ-და პ. კოლინდერი პორტოლანური რუკების შესწავლის პროცესს „ნამდვილ დღესას-წაულს თვალისათვის“.^{⁠**91**} პორტოლანური რუკების დროშები ენციკლოპედიური ხასი-ათის ნიშნებია, ორიენტირებული პოლიტიკური სივრცეების ვიზუალურ აღწერაზე.^{⁠**92**}

წინარე ჰერალდიკურ ხანაში, ანუ **XII** საუკუნის II მეოთხედამდე, ჯვარი, როგორც სიმბოლო, ხშირად ჩნდებოდა გემის თავზე, რომელიც მოგვიანებით შეცვალა გონ-ფანონმა, ფერადმა, რამდენიმე კუდიანმა დროშამ გამოსახულების გარეშე. გერბების განვითარებას მიჰყვა საზღვაო ჰერალდიკაც. პირველად მეთიუ პარიზელთან (1200-59) გვხვდება ჰერალდიკური ფიგურები გემის იალქნებზე, ჯვრებსა და ერთფეროვან დროშებთან ერთად. დროშებზე ჰერალდიკური სიმბოლოები **XIII** საუკუნის II ნახევარში ჩნდება. ხმელთაშუა ზღვის რეგიონში **XIII** საუკუნის II მეოთხედამდე დადასტურებულია მხოლოდ ფერადი დროშები გამოსახულების გარეშე; დროშებზე საკრალური გამოსახ-ულებები კი ლუი IX–ს ჯვაროსნული ლაშქრობის დროიდან (1248-54) ჩანს. დროშების სისტემის დასაწყისი იტალიურ საზღვაო ქალაქებში დოკუმენტურად დასტურდება 1238 წელს, როდესაც გენუას უკვე აქვს დროშა წითელი ჯვრით თეთრ ველზე, ვენეციას კი წმინდა მარკოზი ან წმინდა მარკოზის ლომი.^{⁠**93**}

გენუელი კარტოგრაფი ჯოვანი დი კარინიანო, გენუის სან მარკოს ეკლესიის რექტო-რი, თავისი ორიგინალობით გამოირჩევა **XIV** საუკუნის კარტოგრაფებს შორის. ცნობი-ლია, რომ კარინიანო სან მარკოს რექტორი იყო 1306-14 წლებში. შორეული მიწების შესახებ ის ცოდნას იღებდა გენუის ნავსადგურში ყველა ჯურის მეზღვაურებთან შეხვედრებიდან. ჯოვანი დი კარინიანო ჰერალდიკურ ემბლემებსა და მასთან დაკავ-შირებულ სიმბოლოებს დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად იყენებს, თუმცა ეს ჯერ არ არის დროშები. **XIV** საუკუნის II დეკადაში პიეტრო ვესკონტე ქალაქებს უკვე დროშებით აღნიშნავს, რადგან პუნქტების სიმბოლოებით მონიშვნის ნაცვლად, მას მხ-ოლოდ ადგილის სახელი დააქვს სანაპიროზე. ვესკონტეს ატლასები პირველი რუკებია, რომლებზეც დროშები გვხვდება. მისი დროშების უმრავლესობას გონფანონის ფორ-მა აქვს, მართკუთხედის, რომლის სიგრძე დაახლოებით სამჯერ აღემატება სიგანეს და სამი კუდით მთავრდება. გარდა იმისა, რომ დროშების ცოდნა გამოსადეგია ნაოს-ნობისას, დროშა შეიძლება დაიხატოს სათანადოდ გამოწეულ წკირზე ადგილის სახე-ლის ზემოთ და შეაფოს ცარიელი ადგილი რუკაზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მაიორკელი კარტოგრაფები, რომლებიც თავიანთი რუკების ორნამენტულ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევდნენ, დროშებს იყენებდნენ მათ შესამკობად: ეს ემსახურებოდა როგორც ნაოსნობას, ასევე ხელოვნებას. ამ მიმდინარეობის პირველი წარმომადგენე-ლი იყო ანჯელინო დულჩეტი (დალორტო), რომელიც 1330-50 წლებში მაიორკაზე მოლ-



94 იქვე, 417-21; Pasch, “Les drapeaux des cartes-portulans: Portulans de Petrus Vescon- te,” 132.

95 Brincken, “Portolane als Quellen der Vexillologie,” 424-25.

 96 Vladimír Liščáka, “Mapa mundi (Catalan Atlas of 1375), Majorcan cartographic school, and 14th century Asia,” *Proceedings of the International Cartographic Association*, 1 (2017), 2.

 97 Alessandro Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politico. I Portolani e il “Libro del Conocimiento de todos los Reinos” (s. XIV),” *Armas e trofeus*, 17 (2015), 106-7. პორტო-ლანურ რუკებზე ასახული პოლიტიკუ-რი ინფორმაციის სრულყოფა მუდმივად ხდებოდა. მაგალითად, კატალანური ატლასი არა მხოლოდ ავრცობს ტერ-იტორიის გეოგრაფიულ ფარგლებს, რომლებიც ასახულია პორტოლანურ რუკებში, არამედ მისი შემქმნელები აახლებენ დულჩეტის 1339 წლის რუკის ინფორმაციას ოქროს ურდოს მმართვე-ლის შესახებ და უზბეგ-ხანს (1313-41) ცვლიან ჯანიბეკით (1342-57). ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ოქროს ურდოს შესახ-ებ ცოდნა ხელმისაწვდომი იყო გენუასა და მაიორკაზე. Brentjes, “Medieval Portolan Charts as Documents of Shared Cultural Spaces,” 144.

98 Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politico. I Portolani e il “Libro del Conocimiento de todos los Reinos,” 110-11.

99 Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politico. Le bandiere dei portolani trecentesc-hi,” 241.

93 Brincken, “Portolane als Quellen der Vexillologie,” 409-10.

ვანეობდა და სხვადასხვა კარტოგრაფიულ სკოლებს შორის შუამავლად გვევლინება. ალბათ, გენუელი ან იქ განსწავლული დულჩეტი ეყრდნობოდა კარინიანოს და შეძლო მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა ის, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ევრო-პასთან მიმართებაში.^{⁠**94**}

ებრაელი აბრაჰამ კრესკესა და მისი ვაჟის იაჰუდას ნამუშევრები გვიანი შუა საუკუ-ნეების მდიდრული რუკების მწვერვალად ითვლება. ასეთია 1375 წლის ე.წ. „კატა-ლანური ატლასი“, რომელიც საფრანგეთის მეფისთვის იყო განკუთვნილი. ატლასი არ გვთავაზობს გეოგრაფიულ სიახლეებს, მაგრამ უმაღლესი დონის მხატვრობითაა შესრულებული. სურათებზე გაცოცხლებულია სხვადასხვა ადგილები და სხვადასხვა ეპოქების პერსონაჟები. დასახლებები მონიშნულია არქიტექტურული სიმბოლოებითა და დროშებით, რომელთაც აქვთ როგორც ორნამენტული, ისე პრაქტიკული ფუნქცია. ვექსილოლოგიური თვალსაზრისით, ატლასი თითქმის არ შეიცავს რაიმე ახალ მასალას. მაღალი მართკუთხა დროშების გარდა, უფრო ხშირია განიერი დროშები, თუმცა ისინი აღარ იცავენ გონფანონის ზომებს. ვინაიდან დროშები აქ ტერიტორიის კუთვნილებას აღნიშნავს, ერთი ქვეყნის ქალაქებს ხშირად ერთი და იგივე დროშები აქვთ. ეს ხერხი განსაკუთრებით მაშინ გამოიყენება, როდესაც ცალკეული დროშები უცნობია ან საერ-თოდ არ არსებობს, მაგალითად, ოქროს ურდოს ან თურქების მიერ მართულ მიწებზე.^{⁠**95**} მიუხედავად იმისა, რომ კატალანური ატლასი პორტოლანის სტილში არის დახატული, ის მაინც არ არის პორტოლანური რუკა. სინამდვილეში, კატალანური ატლასი პორტო-ლანზე აგებული მსოფლიო რუკაა და აერთიანებს საზღვაო რუკის ასპექტებს ლოქ-სოდრომების (ან რუმბის ხაზების) და სანაპირო დეტალების გამოყენებით შუასაუკუ-ნეების მსოფლიო რუკებთან (*mappaemundi*), მისი ლეგენდებითა და ილუსტრაციებით. შედეგად, ეს ატლასი წარმოადგენს გარდამავალ ნაბიჯს მსოფლიო რუკებისკენ, რომ-ლებიც მოგვიანებით შემუშავდა რენესანსის დროს.^{⁠**96**}

პორტოლანური რუკები გამოირჩევა უპრეცედენტო ყურადღებით მსოფლიოს „პოლიტიკური სივრცის“ მიმართ. თანამედროვე რუკა პოლიტიკური რუკაცაა, რომელ-ზეც სახელმწიფოს საზღვრებია მონიშნული, ძველი რუკები კი, პირიქით, მოკლებულია პოლიტიკურ საზღვრებს. **XIV** საუკუნის პორტოლანურ რუკებში პირველი გარდამტეხი მომენტი ჩნდება: დღევანდელი გაგებით საზღვრები არ არსებობს, მაგრამ ისინი ჩანაცვ-ლებულია ალეგორიული (სუვერენების სურათებით) და ემბლემატური და ჰერალდიკუ-რი ელემენტებით – გერბებითა და დროშებით, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიებს აღნიშნავენ. **XIV** საუკუნის პირველი თაობის დროშებით მორთულ პორტოლანებს შო-რის გამოირჩევა ვესკონტეს (1321, 1327), დულჩეტის (1330, 1339), პიციგანების (1367), სოლერის (1380) რუკები და ე.წ. კატალანური ატლასი (1375).^{⁠**97**}

პირველად ისტორიაში, პორტოლანური რუკები მიზნად ისახავენ აღწერონ პოლი-ტიკური სივრცე და გვანვდიან ენციკლოპედიური ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს შესახებ, პოლიტიკური და დინასტიური ძალების განლაგების შესახებ: ჰერალდიკური პორტოლანი წარმოადგენს გეოპოლიტიკური კარტოგრაფიის აგების პირველ ცდას. პორტოლანების ჰერალდიკური კორპუსი რეალურად ემპირიული კონსტრუქციაა, რო-მელიც შექმნილია წყაროების, ასლების, პერიოდული განახლებების, შეჯამებებისა და დამატებების გზით და მიზნად ისახავს უზრუნველყოს თავიანთი კლიენტები პოლიტი-კურ-ენციკლოპედიური ცნობებით.^{⁠**98**}

პორტოლანის დროშა თითქმის ყოველთვის მიუთითებს სამეფოსა და გაბატონებულ დინასტიაზე. როგორც წესი, დროშებზე ჩანს სუვერენის გერბი, თუნდაც მხოლოდ მის ერთ ნაწილზე.^{⁠**99**} პორტოლანის ჰერალდიკა არ არის წარმოსახვითი, ტიპური გერბის მს-გავსი. აქ საქმე გვაქვს იმიტაციურ ჰერალდიკასთან, ისლამურ-თურქული, მაღრიბული, ახლო და შორეული აღმოსავლეთის ემბლემატიკის ოპტიკური გამარტივების ან ტრან-

სკრიფციის პრაქტიკულ მიზანშეწონილობასთან. ეს ტექნიკა ხასიათდება ვიზუალური სიმარტივით, ემბლემებით, რომლებიც „ნიშანთა ოჯახების“ მეშვეობით აღნიშნავენ ერთგვაროვან კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეებს: ნახევარმთვარეები – არაბულ მინებს (სირია, ეგვიპტე, მალრიბი); ჯვრები – აფრიკისა და აზიის ქრისტიანულ სახელ-მნიფოებს (ეთიოპია, საქართველო); კვადრატები, გეომეტრიული ფიგურები და ტამლა – თურქულ-სპარსულ-თათრულ ტერიტორიას. ეს ემბლემატური სისტემა შორს დგას შუა საუკუნეების წარმოსახვითი ჰერალდიკისგან და რიხენტალისა¹⁰⁰ ან გრიუნენბერ-გის¹⁰¹ ტექსტებისგან, რომლებიც ეგზოტიკურ სუვერენებს ხშირად გერბების საეჭვო კატალოგით აჯილდოებდნენ. ამ დამახინჯებული პერსპექტივისგან განსხვავებით, პორტოლანური რუკების ჰერალდიკა ბევრად აქტუალურია.¹⁰² ა. სავორელი ადარებს **XIV** საუკუნის პორტოლანებზე დატანილ ისლამურ (მამლუქთა სასულთნოს, ოქროს ურდოს, გრანადის საამიროს და სხვ.) გერბებს რეალურად არსებულ (ნუმიზმატიკურ, იკონოგრაფიულ) სიმბოლოებს და ბევრ საერთოს პოულობს მათში, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპელებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილი ისლამური ჰერალდიკური ინფორმაციაც კი არსებულ რეალობას ეფუძნებოდა და არ იყო ცარიელი ფანტაზია.¹⁰³ ევროპელი კარტოგრაფები კიდევ უფრო კარგად იცნობდნენ აღმოსავლეთის ქრის-ტიანულ სამყაროს, რასაც სათანადოდ აღნიშნავს ბიზანტიური ჰერალდიკის მკვლე-ვარი ა. სოლოვიევი. მისი დაკვირვებით, **XV** საუკუნის პორტოლანები შეიცავენ ძვირ-ფას მონაცემებს პოლიტიკური ისტორიისათვის, რადგან მათზე ზუსტადაა გამოსახუ-ლი სამეფოებისა და ქალაქების დროშები: ყველაზე ადრეულ, ვესკონტეს და ანჟელინო დულჩეტის პორტოლანებზე კონსტანტინოპოლის, ისევე როგორც მცირე აზიის ბიზან-ტიური ქალაქების თავზე ფრიალებს პალეოლოგოსების წითელი დროშა ოქროს ჯვრით, რომლის მკლავებს შორის ოთხი B არის მოთავსებული.¹⁰⁴

თავდაპირველად, პორტოლანებზე საზღვაო პორტებს სხვადასხვა ფერის მელნით აღნიშნავდნენ, ხოლო მოგვიანებით მათზე დროშას ათავსებდნენ, რომელზეც მფლო-ბელის ემბლემა ან გერბი იყო დატანილი.¹⁰⁵ ქვეყნებსა და ქალაქებზე მოთავსებული დროშები მრავალ პორტოლანს ამშვენებს. ეს მეტად საინტერესო და ძვირფასი წყ-აროა, რომელიც **XIV** საუკუნის დამდეგიდან მსოფლიოს სახელმწიფოების, ქალაქებისა და ხალხთა დროშების შესახებ გვიამბობს. ჟორჟ პაში მკაცრად აკრიტიკებს მოსაზრე-ბას, თითქოსდა პორტოლანებზე დროშები მხოლოდ ორნამენტის ფუნქციას ასრულებს და არ წარმოადგენს რაიმე ისტორიულ ღირებულებას, რასაც მოურიდებლად „დაუს-აბუთებელ აზრს“ უწოდებს.¹⁰⁶ პორტოლანებზე გამოსახული დროშების „სიკეთესა და სანდოობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია“, წერს ის სხვაგან.¹⁰⁷ მას ეთანხმება ცნობილი ფრანგი მედიევისტი მიშელ პასტურო, რომელიც მიუთითებს, რომ შუა საუკუნეების რუკებსა და პორტოლანებზე გერბების საშუალებით ხდებოდა სამეფოების, პროვინ-ციებისა და ქალაქების ამოცნობა.¹⁰⁸ ჟ. პაშის დაკვირვებით, პორტოლანების დროშე-ბი უმთავრესად სწორად აღნიშნავენ აღმოჩენების პროგრესს, ისევე როგორც დაპყ-რობებსა და მფლობელთა ცვლას. ისინი ეთანხმებიან საზღვაო სტატუტებს, აღწერილ-ობებსა და სხვა მონაცემებს. შეცდომები, რომლებსაც ვანყდებით, ისეთივეა, როგორც ყველა სხვა თანადროულ ისტორიულ წყაროში. ამიტომ, ყველა საფუძველი გვაქვს, ეს დროშები სრულად ავთენტკიურად მივიჩნიოთ, ცხადია, კრიტიკული მიდგომისა და ან-ალიზის შემდგომ.¹⁰⁹

ჯერ კიდევ უიტნი სმიტი, ვექსილოლოგიის პიონერი, აღნიშნავდა პორტოლანების უზარმაზარ მნიშვნელობას ვექსილოლოგიისათვის. სიმბოლოებს, რომლებიც შუა საუკუნეების საზღვაო რუკებზე ქალაქების დროშებზე გვხვდება, დღემდე იყენებენ გენუა, ვალენსია, ავინიონი და სხვანი.¹¹⁰ საზღვაო რუკებზე დატანილი დროშები მთავარი ინსტრუმენტია პოლიტიკური ვი-

პორტოლანური რუკის ნაგებობა, რომელიც ატარებს ლაზარის სახელს, რომელიც დაკავშირებულია პორტოლანების სახელთან.

¹⁰⁰ ულრიხ ფონ რიხენტალი (-1438), გერმანელი მემატიანე, რომლის თხზუ-ლება კონსტანცის საეკლესიო კრების (1414-18) შესახებ, მრავალ გერბს შეი-ცავს.

¹⁰¹ კონრად გრიუნენბერგი (დ.1415-94), **XV** საუკუნის გერმანელი რაინდი, პილიგრიმი და ავტორი, რომლის კა-ლამს გერბთა ორი კრებული ეკუთვნის.

¹⁰² იქვე, 249.

¹⁰³ Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politico. I Portolani e il “Libro del Cono- cimiento de todos los Reinos,” 124-31. ასე მაგალითად, ავთენტკიური ემბლემა მამლუქთა სულთანს მიკუთვნებუ-ლი ლომი, რომელიც ტრადიციულია, სულ მცირე, ბეიზარსის დროიდან (1260-77) და გვხვდება სირიულ-ეგვიპ-ტურ მონეტებში. ის ჩანს ათეულობით იკონოგრაფიულ წყაროში, მაგალითად, ჯოვანი ვილანის ქრონიკაში ან ფლორ-ენციის სანტა კროჩეს ფრესკაში, რო-მელიც წარმოადგენს ეპიზოდს წმინდა ფრანცისკის ცხოვრებიდან. აზოვის ზღვასთან და გენუის კოლონიებთან კონტაქტების გამო ცნობილია ოქროს ურდოს ემბლემაც – ტამლა, ტიპური სტეპების სიმბოლური კულტურისთ-ვის, რეპროდუცირებული ასევე შავი ზღვის ნავსადგურების მონეტებზე და დამონშებული გენუის კოლონიის კაფ-ას გერბად. Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politico. Le bandiere dei portu- lani trecenteschi,” 247-48. ამას მონშობს 1342 წლით დათარიღებული ქვის ფილა კაფას (ფეოდოსია) კედლიდან, სადაც ფარზე ოქროს ურდოს ხანების ტამლაა გამოსახული. ოქროს ურდოს ყველა ხანი, მენგუ-თემური (1266-80), თოხ-თა (1290-1312), უზბეგ-ხანი (1313-41), იყენებდა ამ ტამლას. ის რამდენჯერმე გვხვდება დულჩეტის 1339 წლის რუკა-ზე, სადაც ოქროს ურდოს ტერიტორიას აღნიშნავს. Steven Ashley and Steen Clem- mensen, “*The Book of Knowledge: a Late Fourteenth-Century Armorial Travelogue of all the Kingdoms in the World,*” *Coat of Arms*, 238 (2021), 9, fig. 4.

¹⁰⁴ A. V. Soloviev, “Les emblèmes héraldiques de Byzance et les Slaves,” *Semi- narium Kondakovianum*, 7 (1935), 156.

¹⁰⁵ Taylor, *The Haven-Finding Art*, 113.

¹⁰⁶ Pasch, “Les drapeaux des cartes-portu- lans: Portulans de Petrus Vesconte,” 131.

¹⁰⁷ Pasch, “Les drapeaux des cartes-portu- lans: portulans du groupe Vesconte,” 53.

¹⁰⁸ Мишель Пастуро, *Геральдика* (Мо- сква, 2003), 32.

¹⁰⁹ Pasch, “Les drapeaux des cartes-portu- lans: Portulans de Petrus Vesconte,” 131-32.

¹¹⁰ Smith, *Flags Through the Ages*, 47, 50-51.

თარების რეკონსტრუქციისათვის. ამა თუ იმ პუნქტის თავზე მოთავსებული დროშა, რომელიც სახელმწიფო სუვერენიტეტის სიმბოლოს წარმოადგენს, გვანჯდის ინფორ- მაციას მისი ადმინისტრაციული, სავაჭრო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შეს-ახებ. ერთი დროშის შეცვლა მეორეთი მონშობს პოლიტიკური ვითარების ცვლილებას. უნდა გვახსოვდეს, რომ რუკაზე მოთავსებული პორტების თავზე მოფრიალე დროშე-ბი ლოცმანისათვის ორიენტირს წარმოადგენდა და უმრავლეს შემთხვევაში სწორად ასახავდა პოლიტიკურ ვითარებას. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ საზღვაო რუკებზე დროშები არცთუ სწორადაა განთავსებული, რასაც თავისი ობიექტური თუ სუბიექტუ-რი მიზეზები აქვს. მსგავსი შეცდომები ზოგჯერ იმით აიხსნება, რომ კარტოგრაფები ასახავდნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა ტერიტორიულ პრეტენზიებს, ბრმად მისდე-ვდნენ ტრადიციას ანდა უბრალოდ არ ფლობდნენ სწორ ინფორმაციას.¹¹¹ იყო შემთხ-ვევები, როდესაც კარტოგრაფები შეგნებულად ამახინჯებდნენ არსებულ პოლიტიკურ რეალობას. ერთმანეთთან დაპირისპირებული იტალიური საზღვაო რესპუბლიკები, როგორც წესი, უგულებელყოფდნენ მეტოქის სიმბოლოებს: თავიანთ რუკებზე ვენე-ციელები არ გამოსახავდნენ გენუელთა დროშებს შავი ზღვის რეგიონში და პირიქით – გენუელები ვენეციურ დროშებს.¹¹² რიგ შემთხვევებში კარტოგრაფების ქცევა მათი პოლიტიკური სიმპათიებით იყო განპირობებული. 1415 წელს პორტუგალიელთა მიერ მაროკოში სეუტას აღება აღქმული იქნა როგორც ქრისტიანობის გამარჯვება ისლამზე, რაც დაუყოვნებლივ აისახა პორტოლანების ჰერალდიკაში, მაშინ როდესაც ოსმალო-თა ექსპანსიას შავი ზღვის რეგიონში და კონსტანტინოპოლის აღებას საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უგულებელყოფდნენ. ევროპელები იმედოვნებდნენ, რომ თურ-ქების მიერ კონსტანტინოპოლის პყრობა მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო და ქრის-ტიანული დროშების გამოყენებით უარყოფდნენ უსიამოვნო რეალობას. სალონიკი და კონსტანტინოპოლი, რომლებიც, შესაბამისად, 1430 და 1453 წლებიდან იმყოფებოდა ოსმალთა ხელში, დიდი ხანი პალეოლოგოსურ დროშებს ინარჩუნებდა პორტოლანებ-ზე. გენუელმა ალბინო დე კანეპამ 1489 წლის რუკაზე შავი ზღვა მრავალი გენუური დროშით მორთო და ეს ზღვა ფაქტობრივად გენუის ტბად აქცია, როდესაც მათი მთა-ვარი დასაყრდენი კაფა (ფეოდოსია) ოსმალებმა 1475 წელს აიღეს.¹¹³ **XVI** საუკუნეში, როდესაც შავი ზღვა უკვე თურქულ ტბად იყო ქცეული, იტალიელები კვლავინდებუ-რად ათავსებდნენ მეტროპოლიის დროშებს უკვე დაკარგულ ფაქტორიებზე. თურქული დროშების დაგვიანებული დატანით, ევროპელი კარტოგრაფები თითქოსდა ისტორიის ულმობელი სვლის შეჩერებას ლამობდნენ.¹¹⁴

თუმცა, როგორც წესი, ქრისტიანულ ქვეყნებში ან მათ სასარგებლოდ მომხდარ ცვლილებებს პორტოლანური რუკები ადეკვატურად და დროულად ასახავს:

- 1340 წელს ედუარდ III-მ (1327-77) პრეტენზია განაცხადა საფრანგეთის ტახტზე და თავის გერბზე პლანტაგენეტების სამ ლომს (ლეოპარდს) ფრანგული ოქროს შროშანები დაუმატა; ასეთ სახეცვლილ გერბს ვხედავთ **XIV** საუკუნის II ნახევრის *Libro del conos- cimiento*-სა და გილელმო სოლერის 1368-85 წწ. რუკაზე;
- **XV** საუკუნის მიწურულის პორტოლანებზე აისახა 1479 წლის ესპანეთის გაერ-თიანება იზაბელა I კასტილიელისა (1474-1504) და ფერდინანდ II არაგონელის (1479-1516) მიერ;
- 1492 წლის გრანადის აღება და რეკონკისტის დასრულება მყისიერად ჩანს პორტო-ლანებზე;
- 1509-10 წლებში ორანისა და ტრიპოლის დაპყრობა უკვე ასახულია 1512 წლის მა-ჯიოლოს ატლასში;
- 1349 წელს მონპელიეს საფრანგეთი ეუფლება და რუკებზე არაგონის ფერები შროშანებით იცვლება;

^[1] Фоменко, Образ мира на старинных портоланах, 153.

^[2] იქვე, 202-4.

^[3] Campbell, “Portolan Charts,” 399-401.

^[4] Фоменко, Образ мира на старинных портоланах, 124, 212.

– 1486 წელს პროვანსი საფრანგეთის სამეფოს შემადგენლობაში შედის და მარსელს, რომელსაც ჩვეულებრივ ლაჟვარდოვანი ჯვრით გამოსახავდნენ, ახლა შროშანით აღ-ნიშნავენ.^{.¹¹⁵}

– სერბების ხელში გადასვლის (1318) შემდეგ, დირახიუმზე (თანამედროვე დურესი ალბანეთში) სერბული ორთავიანი არწივია გამოსახული;

– ნიცის დროშაზე თეთრი ჯვარი წითელ ველზე აღნიშნავს 1388 წლის მოვლენას, როდესაც ქალაქი სავოიის გრაფის მფარველობის ქვეშ მოექცა, რაც ჰერალდიკურად მათი გერბის გამოყენებაში გამოიხატა.^{.¹¹⁶}

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ვხედავთ ბულგარეთის მეფის მიხ-ეილ ასენ III შიშმანის (1323-30) დროშას მეფის მონოგრამით, რაც მეტყველებს ინფორ-მაციის სიზუსტესა და ოპერატიულობაზე იმ რეგიონების შესახებაც კი, სადაც კატალ-ონელებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ასეთი სიზუსტე მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია XIV საუკუნის კარტოგრაფიის სხვა სკოლებისთვისაც.^{.¹¹⁷} ზოგიერთი კარტოგრაფი შესა-შური ოპერატიულობით მისდევდა მოვლენებს და აახლებდა ჰერალდიკურ მონაცე-მებს. მაგალითად, 1504 წლის დაპყრობის შემდეგ ნეაპოლზე დროშა იცვლება და ეს-პანური ალამი ფრიალებს.^{.¹¹⁸} თუმცა ამგვარი მიზანდასახულობით ყველა არ გამოირჩე-ოდა. გილელმო სოლერის 1368-85 წწ. რუკაზე პირველად აისახა ინგლისის ახალი გერბი (ფარის ორ მეოთხედზე ფრანგული შროშანებით) და მონპელიეს ახალი გერბი, სადაც არაგონის ზოლები საფრანგეთის სამეფო სახლის შროშანებით არის ჩანაცვლებული. ამავე დროს, სხვები, მაგალითად, ფრანჩესკო დე ჩეზანი 1421 წლის და გაბრიელ დე ვალსეკა 1439 წლის რუკებზე ისევ ყავლგასულ დროშებს გამოსახავდნენ.^{.¹¹⁹}

საერთო ჯამში, როგორც ჟორჟ პაში წერდა, პორტოლანების დროშები არ იყო იმაზე უკეთესი ან უარესი, ვიდრე იმ პერიოდის სხვა დოკუმენტები და იშვიათად ცდებოდა.^{.¹²⁰} სწორედ ამიტომ, პორტოლანებზე დატანილი პოლიტიკური კუთვნილების მიმანიშნე-ბელი დროშები გამოიყენება როგორც *terminus a quo* – დათარიღების ქვედა ზღვარი რუ-კის ასაკის დასადგენად. ისეთი თარიღები, როგორიცაა გრანადის დაცემა 1492 წელს, ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროს დაპყრობა: ორანის – 1509, ალჟირისა და ტრიპოლის – 1510 წლებში, ჰოსპიტალერთა ორდენის გადასვლა მალტაზე 1530 წელს და მათი შესატყვისი ცვლილებები პორტოლანების დროშებში, გამოიყენება რუკების შექმნის თარიღის დასადგენად.^{.¹²¹}

^[1] Campbell, “Portolan Charts,” 400-1.

^[2] Pujades, La carta de Gabriel de Vallseca, 340.

^[3] Фоменко, Образ мира на старинных портоланах, 198-99, 217-19.

^[4] Campbell, “Cartographic Innovations by the Early Portolan Chartmakers,” (2016).

^[5] Pujades, Les cartes portolanes, 492.

^[6] Pasch, “Les drapeaux des cartes-portu-lans: portulans du groupe Vesconte,” 56.

^[7] Campbell, “Census of Pre-Sixteenth-Century Portolan Charts,” 69.

ძიოშები სანაჩოხეიოზე

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ევროპულ საზღვაო რუკებზე საქართველოს ტერიტორიისა და ქალაქების დროშებით აღნიშვნა ორ მთავარ პერიოდად შეგვიძლია დავყოთ: **XIV-XV** საუკუნეების რუკები, რომლებიც ერთიანი საქართველოს ხანას შეესაბამება და **XVI** საუკუნის რუკები, სადაც დაშლილი საქართველო ხანდახან ოდიშის სამთავროს სახითაა წარმოდგენილი, ძირით-ადად კი შავი ზღვის პორტებზე ოსმალეთის ბატონობის ხანაა ასახული.

აღსანიშნავია, რომ **XIV-XV** საუკუნეების რუკები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, საქართველოს ქალაქებზე, ცხუმსა და თბილისზე, უმთავრესად ხუთჯვრიან დროშას ან მის წინამორბედს გამოსახავენ. ადრე ასეთი მხოლოდ რვა რუკა იყო ცნობილი,¹ დღეს კი უკვე ოცამდე ასეთი რუკის წარმოდგენა შეგვიძლია: ესენია პიეტრო ვესკონტეს 1320, 1321 და 1325 წლების ატლასები, პერინო ვესკონტეს 1327 წლის რუკა, ანჯელინო დულ-ჩეტის 1339 და 1340 წლების რუკები, ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანების 1367 წლის რუკა, გაბრიელ დე ვალსეკას 1439, 1440, 1447 და 1449 წლების რუკები, რაფელ სოლერის 1425-50 წლების ორი რუკა, ხაიმე ბერტრანისა და ბერენგერ რიპოლის 1456 წლის რუკა, ესპანელი ანონიმის დ.1487 წლის რუკა, ანონიმის დ.1500 წლის რუკა და ასევე ანონიმუ-რი **XIV-XV** საუკუნეების რუკა; ასეთივე დროშა უნდა იგულისხმებოდეს 1450-60 წლების კატალანურ მსოფლიოს რუკაზეც, სადაც ნაცნობი კომპოზიციაა მხოლოდ ერთი წითე-ლი ჯვრით. ხუთჯვრიანი დროშა უნდა იყოს გამოსახული ანდრეა ბენინკაზას 1476 წლის ატლასსა და 1508 წლის რუკაზეც, რომლებმაც დაზიანებულმა მოაღწია ჩვენამდე.

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე ნაჩოხილი საფრანგეთის სამეფოს დროშა

ევროპულ კარტოგრაფიაში პირველი დროშები **პიეტრო ვესკონტეს** რუკებზე ჩნ-დება და შავი ზღვის საზღვაო პუნქტებიც მათ რიცხვშია. ვესკონტეს რუკები და მისი ვექსილოგრაფია უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ იმდროინდელი გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რადგანაც ეს რუკები პრაქტიკული საჭიროებისათვის – ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის დასაგეგმად შეიქმნა.

ლათინური სახელმწიფოების დაცემის ხანაში რუკები ჩნდება ჯვაროსნულ ლაშქრობას-თან დაკავშირებულ რამდენიმე ტექსტში, როგორიცაა ფიდენციო პადუელის, გალვანუს ლევანტოს და მარინო სანუდოს ჯვაროსნული ლაშქრობის პროექტები. პირველი რუკა გვხვდება ფრანცისკელი ფიდენციო პადუელის პროექტში (*Liber recuperationis Terre Sanc-te*), რომელიც იყო წმინდა მიწის ვიკარიუსი და 1274 წელს მონაწილეობდა ლიონის მეო-რე კრებაში, სადაც პაპმა გრიგორი X-მ წმინდა მიწის გამოსახსნელი პროექტის შედგენა

დაავალა.² ვენეციელი მარინო სანუდოს (დ.1270- 1343) ჯვაროსნული ლაშქრობის ცნობილი პროექტის³ პირველი ვერსია პაპ კლემენტ V-ს 1309 წელს წარუდგინეს, სახელწოდებით *Condiciones Terre sancte*. ის რუკებს არ შეიცავდა. პროექტის დასრულებული ვერსია, გეოგრაფიული ცნობებითა და რუკებით შევსებული, 1321 წელს მიართვეს იოანე XXII-ს.⁴ მარინო სანუდოს „ჯვრის ერთგულთა საიდუმლო წიგნი“ ჯვაროსნული ლაშქრობის დეტალურ პროექტს წარმოადგენდა. მასში აღწერილი იყო აღმოსავლეთის ქვეყნების გეოგრაფია, სავაჭრო გზები, ადგილობრივთა ჩვევები, ქვეყნების რესურსები და ა.შ. სანუდოს ნამუშევრებს თან ახლდა პიეტრო ვესკონტეს რუკები. წმიდა საყდარმა ის საგანგებოდ შეისწავლა და ქრისტიან მთაწერებს დაუგზავნა.⁵ სანუდოს რუკები არ არის მისი წიგნების უბრალო გაფორმება, რომლებიც ისედაც მდიდრულადა ილუსტრირებული და საგულ-დაგულოდ დამზადებული, არამედ გვევლინება როგორც ჯვაროსნებისათვის საჭირო გეოპოლიტიკური ინსტრუმენტი. სანუდოს ადრესატებია საფრანგეთის მეფეები შარლ IV და ფილიპე VI, ინგლისის მეფე ედუარდ II, ნეაპოლის მეფე რობერტი და მრავალი გრაფი, ეპისკოპოსი და კარდინალი.⁶ კარტოგრაფიული დანართი მსოფლიოს, პალესტინის, ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და ევროპის რუკების და იერუსალიმის, ანტიოქიისა და აკრას გეგმების სახით, საგულდაგულოდ არის მონოდებული თხზულების დამაჯერებლობის გაზრდის მიზნით და ექსპედიციის მომზადებისა და ჩატარების გასაადვილებლად. მათ მნიშვნელობას ავტორი ხშირად უსვამს ხაზს.⁷ ორივე – ფიდენციო პადუელის და მარინო სანუდოს – პროექტებში რუკები ეხმარება მონაცემთა წარმოდგენასა და გააზრებას და ტაქტიკური და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას.⁸

ისიც საყურადღებოა, რომ მარინო სანუდო ერკვეოდა აღმოსავლეთის პოლიტიკაში და იცნობდა ჩვენს სამშობლოსაც. ის საგანგებოდ აგროვებდა ცნობებს საქართველოს შესახებ და თავისი ფართო კავშირების წყალობით, უნიკალურ ინფორმაციას ფლობდა.⁹ ასე მაგალითად, საქართველოს ისტორიისთვის უაღრესად საყურადღებო ცნობა, სებასტოპოლის ეპისკოპოსის პიეტრო ჯერალდის მიერ 1330 წელს ინგლისში გაგზავნილი წერილი, მხოლოდ სანუდოს არქივშია ასლის სახით შემორჩენილი და მისი წყალობით მოაღწია ჩვენამდე.¹⁰ სანუდო საქართველოზე მსჯელობს თავის ორ წერილშიც, რომელიც 1330 წელს გაუგზავნა ოსტიის ეპისკოპოსს ბერტრანს და 1334 წელს – საფრანგეთის მეფე ფილიპე VI-ს.¹¹

მარინო სანუდოს თანამდგომი და პარტნიორი პიეტრო ვესკონტე გენუელი კარტოგრაფი იყო, რომელიც ვენეციაში მოღვაწეობდა (სურ. 2). ის გენუის ერთ-ერთი მმართველი ოჯახიდან იყო.¹² მას უზარმაზარი წვლილი მიუძღვის პორტოლანების განვითარების საქმეში და მისი გავლენა შესამჩნევია ევროპული საზღვაო კარტოგრაფიის ყველა სკოლაზე.

პიეტრო ვესკონტეს 1320, 1321 და 1325 წწ. ატლასები დროშებითაა მორთული (იხ. რუკები 4, 5, 6 და 7).¹³ დროშებს ვხედავთ 1327 წლის რუკაზეც, რომელსაც ხელს პერინო ვესკონტე აწერს (რუკა 8). ფიქრობენ, რომ პერინო ვესკონტე, რომელსაც ეკუთვნის 1321 წლის ციურისული ატლასი და 1327 წლის ვენეციური რუკა, იგივე პიეტროა და ეს მისი სახელის მოფერებითი ფორმაა.¹⁴ თუმცა, შესაძლოა, პერინო მისი შვილი ან ნათესავი ყოფილიყო, რაზეც სახელის კნინობითი ფორმა და პიეტროსთან შედარებით, მისი რუკების უფრო გვიანდელი თარიღი მიანიშნებს.¹⁵ ცოტა არ იყოს, განსხვავებული სტილის გამო, ჩემი აზრით, პერინოს სახით, პიეტროს მემკვიდრესთან გვაქვს საქმე.

^[1] Patrick Gautier Dalché, “Cartes, réflexion stratégique et projets de croisade à la fin du XIIIe et au début du XIVe siècle: une initiative franciscaine?”, *Francia*, 37 (2010), 79-80.

^[2] მარინო სანუდოს უაღრესად დეტალური გეგმები ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისა

^[3] და წარმართვის შესახებ. იხ. C. J. Tyerman. Marino Sanudo Torsello and the Lost Crusade: Lobbying in the Fourteenth Century,” *Transactions of the Royal Historical Society*, 32 (1982), 57-73.

^[4] Dalché, “Cartes, réflexion stratégique et projets de croisade,” 84.

^[5] Pasch, “Les drapeaux des cartes-portulans: Portulans de Petrus Vesconte,” 133. ასევე იხ. Konrad Kretschmer, “Marino Sanudo der Ältere und die Karten des Petrus Vesconte,” *Zeitschrift der Gesellschaft für Erdkunde zu Berlin*, 26 (1891), 355-60.

^[6] Evelyn Edson, “Reviving the Crusade: Sanudo’s Schemes and Vesconte’s Maps,” in *Eastward Bound: Travel and Travellers, 1050-1550*, ed. Rosamund Allen (Manchester, 2004), 149-50.

^[7] Dalché, “Cartes, réflexion stratégique et projets de croisade,” 87-90. 1332 წელს საფრანგეთის მეფე ფილიპესადმი გაგზავნილ წერილში სანუდო აცხადებდა, რომ ექსპედიციის წარმატებისათვის მისმა ხელმძღვანელმა უნდა წაიკითხოს მთელი მისი ტექსტი და შეისწავლოს მისი ყველა რუკა. Edson, “Reviving the Crusade,” 151; Dalché, “Maps, Travel and Exploration in the Middle Ages,” 157.

^[8] Dalché, “Cartes, réflexion stratégique et projets de croisade,” 92; Id., “Maps, Travel and Exploration in the Middle Ages,” 159.

^[9] მარინო სანუდო ცნობილი ვენეციური ოჯახიდან იყო, რომელიც ეგეოსის არქიპელაგს ფლობდა. მარინო ხშირად სტუმრობდა კვიპროსს, კილიკიის სომხეთს, პალესტინასა და ეგვიპტეს და კარგად იცნობდა აღმოსავლეთს. Edson, “Reviving the Crusade,” 132.

^[10] იხ. ვაჟა კიკნაძე, „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან“, *მნათობი*, 9 (1982), 156.

^[11] ვაჟა კიკნაძე, „საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები“, *მნათობი*, 4 (1983), 161-62.

^[12] Campbell, “Portolan Charts,” 434.

^[13] საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ვესკონტეს 1313 წლის ატლასზე შავი ზღვის რუკის მარჯვენა კიდის ცენტრში შავი ჯვარია, რომელიც, ზოგადად, აღმოსავლეთის მხარეს აღნიშნავს პორტოლანებზე და არა დროშის ვარიანტს ან რაიმე სიმბოლოს საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ამას მიუთითებენ ხოლმე. იხ. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 259. ამაში ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ ამავე ატლასის სხვა რუკების გადამოწმებით: ასეთივე შავი ჯვარი, ზუსტად იმავე ადგილას, რუკის მარჯვენა კიდეში არის მოთავსებული ეგეოსის ზღვის, ხმელთაშუა ზღვის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილების რუკებზეც.

^[14] Nordenskiöld, *Periplus*, 58.

^[15] Campbell, “Portolan Charts,” 406-7; Alessandro Savorelli, “Rarità vessillologiche medievali. I. I portolani dei Vesconte (1320-1327),” *Vexilla Italica*, 90/1 (2020), 1-2; Pujades, *Les cartes portolanes*, 502, n. 38; Pfleederer, *Finding Their Way at Sea*, 86.



სურ. 2

ფრაგმენტი პიეტრო ვესკონტეს 1318 წლის ატლასიდან. Museo Correr, Venezia. MS Cl. XLIVa n. 0028, f. 2v. შავი ზღვის რუკაზე, კიდეში გამოსახულია კარტოგრაფი რუკაზე მუშაობის პროცესში. პორტრეტის თავზე მოთავსებული წარწერა გვამცნობს: „პეტრუს ვესკონტემ გენუიდან შექმნა ეს რუკა ვენეციაში. 1318 წ.“ ითვლება, რომ პორტრეტი თავად ვესკონტეს გამოსახავს.


პიეტრო ვესკონტე მრავალი თვალსაზრისით იყო ნოვატორი: ის იყო პირველი, ვინც ატლასში გააერთიანა საზღვაო რუკები, მან პირველმა დაამატა მათ ტექსტური განმარტებები, პირველმა გაამშვენა რუკები და პირველმა გამოსახა მათზე დროშები. უდავოა, რომ მანვე შემოიღო მასშტაბის ახალი ფორმატი, რომელიც შემდეგ ყველამ გამოიყენა: პიზური და კორტონას რუკების მსგავსად, მისი 1311 წლის რუკა და 1313 წლის ატლასი წრიულ მასშტაბს იყენებს, 1318 წლიდან კი ის უკვე მასშტაბის ლარტყას ამკვიდრებს.¹⁶

ვესკონტეს რუკების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ასპექტია საკმაოდ დიდი ზომის დროშების გამოყენება. მანამდე არც ერთი საზღვაო და არც მსოფლიო რუკა არ შეიცავდა დროშებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პიეტრო ვესკონტეს ადრეულ რუკებზე დროშები არ მოიპოვება, მათი შემოტანის იდეა ჯვაროსნული ლაშქრობის პროექტთან უნდა იყოს დაკავშირებული. სავარაუდოა, რომ თავად სანუდომ მოითხოვა რუკებზე დროშების დატანა. სანუდოსა და ვესკონტეს თანამშრომლობა ნაყოფიერი გამოდგა: პორტოლანების ვექსილოგრაფია უაღრესად პოპულარული აღმოჩნდა და შემდგომი საზღვაო რუკების მნიშვნელოვანი ნაწილი დროშებს შეიცავდა. ვექსილოგრაფია, ალბათ, ყველაზე ორიგინალური რამ იყო, რაც ვესკონტემ კარტოგრაფიის დარგში დანერგა.¹⁷


პორტოლანების გერმანელი მკვლევარი ანა-დოროთი ფონ დენ ბრინკენი ხაზს უსვამს ვესკონტეს დროშების პრაქტიკულ მხარეს, შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას და ასკვნის, რომ დროშების გამოყენებას აქვს ძალიან ხელშესახები სტრატეგიული მოტივაცია ჯვაროსნული ლაშქრობისათვის: რუკებზე ყველაზე გავრცელებული ემბლემები




რუკა 4
დასავლეთ ევროპისა და დასავლეთ
ხმელთაშუაზღვისპირეთის
რუკა პიეტრო ვესკონტეს 1321
წლის ატლასიდან. Biblioteca Apostolica Vaticana, MS Vat. Lat. 2972, ff. 110v-111r.



რუკა 5
ცენტრალური ხმელთაშუაზღვის-
პირეთისა და ადრიატიკის ზღვის
რუკა პიეტრო ვესკონტეს 1321 წლის
ატლასიდან. Biblioteca Apostolica Vaticana, MS Vat. Lat. 2972, ff. 109v-110r.



რუკა 6
ეგეოსის ზღვის რუკა პიეტრო ვესკონტეს 1321 წლის ატლასიდან. Biblioteca Apostolica Vaticana, MS Vat. Lat. 2972, ff. 107v-108r.




რუკა 7
შავი ზღვის რუკა პიეტრო ვესკონტეს 1321 წლის ატლასიდან. Biblioteca Apostolica Vaticana, MS Vat. Lat. 2972, f. 107r.

¹⁸ Brincken, “Portolane als Quellen der Vexillologie,” 418-19.
¹⁹ კონსტანტინოპოლი, აღმერია და მელილა ატლასის ორ რუკაზე დატანილი.
²⁰ მეორდება კონსტანტინოპოლი.
²¹ მეორდება კონსტანტინოპოლი, მარსელი, ბეჯაია.



ჯვარი და ნახევარმთვარეა, რადგან მონაწილეებს უნდა სცოდნოდათ, ქრისტიანებთან თუ ურწმუნოებთან ექნებოდათ საქმე ნავსადგურში შესვლისას თუ ამ დროშის მქონე გემთან შეხვედრისას. ისიც ცხადია, რომ შავი ზღვის პორტები – კონსტანტინოპოლი, ვარნა, მაურო კასტრო, ტანა, სებასტოპოლი (ცხუმი), ფოთი – მათი გონდანონის ფორმის დროშებით ავტორებისთვის აშკარად მნიშვნელოვანია ჯვაროსნული ლაშქრობის დაგეგმვის საქმეში.¹⁸

განვიხილოთ ვესკონტეს რუკები და მასზე დატანილი დროშები დეტალურად და ვადგინოთ, თუ რას აღნიშნავენ ისინი – სახელმწიფოებრივ კუთვნილებას თუ რაიმე სხვას.

ვესკონტეს 1320 წლის ატლასი შედგება დასავლეთ ევროპის, ალბორანის, ადრი-ატიკის, ეგეოსის და შავი ზღვების რუკებისაგან. პიეტრო ვესკონტეს 1321 და 1325 წლების ატლასებში დასავლეთ ევროპა და ალბორანის ზღვა გაერთიანებულია, ადრი-ატიკის ზღვის რუკა გაფართოებულია და ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილს მოიცავს. 1320 წლის ატლასში სულ 27 დროშაა,¹⁹ 1321 წლის ატლასში – 37,²⁰ 1325 წლისაში კი 40.²¹ დროთა განმავლობაში დროშათა რაოდენობა მატულობს. აღსანიშნავია, რომ თავიდანვე ვესკონტე და სანუდო მთავარ ყურადღებას აღმოსავლეთს აქცევენ,



რუკა 8
 პერინო ვესკონტეს 1327
 წლის ხმელთაშუა ზღვის,
 შავი ზღვისა და დასავ-
 ლეთ ევროპის პორტოლა-
 ნი. იტალიური სკოლა. Bib-
 lioteca Medicea Laurenziana,
 MS Med. Palat. 248.
 სებასტოპოლზე სამ-
 კუდიანი დროშა თეთრ
 ველზე წითელი ჯვრითა
 და ოთხი ბეზანტით.



როგორც ჯვაროსნული ლაშქრობისათვის უფრო მნიშვნელოვან არეალს. თავდაპირველად, დასავლეთ ევროპაზე ყველაზე ნაკლები დროშები გვხვდება და ყველაზე მეტი, ათი დროშა (ოცდაშვიდიდან) შავი ზღვის რეგიონშია მოთავსებული.

შეჯამებულად, ვესკონტეს 1320, 1321 და 1325 წლების ატლასების რუკებზე დროშებით რეგიონების მიხედვით შემდეგი ქალაქებია გამოსახული: ევროპაში – **პარიზი** წარმოდგენილია ლაჟვარდზე ოქროს შროშანებით, რომელიც XI საუკუნიდან იყო საფრანგეთის სიმბოლო; **ინგლისის** დროშა წითელ ველზე პლანტაგენეტების სამი ოქროს ლომია; **ბარსელონასა** და **ვალენსიაზე** არაგონის სამეფოს წითელ-ყვითელ ზოლებიანი დროშებია; **სევილიაზე** კასტილია-ლეონის კოშკები და ლომებია; გრანადის საამიროს კუთვნილი **ალმერია** არბალეტითაა გამოსახული; **მონპელიეს** დროშაზე მისი მფლობელი არაგონის ზოლებს და ადგილობრივი მმართველი დინასტიის გილემების წითელ დისკოს ვხედავთ; **მარსელზე** ტრადიციული დროშა ფრიალებს, რომელსაც დღესაც იყენებენ – ლურჯი ჯვარი თეთრ ველზე; **ნარბონა** თეთრ ველზე წითელი ჯვრით და ოთხი ფართაა წარმოდგენილი;²² **ტულონზე** ლურჯი ჯვარია წითელ ველზე; იტალიის საპორტო ქალაქ **სავონას** დროშა ტრადიციული თეთრი ზოლია წითელ ველზე, რომელსაც დღემდე ინარჩუნებს; **ვენუაზე** წმინდა გიორგის წითელი ჯვარი ფრიალებს; **პიზაზე** წითელი დროშაა, რომლის ფერს დღესაც იყენებს; **ვენეციაზე** წმ. მარკოზის ფრთოსანი ლომია; **რაგუზა** (დუბროვნიკი) წარმოდგენილია ტრადიციული დროშით ქალაქის მფარველი წმინდანის ბლასიუსის გამოსახულებით; ისევე როგორც **ზარა** – ისტორიული დროშით ქალაქის მფარველი წმინდანის ქრისოგონეს გამოსახულებით; **დირახიუმის** დროშაზე უნგრული ირიბი თეთრ-წითელი ზოლებია, რომლებიც 1318 წლამდე ალბანელებთან ერთად

სურ. 3
დროშები ცხუმსა და ფოთზე პიეტრო ვესკონტეს მიხედვით: ა) 1320 წლის რუკა (Biblioteca Apostolica Vaticana, MS Pal. Lat. 1362A), ბ) 1321 წლის რუკა (Biblioteca Apostolica Vaticana, MS Vat. Lat. 2972), გ) 1325 წლის რუკა (British Library, MS Add MS 27376).

²² ნარბონის დროშაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

სურ. 4
დროშა ცხუმზე პერინო ვესკონტეს 1327 წლის პორტოლანზე. Biblioteca Medicea Laurenziana, MS Med. Palat. 248.

²³ შემდეგში ის ბულგარეთის მეფეების შიშმანების მონოგრამის სახით გვხვდება.

²⁴ ნინო ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“ პროექტისა გამო“, *მი-აეხის*, 2 (2018), 23.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე.

ფლობდნენ ქალაქს, სანამ მას სერბები აიღებდნენ; **სალონიკსა** და **კონსტანტინოპოლზე** ბიზანტიის იმპერიის პალეოლოგოსური დროშაა აღმართული, ისევე როგორც შავი ზღვის ქალაქ **ამასრაზე** (*Samastro*); **ვარნაზე** თეთრ ველზე წითელი N არის გამოსახული, ბულგარეთის მეორე სამეფოს დროშა, რომელიც ოქროს ურდოს მსგავსად, აქაც ტამლით არის გამოხატული;²³ **ტანასა** და **მაურო კასტროზე** (აკერმანი, თანამედროვე ბილგოროდ-დნისტროვსკი) ოქროს ურდოს ტამლას ვხედავთ; **ტრაპიზონზე** კომნენოსების იმპერიის ორთავიანი არწივია; **სინოპზე** ადამიანის თავით ფერვანეს თურქული ბეილიქის დროშაა გამოსახული; ხოლო **სამსუნზე** (*Simisso*) ჯანდარის ბეილიქი მშვილდ-ისრით არის წარმოდგენილი; **ცხუმის** (სეპასტოპოლი) დროშის თეთრ ველზე წითელი ჯვარია დატანილი ოთხი დისკოთი; **ფოთის** დროშის ოქროს ველზე ცენტრალურ ლაჟვარდოვან ჯვარს ვხედავთ; ჩრდილოეთ აფრიკის მუსლიმური ქვეყნების საპორტო ქალაქები მსგავსი დროშებით არის წარმოდგენილი: **მელილა**, რომელსაც მარინიანების დინასტია ფლობდა – წითელ ველზე გასაღებით; აზაფიანების **სეუტა** – წითელ ველზე ორი გასაღებით; ალჟირში ზაიანიანების **ორანი** – თეთრ ველზე გასაღებითა და ნახევარმთვარით, ხოლო **ჰონეინი** – თეთრ ველზე წითელი ნახევარმთვარით; ჰაფშიდების **ბეჯაია** (*Bugea*)– წითელზე თეთრი ნახევარმთვარით; მათივე **ტუნისი** – წითელზე ორი თეთრი ნახევარმთვარით; **გაბესი** – პალმის ხით; **ტრიპოლი** – თეთრზე შავი ლომით; განსხვავებულადაა გამოსახული **ტოლომეტა** (პტოლემასი) კირენაიკაში – შუბზე ორი თეთრი ლენტით.

პიეტრო ვესკონტეს რუკებზე დატანილი დროშების მიხედვით ასეთი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ: ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ქალაქის მფლობელის ვინაობის დადგენა ხერხდება, ვესკონტეს დროშა ამ მფლობელის – მეფის, მთავრის თუ თავად ქალაქის – გერბს, ალამს, ან რაიმე ნიშანს გადმოგვცემს. ყველა ეს დროშა, გამონაკლისის გარეშე, ტერიტორიის მფლობელობის დასტურია და პუნქტის მმართველ ძალას ეკუთვნის. ეს გარემოება ერთმნიშვნელოვნად დასტურდება როგორც დღემდე მოღწეული, ისე სხვა წყაროებიდან ცნობილი ისტორიული დროშების შედარებით ვესკონტეს დროშებთან.

ეს დებულება, რომელიც არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს და რომელსაც პორტოლანების ყოველი მკვლევარი იცნობს, ყველასთვის იოლად აღსაქმელი არ აღმოჩნდა. ნ. ჯაველიძე, რომელიც ღონეს არ იშურებს აჩვენოს, თითქოსდა ხუთჯვრიანი დროშა მთელი მისი სახესხვაობებით ანუ ხუთფიგურიათი ჯვარი კათოლიკურ სამყაროს ეკუთვნის და არაფრით არ შეიძლება გვხვდებოდეს მართლმადიდებელ ქართველებთან და ბიზანტიელებთან, კონსტანტინოპოლის მაგალითზე ცდილობს უარყოს ვესკონტეს დროშების ტერიტორიული ორიენტაცია. მან ერთი ხელის მოსმით გაყო პორტოლანების სივრცე კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ნაწილებად და ეს უკანასკნელი სხვა წესებს დაუქვემდებარა. ამისათვის ისტორიის საკუთარ ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს, სადაც ამტკიცებს, რომ ვესკონტეს რუკაზე კონსტანტინოპოლთან აღმართული „ხუთჯვრიანის“ მსგავსი დროშა, რომლის ალამზე, ჯვრის ტოტეპქვეშ წერია ლათინური ასო „B“, სინამდვილეში არ გახლავთ იმპერიის სახელმწიფო დროშა“. ²⁴ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტების წინააღმდეგ გალაშქრებას მკვლევარი ასე ასაბუთებს: „ცნობილია, რომ ცნება „ბიზანტია“, როგორც რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის აღმნიშვნელი, ევროპის სამეცნიერო წრეებში პირველად ჩნდება XVI ს-ში. ამდენად, 1325 წელს პ. ვესკონტე ქ. კონსტანტინოპოლთან „B“ წარწერიანი დროშით იმპერიის ტერიტორიას ვერანაირად მონიშნავდა, ვინაიდან იმხანად იმპერიას „რომანია“ („გრაკია“) სახელწოდებით „ბიზანტია“ არავინ იცნობდა“. ²⁵ ამ ეჭვმიუტანელი „მტკიცებულების“ შემდეგ, როდესაც უჩვენა, რომ ლათინური B ვერაფრით მოხვდებოდა ბიზანტიურ დროშაზე, აპლომბით ასკვნის: „დროშა იგი არ არის ბიზანტიის სახელმწიფო სიმბოლო“. ²⁶

აქ ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვიკითხავ, რა დააშავა ბერძნული ანბანის მეორე ასომ, რომელიც ზუსტად ისე იწერება როგორც ლათინური B, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ ბერძნულიდან არის გადმოღებული?²⁷ ხოლო იყო თუ არა „დროშა იგი“ ბიზანტიური, ამას ყველაზე უკეთ თავად ბიზანტიელები უპასუხებენ: 1347-68 წლებში შედგენილ ბიზანტიის სამეფო კარის განგებათა ტრაქტატში (*De Officiis*) ფსევდო-კოდინე აღწერს ყოველდღიურ ტეტრაგრამულ საიმპერატორო დროშას, რომელზეც ჯვარი და ასო B-ს მსგავსი კვესებია²⁸ გამოსახული.²⁹ ამასთანავე, ნ. ჯაველიძე ცდილობს ბუნდოვანება შემოიტანოს პორტოლანებზე მართლმადიდებლური კონსტანტინოპოლის აღნიშვნასთან დაკავშირებით, რისთვისაც მოჰყავს სხვადასხვა კარტოგრაფების მიერ კონსტანტინოპოლთან დასმული ორი დროშის მაგალითები: „საგულისხმოა, რომ **XV-XVI** სს-ში შექმნილ პორტულანოებზე ქ. კონსტანტინოპოლის ადგილას მონიშნულია ხან „ხუთჯვრიანი“, ხანაც ჯვრიანი აღმები“.³⁰ არადა, აქ ასახსნელიც არაფერია, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ევროპელებს კონსტანტინოპოლზე ხშირად დაჰქონდათ ორი დროშა, ერთი – პალეოლოგოსური, ბიზანტიის იმპერიას აღნიშნავდა, მეორე თეთრზე წითელი ჯვარი კი გენუის კოლონია პერას, რომელიც ქალაქში დღევანდელი გალათას უბნის ადგილზე მდებარეობდა.³¹

დავუბრუნდეთ ისევ ვესკონტეს და ქართული დროშების საკითხს.

თავისი ვექსილოგრაფიით პიეტრო ვესკონტემ, როგორც საზღვაო რუკებზე დროშეების დამწერგავმა, საფუძველი დაუდო იმ პრინციპს, რომელსაც შემდგომი კარტოგრაფებიც იყენებდნენ: **პორტოლანზე აღბეჭდილი დროშა მოცემული პუნქტის მფლობელს ეკუთვნის და მის პოლიტიკურ სტატუსს ასახავს** (თუნდაც ეს ზოგჯერ შეცდომით ხდებოდეს) და არა ნებისმიერ სხვა რაიმე მოცემულობას (იქნება ეს რელიგიური, კომერციული თუ სხვ.).

ვესკონტეს რუკების ლოგიკიდან გამომდინარე, ცხუმსა და ფოთზე მოთავსებული დროშებიც საქართველოს და ქართულ ქალაქებს უნდა ეკუთვნოდეთ. სებასტოპოლის დროშა თეთრ ველზე წითელი ცენტრალური ჯვრითა და ოთხი დისკოთი,³² ცხადია, იმ ხუთჯვრიანი დროშის წინამორბედია, რომელიც შემდგომში ხშირად გვხვდება ცხუმსა და თბილისზე (სურ. 3 და 4). ფოთის დროშა სხვა პორტოლანებზე აღარ ჩანს და რაიმე პარალელის გაგლების შესაძლებლობას მოკლებული ვართ;³³ შესაძლოა, მართალი იყოს ა. თვარაძე, რომლის აზრით, არ არის „გამორიცხული, ეს დროშა ქალაქ ფაზისის კუთვნილება იყოს“.³⁴

^[27] თავი გავანებოთ იმას, რომ ასო B სულაც არ ნიშნავს ბიზანტიას.

^[28] შუა საუკუნეების კვესი, რომელიც ცეცხლის დასანთებად გამოიყენებოდა, თავისი ფორმით ძალიან ჰგავდა ასო B-ს. მაგალითისათვის იხ. Maria G. Parani, Reconstructing the Reality of Images: Byzantine Material Culture and Religious Iconography (11th-15th Centuries) (Leiden, 2003), pl. 213.

^[29] Pseudo-Kodinos and the Constantinopolitan Court: Offices and Ceremonies, eds. Ruth Macrides, J. A. Munritiz, and Dimiter Angelov (Farnham, 2013), 70-71. ამ დროშისა და მასზე გამოსახულებების მნიშვნელობისათვის იხ. I. N. Svoronos, “Byzantia-

^[30] ka Nomismatika Zitimata (Byzantine Numismatic Issues),” Journal International d’Archéologie Numismatique, II (1899), 363-89; A. V. Soloviev, “Les emblèmes héraldiques de Byzance et les Slaves,” Seminarium Kondakovianum, 7 (1935), 158-60; Dan Cernovodeanu, “Contributions à l’étude de l’héraldique byzantine et postbyzantine,” Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik, 32/2 (1982), 417; Robert G. Ousterhout, “Byzantium between East and West and the Origins of Heraldry,” in Byzantine Art: Recent Studies, ed. Colum Hourihane (Tempe, AZ, 2009), 159; Andrea Babuin, “Late Byzantine Insignia,” საისტორიო კრებული, 9 (2023), 94-97.

^[31] ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმ-

^[32] ბოლიკისთვის“, 23.


^[33] მკვლევრის კონსტანტინოპოლური ოდისეა ამით არ დასრულებულა. ცოტა ქვემოთ ის კიდევ ერთ საოცარ პასაჟს გვთავაზობს, სადაც ამბობს, რომ ბიზანტიური პალეოლოგოსური დროშებით, რომელსაც ის ხუთჯვრიან დროშას უწოდებს, XV-XVI სს-ს საუკუნეების პორტოლანებზე აღწუსავენ იმ ქალაქს, რომელსაც სახელწოდებაც შეცვლილი აქვს და უკვე სტამბოლი ჰქვია და რომლის სახელმწიფო აღარ არსებობს, მის ადგილას კი და-

ფუძნებულია ეთნიკურად, სარწმუნოებით და პოლიტიკურ-ეკონომიკურად სრულიად განსხვავებული ოსმალეთის იმპერია?! სინამდვილე ისაა, რომ კარტოგრაფები „ხუთჯვრიანი“ თუ ჯვრიანი დროშებით აღნიშნავდნენ ქ. სტამბოლის ევროპულ ნაწილში დაარსებულ კათოლიკთა სამისიონერო ცენტრსა და სავაჭრო კოლონიას, თორემ ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო სიმბოლო (ნახევარმთვარე) რუკებზე ქ. სტამბოლის აზიურ ნაწილში სწორედაც რომ მონიშნულია“. ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“, 23. იმ „სინამდვილის“ შესახებ რა მოგახსენოთ, პალეოლოგოსური დროშით რომ აღნიშნავს კათოლიკურ მისიონსა და სავაჭრო კოლონიას, ხოლო დასმულ კითხვას პორტოლანურ ვექსილოლოგიაში ოდნავ გათვითცნობიერებული ყველა მკვლევარი გასცემს პასუხს: ეს არის შემთხვევა, როდესაც პოლიტიკური სიმპათიების გამო ევროპელი კარტოგრაფები შეგნებულად ამახინჯებდნენ არსებულ ვითარებას, საუკუნეზე მეტ ხანს უგულებელყოფდნენ კონსტანტინოპოლის დაცემას და საგანგებოდ ინარჩუნებდნენ პალეოლოგოსურ დროშებს პორტოლანებზე, იმ იმედით, რომ თურქების მიერ კონსტანტინოპოლის ფლობა დროებითი მოვლენა იყო. Campbell, “Portolan Charts,” 399-401. ვრცლად იხ. ზემოთ ქვეთავი „პორტოლანების ვექსილოლოგია“.

^[32] ამ სიმბოლოზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვიმსჯელებთ.

^[33] შავი ზღვის ტოპონიმებზე მსჯელობისას ა. გორდევეი და ა. ტერეშჩენკო თელიან, რომ ფოთის შეესაბამება *carcasia* (*archussi*, *arcassi*, *arcusi* და სხვ.), სახელწოდებები სადაც ისმის სახელები „კავკასია“, „აზია“, ხოლო ფაზისის აღმნიშვნელი სახელწოდებები (*faxio*, *fassio*, *fassis*) შეესატყვისება მდინარე რიონს. А.Ю. Гордеев, А.А. Терещенко, *Топонимия побережья Чёрного и Азовского морей на картах-портланах XIV-XVII веков*, 2-е изд., т. 1 (Киев, 2017), 178-81. ეს მოსაზრება მცდარი უნდა იყოს, რადგან პიეტრო ვესკონტეს 1325 წლის რუკაზე დროშით აღნიშნულია *faxio* ანუ ფაზისი და ეს დროშაზეც წერია. შეცდომა იქნებოდა ვიფიქროთ, რომ დროშით ქალაქის ნაცვლად მდინარე არის მონიშნული. თავისი ნაესადგურის გამო ფაზისი ყველა საზღვაო რუკაზე წითელი ფერითაა გამოყოფილი. უფრო მართალი არის ი. ფომენკო, რომელიც ფაზისს ქალაქად თვლის. Фоменко, *Образ мира на старинных портланах*, 178, 182.

^[34] თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 263.



სურ. 5. საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ჯოჯანი დი კარინიანოს რუკაზე. Collezione Alberto Quartapelle.


სურ. 5

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ჯოჯანი დი კარინიანოს რუკაზე. Collezione Alberto Quartapelle.

ჯოჯანი დი კარინიანოს, გენუის სან მარკოს ეკლესიის რექტორის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკა ერთ-ერთი პირველია, რომელზეც ქალაქები სიმბოლოებითაა აღნიშნული (რუკა 17).³⁵ კარინიანო თავის რუკას წლების განმავლობაში ხვეწდა და ის ბოლოჯერ 1329 წელს ჩაასწორა,³⁶ თუმცა ვიცით, რომ ადრეც, 1306-14 წლებშიც მუშაობდა მასზე.³⁷

კარინიანოს სიმბოლოების ენა მკვეთრად გამოირჩევა სხვა კარტოგრაფების ნაშრომებისაგან. სხვებისაგან განსხვავებით, თავის რუკაზე ის დროშების ნაცვლად იყენებს წრეებს შიგ ჩახატული ჰერალდიკური ემბლემებით. საქართველოს ტერიტორიაზე ის ოთხ საპორტო ქალაქს გამოყოფს: ბიჭვინთა (*pezonda*) აღნიშნულია წრეში ირიბი და ჰორიზონტალური ზოლებით, სებასტოპოლი (ცხუმი) და ფოთი – წრეში ჰორიზონტალური ზოლებით, ბათუმი (*uati*) – ნახევარწრეში ვერტიკალური ზოლებით.

როგორც ირკვევა, ქვეყნების დედაქალაქებს კარინიანო აღნიშნავს ამა თუ იმ ქვეყნისათვის განკუთვნილი ჰერალდიკური ფიგურით: მაგალითად, კიოლნზე ერთთავიანი იმპერიული არწივია, კარტახენაზე კასტილიის ემბლემაა, პარიზზე – საფრანგეთის. უფრო პატარა წრეებით ის კონკრეტულ ქალაქებსა და მათ სიმბოლოებს აღნიშნავს.³⁸ შესაბამისად, საქართველოს ქალაქების (ბათუმი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინთა) აღსანიშნავი სხვადასხვა ზოლები ამ ქალაქების ან ადგილობრივი მმართველობის ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ და არა ქვეყნის აღმნიშვნელად. გამოდის, რომ ფოთს, ცხუმს და ნაწილობრივ ბიჭვინთას ერთი ადგილობრივი ხელისუფალი ფლობს, ბათუმს კი სხვა. ასეთი დასავლეთ საქართველოში ოდიშის მთავარი იყო, რომელიც, როგორც ამ რუკიდან ჩანს, ფლობდა ფოთსა და ცხუმს და აფხაზებთან ერთად აკონტროლებდა ბიჭვინთას, ხოლო ბათუმს გურიის მთავარი ფლობდა. კარინიანოს რუკაზე სიმბოლოებით ასახული ვითარება მეტ-ნაკლებად ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ისტორიულ მდგომარეობას **XIV** საუკუნის დამდეგის დასავლეთ საქართველოში.³⁹ (სურ. 5)



ანჯელინო დულჩეტი,⁴⁰ რომელსაც სამი – 1330, 1339 და დ.1340 წწ. – პორტოლანო ეკუთვნის (რუკები 18, 14 და 19), მაიორკაზე მოღვაწეობდა, თუმცა წარმოშობით გენუიდან უნდა იყოს. ამას მოწმობს მისი რუკების ტოპონომიკური თარგი, რომელიც წმინდად ლიგურიულია.⁴¹ დულჩეტია პირველი კატალანური რუკების ავტორი. ის ძირითადად მის იტალიელ წინამორბედებს მისდევს, თუმცა მხატვრული შესრულების ხარისხით მისი რუკები საგრძნობლად წინ გადადგმული ნაბიჯია და მრავალ ახალ დეკორატიულ ელემენტს შეიცავს. მისით იწყება მაიორკაზე მაღალი დეკორატიულობით გამოირჩეული რუკების ტრადიცია.⁴²

კარინიანომ პირველმა დაიტანა პორტოლანზე, ჰიდროგრაფიულის გარდა, გეოგრაფიული შინაარსიც. ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა დულჩეტი, რომელმაც 1330 და 1339 წლის რუკებში, იმდროინდელი ჰიდროგრაფიული და ტოპონიმიკური ინფორმაციის დახვეწის გარდა, დამატებით გაითვალისწინა ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკისა და მცირე აზიის შიდა გეოგრაფიის მნიშვნელოვანი დეტალები.⁴³ დულჩეტის მიერ 1339 წელს მაიორკაში ხელმოწერილი პორტოლანი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია ევროპულ საზღვაო კარტოგრაფიაში. მისი ორიგინალურობა განპირობებულია შესრულების ახალი მანერითა და შინაარსით, რომელიც მკითხველს აცნობს ქვეყნების შიდა ტერიტორიებს და იმ ქვეყნებს, რომლებზეც ევროპულ სახელმწიფოებსა და დასავლელ ვაჭრებს ხელი ძნელად მიუწვდებოდათ. დულჩეტის მიერ შექმნილი რუკები წინამორბედი პორტოლანებისგან განსხვავდება ხმელეთის უხვი ნომენკლატურის შემოტანით და მთების, მდინარეებისა და ტბების გამოსახვით. დეკორატიული ვინიეტები განასახიერებენ ქალაქებს, რომლებიც არ არიან პორტები (რომი, პერუჯა, ბოლონია, მილანი, ლიონი, პარიზი, ტულუზა, ტოლედო, სალამანკა და ა.შ.), მრავალფეროვანი დროშები კი სუვერენულ სახელმწიფოებს აღნიშნავს.⁴⁴ დულჩეტის 1339 წლის რუკაზე

⁴⁰ ანჯელინო დულჩეტისა და ანჯელინო დალორტოს რუკების შედარება გვიჩვენებს, რომ ამ ორი სახელის უკან ერთი ადამიანი

დგას. მხოლოდ ერთი და იმავე ადამიანის მიერ შექმნილ რუკებს შეიძლება ჰქონდეს ამდენი საერთო გრაფიკულ მახასიათებლებსა

და გამოსახვის ხერხებში. Philipp Billion, “How Did Medieval Cartographers Work? New Insights Through a Systematic Analysis of the Visual Lan-

სურ. 6 სებასტოპოლის დროშა ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის რუკაზე. Collezione privata di Principe Filippo Corsini, Firenze.

სურ. 7 ხუთჯვრიანი დროშები სებასტოპოლსა და თბილისზე დულჩეტის 1339 წლის რუკაზე. Bibliothèque nationale de France, MS GE B-696 (RES).

სურ. 8 ხუთჯვრიანი დროშა სებასტოპოლზე ანჯელინო დულჩეტის 1340 წლის რუკაზე. British Library, MS Add MS 25691.

guage of Medieval Portolan Charts up to 1439,” *Cartes et géomatique*, 216 (2013), 34. ასევე იხ. Pujades, *Les cartes portolanes*, 491. ესპანელები მას დულს-ერთად უხმობდნენ. Putman, *Early Sea Charts*, 11.

⁴¹ Pujades, *Les cartes portolanes*, 491.

⁴² Pflederer, *Finding Their Way at Sea*, 87-89.

⁴³ Sheehan, “The Functions of Portolan Maps,” 148.

⁴⁴ Pelletier, “Le portulan d’Angelino Dulcert,” 23, 27.



სურ. 9 ჯვარი ცხუმის დროშის თავზე დულჩეტის 1340 წლის რუკაზე.

⁴⁵ Sheehan, “The Functions of Portolan Maps,” 150-51.

⁴⁶ დულჩეტის რუკა პირველი გვიჩვენებს კანარის კუნძულებს. Pelletier, “Le portulan d’Angelino Dulcert,” 24. მის 1339 წლის რუკაზე, ხმელთაშუა და შავი ზღვების, ბრიტანეთის, სკანდინავიისა და ჩრდილოეთ აფრიკის გარდა, დატანილია კანარისა და აზორის კუნძულები, რომლებიც ხელახლა აღმოაჩინეს ესპანელებმა და პორტუგალიელებმა შესაბამისად 1402 და 1427 წლებში. Putman, *Early Sea Charts*, 11-12.

⁴⁷ იგულისხმება აბუ-საიდი, რომელიც ილხანთა ტახტზე 1316-35 წლებში იჯდა.

⁴⁸ Sheehan, “The Functions of Portolan Maps,” 152-56.

⁴⁹ იხ. ქვეთავები „პორტოლანების ხუთჯვრიანი დროშები“.

⁵⁰ იხ. დულჩეტის 1339 წლის პორტოლანის დროშების მიმოხილვა და სწორი დასკვნები ა. თვარაძესთან: *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 274-78.

⁵¹ Pujades, *Les cartes portolanes*, 494; Tony Campbell, “Innovative Portolan Chart Names,” (2012): <https://www.maphistory.info/ToponymyInnovations.html>; Billion, “How Did Medieval Cartographers Work?”, 35, 38.

⁵² პიციგანების 1367 წლის რუკის სხვა დროშების განმარტებები იხ. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 286-90.

110 დროშაა დატანილი, მაშინ როდესაც მის 1330 წლის რუკაზე მხოლოდ 55 დროშაა. ეს განსხვავება აიხსნება 1339 რუკის მეტი გეოგრაფიული დაფარვით და არასაზღვაო ქალაქების დამატებით. ჩანს, რომ დულჩეტი დიდ ყურადღებას აქცევდა თავისი რუკების ვექსილოგრაფიულ მხარეს და დროშებს იყენებდა იმდროინდელი გეოპოლიტიკური ვითარების გადმოსაცემად.⁴⁵ ის ავლენს ჩინებულ ცოდნას იმდროინდელი მსოფლიოს შესახებ,⁴⁶ მათ შორის ათასობით მილის დაშორებით მყოფი იმჟამინდელი მონარქების შესახებაც კი; იცნობს ვითარებას კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში: კასპიის ზღვის ქვემოთ რუკაზე ვკითხულობთ: „ბუსაიდის მიწა. თავრიზისა და მთელი სპარსეთის მბრძანებელი“ (tera de bonsayt. dominus de tauris et de tota perssia).⁴⁷ ფაქტები ევროპის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის შესახებ საოცრად აქტუალურია: დულჩეტიმ იცის მალის იმპერიის მმართველი მანსა მუსას (1312-37) და მისი ოქროს საბადოების შესახებ, ოქროს ურდოს მმართველი უზბეგ-ხანისა (1313-41) და ილხანთა შესახებ, იმის შესახებაც, თუ როგორ შეცვალა ამ უკანასკნელთა სახელმწიფოს დაშლამ გეოპოლიტიკური ვითარება მცირე აზიაში, რაც დროშების ცვლილებით აჩვენა.⁴⁸

დულჩეტის 1330 წლის რუკაზე საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ სებასტოპოლია აღნიშნული თეთრ ველზე ირიბი მწვანე ზოლებით (სურ. 6); 1339 და 1340 წლების რუკებზე მდგომარეობა იცვლება და სებასტოპოლზე უკვე ვხედავთ ორად გაყოფილ დროშას წითელი ხუთი ჯვრითა და ირიბი მწვანე ზოლებით, რასაც 1339 წლის რუკაზე ემატება თბილისის თავზე აღმართული წითელი ხუთჯვრიანი დროშა (სურ. 7 და 8). ანჯელინო დულჩეტის პორტოლანების დროშებს საგანგებოდ ცალკე განვიხილავ,⁴⁹ აქ კი უბრალოდ გავიმეორებ მრავალი ევროპელი მკვლევრის დაკვირვებას, რომ ეს დროშები სახელმწიფოებსა და ტერიტორიის მფლობელებს აღნიშნავენ და, რა თქმა უნდა, ასე უნდა ვიფიქროთ საქართველოზეც.⁵⁰

საინტერესოა, რომ დულჩეტის რუკებზე მუსლიმური და ქრისტიანული ქალაქები გამიჯნულია. ქრისტიანობისა და ისლამის ტერიტორიების იდენტიფიცირება პირველად ჯოვანი დი კარინიანომ სცადა. მუსლიმებისა და თათრების კონტროლის ქვეშ მყოფი ქალაქების დროშებისათვის ის შავ ფერს იყენებდა. ეს იდეა განავითარა და უფრო დახვეწილი სისტემის სახე მისცა ანჯელინო დულჩეტიმ. ქრისტიანული ქალაქების დროშების თავზე ის ჯვარს ათავსებდა, მუსლიმურზე კი ნახევარმთვარეს. სამწუხაროდ, გამოსახულების პატარა ზომების გამო, ეს ნიშნები ყველგან არ განირჩევა. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ დულჩეტის 1340 წლის რუკაზე ჩანს ცხუმის დროშის თავზე ჯვარი (სურ. 9), სხვა რუკებზე კი არაფერი არ ირჩევა.

ძმები **ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანები** ვენეციელი კარტოგრაფები იყვნენ. მათი ყველაზე ცნობილი ნამუშევარია 1367 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკა (რუკა 20). ეს პორტოლანი ადრეულ რუკებს შორის ზომით ყველაზე დიდია, ყველაზე მეტი ტოპოგრაფიული მახასიათებლებითა და შეიცავს უნიკალურ გეოგრაფიულ დეტალებს. პიციგანებმა ვესკონტეს ძველ მოდელში მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები შეიტანეს. ფიქრობენ, რომ ისინი თავად იყვნენ მეზღვაურები. წინარე რუკებთან შედარებით პიციგანების პორტოლანი 56 ახალ ტოპონიმს შეიცავს. მასზე უკვე ვხვდებით ბალტიისა და კასპიის ზღვებს და ატლანტიკის საკმაოდ დიდ ნაწილს; პირველი ქარების ვარდულიც პიციგანების რუკებზეა.⁵¹ პიციგანების პორტოლანი საქართველოს ტერიტორიაზე დროშით მხოლოდ ერთ ქალაქს აჯილდოებს: ესაა თბილისი, რომელზეც წითელი ხუთჯვრიანი დროშა ფრი-ალებს (სურ. 10).⁵²



გაბრიელ დე ვალსეკა წარმოშობით ებრაელი, ბარსელონაში დაბადებული მაიორკელი კარტოგრაფი იყო. კატალანური დეკორატიული სტილის გარდა, ვალსეკა თავის რუკებში იყენებდა სხვა სკოლების, განსაკუთრებით იტალიური კარტოგრაფიის მიღწევებს. მის ცნობილ 1439 წლის რუკაზე ასახულია პორტუგალიელი ზღვაოსნების უახლესი აღმოჩენები. ეს რუკა ერთი ხანობა ამერიგო ვესპუჩის ეკუთვნოდა და თან უნდა ჰქონოდა ამერიკაში მოგზაურობებისას. ვალსეკას ნამუშევარია 1439, 1447 და 1449 წლების რუკები, რომელთა გარდა მას ან მის ატელიეს აკუთვნებენ კიდევ ორ – 1440 წლის და დაახლოებით 1447 წელს შექმნილ რუკას. ყველა ამ რუკაზე ცხუმის თავზე აღმართულია ორად გაყოფილი დროშა წითელი ხუთი ჯვრითა და ირიბი მწვანე ზოლებით (სურ. 11). ერთადერთი გამონაკლისი დ. 1447 წლის ნაწილობრივ, მხოლოდ ექვსი ფრაგმენტის სახით მოღწეული პორტულანია, სადაც შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, სებასტოპოლის დრომიდან მხოლოდ ტარია შემორჩენილი (სურ. 12). ვალსეკას სხვა რუკებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ეჭვი არ არის, რომ აქაც ცხუმზე მწვანე ირიბზოლებიანი ხუთჯვრიანი დროშა იქნებოდა გამოსახული.


სურ. 10
ხუთჯვრიანი დროშა თბილისზე ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანების 1367 წლის პორტულანზე. Biblioteca Palatina di Parma, MS Parm. 1612.



სურ. 11
ხუთჯვრიანი დროშები სებასტოპოლზე გაბრიელ დე ვალსეკას მიხედვით: ა) 1439 წლის რუკა (Biblioteca de Catalunya, MS Inv. 3236), ბ) 1440 წლის რუკა (Biblioteca Nazionale Centrale di Firenze, MS Port. N.16), გ) 1447 წლის რუკა (Bibliothèque nationale de France, MS GE C-4607 (RES), დ) 1449 წლის რუკა (Archivio di Stato di Firenze, MS CN 22).



სურ. 12
ფრაგმენტული პორტულანი. გაბრიელ დე ვალსეკას ატელიე. დ. 1447. Bibliothèque nationale de France, MS GE D-3005 (RES).



მაიორკელი კარტოგრაფის **რაფელ სოლერის** მიერ 1425-50 წლების შუალედში შესრულებულ ორ რუკაზე სებასტოპოლი წარმოდგენილია წითელი ხუთჯვრიანი და მწვანე ირიბზოლებიანი დროშით (სურ. 13). რაფელი გილელმო სოლერის შვილი უნდა იყოს.⁵³ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში დაცული მის მიერ ხელმოწერილი ხმელთაშუა და შავი ზღვების რუკა (MS H14-12) დიდხანს ანონიმურად ითვლებოდა, სანამ მისი ავტორობა რ. პუიადესმა არ გაარკვია.⁵⁴ მანვე შედარებისა და ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ხელმოწერილი ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის პორტოლანი (MS GE B-8268) რაფელ სოლერს ან მის ატელიეს ეკუთვნოდა.⁵⁵

ხაიმე ბერტრანისა და ბერენგერ რიპოლის 1456 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკაზე სებასტოპოლზე კვლავ ვხედავთ ორად გაყოფილ დროშას წითელი ხუთი ჯვრითა და ირიბი მწვანე ზოლებით (სურ. 14). ორი მაიორკელი ოსტატის თანამშრომლობით შექმნილ ამ რუკაზე ტოპონიმთა ბერტრანის დატანილია, დეკორატიული გაფორმება კი რიპოლის ეკუთვნის.⁵⁶ სამწუხაროდ, ხაიმე ბერტრანის 1482 და 1489 წლების პორტოლანებზე სებასტოპოლის დროშები ჩამოუქებულია და თითქმის არ იკითხება, თუმცა იმის გარჩევა კი შეიძლება, რომ ისინი ორი ნაწილისაგან შედგება (სურ. 15). უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც ხუთჯვრიან დროშებთან გვაქვს საქმე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი კარტოგრაფი იშვიათად ცვლიდა ერთხელ არჩეულ სიმბოლოებს თავის რუკებზე და გავიხსენებთ, რომ ხაიმე ბერტრანი უკვე იყენებს ორნაწილიან ხუთჯვრიან დროშას სებასტოპოლისათვის, 1482 და 1489 წლების რუკებზეც ხუთჯვრიანი დროშა უნდა ვივარაუდოთ.

სურ. 13
ხუთჯვრიანი დროშები სებასტოპოლზე: ა) რაფელ სოლერის 1425-50 წწ. რუკა. Das Geographische Institut (Humboldt-Universität), MS H14-12, ბ) რაფელ სოლერის ატელიე, 1425-50 წწ. Bibliothèque nationale de France, MS GE B-8268 (RES).

სურ. 14
ხუთჯვრიანი დროშა სებასტოპოლზე ხაიმე ბერტრანისა და ბერენგერ რიპოლის 1456 წლის რუკაზე. National Maritime Museum, Greenwich, MS G230:1/7.

სურ. 15
ორნაწილიანი დროშა სებასტოპოლზე ხაიმე ბერტრანის 1482 წლის პორტოლანზე. Archivio di Stato di Firenze, MS CN 07.

უცნობი ავტორის მიერ 1450-60 წლებში შექმნილი **კატალანური მსოფლიოს რუკა** (*Carta Catalana*) წინააღმდეგმული ნაბიჯია შუა საუკუნეების *mappamundi*-ს განვითარების გზაზე. მასზე დედამიწა წყლით გარშემორტყმული სამი კონტინენტის სახით არის ნაჩვენები. კავკასიის რეგიონში ქალაქის ვინიეტიტ საგანგებოდაა გამორჩეული სებასტოპოლი, რომელზეც აღმართულია ტრადიციული ორნაწილიანი დროშა ირიბი მწვანე ზოლებით, მხოლოდ მეორე ნაწილში თეთრ ველზე ხუთი წითელი ჯვრის ნაცვლად, ერთი ცენტრალური წითელი ჯვარია მოთავსებული (სურ. 16). როგორც უკვე ითქვა, აქაც ხუთი ჯვარი უნდა იგულისხმებოდეს, რომლის სწორი დატანითაც, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ავტორმა თავი არ „შეინუხა“.

ანდრეა ბენინკაზა, რომელიც კარტოგრაფიის იტალიურ სკოლას წარმოადგენდა, ქალაქ ანკონას მკვიდრი და ცნობილი გეოგრაფის გრაციოზო ბენინკაზას შვილი იყო. მამის მსგავსად, ანდრეა მეზღვაურიც იყო და კარტოგრაფიც. მისი 1476 წლის ატლასის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილისა და შავი ზღვის რუკაზე, ისევე როგორც 1508 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და აღმოსავლეთ ატლანტიკის რუკაზე სებასტოპოლის თავზე ჩვენული ორნაწილიანი დროშა ფრიალებს (სურ. 17აბ). სამწუხაროდ, ორივე რუკაზე დროშის ერთი ნახევარი, სადაც წითელი ხუთი ჯვარი უნდა ჩანდეს, დაზიანებულია და მხოლოდ ზოლებიანი მეორე ნახევრის გარჩევა შესაძლებელი; ირიბი მწვანე ზოლები კი ტრადიციულად თან ახლავს ცხუმზე მოთავსებულ ხუთჯვრიან დროშებს.

სებასტოპოლის ხუთჯვრიანი დროშები ანონიმურ პორტოლანებზეც მოიპოვება. კატალანური სკოლის წარმომადგენელი **ესპანელი ანონიმის** დაახლოებით 1487 წელს

⁵³ Pujades, *Les cartes portolanes*, 492.

⁵⁴ იქვე, 504, შენ. 87.

⁵⁵ იქვე, 492.

⁵⁶ იქვე, 493.

შექმნილ ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკაზე სებასტოპოლის დროშის ზედა ნაწილი დაზიანებულია, მაგრამ კარგად ჩანს წითელი ხუთი ჯვარი თანმხლები ირიბი ზოლებით (სურ. 18). კატალანური სკოლის კიდევ ერთი **ანონიმის** დაახლოებით 1500 წლის ხმელთაშუა და შავი ზღვების რუკაზე სებასტოპოლზე იმავე ხუთჯვრიან ირიბზოლებიან დროშას ვხედავთ (სურ. 19). მცირედით განსხვავებული სებასტოპოლის დროშაა წარმოდგენილი XIV-XV საუკუნეების **ანონიმურ რუკაზე**, რომელიც აფხაზი მკვლევრის მ. ხოტელაშვილ-ინალ-იფას ინფორმაციით, ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. ის უნდა იყოს ცნობილი იტალიელი გეოგრაფის ჯოვანი ბატისტა რამუზიოს (1485-1557) კოლექციიდან. სებასტოპოლის დროშა ორი ნაწილისაგან შედგება, სადაც ხუთი ჯვარიც და ირიბი ზოლებიც წითლად არის შეფერილი (სურ. 20).⁵⁷ სავარაუდოდ, ტრადიციული მწვანის ნაცვლად წითელი ფერის ზოლები რუკის ავტორის უნებლიე შეცდომის შედეგი უნდა იყოს, თუმცა უფრო საფუძვლიანი დასკვნის გამოტანა მხოლოდ მთლიანი პორტოლანის შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.⁵⁸

XIV საუკუნის რუკებიდან კიდევ ერთ მათგანზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ეს გახლავთ **გილელმო სოლერის** ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკა, რომელიც 1368-85 წლებს შორის არის შექმნილი. გილელმო სოლერი მაიორკელი კარტოგრაფი იყო, თავის საქმეში იმდენად განაფული, რომ აბრაჰამ კრესკეს გარდაცვალების შემდეგ სამეფო ოჯახმა მას შესთავაზა კრესკეს რუკის დასრულება.⁵⁹ სოლერის რუკაზე სებასტოპოლზე აღმართულ დროშაზე ახალი მოტივი ჩანს – მასზე წითელ ველზე თეთრი ხელის მტევანი არის გამოსახული (სურ. 21). სებასტოპოლზე ხელიან დროშას ათავსებს „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნიც“ (სურ. 22).⁶⁰ ნახევარი საუკუნის შემდეგ ხელის მტევანს სებასტოპოლის დროშაზე კატალანური სკოლის კიდევ ერთი წარმომადგენლის, **ჟოჰანეს დე ვილადესტესის** 1428 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკაზე ვპოულობთ (სურ. 23).⁶¹ აფხაზი ისტორიკოსები ამ სიმბოლოს თავისებურად ხსნიან: მ. ხოტელაშვილ-ინალ-იფა მას ადრექრისტიანულ რიტუალურ ქვებთან და ეთონიმ „აფხაზთან“ აკავშირებს,⁶² ვ. ჩირიკბა კი აფხაზეთის დროშად თვლის.⁶³ არადა, ხელის სიმბოლო ადვილად იხსნება, თუკი მის ქართულ შინაარსს გავიხსენებთ: ხელის გამოსახულებიანი სტელები ფეოდალურ საქართველოში სამამულო მფლობელობის ნიშანი იყო და მეფეთა მიერ და მათი სახელით იდგმებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ცხუმის დროშაზე ევროპელთა მიერ ნანახი ხელიანი ქვასვეტი აისახა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პორტოლანებზე გვხვდება ისტორიული სინამდვილის მიზანდასახული უარყოფის შემთხვევებიც. ასეთი პრეცედენტები ადვილი დასადგენია, რადგან მათი ავტორი წინასწარგანზრახულად და ხაზგასმულად არღვევს რეალობის ქსოვილს და ქმნის მის წარმოსახვით, სიმბოლურ ალტერნატივას. ამის ქრესტომათიული მაგალითია გენუელი **ალბინო დე კანეპას** 1489 წლის რუკა, სადაც შავი ზღვის მთელი აკვატორია, ყველგან, სადაც კი გენუელებს ოდესმე ფეხი დაედგათ, წმინდა გიორგის დროშებით არის მოფენილი (რუკა 9). ცხადია, სებასტოპოლის თავზეც გენუის დროშა ფრიალებს. ამ მეთოდით კანეპა ერთგვარად „შურს იძიებს“ ოსმალებზე, რომლებმაც გენუელებს წაართვეს ყველა კოლონია და ფაქტორია და სამომავლო პრეტენზიებსაც უდებს კარტოგრაფიულ სარჩულს. საერთოდ, ის ყოველი მეთოდით ცდილობდა გენუის უპირატესობა ეჩვენებინა. მაგალითად, ყველა სხვა ქალაქთან და, განსაკუთრებით, გვერდით მყოფ ვენეციასთან შედარებით, მის რუკაზე გენუა ბევრად დიდად არის გამოსახული. მსგავს მეთოდს მიმართავს იტალიური წარმოშობის მაიორკელი კარტოგრაფი **სალვატ დე პილესტრინაც**⁶⁴ 1511 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავ-



სურ. 16
სებასტოპოლის დროშა ანონიმურ კატალანურ მსოფლიოს რუკაზე. 1450-60 წწ. Modena, Gallerie Estensi, Biblioteca Estense Universitaria, C.G.A.I.

⁵⁷ М.К. Хотелашвили-Инал-Ипа, *История и этнография Абхазии* (Сухум, 2019), 94, рис. 28.

⁵⁸ სამწუხაროდ, ბევრი ცდის მიუხედავად, ვერც ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში და ვერც ბრიტანეთის მუზეუმში ჩვენმა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო და ამ ეტაპზე რუკის მიგნება ვერ მოხერხდა.

⁵⁹ Pujades, *Les cartes portolanes*, 492.

⁶⁰ *Libro del conocimiento*-ს მიხედვით, სებასტოპოლის (*Sant Estopoli*) მეფის „დროშა წითელია თეთრი ხელით“. *El Libro del conocimiento de todos los reinos*, 96-97.

⁶¹ ი. ფომენკო შეცდომით ვენეციის ლომს ხედავს ამ დროშაზე. Фоменко, *Образ мира на старинных портоланах*, 366, 384. ამ შეცდომას იმეორებს ვ. ჩირიკბაც. В.А. Чирикба, *Абхазия и итальянские города-государства (XIII-XV вв.)*. *Очерки взаимоотношений* (Санкт-Петербург, 2020), 166.

⁶² Хотелашвили-Инал-Ипа, *История и этнография Абхазии*, 95-97.

⁶³ Чирикба, *Абхазия и итальянские города-государства*, 165.

⁶⁴ იბ. Astengo, “The Renaissance Chart Tradition in the Mediterranean,” 207.



სურ. 17
ორნაწილიანი დროშები სებასტოპოლზე ანდრეა ბენინკაზას რუკებზე: ა) 1476 წლის რუკა (Bibliothèque de Genève, Ms. lat. 81, f. 3v), ბ) 1508 წლის რუკა (Biblioteca Apostolica Vaticana, MS Borg.Carte. naut. VIII).

ლეთ ევროპის რუკაზე, სადაც ოსმალეთის დროშების ნაცვლად კონსტანტინოპოლზე, სალონიკსა და ტრაპიზონზე ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიის არწივებსა და პალეოლოგოსურ კეკსებს ვხედავთ, ხოლო გენუის ძველ კოლონიებზე კაფას, პერასა და სებასტოპოლზე კვლავ წმინდა გიორგის დროშები ფრიალებს (რუკა 10).

არის შემთხვევებიც, როდესაც სხვადასხვა დროის კარტოგრაფები ცხუმისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხო, ერთი შეხედვით არაფერთან კავშირში მყოფ სიმბოლოებს გამოსახავენ. პორტუგალიური სკოლის წარმომადგენელი **ხორხე დე აგუარი** 1492 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და აღმოსავლეთ ატლანტიკის რუკაზე სოჭის (*c. de cuba*) მიდამოებში ირიბად გადაკვეთილ, ოთხნაწილიან ლაფვარდოვან-მწვანე დროშას ათავსებს (სურ. 24). პორტუგალიელი **ლაზარუ ლუისი** 1563 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და ევროპის რუკაზე ბიჭვინთის ზემოთ გვიჩვენებს დროშას რეაქიმიანი ოქროს ვარსკვლავით ლაფვარდოვან ველზე (სურ. 25). აქ ოსმალური დროშის ვარიაციასთან უნდა გვკონდეს საქმე, რადგან სხვა ოსმალური დროშებიც მსგავს სტილშია გაკეთებული: ავტორი მათ ლაფვარდზე ოქროთი გამოსახავს და ასეთივე დროშაა ოსმალეთის კონტროლირებად ჩრდილოეთ აფრიკაში. ოლივების ოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენელის **დომინგო ოლივას** 1568 წლის ორ რუკაზე სებასტოპოლის თავზე ფრიალებს დროშა, რომლის წითელ ველზე ოქროს ღუზაა დადებული (სურ. 26). ი. ფომენკოს აზრით, აქ იგულისხმება ქრისტიან მორწმუნეთა ხსნის ნიშანი და არა ხელსაყრელი ნავმისადგომი (ღუზის ჩასაშვები ადგილი).⁶⁵ ასეთი მოსაზრება საეჭვოა, რადგან ამ დროისათვის სებასტოპოლში კათოლიკური ეკლესიის მისია დიდი ხნის გაუქმებული იყო.

XVI საუკუნიდან საქართველოს საზღვაო სანაპიროზე მეტწილად ოსმალეთის იმპერიის დროშებს ვხედავთ, სხვადასხვა ფერისა და ფორმის ნახევარმთვარეებით, რაც



რუკა 9
 ალბინო დე კანეპას 1489
 წლის ხმელთაშუა ზღვის,
 შავი ზღვისა და დასაფ-
 ლეთ ევროპის რუკა.
 იტალიური სკოლა. James
 Ford Bell Library, MS num-
 ber: 1489mCa.
 სებასტიანოლზე, ისევე
 როგორც შავი ზღვის
 მთელ აკვატორიაზე –
 გენუის დროშები.



რუკა 10
სალვატ (სალვადორ) დე პილესტრინას 1511 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკა. კატალანური სკოლა. Bibliothèque nationale de France, MS GE AA 563 (RES).
სეზასტოპოლსა და შავ ზღვაზე – გეზუის დროშები.



სურ. 18
ხუთჯვრიანი დროშა სებასტო-
პოლზე ესპანელი ანონიმის დ. 1487
წლის რუკაზე. Archivio di Stato di
Firenze, MS CN 08.

სურ. 19
ხუთჯვრიანი დროშა სებასტო-
პოლზე კატალანურ ანონიმურ
რუკაზე. დ. 1500 წ. Hispanic Society
of America, MS K28.

სურ. 21
ხელიანი დროშა სებასტოპოლზე
გილელმო სოლერის 1368-85 წწ.
რუკაზე. Bibliothèque nationale de
France, MS GE B-1131 (RES).



სურ. 23
სებასტოპოლის ხელიანი დროშა
ჟოჰანეს დე ვილადესტესის 1428
წლის რუკაზე. Topkapi Sarayı Müze-
si Kütüphanesi, MS Hazine 1826.

ადეკვატურად ასახავს პოლიტიკური ვითარების ცვლილებას და შავ ზღვაში თურქების გაბატონებას. ამ დროშების კუთვნილების მიმართ არავითარი კითხვა არ შეიძლება არსებობდეს და ისინი მრავლადაა წარმოდგენილი ჩვენი დროშების კატალოგში. თუმცა, ერთი გარემოება მაინც უნდა დავაზუსტოთ. მართალია, 1451 და 1454 წლებში ოს-მალებმა ორჯერ დაარბიეს და გაძარცვეს ცხუმი და ხშირად აოხრებდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, მათ მაინც უჭირდათ ქართულ მიწაზე ხანგრძლივად ფეხის მოკიდება. მხოლოდ 1578 წელს დაეუფლნენ ოსმალები ბათუმის, ფოთისა და ცხუმის ნავსადგურებს, ციხეებში გარნიზონები ჩააყენეს და სოხუმის ვილაიეთიც შექმნეს.⁶⁶ ამისდა მიუხედავად, იმ ფაქტის გავლენით, რომ შავი ზღვა უკვე ოსმალეთის ტბად იყო ქცეული, XVI საუკუნის დასაწყისიდან ევროპული რუკები საქართველოს შავი ზღვის საპორტო ქალაქებზე ოსმალური სიმბოლიკის გამოსახვას იწყებენ.

უცნობი პორტუგალიელის მიერ 1502 წელს შესრულებულ, **კანტინოს პლანის-ფეროდ** ცნობილ მსოფლიოს საზღვაო რუკაზე ფაზისტან სამკუთხა თუ სამკუდიანი წითელ-ლურჯ-წითელი დროშაა ძნელად გასარჩევი ნახევარმთვარეებით (რუკა 36).⁶⁷ მეს-ინელი **პიეტრო რუსო** თავის 1508 და 1511 წლების რუკებზე უკვე სებასტოპოლზე გამო-სახავს ოსმალურ ნახევარმთვარეს, პირველ შემთხვევაში წითელ ველზე ოქროთი, ხოლო მეორეგან ორი ოქროს ნახევარმთვარით წითელ დროშას ირიბად ორად ჰყოფს (რუკა 11). ამ ტენდენციას აგრძელებს მისივე შვილი **ჯაკოპო რუსო**,⁶⁸ რომელიც ნახევარმთვარიანი წითელი დროშებით 1520 წლის რუკაზე სებასტოპოლსა და ბიჭვინთას გამოსახავს, ხოლო 1525 და 1533 წლების რუკებზე – სებასტოპოლს (რუკა 37).

გენუელი **ვესკონტე მაჯიოლოს** 1548 წლის შავი ზღვის რუკის დროშებზე ფერები შენაცვლებულია: სამეგრელოსა (*Mengrelia*) და აფხაზეთზე (*Avogaxia*) ოსმალური დროშის ოქროს ველზე წითელი ნახევარმთვარეა. ასეთივე შენაცვლებული ფერებით ოპერ-ირებს მისი უმცროსი ვაჟი **ჯაკოპო მაჯიოლო**, რომელმაც 1561 წლის რუკაზე შთამ-ბეჭდავი სიდიდის სებასტოპოლის ვინიეტის თავზე ოქროს ველზე წითელი ოსმალური ნახევარმთვარე დაიტანა (რუკა 49), ისევე როგორც 1564 და 1602 წლის რუკებზე სებას-ტოპოლისა და ფოთის ვინიეტებზე (რუკები 51 და 52). ასეთივე დროშებია 1563 წლის რუკაზე, სადაც პირველად ვხედავთ ქუთაისისა (*cotetis*) და ახალციხის ვინიეტებს (*calzi-
chea*) წითელი ოსმალური ნახევარმთვარით ოქროს ველზე (რუკა 50). თუმცა, ერთგან



სურ. 20
ცხუმის ხუთჯვრიანი დროშა ბრი-
ტანეთის მუზეუმის ანონიმურ
რუკაზე. XIV-XV სს. მ. ხოტელაშ-
ვილ-ინალ-იფას მიხედვით.



სურ. 22
სებასტოპოლის დროშა „ყველა
სამეფოს ცოდნის წიგნში“.

ჯაკოპოსაც გაექცა ხელი და 1562 წლის რუკაზე სებასტოპოლის წითელი ოსმალური ნახევარმთვარის გვერდით, ფოთის დროშაზე წითელ ველზე ოქროს ნახევარმთვარე გა-მოსახა.

როგორც ჩანს, ევროპელი ავტორები ოსმალური დროშის ფერებს დიდად არ დაგიდე-ვდნენ, მთავარი მასზე გამოსახული ნახევარმთვარე იყო. ასე მაგალითად, **პორტუ-გალიელი ანონიმის** 1550-60 წწ. რუკა კოდორზე (*gato*) ოსმალურ დროშას ლაჟვარდო-ვან ველზე ოქროს ნახევარმთვარით გვიჩვენებს (რუკა 46); ბერძენი **ჯორჯიო სიდე-რის (კალაპოდა)** 1552 წლის შავი ზღვის რუკა კი დასავლეთ საქართველოს პუნქტებს ნაირფერი ოსმალური დროშებით აჯილდოებს: ავოგასიაზე წითელი ნახევარმთვარეა ოქროს ველზე, სებასტოპოლზე – ოქროს ნახევარმთვარე წითელ ველზე, ლალიძგაზე (*tamansa*) – წითელი ნახევარმთვარე ოქროზე, გონიოზე (*gonea*) – თეთრი ნახევარმთვარე ლაჟვარდოვან ველზე (სურ. 102). სიდერის 1560 და 1561 წლების რუკებზე აფხაზეთში, ხან ბომბორას ყურეზე (*C. de buxia*) და ხან ალახაძეზე (*Sta Sofia*), ვხედავთ ბერძნული კარტოგრაფიის ტრადიციით ინტერპრეტირებულ ოსმალურ დროშას – წითელ ველზე ოქროსფერი ნახევარმთვარითა და ხუთი წერტილით (რუკა 39), 1565 წლის რუკაზე კი – ოქროს ველზე მუქი ნახევარმთვარითა და ხუთი წერტილით (რუკა 40).

ოსმალური დროშებისათვის სხვადასხვა ფერებს იყენებს ნეაპოლში გადასახლებუ-ლი მაიორკელი კარტოგრაფების ოლივების ოჯახიც. დინასტიის დამფუძნებელი **ჟაუ-მა ოლივა** 1563 წლის რუკაზე სებასტოპოლს წითელ ველზე ოქროს ნახევარმთვარით აჩვენებს (რუკა 48), 1572 წლის რუკაზე კი – ლაჟვარდოვანი ნახევარმთვარით (რუკა 47). **ბართოლომეუ ოლივას** 1552 და 1538-88 წლების რუკებზე სებასტოპოლის დროშაზე წითელ ველზე ოქროს ნახევარმთვარეა გამოსახული, თუმცა მის 1550, 1575 და დაახ-ლოებით 1580 წლის რუკებზე, დაზიანებული დროშების მიუხედავად, ვხედავთ, რომ სე-ბასტოპოლის ალაში წითელი ფერის არ არის.

უფრო თანმიმდევრულია ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის კოსმოგრაფი **ჯოან მარ-ტინესი**, რომელიც კატალანური სკოლის წარმომადგენელია, მაგრამ ნიდერლანდელი


⁶⁶ თამაზ ბერაძე, *ზღვაოსნობა ძველ საქართველოში* (თბილისი, 1981), 82, 155-56.

⁶⁷ ასევე იხ. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 323.

⁶⁸ მათი ნათესაობის შესახებ იხ. As-
tengo, “The Renaissance Chart Tradition in
the Mediterranean,” 225.



რუკა 11
 პეტრო რუსოს 1511 წლის ხმელ-
 თაშუა ზღვის, შავი ზღვისა და
 დასავლეთი ევროპის რუკა. კატა-
 ლანური სკოლა. Bibliothèque natio-
 nale de France, MS GE B 2126 (RES).
 სეპასტოპოლზე შუაზე ირიბად
 გაყოფილი ოსმალური წითელი
 დროშა ორი ოქროს ნახევარმე-
 ვარით.



სურ. 24
ოთხნაწილიანი დროშა ხორხე დე აგიარის 1492 წლის რუკაზე. Be-
inecke Rare Book and Manuscript Li-
brary, MS Art Storage 30cea 1492.

კარტოგრაფების მიღწევებსაც იყენებს. ის საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ სე-
ბასტოპოლს აღნიშნავს ოსმალური დროშებით, რომლებიც წითელი ნახევარმთვარითაა
წარმოდგენილი: თითქოსდა თეთრ ველზე 1570 და 1572 წლების რუკებზე და ოქროს ველ-
ზე 1583 წლის სამ რუკაზე (რუკა 58). თუმცა, 1571 წლის რუკაზე სებასტოპოლზე მაინც
გვხვდება დროშა წითელ ველზე ოქროს ნახევარმთვარით (რუკა 56). პორტულანების
ოპერატიულობის შეფასების კუთხით მეტად საინტერესოა ჯოან მარტინესის ატელიე-
ში დამზადებული აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის რუკა, რომელსაც
დაახლოებით 1578 წლით ათარიღებენ. აქ სებასტოპოლის დროშაზე წითელ ველზე ვერ-
ცხლის ნახევარმთვარეა მოთავსებული, თავად ქალაქი კი სხვა ისლამური ქალაქები-
სათვის დამახასიათებელი ვინიეტიითაა გამოსახული, სადაც დამახასიათებელი ფორმის
მეჩეთიც ჩანს თავისი მინარეთებით (რუკა 57). შესაძლოა, ამ ფორმით ოსმალების მიერ
ცხუმში გარნიზონის ჩაყენება და ვილაიეთის შექმნა აღნიშნული, თუმცა, ასეთ შემთხ-
ვევაში, რუკის შექმნის თარიღი ერთი-ორი წლით მაინც უნდა გადაინიოს.

წითელ ველზე ოსმალური ნახევარმთვარით გამოსახავს სებასტოპოლს სიენელი
კარტოგრაფი **ჯულიო დი ჩეზარე პეტრუჩი** 1570 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა
და ევროპის რუკაზე, მაშინ როდესაც ვენეციაში გადასახლებული ბერძენი ნაოსანი და
გემის კაპიტანი **ანტონიო მილო** 1583 წლის ატლასში შავი ზღვის რუკაზე ფოთს ლაჟ-
ვარდოვან ველზე ერთ ნახევარმთვარეს აკუთვნებს, სებასტოპოლს კი ორ ნახევარმთ-
ვარეს წერტილებით წითელ (ვარდისფერ) ველზე (რუკა 60).

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე კატალანური სკოლის წარმომადგენლების ჯოან

სურ. 25
დროშა რვაქიმიანი ოქროს
ვარსკვლავით ლაზარე ლუისის
1563 წლის რუკაზე. Academia das
Ciências de Lisboa.

სურ. 26
სებასტოპოლის დროშა ოქროს
ლუზით დომინგო ოლივას რუკებ-
ზე: ა) 1568 წელი (Helsinki Universi-
ty Library), ბ) 1568 წელი (Newberry
Library, MS Ayer MS map-16).



რიზო ოლივასა და ჯოან ოლივას შექმნილ რუკებზე სებასტოპოლის თავზე ჩნდება ახ-
ალი ტიპის დროშა, სადაც წითელ ველზე სამი დისკოა გამოსახული. **ჯოან რიზო ოლ-
ივას** დ.1588, 1590 და 1593 წლების რუკებზე სებასტოპოლის დროშაზე მუქი ფერის
დისკოები ირიბად არის განლაგებული, 1594 წლის რუკაზე კი სამკუთხედად (რუკა 12).
ჯოან ოლივას დ.1595 და 1602 წლის რუკებზე ისევ მუქი ფერის დისკოებს ვხვდავთ
(რუკა 62), თუმცა 1592 წლის რუკაზე ეს სამი დისკო უკვე ოქროსფრად არის შეფერილი
(რუკა 61). ძნელია გავარკვიოთ, თუ რა სიმბოლოსთან გვაქვს საქმე, მაგრამ ოსმალე-
თის სხვა დროშების მსგავსად სებასტოპოლის დროშის იგივე ფერებში – წითელი ველი
და ზედ მუქი (შავი) სიმბოლო – გააზრება, ოსმალთა დომინაციის ამსახველ დროშაზე
უნდა მიუთითებდეს.

ამ საერთო ტენდენციიდან გამოირჩევა პორტუგალიური სკოლის წარმომადგენლე-
ბი, მამა-შვილი ლოპუ და დიოგუ ჰომემები, რომლებიც ქრისტიანული სიმბოლიკით
დატვირთულ სამეგრელოს დროშებს გვთავაზობენ. პორტუგალიის სამეფოს ოფიციალ-
ურმა კარტოგრაფმა **ლოპუ ჰომემმა** სათავე დაუდო ტრადიციას, რომელიც დასავლეთ
საქართველოზე ლაჟვარდოვან-წითელ დროშებს ათავსებს. მისი 1554 წლის პლანის-
ფერო ბიჭვინთის კონცხის (*c. de giro*) ზემოთ გამოსახავს ოქროს ჯვრით ოთხად გაყ-
ოფილ ლაჟვარდოვან-წითელ დროშას ოთხივე კანტონში კვესით (სურ. 27). საერთოდ
უნდა ითქვას, რომ ევროპელი კარტოგრაფები ლურჯ-წითელ ფერებს ოსმალეთის ტერ-
იტორიების მოსანიშნადაც იყენებდნენ; ძნელია ითქვას, სამეგრელოს შემთხვევაშიც ეს
პრინციპი მოქმედებდა თუ არა, მაგრამ ცხადია, რომ ოქროს ჯვარი ოდიშის სამთავროს

რუკა 12
 ჯოან რიზო ოლივას დ.1588 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და
 დასავლეთ ევროპის რუკა. კატალანუ-
 რი სკოლა. Beinecke Rare Book and
 Manuscript Library, MS Art Storage 30cea
 1555.
 სეზასტოპოლის დროშაზე სამი ბეზან-
 ტი ირიბად წითელ ველზე.



გადმოგვცემს, კვესებით კი მასზე ოსმალეთის, როგორც ბიზანტიის მემკვიდრის, გავლენა უნდა იყოს აღნიშნული.

კიდევ უფრო დახვეწილია მისი შვილის, ვენეციაში მოღვაწე **დიოგუ ჰომემის** სამეგრელოს დროშები. დაახლოებით 1560 წლით დათარიღებულ ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკაზე სამეგრელოს (*Megralia*) ტერიტორიაზე დიოგუ ათავსებს კვადრატულ, ცენტრალური ოქროს ჯვრით ოთხად გაყოფილ დროშას I და III კანტონებში წითელი, ხოლო II და IV კანტონებში თეთრი ველით (სურ. 28ა). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ დროშაში შენარჩუნებულია ძველი, ერთიანი მონარქიის ხანის დროშის ფერები (წითელი და თეთრი), კომპოზიცია (ოთხად გაყოფილი დროშა) და ცენტრალური ჯვარი. ამ კომპოზიციას ვხედავთ მის შემდგომ რუკებზეც, თუმცა იცვლება დროშის ველის ფერები. 1560 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკაზე სამეგრელო ცენტრალური ოქროს ჯვრით ოთხად გაყოფილი ლაჟვარდოვან-წითელი მართკუთხა დროშითაა აღნიშნული (სურ. 28ბ). ცოტათი განსხვავებული დროშაა ნაჩვენები შემდეგ რუკებზე, სადაც ოქროს ჯვარი მხოლოდ წითელ ველზეა დადებული. 1561 წლის ხმელთაშუა და შავი ზღვების და დასავლეთ ევროპის რუკაზე სამეგრელო ნაჩვენებია წითელ ველზე ოქროს ჯვრით მართკუთხა ორკუდიანი დროშით (სურ. 28გ). ზუსტად ასეთი დროშაა გამოსახული სამეგრელოზე მის 1561 წლის ატლასში ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის, ეგეოსისა და შავი ზღვების რუკაზე, რომელიც ვენაში, ავსტრიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული (სურ. 28დ). თუმცა, ამავე ატლასის ხმელთაშუა და შავი ზღვების, ევროპისა და აზორის, მადიერასა და კანარის კუნძულების რუკაზე იგივე ოქროს ჯვრიანი დროშა წაგრძელებული სამკუთხა აღმის სახითაა წარმოდგენილი. (სურ. 28ე)

რას უნდა მივანეროთ ეს ვითარება? რა მოვლენაა ასახული დიოგუ ჰომემის რუკებზე?

საქმე უნდა გვკონდეს სამეგრელოს სამთავროს მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობის პერალდიკურ აღნიშვნასთან. უნგრეთის მეფის ელჩის ანთალ ვერანჩიჩის ცნობიდან ვიცით, რომ 1557 წლის თებერვალში სტამბოლში ჩასულმა ლევან I დადიანმა სულთნისგან „ხელმწიფება“ დაიმტკიცა და ოსმალეთის ხელისუფლებამ ცნო მისი დამოუკიდებლობა იმერეთის სამეფოსაგან.⁶⁹ როგორც ჩანს, ეს ფაქტი არ გამოეპარათ ევროპელ კარტოგრაფებსაც და დიოგუ ჰომემმა ოპერატიულად, სულ რამდენიმე წელიწადში ასახა ის თავის რუკებზე.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო სრული, არამედ მხოლოდ იმერეთისაგან დამოუკიდებლობა და დადიანი „ხვანთქრის ყმად“ ითვლებოდა. შესაბამისად, დიოგუ ჰომემის რუკებზე ისეთ დროშებსაც ვხედავთ, რომლებიც ოდიშის სამთავროს ოსმალეთზე დამოკიდებულებას გვიდასტურებს: 1559 და 1563 წლის რუკები სამეგრელოზე მწვანე ორკუდიან დროშებს გვიჩვენებენ, პირველ შემთხვევაში ოქროს (ფერი დაკარგულია) ნახევარმთვარიითა და ოქროს კვესებით, მეორედ კი ოქროს პატარა ნახევარმთვარეებით. ნახევარმთვარეც და კვესიც ოსმალეთზე, როგორც ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეზე მიგვანიშნებს (სურ. 29ა), ხოლო მწვანე დროშაზე ოქროს ჯვრები ოსმალეთის ვასალ ქრისტიანულ ქვეყანაზე (სურ. 29ბ).

დომინგუს ტეშეირა აგრძელებს პორტუგალიური სკოლის ტრადიციას და თავის 1573 წლის პლანისფეროზე, მსოფლიოს საზღვაო რუკაზე, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ათავსებს გერბს ლაჟვარდოვან-წითელი ფერებით, მხოლოდ ზედ ნახევარმთვარეს გამოსახავს ოსმალური დომინაციის აღსანიშნად (რუკა 59).



სურ. 27

ოქროს ჯვრით ოთხად გაყოფილი დროშა ლოპუ ჰომემის 1554 წლის პლანისფეროზე. Istituto e Museo di Storia della Scienza, Firenze, MS SD A 037.



სურ. 28

სამეგრელოს დროშები დიოგუ ჰომემის მიხედვით: ა) დ.1560 წლის რუკა (Biblioteca Guarnacci, Volterra), ბ) 1560 წლის რუკა (Biblioteca Nazionale Marciana, MS It IV 64=10032), გ) 1561 წლის რუკა (Biblioteca Palatina di Parma, MS Palatina 40 dell'inventario), დ) 1561 წლის რუკა (Österreichische Nationalbibliothek, MS Cod. 335, f. 12), ე) 1561 წლის რუკა (Österreichische Nationalbibliothek, MS Cod. 335, f. 5).





რუკა 13
დიოგო ჰომეის 1560 წლის
ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღ-
ვისა და დასავლეთ ევროპის
რუკა. პორტუგალიური სკო-
ლა. Biblioteca Nazionale Marci-
ana, Venezia, MS It IV 64=10032.
სამეგრელოზე ოქროს ჯვრით
ოთხად გაყოფილი ლაფვარ-
დოვან-ნითელი დროშა.



პორტოლანურ რუკებზე საქართველოს ტერიტორიაზე აღმართულ დროშების შესწავლა ერთ საინტერესო კანონზომიერებას ავლენს. ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიის ხუთჯვრიანი კომპოზიციით მონიშვნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეწევა XIV საუკუნის სამივე მთავარი კარტოგრაფიული სკოლა – გენუის (პიეტრო და პერინო ვესკონტები), მაიორკისა (ანჯელინო დულჩეტი, გაბრიელ დე ვალსეკა, რაფელ სოლერი, ხაიმე ბერტრანი და ბერენგერ რიპოლი) და ვენეციის (ფრანჩესკო და დომენიკო პიციგანები). საქართველოს ტერიტორიაზე დროშები ყველაზე ხშირად სებასტოპოლზე არის აღმართული. საზღვაო რუკების დანიშნულებიდან და ცხუმის, როგორც მნიშვნელოვანი საზღვაო პორტის ფუნქციიდან გამომდინარე, ეს სრულიად ბუნებრივია. თბილისი თავისი შიდა ტერიტორიული, არასაპორტო მდებარეობის გამო მხოლოდ დულჩეტის და პიციგანების რუკებზე მოხვდა.

ზოგადად, დასავლელ მკვლევრებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ საზღვაო რუკების დროშები სიმბოლურად გადმოგვცემს პოლიტიკურ სივრცეს. ქართულ სინამდვილეზე ისინი ყურადღებას ნაკლებად ამახვილებენ, მაგრამ ასეთ შემთხვევებში, ბუნებრივია, საქართველოს დროშებზეც საერთო წესებს ავრცობენ და იმავე კრიტერიუმებით უდგებიან. დასკვნებიც შესაბამისია: ასე მაგალითად, ალესანდრო სავორელი, პორტოლანების დროშებზე მსჯელობისას, იძლევა უადრესი რუკების შემთხვევებელ ცხრილს, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის დროშებით გამოსახული პოლიტიკური სურათის შესახებ. ამ ცხრილში საქართველოსაც ეპოულობთ, რადგან ავტორს ეჭვი არ ეპარება, რომ ვესკონტეს, დულჩეტისა და პიციგანების რუკებზე დატანილი ხუთჯვრიანი დროშები საქართველოს ეკუთვნის.⁷⁰

სურ. 29
ოსმალური დროშები სამეგრელოზე დიოგუ პომემის რუკებზე: ა) 1559 წელი (Bibliothèque nationale de France, MS CPL GE DD-2003 (RES), ბ) 1563 წელი (Biblioteca Nazionale Centrale di Firenze, MS Port. N.26).

⁷⁰ Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politico. Le bandiere dei portolani trecenteschi,” 244; ხოლო სხვაგან უთითებს, რომ პორტოლანების დროშა იქცა კიდევ თანამედროვე საქართველოს დროშად. Savorelli, “Rarità vessillologiche medievali. 1. I portolani dei Vesconte,” 4.

⁷¹ ამ მხრივ გამოირჩევა ქ-ნი ნ. ჯაფელიძე, რომელიც ჯიუტად ცდილობს დაამკვიდროს მცდარი ტერმინი „კათოლიკური სიმბოლო“ ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში. იხ. თუნდაც მისი, „კათოლიკური სიმბოლო XIII ს-ის ქართველ მეფეთა მონეტებზე“, *მთაბის*, 1 (2020), 58-72; მისივე, „კათოლიკური სიმბოლო საქართველოს სახელმწიფო დროშაზე“, *ქართული დიპლომატია*, 20 (2024), 94-115, და ა.შ. ის არც ამას სჯერდება და ხუთჯვრიან დროშას ამკობს ისეთი ეპითეტებით, როგორიცაა „კათოლიკური სამყაროს მოძალების სიმბოლო“, „გლობალურ-მასონური ინტეგრაციის უტყუარი ნიშანი“ და „მასონური ანექსიის სიმბოლო“, რაც უკვე სცილდება სამეცნიერო დისკუსიის ფარგლებს და სხვა მიზანდასახულობას იძენს. იხ. მისივე, „სეფე დროშა“ თუ მასონური ნიშანი“, *პერსპექტივა-XXI*, 8 (2006), 51; მისივე, „ქართველთა საერო დროშის გამო“, *მშენიერების ძიებაში: რევაზ სირაძე-75*, რედ. სერგო ვარდოსანიძე (თბილისი, 2012), 47.

ՈՇԿՆԱՆՈՒԹՈՒՆ ՃՅՆԻՈՒ



სურ. 31
ბაღდუნი IV-ის (1174-85) ბეჭედი.
ამერიკის ნუმისმატიკური საზო-
გადოება.

⁸ W. H. Rüdts von Collenberg, "Au sujet de l'héraldique des états des croisés en Palestine et en Syrie," in *Les Origines des Armoiries. IIe Colloque international d'héraldique*, Bressanone/Brixen, 5-9.X.1981, eds. Hervé Pinoteau, Michel Pastoureaux, Michel Popoff (Paris, 1983), 142.

⁹ Thomas Woodcock, John Martin Robinson, *The Oxford Guide to Heraldry* (Oxford, 1988), 7.

¹⁰ Haxthausen, "The Jerusalem Cross," 270.

¹¹ ၀၃၃၅, ၂၇၁.

¹² იქვე, 270-71. იერუსალიმის ლათინური მეფეების ბეჭდებისათვის იხ. Hans Eberhard Mayer, Claudia Sode, *Die Siegel der lateinischen Könige von Jerusalem* (Wiesbaden, 2014). კერძოდ, ბალდუინ I (1100-18): 59-85, სურ. 4-16; ბალდუინ II (1118-31): 87-88, სურ. 19; ფულკი (1131-43): 90-92, სურ. 21; დედოფალი მელისენდა (1131-52): 92-94, სურ. 22; ბალდუინ III (1143-63): 94-103, სურ. 23-24, 27-28; დედოფალი თეოდორა (1158-67): 104-8, სურ. 29; ამალოკი (1163-74): 108-24, სურ. 30-31, 34-40; ბალდუინ IV (1144-85): 125-39, სურ. 42-47, 49-50; ბალდუინ V (1185-86): 140-46, სურ. 51-52; გი დე ლუზინიანი (1186-92): 146-51, სურ. 55; ეიმერი ლუზინიანი (1197-1205): 164-67, სურ. 76-77; ჟან დე ბრინე (1210-25): 167-74, სურ. 79-81. სამეფო სიგილაგრაფიაში იერუსალიმის ჯვარი პირველად ჩნდება კიპრიოსის დედოფლის მარლოტას ბეჭედზე 1458-60 წლებში: Haxthausen, *The Jerusalem Cross*,³ 270.

¹³ Rüd't von Collenberg, "Au sujet de l'héraldique des états des croisés en Palestine et en Syrie," 133-34. ჯვაროსნების მიერ გამოყენებულ სხვადასხვა სახის ჯვრის ნიშნებზე იხ. Giles Constable, "Jerusalem and the Sign of the Cross," in *Jerusalem: Its Sanctity and Centrality to Judaism, Christianity, and Islam*, ed. Lee I. Levine (New York, 1999), 371-81; Id., "The Cross of the Crusaders," in *Crusaders and Crusading in the Twelfth Century* (London, 2008), 63-85.

¹⁴ Rüdts von Collenberg, "Au sujet de l'héraldique des états des croisés en Palestine et en Syrie," 135. XII საუკუნის ბეჭდებზე აღმით მხოლოდ ბარონებს

„იქნებოთ, როგორც მტრედის ფრთები ვერცხლით დაფარული და ბუმბული – ყვითელი ოქროთი“ (ფს. 67:14).

ყველა ჰერალდიკოსი თანხმდება, რომ იერუსალიმის აღმნიშვნელი ხუთი ჯვარი შედარებით გვიანდელი მოვლენაა. ის არ გვხვდება ჯვაროსნული მოძრაობის დასაწყისში. ვიპერტუს-ჰუგო რუდტ ფონ კოლნბერგი მიუთითებს, რომ იერუსალიმის ჯვარსრულიად უცნობია ლათინურ პალესტინაში; არ ჩანს სამეფოს გერბიც, რომელიც წესით იერუსალიმის მეფეთა საფლავებზე მაინც უნდა ყოფილიყო გამოსახული.⁸ თ. ვუდკოკი და ჯ. რობინსონიც აღნიშნავენ, რომ იერუსალიმის ჯვარს საერთო არ ჰქონდა იერუსალიმის სამეფოსთან XIII საუკუნემდე.⁹ მათ კვერს უკრავს ოტო პაქსტჰაუზენი, რომლის მიხედვითაც იერუსალიმის ხუთი ჯვარი, თავისი ხუთჯვრიანი ფორმით, სამეფოს დაცემამდე (1291) არ გვხვდება არც იერუსალიმში და არც არსად სამეფოს ტერიტორიაზე. კვიპროსის მრავალრიცხოვანი ქვაში ამოკვეთილ ჰერალდიკური იერუსალიმის ჯვრები 1310 წელზე ადრეული არ არის.¹⁰ არც იერუსალიმის სამეფოს მონეტებზეა აღბეჭდილი ხუთი ჯვარი.¹¹ იერუსალიმის ლათინი მეფეები იყენებდნენ ორმხრივ ბეჭდებს, ნინა მხარეზე ტახტზე მჯდომი მეფის გამოსახულებით, რვევრსზე კი დავითის კოშკით აქეთ-იქიდან მაცხოვრის ტაძრითა და აღდგომის (წმინდა საფლავის) ეკლესიით.¹² (სურ. 31)

საერთოდ, უნდა ითევას, რომ ჯვაროსნული ჰერალდიკის შესწავლა მეტად გართულებულია იმ მიზეზით, რომ იერუსალიმის სამეფოს, ისევე როგორც სხვა ჯვაროსნული სახელმწიფოების არქივებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია და მხოლოდ ჰოსპიტალიერთა ორდენის არქივია გადარჩენილი; კანტი-კუნტადაა შემორჩენილი მონუმენტური ძეგლებიცა და მხატვრობაც, რის გამოც იძულებული ვართ მივმართოთ მეორად წყაროებს, როგორიცაა იმდროინდელი ქრონიკები და ხელნაწერთა მინიატურები.¹³ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცალკეული გამოჩაღისების გარდა, წმინდა მიწის ფრანკული საზოგადოება, რომელიც მუდმივ ომებში იმყოფებოდა, არ ცნობდა რაინდულ ტურნირებს, რომლებმაც დიდი ზეგავლენა იქონიეს დასავლური ჰერალდიკის განვითარებაზე. ჯვაროსნებს არ სჭირდებოდათ მტრისაგან გამორჩევა, რადგან სარკინოები ისედაც ადვილად საცნობი იყვნენ თავიანთი ჩაცმულობით.¹⁴

ჯვაროსნული ქრონიკებიდან ვიცით, რომ ანტიოქიის პირველი მმართველის ბოემუნდის დროშა ნითელი ფერის იყო.¹⁵ „სიმღერა ანტიოქიაზე“, რომლის ავტორობასაც

გამოსახვდნენ, უბრალო რაინ-
დები კი შუბით ან ხმლით არიან
წარმოდგენილნი. წმინდა მიწაზე
პირველი გერბი 1175 წელს ჩნდებ-
ა – ლომი ტრიპოლის ვიკონტის
ბეჭედზე. იქვე, 136.

¹⁵ Fulcheri Carnotensis, *Historia Hierosolymitana (1095-1127)*, ed. Heinrich Hagenmeyer (Heidelberg, 1913), 234; Fulcher of Chartres, *A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127*, trans. by Frances Rita Ryan,

ed. with an introduction by Harold S. Fink (New York, 1973), 99; Albert of Aachen, *Historia Ierosolimitana: History of the Journey to Jerusalem*, ed. and trans. by Susan B. Edgington (Oxford, 2007), 282-83.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმართულ დროშებზე სხვადასხვა ფორმით ვხედავთ ხუთჯვრიან კომპოზიციას, რომელიც სხვა არ არის, თუ არა იერუსალიმის ჯვარი.

იერუსალიმის ჯვრის წარმოშობის ადგილის, დროისა და ვითარების, ისე როგორც მისი გავრცელების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მცდარი შეხედულებებია დამკვიდრებული. ის არასწორადაა ასოცირებული პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობასა და წმინდა მიწაზე პირველ ლათინურ სამეფოსთან.¹ როგორც დავრწმუნდებით, იერუსალიმის ხუთჯვრიან კომპოზიციას ხანგრძლივი და სხვაგვარი ისტორია აქვს.

ოთხსამდე ფორმის ჯვარს შორის, იერუსალიმის ჯვარს განსაკუთრებით გამორჩეული ადგილი უკავია.² ის წარმოადგენს ცენტრალური ჯვრის მკლავებში ჩასმულ ოთხ პატარა ბერძნულ (თანაბარმკლავებიან)³ ჯვარს (სურ. 30). ამ კომპოზიციას სხვადასხვაგვარად განმარტავენ: 1) ხუთი ჯვარი განასახიერებს მაცხოვრის ხუთ ჭრილობას;⁴ 2) ან ქრისტეს და ოთხ მახარებელს (მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე), 3) ან ქრისტეს და ქვეყნიერების ოთხივე მხარეს, რომლისთვისაც ის ეწამა.⁵ იერუსალიმის ჯვარში ყვითელი ჯვრები თეთრ ველზეა დადებული ანუ ოქრო ვერცხლზეა მოთავსებული, რითაც გამიზნულად დარღვეულია ჰერალდიკის ძირითადი კანონი, რომელიც კრძალავს ლითონის ლითონზე მოთავსებას. ამით მისი განსაკუთრებულობაა ხაზგასმული.⁶ თვლება, რომ იერუსალიმის ჯვარში ოქროსა და ვერცხლის გამოყენება 68-ე ფსალმუნის ალუზიაა:⁷

1 ასეთი შეხედულებების ტიპური ნიმუშია ამგვარი განცხადებები: "ხუთგზვრიანი დროშა... სხვადასხვა ვარიაციებით, იყო დას. ევროპული ჯვაროსანთა და იერუსალიმის ჯვაროსნული კათოლიკური სამეფოს (არსებობდა 1099 წლიდან XIII ს-ის შუა დღემდე)" დროშა"; "სრულიად დაუმუშავლად მიგვაჩნია საქართველოს სახელმწიფო დროშად... "ხუთგზვრიანი დროშის" გამოცხადება, რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ის იყო ჯვაროსნების დროშა..." პარმენ ზაქარაია და სხვ., "საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ". 9. აქ


იერუსალიმის სამეფოს არსებობის წლებიც კი არასწორად არის მოცემული, აკრა მხოლოდ 1291 წელს დაეცა.

² Otto H. M. Haxthausen, "Jerusalemsskorset," *Heraldisk Tidsskrift*, 1/7 (1963), 293.

³ ბერძნული ჯგრის ოთხივე მხარი სიმეტრიულია და თანაბარი სიგრძისაა. ძვ.წ-ის 3000 წლიდან მას სხვადასხვა კულტურები იყენებენ დეკორატიული თუ სიმბოლური მიზნით და სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ. Otto H. M. Haxthausen, "The Jerusalem Cross," in *Genealogica & heraldica: actas do 17º Congresso internacional*

das ciências genealógica e heráldica,
Lisboa, 7-13 setembro 1986 (Lisboa,
1989), 267.

4 ამ შეხედულების ჩამოყალიბებაში, თავისი ადგილი უნდა მიუძღოდეს პირველი ჯგერის მთლიანლაშქრობის მონაწილის, ანტიოქიაში მწიფა შუბის აღმომჩენის, თეოდორ ბართოლომეოს (პიერ ბარ-თელემის) ერთ-ერთ გამოცხადებას, სადაც წინა პლანზე გამოდის ქრისტის ხუთ ჭრილობა. *Le "Liber" de Raymond d'Aguilers*, ed. John Hugh Hill and Laurita L. Hill (Paris, 1969), 77-78; Corliss K. Slack, *Historical Dictionary of the Crusades*, 2nd ed. (Lanham, 2013), 119.



სურ. 30
იერუსალიმის ჯვარი.

⁵ William Wood Seymour, *The Cross in Tradition, History and Art* (New York, 1898), 365. ზოგჯერ ვარაუდობენ, რომ იერუსალიმის ჯვარი წარმოადგენს

ჯერის ფორმით დალაგებულ ოთხ მახვილს, მით უმეტეს, რომ ზოგერთ გამოსახულებაში ჯერის ბოლოები გაგრძელებულია და ხმლის ვადას მოგვაგონებს. George Bellew, "The Arms of the Kingdom of Jerusalem," *Coat of Arms*, 1 (1950), 26.

⁶ Seymour, *The Cross in Tradition, History and Art*, 365; Haxthausen, "The Jerusalem Cross," 274. იერუსალიმის ჯვარი ყველაზე უფრო დაფასებულ და პატივსაცემ სიმბოლოდ ითვლებად პერალდდამი. Bellew, "The Arms of the Kingdom of Jerusalem," 26.

⁷ Seymour, *The Cross in Tradition, History and Art*, 365.



სურ. 36
წმინდა ლუის ზარდახშა (ა) იერუსალიმის გერბით (ბ). ლუერის მუზეუმი. ავტორის ფოტო.



სურ. 32
გოდფრუა ბუიონი სალაშქროდ მიემართება. Biblioteca Apostolica Vaticana, MS Pal. lat. 1963, f. 15r.

სურ. 34
ანტიოქიის აღება. Biblioteca Apostolica Vaticana, MS Pal. lat. 1963, f. 49r.

სურ. 33
ტანკრედი ლაშქრობს კილიკიაში. Biblioteca Apostolica Vaticana, MS Pal. lat. 1963, f. 31v.

სურ. 35
გოტიე დე ბრიენის ბეჭედი. ა. როზეროს მიხედვით.



პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეს მიაწერენ, ამბობს, რომ ბოემუნდის დროშაზე გველიც იყო გამოსახული.¹⁶ ბალდუინ I-ის დროშა კი თეთრი ფერისაა: ასეთი დროშით იბრძვის ის, როდესაც ედესის მმართველია (1099)¹⁷ და როდესაც იერუსალიმის მეფეა (1101,¹⁸ 1105¹⁹).²⁰

მემატიანეთა ცნობებს ადასტურებს ხელნაწერთა მინიატურებიც. გიომ ტვიროსელის იერუსალიმის ისტორიის ფრანგული თარგმანი (MS Pal. lat. 1963) ვატიკანის ბიბლიოთეკაშია დაცული და 1260-68 წლებში ანტიოქიაში უნდა იყოს შექმნილი.²¹ აქ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე გოდფრუა ბუიონი გამოსახულია დროშით, რომელზეც წითელი ჯვარი თეთრ ველზეა მოთავსებული (სურ. 32). სხვა მინიატურაზე ტანკრედის²² დროშა თეთრზე ლურჯი ჯვრითაა მოცემული (სურ. 33), ხოლო ანტიოქიის აღების ამსახველ მინიატურაზე ჩანს ქალაქის კოშკზე აღმართული ბოემუნდის წითელი დროშა და ჯვაროსანთა კიდევ ორი წინამძღოლი წითელჯვრიანი თეთრი და თეთრჯვრიანი ლურჯი დროშებით (სურ. 34). ერთი მათგანი გოდფრუა უნდა იყოს, რომელსაც ამავე ხელნაწერის f. 15r მინიატურაზე იგივე წითელჯვრიანი თეთრი დროშა აქვს. როგორც ვხედავთ, ჯვაროსნულ იკონოგრაფიაში იერუსალიმის სამეფოს დროშად ბალდუინის წითელჯვრიანი თეთრი ბაირალია მიჩნეული,²³ ანტიოქიის სამთავროს დროშა კი ბოემუნდის წითელი ფერის ალაშია.²⁴ გასაგებია, რომ XIII საუკუნის მანუსკრიპტში იერუსალიმის პირველ მეფეს გოდფრუას რეტროსპექტულად ის ალაში უპყრია, რომელიც შემდგომში მისმა ძმამ ბალდუინ I-მა დაამკვიდრა სამეფოს დროშად.²⁵

იერუსალიმის ჯვრის სხვადასხვა ვარიანტები XIII საუკუნის შუახანებისათვის იჩენს თავს. პირველად ის უნდა ჩანდეს 1228 წლის საბუთზე, რომელსაც ბრიენის გრაფის გოტიე IV-ის (1205-46) ბეჭედი აზის.²⁶ გოტიეს ბეჭდის წინა მხარეს საგვარეულო ლომია გამოსახული, რევერსზე კი იერუსალიმის ჯვარი, რომლის ცენტრალური ჯვარი მრავალი პატარა ჯვრითაა გარემოცული²⁷ (სურ. 35). ფიქრობენ, რომ ბრიენის გრაფის ბეჭედზე იერუსალიმის ჯვარი შემდეგი გარემოებების გამო უნდა მოხვედრილიყო: გოტიე IV იერუსალიმის მეფის ჟან (იოანე) დე ბრიენის ბიძაშვილი იყო, რომელსაც ბიძამ 1221 წელს იაფას საგრაფო უბოძა. როგორც იაფას გრაფი, გოტიე იერუსალიმის მეფის

ძირითად ფერს გადმოცემდნენ და არა ყველა დეტალს. ფულხერიუს შარტრელი და ალბერტ აახენელი მოკლედ ამბობენ, რომ ბოემუნდის დროშა წითელი იყო ანუ აღწმინავენ დროშის ველის დომინანტურ ფერს და არ ახსენებენ მასზე გამოსახულ გველს. ზუსტად ასე,

ფულხერიუს შარტრელი ბალდუინის თეთრ დროშაზე მოგვითხრობს და არ ახსენებს მასზე დატანილ წითელ ჯვარს, რომელიც მხოლოდ მინიატურაზე აისახა.
²⁶ Hervé Pinoteau, “La date de la cassette de Saint Louis: Été 1236?”, *Cahiers d’héraldique*, 4 (1983), 107;

Haxthausen, “The Jerusalem Cross,” 271; Auguste Coulon, Jean-Marc Roger, *Inventaire des Sceaux de Champagne* (Paris, 2003), 14, Ch. 53.
²⁷ Alphonse Roserot, *Dictionnaire historique de la Champagne méridionale (Aube), des origines à 1790*, t. I (Langres, 1942), 245.



სურ. 37

გოდფრუა ბუიონის გარდაცვალებისა და ბალდუ-ინ I-ის გამეფების ამსახველი ფარები. Historia Anglorum, British Library, MS Royal 14 C VII, f. 37r.

სურ. 38

ფულკ ანჟუელის გერბი. Historia Anglorum, British Library, MS Royal 14 C VII, f. 49r.

სურ. 39

ჰენრი შამპანელის გერბი. Historia Anglorum, British Library, MS Royal 14 C VII, f. 83v.

სურ. 40

ჟან დე ბრიენის გერბი. Historia Anglorum, British Library, MS Royal 14 C VII, f. 125v.

სურ. 41

ხუთი ჯვაროსანი მეფის გერბი: კასტილიის მეფე ფერდინანდ III (ვერცხლის ციხე წითელ ფარზე), საფრანგეთის მეფე ლუი IX (ოქროს შროშანები ლურჯ ფარზე), ინგლისის მეფე ჰენრი III (ოქროს ლომები წითელ ფარზე), ნორვეგიის მეფე პააკონ IV (ოქროს დრაკარები წითელ ფარზე), იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენი (ოქროს ფარზე ვერცხლის ჯვარი პატარა ჯვრებით). Historia Anglorum, British Library, MS Royal 14 C VII, f. 150r.



სურ. 42

იერუსალიმის გერბი ვიინბერგენის არმორიალში. Bibliothèque royale de Belgique, Collection Goethals, ms. 2569, f. 35r.

ვასალი გახდა, რამაც ბეჭედზეც იჩინა თავი.²⁸ ამასთანავე, ამ აქტით მან გამოხატა ბიძის, ჟან დე ბრიენის მხარდაჭერა და პრეტენზია, რომელსაც სიძემ, ფრიდრიხ II შოჰენ-შტაუფენმა იერუსალიმის ტახტი წაართვა.²⁹

ამის შემდეგ იერუსალიმის ჯვარს ეხედავთ სანანილეზე, ე.წ. *წმინდა ლუის ზარდახ-შაზე*, რომელზეც 46 მინაქრის მოოქრული ჰერალდიკური ფარია მოთავსებული³⁰ (სურ. 36). წმინდა ლუის ზარდახშა შექმნილია 1236³¹ ან 1234 წელს³² და მასზე იერუსალიმის ჯვარს ისტორიაში მეორედ გხვდებით, ხოლო ფერებით კი სულაც პირველად არის წარმოდგენილი.³³ ზარდახშაზე იერუსალიმის ჯვარი, როგორც სამეფოს გერბი, ფარზეა მოთავსებული, ხოლო ცენტრალური ჯვარი მრავალი პატარა ჯვრითაა გარე-მოცული.

არმორიალები

იერუსალიმის ჯვრის სახეცვლილებები ასახულია მეთიუ პარიზელის შრომებშიც. მეთიუ პარიზელი (1200–59) გერბების დარგში ჰერალდიკის პიონერად ითვლება და მისი ნამუშევრები ერთ-ერთი უადრესია ამ სფეროში. თავის ხელნაწერებში მას 143 გერბი აქვს მოცემული, რომლებიც სხვადასხვა ვარაიაციებითაა შესრულებული.³⁴ კარგად ინფორმირებული, სამეფო კარზე მიღებული ბენედიქტელი ბერის შრომები მეტად მნიშვნელოვანი წყაროა ჰერალდიკისათვის, რადგანაც უფერო ბეჭდებისაგან განსხვავებით, გერბების ფერად გამოსახულებებს იძლევა.³⁵ მეთიუ პარიზელი ხელნაწერს არშიებზე ასურათებდა. ასე იყენებდა ის ჰერალდიკურ ფარსაც და მნიშვნელოვანი პიროვნების გასწვრივ მის გერბს ხატავდა (გარდაცვალებისას – ამობრუნებულად).³⁶

ხელნაწერებში იერუსალიმის გერბს პირველად სწორედ მეთიუ პარიზელის შრომებში ვაწყდებით. ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში დაცულ *Historia Anglorum*-ში, რომელიც 1250-55/59 წლებით თარიღდება, გოდფრუა ბუიონის გარდაცვალებისა (1100) და ბალდუინ I-ის გამეფების ამსახველ ორივე ფარზე ყვითელ ველზე თეთრი ჯვარია აღბეჭდილი³⁷ (სურ. 37). ასეთივე ამობრუნებული ფარი ჯვრით, მხოლოდ ფერების გარეშე, ჩანს ფულკ ანჟუელისა (1142) და ჰენრი შამპანელის (1197) გარდაცვალებისას (სურ. 38 და 39). ჟან დე ბრიენის გარდაცვალება (1237) იმავე თეთრი ჯვრით ყვითელ ფარზე არის ნაჩვენები³⁸ (სურ. 40), მაგრამ შემდეგ მინიატურაზე, სადაც გამოსახულია ხუთი მეფის გერბები, რომელთაც ჯვარი იტვირთეს,³⁹ ჟან დე ბრიენის ფარი მნიშვნელოვნადაა შეცვლილი და დამატებული აქვს პატარა ვერცხლის ჯვრები⁴⁰ (სურ. 41).⁴¹

მეთიუ პარიზელის მიერ დაწყებულ ფერადი გერბების სისტემატურ ხატვას შემდგომში არმორიალები (გერბების წიგნები) აგრძელებენ.⁴²

Chronica majora, ed. Henry Richards Luard, vol. VI (London, 1882), 469-77, იერუსალიმის მეფეთა გერბებისათვის იხ. გვ. 474; გერბების დეტალური აღწერისათვის იხ. Tremlett, *London, Rolls of Arms*, 11-86.

³⁵ Felix Hauptmann, “Die Wappen in

der Historia minor des Matthaeus Parisiensis,” *Jahrbuch der heraldischen Gesellschaft Adler*, 19 (1909), 20.

⁴⁰ საინტერესოა, რომ 1250-

59 წლებში „დამატებათა წიგნ-

ში“ (*Liber additamentorum*) მეთიუ პარიზელი იერუსალიმის სამეფოს გერბად ერთჯერაიან სქემა-

ტურ შავ-თეთრ ფარს იძლევა, სადაც არ ჩანს პატარა ჯვრები,

ჯვაროსანთა მიერ წმინდა მიწის ფლობის პერიოდში იერუსალიმის გერბი იყო თეთრი ჯვარი ოქროს ფარზე, ოთხი პატარა ჯვრის გააღური აღწერისათვის იხ. Tremlett, *London, Rolls of Arms*, 11-86.

⁴¹ სურათზე პატარა ჯვრები შავად არის დახატული, მაგრამ ეს პატარა დეტალების გადმოცემის სირთულითაა გამოწვეული, რო-

გორც ამაში გვარწმუნებს გერბის მეთიუსეული ბლაზონი: „ოქროზე ვერცხლის ჯვარი, პატარა ვერცხ-ლის ჯვრებით“ (*Or crusuly argent, a cross argent*).

⁴² Pinoteau, “La date de la cassette de Saint Louis,” 107.



სურ. 43
იერუსალიმის გერბი სიგარის გრაგნილში. College of Arms, Ga. MS. L14.



სურ. 44
კვიპროსის გერბი ფარის I და IV მეოთხედში იერუსალიმის ჯვრით ბელენვილის არმორიალში. Bibliothèque nationale de France, Français 5230, f. 9r.

სურ. 45
კვიპროსის გერბი ფარის I და IV მეოთხედში იერუსალიმის ჯვრით გელრეს არმორიალში. Bibliothèque royale de Belgique, ms. 15652-56, f. 69v.

სურ. 46
იერუსალიმის მეფის გერბი ციურიხის გრაგნილში. Zürich, Schweizerisches Nationalmuseum, AG 2760, f. 1r.

⁴³ ვალფორდის გრაგნილის რამდენიმე ასლი არსებობს, რომელთაგან ყველაზე სრულყოფილი ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარია (Bodleian MS Top. Gen. c. 1).

⁴⁴ კემდენის გრაგნილი დაცულია ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში (British Library, Cotton Roll XV 8).

⁴⁵ ვალფორდის გრაგნილში მას აკრას მეფეს უწოდებენ, რადგანაც იერუსალიმის დაკარგვის შემდეგ სამეფოს დედაქალაქი აკრა გახდა.

⁴⁶ Tremlett, London, *Rolls of Arms*, 97-103, 169-70; James Greenstreet, “The Original Camden Roll of Arms,” *Journal of the British Archaeological Association*, 38 (1882), 312; Gerard J. Brault, *Eight*

1275 წლის **ვალფორდისა**⁴³ და 1280 წლის **კემდენის**⁴⁴ **გრაგნილებში** იერუსალიმის მეფის⁴⁵ გერბი მოცემულია როგორც ვერცხლის ფარზე ერთი ოქროს ჯვარი, პატარა ოქროს ჯვრებით.⁴⁶

გერბზე პატარა ჯვრების რაოდენობა დაზუსტებულია **ვიინბერგენის არმორიალში**, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ფრანგული გერბების წიგნია,⁴⁷ ორი ნაწილისაგან შედგება და ბოლოში მეფეთა გერბები ერთვის. ეს მეორე ნაწილი 1270-85 წლებში, საფრანგეთში ფილიპე III მამაციის მეფობის ხანაშია შედგენილი. მასში იერუსალიმის გერბი ვერცხლზე ოქროს დიდი და თხუთმეტი პატარა ჯვრითაა წარმოდგენილი⁴⁸ (სურ. 42).

შემდგომ საგერბე წიგნებში იერუსალიმის გერბზე ჯვრების რიცხვი იკლებს და ის ჩვეულ სახეს იღებს. 1285 წლის **სიგარის გრაგნილში**⁴⁹ იერუსალიმის მეფის გერბზე მხოლოდ ხუთი ჯვარია⁵⁰ (სურ. 43). XIV საუკუნის II ნახევრის **ბელენვილის (ბოლენკურის)**⁵¹ და **გელრეს**⁵² **არმორიალებში** კვიპროსის მეფის გერბზე ვხედავთ იერუსალიმის აღმნიშვნელ ოქროს ხუთ ჯვარს ვერცხლის ფარზე (სურ. 44 და 45).

იერუსალიმის ჯვრის შინაარსის განმარტებისათვის საინტერესოა 1330-45 წლების **ციურიხის გრაგნილი**, სადაც იერუსალიმის სამეფოს ვერცხლის ფარზე მოთავსებული ოქროს ჯვრის გაფართოებულ ბოლოებსა და ცენტრში წითელი წერტილებია დასმული, რაც ფ. ჰაუპტმანის მიხედვით, ქრისტეს ჭრილობებზე მინიშნება შეიძლება იყოს⁵³ (სურ. 46).

Thirteenth-Century Rolls of Arms in French and Anglo-Norman Blazon (University Park, PA, 1973), 68.

⁴⁷ მისი ასლი ბრიუსელში ინახება (Bibliothèque royale de Belgique, Collection Goethals, ms. 2569).

⁴⁸ P. Adam-Even, L. Jéquier, “Un armorial français du XIIIe siècle: l’armorial français du XIIIe siècle: l’armorial français du XIIIe siècle,” *Archives héraldiques suisses*, 68 (1954), 74, pl. 8.

⁴⁹ მისი დედანი დაკარგულია, ხოლო 1592 წლის ასლი ლონდონის ჰერალდიკურ კოლეგიაშია

შემონახული (College of Arms, Ga. MS. L14).

⁵⁰ James Greensreet, “The “Segar” Roll of Arms as an Ordinary,” *The Genealogist*, vol. IV (1880), 50, 54; Gerard J. Brault, *The Rolls of Arms of Edward I, 1272-1307*, vol. I (Woodbridge, 1997), 307-8.

⁵¹ ბელენვილის არმორიალი შექმნილია 1355/60-80 წლებში

ლ. ჟეკუეს მიხედვით (Léon Jéquier, *L’armorial Belleville* (Paris 1983), 16-24), მ. პასტუროსა და

მ. პოპოვის აზრით კი პირველი ნაწილი 1375-80 და მეორე ნაწილი 1395-1400 წლებში. Michel Pastoureau, Michel Popoff, *L’armorial Belleville* (Lathuile, 2004), 18.

⁵² გელრეს არმორიალი 1370-95 წლებშია კლასს ჰეინენის მიერ შექმნილი. P. Adam-Even, “L’armorial universel du Héraut Gelre,” *Archives héraldiques suisses*, 75 (1961), 49-53.

⁵³ Hauptmann, “Die Wappen in der Historia minor des Matthäus Parisensis,” 47.



სურ. 47
გოდფრუა ბუიონი ფარზე იერუსალიმის
გერბით. Arquivo Nacional da Torre do Tombo, Livro do Armeiro-Mor, f. 5r.



სურ. 48
იერუსალიმის გერბი. Arquivo Nacional da Torre do Tombo, Livro do Armeiro-Mor, f. 7r.



სურ. 49
დამასკოს გარემოცვა. Bibliothèque Municipale de Lyon, Ms 828, f. 189.

არმორიალების მონაცემების მიხედვით, იერუსალიმის გერბს XIV საუკუნეში უნდა ჰქონდეს საბოლოო სახე მიღებული. მართალია, 1270-იან წლებში ვერცხლის ფარზე ოქროს ხუთი ჯვარი უკვე არსებობს, მაგრამ მომდევნო დეკადასა და 1330-45 წწ. ციურიხის არმორიალშიც კვლავ გვხვდება მისი ნაირსახეობები.

გერბების კრებულების მიმოხილვა დავასრულოთ 1509 წელს იშვიათი ოსტატობით შესრულებული პორტუგალიური არმორიალით *Livro do Armeiro-Mor*,⁵⁴ სადაც გოდფრუა ბუიონისა და იერუსალიმის სამეფოს გერბზე ჰერალდიკაში უკვე მყარად დამკვიდრებული ხუთი ჯვარი არის გამოსახული (სურ. 47 და 48).

XIII საუკუნის ბოლო ათწლეულებში იერუსალიმის ჯვრის ტიპის გამოსახულებები ხელნაწერთა მინიატურებზეც ჩნდება.

1280 წლით დათარიღებული გიიომ ტვიროსელის იერუსალიმის ისტორიის ფრანგულ თარგმანში (Ms 828), რომელიც ლიონის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში ინახება, გამოსახულია II ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურები საფრანგეთის მეფე ლუი VII (1137-80), გერმანიის მეფე კონრად III (1138-52) და იერუსალიმის მეფე ბალდუინ III (1143-63), ქვემოთ კი დამასკოს ალყა (1148); ჯვაროსანთა ერთ-ერთი წინამძღოლის ფარზე, რომელიც იერუსალიმის მეფე უნდა იყოს, ვხედავთ ნითელ ველზე თეთრ ჯვარს ოთხივე კანტონში რამდენიმე პატარა ჯვრით (სურ. 49). საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის 1337 წლის კიდეც ერთ მანუსკრიპტში (Français 22495) გოდფრუა ბუიონის გერბი გადმოცე-

⁵⁴ „პორტუგალიის ჰერალდიკური კულტურის უმაღლესი განსახიერება“, როგორც უნდა მას ფრანსიშკუ აზევედუმ. Francisco de Simas Alves de Azevedo, *Uma Interpretação Histórico-Cultural do Livro do Armeiro-Mor: fastos significativos da história da Europa reflectidos num armorial português do séc. XVI* (Lisboa, 1966), 69.



სურ. 50
გოდფრუა ბუიონი იორდანეს გადაკვეთს. Bibliothèque nationale de France, Français 22495, f. 78r.

მულია ოქროს ხუთი ჯვრით ნითელ ველზე (სურ. 50). ამავე ხელნაწერში გვხვდება იერუსალიმის ჯვრის კლასიკური ფორმა ოქროს ხუთი ჯვრით თეთრ ველზე (სურ. 51), ისევე როგორც მისი ნაირსახეობა – ხუთი თეთრი ჯვარი ლურჯ ველზე (სურ. 52).

ჯვაროსნული მონეტების იკონოგრაფია

არანაკლები გრძელი გზა გაიარა იერუსალიმის ჯვრის კომპოზიციამ მონეტებზეც. საერთო ჯამში, ჯვაროსნული ფულის ქრონოლოგიაც გვაჩვენებს, რომ იერუსალიმის ხუთი ჯვარი მათ გვიან აქვთ მიღებული.

ჯვაროსნული სახელმწიფოების მიერ მოჭრილი ფულის ერთეულები დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. როგორც რუდტ ფონ კოლენბერგი აღნიშნავდა, ჯვაროსნული სახელმწიფოების ნუმიზმატიკური მასალა ჰერალდიკური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა.⁵⁵ უფრო სამხრეთით მდებარე იერუსალიმის მეფეებისა და ტრიპოლის გრაფების მონეტებზე მათი მუსლიმი მეზობლების (სირია-ეგვიპტის) გავლენა შეიმჩნევა, ჩრდილოეთით კი, ედესა, ანტიოქიასა და კვიპროსზე, მძლავრი იყო ბიზანტიური ზეგავლენა. ამავე დროს, სავსებით ბუნებრივია, რომ ჯვაროსნული ფული ინარჩუნებდა საკუთრივ დასავლეთევროპულ ნიშნებსაც. შუა საუკუნეების სამყაროს ამ სამი პოლი-

⁵⁵ Rüdert von Collenberg, “Au sujet de l’héraldique des états des croisés en Palestine et en Syrie,” 134.



ტიკურ-კულტურული ცენტრის (ევროპული, ბიზანტიური და მუსლიმური) ურთიერთქმედება განაპირობებდა ჯვაროსნული ფულის გარეგნულ სახესა და მრავალგვარობას.⁵⁶ კაროლინგური დენარიუსიდან წარმომდგარ ლათინურ ფულს მემკვიდრეობით ერგო ლაკონურობა და სიცხადე, სადაც ავერსზე ცენტრის გარშემო წრიულად იყო დატანილი გამომშვების სახელი და ხშირად, ტიტულიც, რევერსზე კი – მოჭრის ადგილი. ჯვაროსნული ფულის უმთავრესი რელიგიური და ჰერალდიკური სიმბოლო სხვადასხვა ფორმის ჯვარი გახლდათ და ის მონეტის ცენტრში იყო გამოსახული.⁵⁷

ანტიოქიის სამთავროს ფულზე ვხვდებით ხუთფიგურიანი ჯვრის ერთ-ერთ პირველ გამოსახულებას – ჯვარს ოთხივე კანტონში ბეზანტებით,⁵⁸ რომელიც რაიმონდ პუატიეს ხანაში (1136-49) მოჭრილ ანონიმურ მონეტაზე დასტურდება⁵⁹ (სურ. 53). ბოემუნდ III ანტიოქელის მცირეწლოვნობის ჟამს (1149-63) გამოშვებულ მონეტაზე ჯვრის პირველ, მეორე და მესამე კანტონებში ბეზანტებია, მეოთხეში კი ნახევარმთვარე⁶⁰

⁵⁶ Alex G. Malloy, Irene Fraley Preston, and A. J. Seltman, *Coins of the Crusader States, 1098-1291*, 2nd ed (Fairfield, CT, 2004), 8. ევროპული, ბიზანტიური ან მუსლიმური იმიტაციების მოჭრას შესაბამის რეგიონთან ვაჭრობის სურვილი განაპირობებდა. იქვე, 10. მონეტები საგან განსხვავებით, ჯვაროსანი მმართველების ბეჭდები პოლი-

ტიკურად უფრო მომართული და დასავლური იყო. D. M. Metcalf, “Islamic, Byzantine, and Latin Influences in the Iconography of Crusader Coins and Seals,” in *East and West in the Crusader States: Context, Contacts, Confrontations*, eds. Krijnie Ciggaar and Herman Teule, vol. II (Leuven, 1999), 171.

⁵⁷ Malloy et al., *Coins of the Crusader States*, 18-20. გასაკვირი არაა,

რომ ჯვაროსნული მოძრაობის დასაწყისიდანვე ჯვარი მთავარ ემბლემად გვევლინება. ბალდუინ II ედესაში სულაც ასეთი წარწერით ჭრიდა მონეტას – „ბალდუინი ჯვრის მსახური“. John Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” in *A History of the Crusades*, vol. IV, *The Art and Architecture of the Crusader States*,


სურ. 51 არტაპის ალყა. Bibliothèque nationale de France, Français 22495, f. 36r.

ed. Kenneth M. Setton (Madison, 1977), 365; Rüdiger von Collenberg, “Au sujet de l’héraldique des états des croisés en Palestine et en Syrie,” 141; Malloy et al., *Coins of the Crusader States*, 15.

⁵⁸ ბეზანტს ევროპელები ბიზანტიურ ოქროს მონეტას (ნომისმას) უწოდებდნენ. Philip Grierson, “Bezant,” in *The Oxford Dictionary of Byzantium*, ed. Alexander P. Kazhdan, vol. I (Oxford, 1991), 287. ბეზანტად სახელდებული ეს დისკოსებური ფიგურები ხშირად ბურთულის სახითაა მოცემული და მას ასეც მოიხსენიებენ ხოლმე ნუმიზმატები.

⁵⁹ G. Schlumberger, *Numismatique de l’Orient Latin* (Paris, 1878), 58, pl. III, 15; Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 372, 394; D. M. Metcalf, *Coinage of the Crusades and the Latin East* (London, 1983), pl. 13, 338-39; Malloy et al., *Coins of the Crusader States*, 204.

⁶⁰ Schlumberger, *Numismatique de l’Orient Latin*, 58, pl. III, 16; Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 396; Metcalf, *Coinage of the*



სურ. 52 ტვიროსის ალყა. Bibliothèque nationale de France, Français 22495, f. 115r.

Crusades and the Latin East, pl. 13, 340; Malloy et al., *Coins of the Crusader States*, 209-10, 44.

⁶¹ Schlumberger, *Numismatique de l’Orient Latin*, 58, pl. III, 1; Metcalf, *Coinage of the Crusades and the Latin East*, pl. 13, 341; Malloy et al., *Coins of the Crusader States*, 214.

⁶² Schlumberger, *Numismatique de l’Orient Latin*, 52, pl. III, 3; Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 396; Malloy et al., *Coins of the Crusader States*, 227-28.

⁶³ Malloy et al., *Coins of the Crusader States*, 40-41.

⁶⁴ Schlumberger, *Numismatique de l’Orient Latin*, 103, pl. IV, 8; Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 375-76, 402; Metcalf,

(სურ. 54), სრულწლოვნობის ხანის (1163-1201) მონეტაზე კი ისევ ვხვდავთ ბეზანტებს ოთხივე კანტონში⁶¹ (სურ. 55). ასეთივე მონეტა, ბეზანტებით ჯვრის ოთხივე კანტონში, იჭრება 1215-50 წლებში, ბოემუნდ IV-ის (1201-16, 1219-33) ან ბოემუნდ V-ის (1233-52) მიერ⁶² (სურ. 56).

ტრიპოლის საგრაფოს ფული, მთელი მისი არსებობის მანძილზე, 1109 წელს ტრიპოლის ალებიდან 1289 წლამდე, როდესაც მამლუქთა სულთანმა კალაუნმა ქალაქი დაიპყრო, ევროპული მონეტების აშკარა გავლენას განიცდიდა.⁶³ ტრიპოლში რაიმონდ II (1137-52) ჭრიდა მონეტას ჯვრის ოთხივე კანტონში ბეზანტებით⁶⁴ (სურ. 57), რომელიც ანტიოქიურ ფულთან ერთად ერთ-ერთი უადრესი ჯვაროსნული მონეტაა ხუთფიგურიანი ჯვრის გამოსახულებით. მის სხვა მონეტაზე ჯვრის პირველ და მეორე კანტონში თითო-თითო ბეზანტია, მესამე და მეოთხე კანტონში კი სამ-სამი ბეზანტი ან რგოლი⁶⁵

Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 14, 363; C. J. Sabine, “The Billon and Copper Coinage of the Crusader County of Tripoli, c. 1102-1268,” *The Numismatic Chronicle*, 20 (1980), nos. 168-93; Metc. 506;

Malloy et al., *Coins of the Crusader States*, 168.

⁶⁵ Schlumberger, *Numismatique de l’Orient Latin*, 101-2, pl. IV, 3; Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 375-76, 402;

Sabine, “The Billon and Copper Coinage of the Crusader County of Tripoli,” nos. 128-67; Metcalf, *Coinage of the Crusades and the Latin East*, pl. 14, 362; Malloy et al., *Coins of the Crusader States*, 168.



სურ. 53
რაიმონდ პუატიეს ხანის (1136-49)
ანონიმური მონეტა.



სურ. 54
ბოემუნდ III ანტიოქელის მცირე-
ლოვზობის (1149-63) მონეტა.



სურ. 55
ბოემუნდ III ანტიოქელის (1163-
1201) მონეტა.



სურ. 56
ბოემუნდ IV-ის (1201-16, 1219-33)
ან ბოემუნდ V-ის (1233-52) მონე-
ტა.



სურ. 57
რაიმონდ II-ის (1137-52) ხუთფიგ-
ურიანი მონეტა.



სურ. 58
რაიმონდ II-ის (1137-52) მონეტა.



სურ. 59
რაიმონდ II-ის (1137-52) ან რაი-
მონდ III-ის (1152-87) დენიე.



სურ. 60
ამალრიკის (1163-74) დენიე.



სურ. 61
ჰენრი შამპანელის (1192-97) მონე-
ტა.



სურ. 62
ეიმერი ლუზინიანის (1197-1205)
მონეტა.



სურ. 63
ჟან დე ბრიენის (1210-25) დენიე.



სურ. 64
გი დე ლუზინიანის (1192-94) დე-
ნიე.



სურ. 65
ჰუგო I-ს (1205-18) დენიე.



სურ. 66
შარლ I ანჟუელის (1266-85) ოქროს
მონეტა. ბრიტანეთის მუზეუმი.



სურ. 67
შარლ I ანჟუელის (1266-85) ვერ-
ცხლის ფული. ბრიტანეთის მუზე-
უმი.



სურ. 68
შარლ I ანჟუელის (1266-85) მონ-
ეტები ცენტრალური ჯგერის კან-
ტონებში პატარა ჯგერებით (ა), ბე-
ზანტებით (ბ), სამსჭვლებითა (გ)
და ვარსკვლავებით (დ).



სურ. 69
ამალრიკისა (1306-10) და ჰენრი
II-ის (1285-1306, 1310-24) მონეტა.



სურ. 71
ჰენრი II-ის (1285-1306, 1310-24)
ვერცხლის ფული.



სურ. 72
ჰენრი II-ის (1285-1306, 1310-24)
დენიე.

(სურ. 58). 1149-64 წლებში რაიმონდ II (1137-52) ან რაიმონდ III (1152-87) ჭრის მონეტებს, სადაც ჯვრის კანტონებში ორი ბეზანტი სხვადასხვა თანმიმდევრობით არის განლაგე-ბული: პირველ და მეორე⁶⁶ (სურ. 59), პირველ და მესამე,⁶⁷ მესამე და მეოთხე კანტონ-ში.⁶⁸ ბოემუნდ V-ის (1233-51) ფულზე ბეზანტი მხოლოდ ჯვრის პირველ⁶⁹ ან მესამე (სამი ცალი)⁷⁰ კანტონშია, ბოემუნდ VI-სთან (1251-75) კი ბეზანტები მეორე და მეოთხე კან-ტონშია.⁷¹ ტრიპოლში 1266 წლის შემდეგ მოჭრილი ანონიმური მონეტა კვლავ იმეორებს ხუთფიგურიან კომპოზიციას ჯვრის ოთხივე კანტონში ბეზანტით.⁷²

XIII საუკუნეში ლევანტში ჯვაროსანი ბარონების მიერ მოჭრილი ფულიც მრავალ-ფეროვნებით გამოირჩევა. **ბეირუთში** იოანე I იბელინის (1205-36) მონეტებზე ჯვრის პირველ და მეოთხე კანტონში ხან ბეზანტები და ხანაც რგოლებია, გვხვდება ნახევარმთვარე მეორე და მესამე კანტონში, ისევ როგორც რგოლი მეოთხეში.⁷³ **ტვიროსში** კი ფილიპ მონფორტის (1243-70) ფულზე ხუთფიგურიანი ჯვარია გამოსახული ოთხივე კანტონში ბეზანტით.⁷⁴

იერუსალიმის სამეფოს ფული ხუთფიგურიანი ჯვრის გამოსახვაში ჩამორჩებო-და სხვა ჯვაროსნულ სახელმწიფოებს. მათი უმთავრესი სიმბოლო დავითის კოშკი ან წმინდა საფლავის (აღდგომის) ეკლესია იყო, რომლის მეორე მხარეს მარტივი ტოლმ-კლავა ჯვარი იყო მოთავსებული. მხოლოდ ამალრიკის მეფობაში (1163-74) იწყება ჯვრის კანტონებში მრგვალი ფიგურების განთავსება, ისიც არასრულად. ამალრიკის მონეტაზე, რომლის რამდენიმე ტიპი არსებობს, გამოსახულია ჯვარი მეორე და მეს-ამე კანტონში რგოლებით⁷⁵ (სურ. 60). ის ჭრიდა მონეტასაც პირველ და მეოთხე კან-ტონში რგოლებით.⁷⁶ ჰენრი შამპანელი (1192-97), რომელიც იზაბელა იერუსალიმე-ლის კონსორტი იყო, უკვე ჯვრის ოთხივე კანტონში ათავსებს რგოლებს⁷⁷ (სურ. 61). ეიმერი ლუზინიანის (1197-1205) მიერ მოჭრილი ფული კი უფრო მრავალფეროვანია: აქ გვხვდება ჯვარი მეორე და მესამე კანტონში რგოლებით ან ბეზანტებით; მეორე კანტონში რგოლით, მესამეში კი ბეზანტით (სურ. 62); პირველ და მეოთხე კანტონში რგოლებით.⁷⁸ დამკვიდრებულ ტრადიციას მისდევს ჟან (იოანე) დე ბრიენიც (1210-25), რომლის მონეტებზე ჯვრის მეორე და მესამე კანტონში რგოლები (სურ. 63) ან ბეზან-ტებია განლაგებული.⁷⁹

კვიპროსზე გი დე ლუზინიანის (1192-94) მეფობის ხანაში იჭრება ფული ჯვრის პირ-ველ და მეოთხე კანტონში რგოლებით, მეორე და მესამე კანტონში ბეზანტებით (სურ. 64), ისევე როგორც ჯვრის ოთხივე კანტონში ბეზანტებით და ნახევარმთვარისა და ბეზანტების მონაცვლეობით პირველ-მეოთხე და მეორე-მესამე კანტონებში.⁸⁰ ეიმერი ლუზინიანის (1194-1205) მონეტაზე ჯვრის პირველ და მეოთხე კანტონში ნახევარმთ-ვარეა, მეორესა და მესამეში კი ბეზანტები.⁸¹ ჰუგო I-ს (1205-18) მონეტებზე ნახევარ-მთვარეები ბურთულით (პირველ და მეოთხე კანტონში) ადგილს უცვლიან ბეზანტებს (მეორე და მესამე კანტონში)⁸² (სურ. 65). ეს ურთიერთმონაცვლეობა შეინიშნება ჰენრი I-ს (1218-53) ფულზეც, სადაც ჯვრის კანტონებში ერთმანეთს ადგილს უცვლიან რგო-ლები (პირველი და მეოთხე კანტონი) და ნახევარმთვარეები (მეორე და მესამე კანტო-ნი). ჰენრი ასევე ჭრიდა ფულს ჯვრის ოთხივე კანტონში რგოლებითა და ბეზანტებით, ბეზანტებით პირველ და მეოთხე ან მეორესა და მესამე კანტონში.⁸³

^[1] Sabine, “The Billon and Copper Coinage of the Crusader County of Tripoli,” nos. 15-25; Metcalf,

^[2] Sabine, “The Billon and Copper Coinage of the Crusader County of Tripoli,” nos. 15-25; Metcalf, Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 14, 365; Malloy et al., Coins of the Crusader States, 169.

^[3] Sabine, “The Billon and Copper Coinage of the Crusader County of Tripoli,” nos. 5-14; Metcalf, Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 14, 364.

^[4] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 102, pl. IV, 4; Sabine,

^[5] “The Billon and Copper Coinage of the Crusader County of Tripoli,” nos. 26-35; Metcalf, Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 14, 366-68; Malloy et al., Coins of the Crusader States, 169.

^[6] Sabine, “The Billon and Copper Coinage of the Crusader County of Tripoli,” no. 68; Malloy et al., Coins of the Crusader States, 172.

^[7] Sabine, “The Billon and Copper Coinage of the Crusader County of Tripoli,” nos. 75-127; Malloy et al., Coins of the Crusader States, 173.

^[8] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 105, pl. IV, 23; Malloy et al., Coins of the Crusader States, 174.

^[9] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 106, pl. IV, 24; Sabine, “The Billon and Copper Coinage of the Crusader County of Tripoli,” nos. 332-42; Malloy et al., Coins of the Crusader States, 175.

^[10] Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 382, 406; Malloy et al., Coins of the Crusader States, 149-50.

^[11] Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 383, 407; Malloy et al., Coins of the Crusader States, 143-44.

^[12] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 85, pl. III, 19-20; Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 374, 398; Metcalf, Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 6, 99; Malloy et al., Coins of the Crusader States, 74-76.

^[13] Metcalf, Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 6, 115; Malloy et al., Coins of the Crusader States, 76.

^[14] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 92, pl. III, 28-29; Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 381, 399; Metcalf, Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 7, 120; Malloy et al., Coins of the Crusader States, 77-78.

^[15] Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 399; Malloy et al., Coins of the Crusader States, 78-79.

^[16] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 93, pl. III, 31; Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 381, 399-400; Metcalf, Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 7, 122; Malloy et al., Coins of the Crusader States, 79-80.

^[17] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 183, pl. VI, 2; Metcalf, Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 18, 460; Malloy et al., Coins of the Crusader States, 269-70.

^[18] Malloy et al., Coins of the Crusader States, 270.

^[19] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 186, pl. VI, 4-5; Metcalf, Coinage of the Crusades and the Latin East, pl. 18, 463, 465; Malloy et al., Coins of the Crusader States, 271.

^[20] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 187, pl. VI, 8, 12; Malloy et al., Coins of the Crusader States, 274-75.


სურ. 73

იერუსალიმის ჯვარი როგორც პილიგრიმოზის ნიშანი. კლუნის მუზეუმი, პარიზი. ავტორის ფოტო.

სურ. 74. ჯვაროსანთა ჯვარი, რომელიც ატარებდნენ ჯვაროსანთა ჯვარის მფლობელები

^[1] Jean Dunbabin, Charles I of Anjou: Power, Kingship and State-Making in Thirteenth-Century Europe (Abingdon, 2014), 133.

^[2] Steven Runciman, The Sicilian Vespers: A History of the Mediterranean World in the Later Thirteenth Century (Cambridge, 1958), 173, 178-80; Dunbabin, Charles I of Anjou, 96-97.

^[3] როდესაც მონეტაზე გერბი ჩნდება, ის თითქმის ყოველთვის წარმოადგენს მისი მომჭრელის ოფიციალურ გერბს. Haxthausen, “The Jerusalem Cross,” 271.

^[4] იქვე, 272.

^[5] ეს იდენტифიკაცია მიაა პატაროდ-ეს ეკუთვნის.

^[6] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 190, pl. VI, 17; D. M. Metcalf, “The Gros grand and the Gros petit of Henry II of Cyprus: Part 1,” The Numismatic Chronicle, 142 (1982), 97, pl. 23. ი. ფოლდა ერთგვარ ირონიას ხედავს იმ ფაქტში, რომ იერუსალიმის ჯვარი იერუსალიმის სამეფოს მონეტებზე ჩნდება ასე გვიან, მხოლოდ იერუსალიმის სამეფოს დაცემის შემდეგ და ისიც კვიპროსზე მოჭრილ მონეტებზე. Folda, Crusader Art in the Holy Land, 506.

^[7] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 191, pl. VI, 18-19; Metcalf, “The Gros grand and the Gros petit of Henry II of Cyprus: Part I,” 98, pl. 24; Malloy et al., Coins of the Crusader States, 255, 279-280.

^[8] იხ. კვიპროსის მეფეთა ცდები განემტკიცებინათ თავიანთი ლეგიტიმურობა იერუსალიმის მეფის პრესტიჟულ ტიტულზე. Simon Rousselot, “Chypre, carrefour méditerranéen à l’aune de l’héraldique. Les armoiries du roi Hugues IV de Lusignan (1324-1359),” Revue française d’héraldique et de sigillographie – Études en ligne, 7 (2021), 10-11. კვიპროსის მეფე ჰენრი II ლუზინიანი შარლ I ანჟუელის სიკვდილის შემდეგ იერუსალიმის მეფედაც ეკურთხა 1286 წელს. Haxthausen, “The Jerusalem Cross,” 272.

^[9] Schlumberger, Numismatique de l’Orient Latin, 192, pl. VI, 20-22; Malloy et al.,

ზემოთ წარმოდგენილი ჯვაროსნული მონეტების ანალიზის შედეგად ცხადია, რომ ისინი არ მისდევენ რაიმე კანონზომიერებას ჯვრის კანტონებში ბეზანტების, ბურთულებისა თუ ნახევარმთვარეების განლაგებაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ცენტრალური ჯვრის კანტონებში მოთავსებული ფიგურების რაობასა და განლაგებას ჯვაროსნები რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ცხადია, რომ ისინი არავითარ პერალდიკურ დატვირთვას არ ატარებდნენ და მხოლოდ დეკორატიული მიზნით გამოიყენებოდნენ.

ხუთჯვრიანი კომპოზიცია, რომელსაც შემდგომში იერუსალიმის ჯვარი ეწოდა, მხოლოდ 1277 წელს გვხვდება მონეტაზე. 1266 წელს სიცილიის სამეფოს ტახტს შარლ I ანჟუელი (1266-85) დაეუფლა.⁸⁴ 1277 წელს მან, პაპის კურთხევით, მარია ანტიოქელის-აგან, რომელიც დედის მხრიდან იერუსალიმის მეფეთა შთამომავალი იყო, შეიძინა მისი უფლებები იერუსალიმის სამეფოზე. შარლი იერუსალიმის მეფედ ეკურთხა და დაეუფლა აკრას, რომლის შემოგარენილა იყო დარჩენილი ძველი სამეფოს მიწებიდან.⁸⁵ ამ მოვლენის აღსანიშნავად მან მოჭრა ოქროს ფული ავერსზე ღვთისმშობლის ხარების გამოსახულებით, რევერსზე კი თავისი ახალი გერბით,⁸⁶ რომელშიც გაერთიანებული იყო იერუსალიმის ჯვარი და ანჟუური შროშანები (სურ. 66). ო. ჰაქსტჰაუზენი მიუთითებს, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მონეტაზე იერუსალიმის ჯვარი ჩნდება.⁸⁷ ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აქ, ოთხ კანტონში მოთავსებული პატარა ჯვრების გარდა, მეხუთეც არის წარმოდგენილი და ასეა შარლის ვერცხლის ფულზეც (სურ. 67). საერთოდ, მისი მონეტების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ამ დროისათვის ხუთჯვრიანი კომპოზიცია ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დასრულებული და გავრცელებული: სხვადასხვა ფორმის ცენტრალური ჯვრის კანტონებში პატარა ჯვრების გარდა გვხვდება ბეზანტები, სამსჭვალე-ბი⁸⁸ და ვარსკვლავები (სურ. 68). ამავე დროს, ცხადია, რომ ამ დროისათვის პატარა ჯვრებით გარემოცული დიდი ჯვარი უკვე აღიქმებოდა როგორც იერუსალიმთან დაკავშირებული სიმბოლო, რომლის საბოლოო სახის ჩამოყალიბება მალევე ხდება.

კლასიკური სახით ხუთჯვრიანი კომპოზიცია (ცენტრალური ჯვრის ოთხივე კანტონში ოთხი პატარა ჯვარი) გვხვდება კვიპროსზე ჰენრი II-ის ძმის ამალრიკის (1306-10) უზურპაციის ხანაში, ორივეს სახელით მოჭრილ ფულზე, სადაც ავერსზე იერუსალიმის ჯვარია გამოსახული⁸⁹ (სურ. 69). მეორე, მხოლოდ ამალრიკის სახელით მოჭრილ ფულზე სიუჟეტი ცოტათი იცვლება: მონეტის რევერსზე აღბეჭდილი ჰერალდიკური ფარის ერთ ნახევარში იერუსალიმის ჯვარი, მეორეში კი ლუზინიანების გერბია წარმოდგენილი⁹⁰ (სურ. 70). ასე გაყოფილ ფარს ვხედავთ უფრო ადრე შარლ ანჟუელის მონეტაზე, სადაც იერუსალიმის ჯვრის გვერდით ფრანგული შროშანებია მოცემული როგორც შარლ ანჟუელის გერბი, აქ კი ლუზინიანების გერბი – ლომია გამოსახული. როგორც ჩანს, ლუზინიანთა მხრიდან ეს კომპოზიცია საგანგებოდ იქნა შერჩეული, როგორც ხაზგასმული პრეტენზია იერუსალიმის სამეფოზე.⁹¹ ამალრიკის დამკვიდრებულ ტრადიციას აგრძელებს ჰენრი II-ც (1285-1306, 1310-24), რომლის მეორე მეფობის (1310-24) ხანაში მოჭრილ ვერცხლზე იერუსალიმის ჯვარია აღბეჭდილი⁹² (სურ. 71). პარალელურად, ჰენრი ზილონის დენიესაც ჭრიდა, რომლის ავერსზეც ჯვრის ოთხივე კანტონში ბეზანტები იყო გამოსახული⁹³ (სურ. 72).

როგორც ვხედავთ, ხუთჯვრიანი კომპოზიცია მხოლოდ XIV საუკუნის დამდეგიდან მკვიდრდება იერუსალიმის სიმბოლოდ.

სურ. 70. ჰენრი II-ის ჯვარი

დროთა განმავლობაში იერუსალიმის ჯვარი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. პალმის რტოსთან ერთად, ის იყო წმინდა მიწაზე პილიგრიმოზის დამადასტურებელი ყველაზე პრესტიჟული სუვენირი.⁹⁴ რამდენიმე მათგანმა ჩვენამდეც მოაღწია (სურ. 73).

სურ. 74. ჯვაროსანთა ჯვარი, რომელიც ატარებდნენ ჯვაროსანთა ჯვარის მფლობელები

^[1] Coins of the Crusader States, 255-56, 280-83.

^[2] Metcalf, Coinage of the Crusades

^[3] and the Latin East, pl. 22, 544-45; Malloy et al., Coins of the Crusader States, 256, 283.

^[4] Denis Bruna, Enseignes de pèlerinages et enseignes profanes (Paris, 1996), 56-57.



სწორედ ასეთი იერუსალიმის ჯვრით დამშვენებულ ხუთ პილიგრიმს ვხედავთ იან ვან სქორელის 1541 წლის ტილოზე (სურ. 74). პილიგრიმებში ფართოდ იყო გავრცელებული სხეულზე იერუსალიმის ჯვრის ტატუირებაც, რასაც ისინი ერთგვარი გერბის სახით ატარებდნენ (სურ. 75). ეს ტატუ, რომელსაც, როგორც წესი, წინამხარზე იკეთებდნენ, სამახსოვროს გარდა, ერთგვარ დამცავ როლსაც ასრულებდა ადგილობრივი მუსლიმებისა თუ ბედუინების წინაშე, რომელთაც ამ ნიშნით პილიგრიმის სტატუსს უდასტურებდა.⁹⁵

ხუთი ჯვარი ქრისტიანულ ლიტურგიკაში⁹⁶

თავად იერუსალიმის ხუთი ჯვრით აღნიშვნის იდეის თეორიული და თეოლოგიური საფუძვლები უკვე შემზადებული იყო ქრისტიანულ მოძღვრებაში. იერუსალიმი განუყოფლად იყო დაკავშირებული ქრისტესა და მის ვნებასთან, რომლის დროსაც მაცხოვარი ჯვარზე ეწამა და ხუთი ჭრილობა მიიღო. ქრისტეს ჭრილობების სიმბოლურად ჯვრით აღნიშვნაც ტრადიციად იყო ქცეული საქრისტიანოში.⁹⁷

ხუთი ჯვარი, როგორც მაცხოვრის ხუთი ჭრილობის განსახიერება და როგორც ქვეყნიერების ოთხივე მხარე, რომლისთვისაც ის ეწამა, ქრისტიანულ ლიტურგიკაში ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე იყო დამკვიდრებული. გიიომ დურანდის (1230-96), ცნობილი ფრანგი თეოლოგის, რომის კურიის წევრისა და მენდეს ეპისკოპოსის 1286 წლ-


^[95] ვრცლად იხ. Katherine Dauge-Roth, *Signing the Body Marks on Skin in Early Modern France* (Abingdon, 2020), 171-215.

^[96] მაღლობა ეკუთვნის პარიზის სერჟის უნივერსიტეტის მკვლევარსა და ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის მრჩეველს ნიკოლა ვერნოს, რომელმაც

მიმითითა გიიომ დურანდის ნაშრომსა და ხუთი ჯვრის სიმბოლურ მნიშვნელობაზე ქრისტიანულ ლიტურგიკაში.

^[97] ჯვაროსანთა შემეცნებაში ჯვარი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმთან; უფლის საფლავისა და იერუსალიმის მონახულების სურვი-

ლი ხშირად გამხდარა მიზეზი ჯვრის ტვირთვისათვის. ხსნისა და მომლოცველობის სიმბოლო – ჯვარი იყო იერუსალიმისაკენ ჯვაროსნისა თუ ყოველი ქრისტიანის სულიერი და მინიერი სწრაფვის განსახიერება. Constable, “The Cross of the Crusaders,” 88, 91.



სურ. 75
გერმანელი რატგე შტუბეს ტატუირებული მკლავები წმინდა მიწაზე 1669 წლის პილიგრიმოზის სამახსოვროდ.



სურ. 76

საკურთხევის ქვა ხუთი ჯვრით,

ვესული (საფრანგეთი), XVIII ს. (ა);

საკურთხევის ქვა პუსიდან (საფრანგეთი), 1707 წ. (ბ).

საკურთხევის ქვა პუსიდან (საფრანგეთი), 1707 წ. (ბ).

ისათვის დაწერილ ტრაქტატში *Rationale divinorum officiorum*, რომელსაც XIII საუკუნის ლიტურგიკულ ენციკლოპედიას უწოდებენ და რომელშიც შეჯამებული და მოწესრიგებულია წინარე ლიტურგიკული პრაქტიკა, ამომწურავადაა ახსნილი ქრისტიანული რიტუალის წარმოშობა და სიმბოლიზმი.⁹⁸ აქვე მოცემულია ხუთი ჯვრის სიმბოლური მნიშვნელობაც. დურანდის მიხედვით, ეკლესიაში საკურთხევის კურთხევისას მღვდელმსახური ოთხივე კუთხით გამოსახავს ჯვარს და ერთსაც საკურთხევის ცენტრში; ოთხი ჯვარი მიუთითებს, რომ ქრისტემ ჯვრით იხსნა ქვეყნიერების ოთხი კუთხე, საკურთხევის ცენტრში ჯვრის გამოსახვა კი დედამიწის შუაგულში, იერუსალიმში ქრისტეს მიერ განცდილ ვნებასა და მით მოტანილ ხსნას ნიშნავს.⁹⁹ მეორეგან, საკურთხეველზე ხუთი ჯვრის ზეთით ცხებისას დურანდი განმარტავს, რომ ხუთი ჯვარი ნიშნავს ქრისტეს ხუთ ჭრილობას, რომელიც მან ჯვარზე გაკვრისას მიიღო ხელებზე, ფეხებსა და ფერდში.¹⁰⁰

ჩატარებული კურთხევის რიტუალის აღსანიშნავად საკურთხევის ქვაზე ხუთ ჯვარს ამოკვეთდნენ, ერთს ცენტრში, ოთხს კი კუთხეებში¹⁰¹ (სურ. 76). საკურთხეველზე ჯვრების ამოკვეთის ტრადიციის თარიღი ზუსტად არ არის დადგენილი, თუმცა მის შემოღებას შუა საუკუნეების დადგომისთანავე ვარაუდობენ.¹⁰² საკურთხეველზე ხუთი ჯვრის გადანერის რიტუალი კი რომის პაპის გრიგორი დიდის (590-604) დროინდელ ლიტურგიკულ დოკუმენტებში დასტურდება.¹⁰³

აქედან ცხადია, რომ იერუსალიმის გერბად ქრისტეს ხუთი ჭრილობის აღმნიშვნელი ხუთი ჯვრის ფორმირება მხოლოდ დროის საკითხი იყო. ალბათ, ის უფრო უნდა გვიკვირდეს, რომ ხუთჯვრიანი სიმბოლოს დამკვიდრება შედარებით გვიან მოხდა, რისი ახსნაც XII საუკუნეში ჰერალდიკის უმნიფრობით თუ შეიძლება.

ჯვარი ბეზანტებით ბაიოს გობელენზე

ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ ხუთი ჯვრის კომბინაციით შედგენილმა იერუსალიმის გერბმა საბოლოო, დახვეწილი სახე XIV საუკუნეში მიიღო. მაგრამ საიდან მოდის ეს ხუთფიგურიანი კომპოზიცია, რომელიც ასე ხშირად და სხვადასხვა ფორმით გვხვდება ჯვაროსნულ იკონოგრაფიაში? სად უნდა ვეძებოთ ამ გეომეტრიული სიუჟეტის სათავე?

XI საუკუნის II ნახევრის ბაიოს გობელენზე, რომელიც 1066 წელს ინგლისის დაპყრობის ამბავს მოგვითხრობს, გამოსახულია გადამწყვეტი მომენტი ბრძოლაში, როდესაც ნორმანთა რიგებში ხმა გავარდა, რომ ჰერცოგი მოკლეს. მუზარადმოხდილი ვილჰელმი აგულიანებს თავის მებრძოლეს და აჩვენებს, რომ ცოცხალია. მის გვერდითაა ფიგურა დროშით, თავზე დაზიანებული წარწერით: E[VSTA]TIVS. ეს უნდა იყოს ბულონის გრაფი ეუსტაშ II (1049-87), რომელიც ნორმანთა მხარეზე იბრძოდა. ეუსტაშს ხელთ უპყრია



სურ. 77
ეუსტაშ II დროშით ბაიოს გო-
ბელენზე.

სურ. 78
სენ დენის კათედრალის ფერადი
ვიტრაჟები: ჯვაროსანთა ბრძოლა
ყილიჩ არსლანთან (ა), რობერტ
ფლანდრიელის ორთაბრძოლა მუ-
სლიმთან (ბ).



დროშა, რომელსაც ზოგჯერ რომის პაპის მიერ გამოგზავნილ დროშად მიიჩნევენ¹⁰⁴ (სურ. 77). ეს საეჭვო მოსაზრებაა, რადგან ჯერ ერთი, ბაიოს გობელენი საერთოდ არ ახსენებს პაპს და მეორეც, მისი გაგზავნილი დროშით სწორედ ნორმანდიის ჰერცოგი უნდა გამოესახათ და არა სხვა ვინმე.¹⁰⁵ რიგი ავტორები თვლიან, რომ ეუსტაშს ხუთ-ჯვრიანი დროშა უპყრია ხელთ და რომ ამ დროშას მისი შვილები (იერუსალიმის პირველი მეფეები გოდფრუა და ბალდუინი) იყენებდნენ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში.¹⁰⁶ სინამდვილეში ეუსტაშის დროშის ცენტრალური ჯვრის კანტონებში ბეზანტებია ამოქარგული და ოტო ჰაქსტჰაუზენმა სამართლიანად გააკრიტიკა სესილ ჰამფერი-სმითი, რომელიც აქ პატარა ჯვრებს ხედავდა.¹⁰⁷

საკითხს მეტ ბუნდოვნებას მატებს დაახლ. 1140 წელს შექმნილი პარიზის სენ დენის კათედრალის ფერადი ვიტრაჟები,¹⁰⁸ რომლებზეც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობაა წარმოდგენილი. ერთი ვიტრაჟი გვიჩვენებს ჯვაროსანთა პირველ ბრძოლას ყილიჩ არსლანთან, მეორე კი ფლანდრიის გრაფის რობერტის ორთაბრძოლას მუსლიმ მონინალმ-დეგესთან. ორივე მათგანზე ვხედავთ ჯვაროსანთა დროშას ჯვრის კანტონებში ოთხი ბეზანტით¹⁰⁹ (სურ. 78). თუმცა, როგორც დ. რენი აღნიშნავს, XII საუკუნის შუახანებში შექმნილი ეს ვიტრაჟები არ არის პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის თანადროული და ვერ გამოდგება ავთენტური მტკიცებულებად.¹¹⁰

ჯვარი ბეზანტებით გვხვდება ჯერ კიდევ ნორმანდიის ჰერცოგების გიიომ I-ის (927-43),¹¹¹ რიშარ I-ის (943-96)¹¹² და რიშარ II-ის (996-1026)¹¹³ მონეტებზე (სურ. 79), ხოლო ინგლისის მეფედ გახდომის შემდეგ მსგავსს ჭრიდა ვილჰელმ დამპყრობელიც¹¹⁴ (სურ. 80). ამ მსგავსების საფუძველზე დ. სპიარი თვლიდა, რომ ბაიოს გობელენზე გამოსახული დროშა შეიძლება ნორმანდიის ჰერცოგსაც კი ეკუთვნოდეს.¹¹⁵ თუმცა, მ. ლუისი შენიშნავს, რომ იმხანად ასეთი მონეტა საკმაოდ პოპულარული იყო.¹¹⁶ მართლაც, X-XI საუკუნეების საფრანგეთში მონეტებს ჯვრის მკლავებში ბეზანტებით, ნორმანდიის გარდა, ჭრიდნენ აკვიტანიის ჰერცოგები,¹¹⁷ კარკასონის,¹¹⁸ როდეზისა¹¹⁹ და ლიონის¹²⁰ გრაფები. მათ ასევე ჭრიდნენ გერმანიაში (შვაბია, საქსონია, ვესტფალია, ა.შ.), ნიდერლანდებში (ფრისლანდია, უტრეხტი), ინგლისში და სხვ. (სურ. 81). ასეთ ფულს ჭრიდნენ ბულონის

Michael Lewis, Gale Owen-Crocker and Dan Terkla (Oxford 2010), 76.

¹¹⁶ Michael J. Lewis, “‘Incipient Armoury’ in the Bayeux Tapestry?,” *The Coat of Arms*, 223 (2012), 4.

¹¹⁷ გიიომ VIII (1058-86). Duplessy, *Les monnaies françaises féodales*, t. I, 251, no. 1019.

¹¹⁸ როჟე II და პიერ II (1012-60), რაიმონდ ბერენგერ I (1067-76) ან II (1076-82). Ibid., 382, nos. 1516, 1519.

¹¹⁹ ჰუგო I (1008-54). Ibid., 301, no. 1169.

¹²⁰ გიიომ I (921-23). Jean Duplessy, *Les monnaies françaises féodales*, t. II (Paris, 2010), 219, nos. 2521, 2521A.

¹⁰⁴ E. M. C. Barraclough, “The Flags in the Bayeux Tapestry,” in *Recueil du Ile Congrès International de Vexillologie* (Zurich, 1968), 27; David M. Wilson, *The Bayeux Tapestry* (London, 1985), 194, pl. 68; Derek Renn, “Burhgeat and Gonfanon: Two Sidelights from the Bayeux Tapestry,” *Anglo-Norman Studies*, 16 (1994), 191. ცნობილია, რომ ინგლისში ლაშქრობის წინ, რომის პაპმა ალექსანდრე II-მ (1061-73) დროშა გაუგზავნა ვილჰელმ დამპყრობელს, რათა მისი „წინ წამძღვარებით მტრისათვის უფრო გაბედულად და უშიშრად შეეცა“. *The Gesta Guillelmi of William of Poitiers*, edited and translated by R. H. C. Davis and Marjorie Chibnall (Oxford, 1998), 104-5.

¹⁰⁵ Catherine Morton, “Pope Alexander II and the Norman Conquest,” *Latomus*, 34/2 (1975), 366-67.

¹⁰⁶ Cecil R. Humphery-Smith. *Anglo-Norman Armory* (Canterbury, 1973), 97; Woodcock, Robinson, *The Oxford Guide to Heraldry*, 7.

¹⁰⁷ Haxthausen, “The Jerusalem Cross,” 269.

¹⁰⁸ ეს ვიტრაჟები საფრანგეთის რევოლუციის დროს განადგურდა, ჩვენამდე მხოლოდ XVIII საუკუნის I მეოთხედის ბერნარ დე მონფოკონის გრაფიურებმა მოაღწია. ვრცლად იხ. Elizabeth A. R. Brown, Michael Cothren, “The Twelfth-Century Crusading Window of the Abbey of Saint-Denis,” *Journal of the Warburg and Courtauld Institutes*, 49 (1986), 1-40.

¹⁰⁹ Bernard de Montfaucon, *Les monuments de la monarchie française*, t. I (Paris, 1729), pl. L, LIV.

¹¹⁰ Renn, “Burhgeat and Gonfanon,” 192.

¹¹¹ Jean Duplessy, *Les monnaies françaises féodales*, t. I (Paris, 2004), 12, no. 7.

¹¹² Duplessy, *Les monnaies françaises féodales*, t. I, 12-13, nos. 8, 10-11.

¹¹³ Ibid., 14, no. 21.

¹¹⁴ Renn, “Burhgeat and Gonfanon,” 192.

¹¹⁵ David Spear, “Robert of Mortain and the Bayeux Tapestry,” in *New Research on the Bayeux Tapestry: Proceedings of a Conference at the British Museum*, eds.



სურ. 79
ნორმანდიის ჰერცოგის რიშარ I
უშიშარის (946-96) მონეტა.

სურ. 80
ვილჰელმ დამპყრობლის 1083-86
წლების ინგლისური მონეტა.

სურ. 81
გერმანიის იმპერატორის ოტო III-
ის (996-1002) პფენიგი (ა); გრაფ
ჰერმან ფონ ბილუნგის (-1086) დე-
ნარიუსი (ბ); ინგლისის მეფის კნუ-
ტის (1016-35) ვერცხლის პენი (გ).

სურ. 82
ბულონის გრაფის ეუსტაშ I (1024-
49) დენიე.

სურ. 83
მეროვინგული მონეტები: ოქროს
ტრემისისი. VII ს. (ა); ვერცხლის
დენარიუსი. VIII ს. (ბ).

სურ. 84
კაროლინგური მონეტები: შარ-
ლემანის (768-814) დენარიუსი
(ა); ლუი I ღვთისმოსავის (814-40)
დენარიუსი (ბ); შარლ II მელოტის
(843-77) დენარიუსი (გ).

სურ. 85
ანგლო-საქსური სკეატი, 675-680
წწ. (ა); მერსიის მეფის ოფას (757-
96) ვერცხლის პენი (ბ); კენტის
მეფე კატრედის (798-807) ვერცხ-
ლის პენი (გ); აღმოსავლეთ ინგლი-
სის მეფის ეთელბერტ II-ის (760-
94) ვერცხლის პენი (დ).

სურ. 86
იუსტინიანე I-ის ნახევარფოლი-
სი ჯვრის კალთებში ასოებით (ა);
იუსტინიანე I-ის მონეტა ჯვრის
კალთებში 4 ვარსკვლავით (ბ).

სურ. 87
რომანოზ IV-ის (1068-71) ფოლისი
ასოებით ჯვრის კალთებში.

სურ. 88
გალათას ფილა პალეოლოგოსთა
გერბით. XIV საუკუნის I მესამე-
დი. სტამბოლის არქეოლოგიური
მუზეუმი.

სურ. 89
თეოდოსიუს II-ის ოქროს ტრემის-
ისი.

სურ. 90
ტიბერიუს II-ის სოლიდი.



გრაფებიც, ეუსტაშ I (1024-49), თავად ეუსტაშ II და მათი ჩამომავლებიც (ეუსტაშ III)^[21] (სურ. 82).

უფრო მეტიც, ხუთფიგურიან კომპოზიციას X-XI საუკუნეების ევროპელი მმართველების ფულზე გაცილებით უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა და მას ვნახულობთ უკვე რომის იმპერიის დაცემის შემდეგ წარმოქმნილ ბარბაროსული სახელმწიფოების მონეტებზე. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ხუთფიგურიანი კომპოზიცია ფართოდ არის გავრცელებული როგორც კონტინენტის, ისე ბრიტანეთის კუნძულების ნუმიზმატიკაში.

საიდან უნდა გადაეღოთ ახლადშექმნილ ბარბაროსულ სახელმწიფოებს ეს იკონოგრაფიული სიუჟეტი? როგორც ირკვევა, იქიდან, საიდანაც ისინი მუდმივად პოულობდნენ მიბაძვისა და შთაგონების წყაროს – რომის იმპერიის მემკვიდრეობიდან, ამ შემთხვევაში კი აღმოსავლეთ რომის იმპერიის მიერ მოჭრილი მონეტებიდან.

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ წარმოქმნილი ბარბაროსული სამეფოები ბიზანტიური ფულის წონითი სტანდარტებისა და იკონოგრაფიის წაბაძვით ჭრიდნენ მონეტებს.^[22] გერმანულმა ტომებმა (გუთებმა, ვანდალებმა, ბურგუნდებმა, ფრანკებმა, ანგლო-საქსებმა), რომლებმაც სახელმწიფოები შექმნეს იმპერიის ყოფილ მიწებზე, რომაულ სტანდარტზე დააფუძნეს თავიანთი მონეტარული სისტემები.^[23] მეროვინგების სამონეტო საქმე რომის იმპერიის ფულადი სისტემის გაგრძელებას წარმოადგენდა.^[24] „ნაციონალური“ მეროვინგული მონეტის რევერსზე, როგორც წესი, ჯვარი იყო აღბეჭდილი.^[25] მონეტის ზურგზე ჯვრის გამოსახვის წესი კონსტანტინოპოლიდან არის შემოსული.^[26]

ჯერ კიდევ მეროვინგებმა, ბიზანტიის მიბაძვით, თავიანთ მონეტებზე გამოსახული ჯვრის კანტონებში დაიწყეს სხვადასხვა ასო-ნიშნებისა და გეომეტრიული ფიგურების ჩასმა. მეროვინგების ოქროს ფულსა და ვერცხლის დენარიუსზე გვხვდება ჯვრის მკლავებში ბეზანტების გამოსახულებაც. (სურ. 83)

ამ ტენდენციამ კიდევ უფრო ფართო გავრცელება პპოვა კაროლინგურ ევროპაში. კაროლინგური მონეტების რევერსზე გამოსახული ჯვარი მეროვინგული ტრადიციის გაგრძელებაა. ზოგჯერ ჯვრის ოთხივე მკლავში ბურთულას ვხედავთ, ზოგჯერ კი ნახევარმთვარეებს ან რვა ბურთულას ოთხის ნაცვლად, ან ორ რგოლს მათ ნაცვლად.^[27] (სურ. 84)

ბრიტანეთშიც მოვლენები მსგავსად ვითარდებოდა. პოსტ-რომაული ინგლისის მონეტარული სისტემა ჯერ მეროვინგულ მოდელს ბაძავდა, შემდეგ კი კაროლინგურთან ერთად ვითარდებოდა.^[28] ანგლო-საქსური ინგლისის მონეტებზე მრავალფეროვან ხუთფიგურიან კომპოზიციებს ვაწყდებით: ასეთია VIII საუკუნის დამდეგის ადრეული ინგლისური პენი, რომელსაც მეროვინგული მონეტიდან აქვს გადმოღებული დიზაინი და რევერსზე ჯვრის მკლავებს შორის ოთხ რგოლს ატარებს;^[29] მერსიის მეფის ოფას (757-96) ვერცხლის პენი, რომლის შუბლზეც და ზურგზეც ჯვარია მკლავებს შორის ოთხი ბურთულით;^[30] კენტის მეფე კათრედის (798-807) ვერცხლის პენი ჯვრის კალთებში ოთხი სოლით;^[31] აღმოსავლეთ ინგლისის მეფის ეთელბერტ II-ის (760-94) ვერცხლის პენი ჯვრის თითოეულ მკლავში სამ-სამი ბურთულით,^[32] და ა.შ. (სურ. 85)

როგორც ვხედავთ, ლათინური ევროპის იკონოგრაფიამ ბიზანტიისაგან ისესხა ჯვრის ხუთფიგურიანი კომპოზიცია. როგორ წარმოიშვა და ვითარდებოდა ეს სიუჟეტი თავად აღმოსავლეთ რომის იმპერიაში?

ხუთფიგურიანი ჯვრები ბიზანტიაში

სხვადასხვა გამოსახულებებით მორთული ჯვარი კარგად არის ცნობილი აღმოსავლეთის საქრისტიანოში. მას შემდეგ, რაც ქრისტეს ლაბარუმმა 312 წელს გამარჯვება

^[1] Morton, “Pope Alexander II and the Norman Conquest,” 367. არსებობს აზრი, რომ ბულონის გრაფის დროშა და ფულზე გამოსახული ბურთების (boules) ფორმის ბეზანტები ბულონზე (Boulogne) მეტყველებენ. იქვე, 367, შენ, 17.

^[2] Jürgen Strothmann, “The Evidence of Numismatics: “Merovingian” Coinage and the Place of Frankish Gaul and Its Cities in an “Invisible” Roman Empire,” in The Oxford Handbook of the Merovingian World, eds. Bonnie Effros and Isabel Moreira (Oxford, 2020), 799.

^[3] Philip Grierson, Mark Blackburn, Medieval European Coinage: The Early Middle Ages (5th-10th Centuries), vol. I (Cambridge, 1986), 3.

^[4] Strothmann, “The Evidence of Numismatics,” 797-98. მეროვინგული ფულის ჭრა სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს: პირველი (500-587), როდესაც ბიზანტიის იმპერატორების გამოსახულებებიანი ფსევდო-იმპერიული ოქროს ფული იჭრებოდა; მეორე, „ნაციონალური“ (587-670), როდესაც მონეტაზე ადგილობრივი ქალაქებისა და პერსონების სახელები ჩნდება; და მესამე (670-ის შემდეგ), როცა ოქრო ვერცხლის ფულით ჩანაცვლდა. Grierson, Blackburn, Medieval European Coinage: The Early Middle Ages, 90.

^[5] Strothmann, “The Evidence of Numismatics,” 799.

^[6] Grierson, Blackburn, Medieval European Coinage: The Early Middle Ages, 119.

^[7] იქვე, 199. მაგალითად, IX საუკუნის II ნახევარში კაროლინგური იტალიის დენარიუსების ავერსი უცვლელი რჩებოდა და ცენტრალური ჯვრის კანტონებს შორის მოთავსებულ ოთხ ბურთს წარმოადგენდა. იქვე, 250.

^[8] Rory Naismith, Medieval European coinage: Britain and Ireland c. 400-1066, vol. 8 (Cambridge, 2017), 8-9.

^[9] Ibid., 95, pl. 4, 94.

^[10] J. J. North, English Hammered Coinage, vol. 1, Early Anglo-Saxon to Henry III c. 600-1272, 3rd ed. (London, 1994), pl. 4, 14.

^[11] North, English Hammered Coinage, pl. 2, 54; Naismith, Medieval European coinage: Britain and Ireland, pl. 32, 960.

^[12] Ibid., pl. 31, 930.

^[13] Soloviev, “Les emblèmes héraldiques de Byzance et les Slaves,” 155. ჯერ კიდევ 403 წელს წმ. იერონიმე (სტრიდონელი) წერდა, რომ რომაული „არმიის დროშები ჯვრის ნიშანს ატარებს“. Jerome, Select Letters, trans. F. A. Wright (Cambridge, MA, 1933), 342-43. იმავე ხანაში პრუდენციუსი (348-405) აღნიშნავდა, რომ „ჯარისკაცებმა მიატოვეს კეისრის აღმები, რომელსაც არჩიეს ჯვრიანი დროშები“. Prudentius, Peristephanon liber, trans. H. J. Thomson, vol. II (Cambridge, MA, 1953), 100-1.

^[14] Soloviev, “Les emblèmes héraldiques de Byzance et les Slaves,” 156; Cernovodeanu, “Contributions à l’étude de l’héraldique byzantine et postbyzantine,” 415. მაგალითისათვის, იხ. ჯვარი ოთხი ვარსკვლავით VI საუკუნის შუახანების იუსტინიანე I-ს (Wolfgang Hahn, Moneta Imperii Byzantini, t. 1 (Wien, 1973), 74, Nr. 237, 238), პერაკლე კეისრის 625 წ. (Wolfgang Hahn, Moneta Imperii Byzantini, t. 3 (Wien, 1981), 100, Nr. 150), ლეონტიოსის 695-98 წწ. (Hahn, Moneta Imperii Byzantini, t. 3, 182, Nr. 31), და ტიბერიუს III-ის 698-705 წწ. მონეტებზე (Hahn, Moneta Imperii Byzantini, t. 3, 189, Nr. 72).

^[15] Svoronos, “Byzantiaka Nomismatika Zitimata,” 363-89. ასევე იხ. Soloviev, “Les emblèmes héraldiques de Byzance et les Slaves,” 158; Cernovodeanu, “Contributions à l’étude de l’héraldique byzantine et postbyzantine,” 417. ეს სიმბოლო ჩანს ჯერ თეოდორე II ლასკარისის (1254-58) მონეტებზე, მოგვიანებით კი კონსტანტინოპოლის კედლებზე, რუკებსა და დროშებზე. Ousterhout, “Byzantium between East and West and the Origins of Heraldry,” 159.

^[16] აქ მოყვანილი მასალიდან ჩანს, თუ რამდენად უსაფუძვლოა შემდეგი განცხადება: „მართლმადიდებელი სამყარო არ იცნობს ხუთჯვრიანი კომპოზიციით გაწყობილ მონეტებს. ასეთი მონეტები მხოლოდ კათოლიკური ქვეყნების კუთვნილებაა“. ჯაველ-

მოუტანა კონსტანტინე დიდს, ჯვრის ნიშანი ხშირად გვხვდება ბიზანტიურ დროშებსა და ფულზე.^[33] ოთხი ასო-ნიშნით ან ოთხი ფიგურით (ჯვრები, ბეზანტები, ბურთულები, ვარსკვლავები) გაფორმებული ჯვარი ბიზანტიურ ნუმიზმატიკაში VI საუკუნიდან გამოიყენება^[34] (სურ. 86).

ბიზანტიურ მონეტებზე ჯერ კიდევ იუსტინიანე I-ს (527-65) დროიდან შეინიშნება ტეტრაგრამული ჯვრები ოთხი X-ს, ოთხი E-ს ან ოთხი სხვადასხვა ასოს კომბინაციით, რომლებიც უფრო მოგვიანებითაც გვხვდება: CBPA – რომანოზ IV-ის (1068-71) მონეტაზე (სურ. 87), CΦNΔ – ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-81) მონეტაზე, და სხვ. იოანის სვორონოსმა აჩვენა, რომ ასეთმა ტეტრაგრამულმა ჯვრებმა დასაბამი მისცა გვიანდელ პალეოლოგოსურ გერბს – ჯვარს, რომლის მკლავებს შორის ოთხი B არის მოთავსებული^[35] (სურ. 88).^[36]

საყრდენიანი ჯვარიც (*cross potent*), რომელიც შემდგომში ცენტრალურ ადგილს დაიკავეს იერუსალიმის ჯვარში, თავდაპირველად ბიზანტიაში გვხვდება. ის ჯერ კიდევ V საუკუნეში თეოდოსიუს II-ის (402-50) ფულზე დასტურდება (სურ. 89), შემდეგ კი საფეხურებზე მდგომი გოლგოთას ჯვრის ფორმით – ტიბერიუს II-ის (578-82) სოლიდზე^[37] (სურ. 90).

უნდა ითქვას, რომ ნუმიზმატიკური ნიმუშების გარდა, ცენტრალური ჯვრის მკლავებში მოთავსებული დისკოები, კვადრატები თუ ასოები უხვად მოიპოვება ნაირგვარ ბიზანტიურ მასალაშიც, როგორიცაა დეკორატიული ორნამენტი, მოზაიკა, გულსაკიდი ჯვრები თუ სანაწილეები. (სურ. 91)

ოტო ჰაქსტჰაუზენი კიდევ უფრო ღრმა ფესვებს ეძებს დისკოებიანი ჯვრის იკონოგრაფიისათვის. მისი აზრით, ადრეულ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში წმინდანთა თავებს ოქროსფერი დისკო – ნიმბი ამშვენებთ, ხოლო ქრისტეს, ზოგჯერ კი მამა ღმერთის, სულიწმინდისა და ფულის კრავის შარავანდედში ჯვარიც ჩანს. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ნიმბი წმინდანს აღნიშნავს, ჯვრიანი ნიმბი კი ღვთიურია. შესაბამისად, მკვლევარი ასკვნის, რომ ახლო აღმოსავლეთის ძველ ტაძრებში გამოსახული დისკოებით გარემოცული ჯვარი ნიშნავს ერთ „ღვთაებრივსა“ და ოთხ „წმინდანს“ ანუ ქრისტეს და ოთხ მახარებელს.^[38] თვალსაჩინოებისათვის, მას მოჰყავს დისკოებიანი ჯვრის ადრეული გამოსახულებები აღმოსავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიებიდან^[39] (სურ. 92 და 93). საინტერესო დაკვირვებაა, თუმცა საეჭვოა, რომ დისკოებიანი ჯვრის სიმბოლური მნიშვნელობა ასე იყოს ჰერალდიკაში გათავისებული, რადგან შემდგომ ევროპულ ნუმიზმატიკაში დისკოებს (ბეზანტებს) თანაბრად ენაცვლება ვარსკვლავები, ნახევარმთვარეები და სხვა სიმბოლოები, რომელთაც ვერ ჩავთვლით ქრისტეს და მისი მოციქულების აღმნიშვნელად; ეს კი ცენტრალური ჯვრის კანტონების გაფორმების გეომეტრიულ კანონზომიერებაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე მაცხოვრის სიმბოლურ აღნიშვნაზე.

იმის მიუხედავად, თუ რა აზრია ჩადებული დისკოებიანი ჯვრის სიმბოლიკაში, ის საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ბიზანტიურ სინამდვილეში და დროშებშიც შეაღწია. მეტიც, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დისკოებიანი ჯვარი საიმპერატორო ხელისუფლების სიმბოლოდაც იქცა. სულ გვიან, XI საუკუნეში მაინც, ბიზანტიაში დასტურდება დროშები, რომელთა ცენტრალური ჯვარი ბეზანტებით იყო გამშვენებული. ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცულ XI საუკუნის შუახანების მდიდრუ-

^[1] იძე, „ქართველთა საერო დროშის გამო“, 43; და რომ არ არის სწორი ეს დებულებაც: „კათოლიკური „ხუთჯვრიანი“ მონეტების ემისია თავდაპირველად დაიწყო დასავლეთ ევროპაში და დღეისათვის ცნობილი უძველესი „ხუთჯვრიანი“ საფასეები აღწუსხულია X ს. წმ. რომის იმპერიის სამონეტო სფეროში“. ჯაველიძე, „კათოლიკური სიმბოლო საქართველოს სახელმწიფო დროშაზე“, 101.

^[2] David R. Sear, Byzantine Coins and Their Values (London, 1974), 13.



^[3] Haxthausen, “The Jerusalem Cross,” 268.

^[4] Haxthausen, “Jerusalemskorset,” 294, fig. 2.



სურ. 91

ხუთფიგურიანი ჯვრების სიუჟეტი ბიზანტიაში: ახალი აღთქმის დეკორატიული ორნამენტი. X-XI სს. სანკტ-პეტერბურგის ნაციონალური ბიბლიოთეკა (ა); ბიზანტიური გულსაკიდი ჯვარი. X ს. (ბ); ჯვრის ორნამენტი. შავია სოფია (გდე); ქრისტე სახარებით ხელში. XI ს. შავია სოფიას მოზაიკა (ვ); ძელი ცხოველის სანაწილე. X-XI სს. სან მარკო. ვენეცია (ზ).



სურ. 92

ხუთფიგურიანი ჯვრის გამო-სახულებები: დურა ეუროპოსი, II ს. (ა); ნაზარეთი, IV ს. (ბ); უმმ ელ-ჯიმალის ეკლესია (ჩრდ. იორ-დანია), V ს. (გ); ნაზარეთი, ხარე-ბის ეკლესიის მოზაიკა, დაახლ. IV ს. (დ); ლატაკია, ბიზანტიური პერიოდი (ე). ო. პაქსტჰაუზენის მიხედვით.

ლად გაფორმებული, ოქროს მინიატურებით მორთული ბერძნული მანუსკრიპტის ერთ ნაწილში, ფსალმუნის ილუსტრაციებში სამჯერ ვხვდებით დროშას დისკოებიანი ჯვრით (Vat. gr. 752, f. 54r, f. 153r, f. 448v). საყურადღებოა, რომ ორ შემთხვევაში (f. 54r, f. 448v) ეს დროშა ბიზანტიის იმპერატორს ახლავს თან. (სურ. 94, 95 და 96)¹⁴⁰

ქრისტიანული აღმოსავლეთის ჰერალდიკა

აღმოსავლეთს და პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევროპელი რაინდის მსოფლმხედველობის ფორმირებაში. აღმოსავლეთის საქრისტიანოში გაეცნენ ჯვაროსნები წმინდა მეომრების კულტს და გადაიღეს ის. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, წმინდა მხედრები განსაკუთრებით პოპულარული გახდა დასავლეთში და მათი თაყვანისცემა რაინდული ღვთისმოსაობის განუყოფელ ელემენტად მოგვევლინა.¹⁴¹

პირველი ნამდვილი ჰერალდიკური ნიშნები¹⁴² პირველ და მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობებს შორის პერიოდში გამოჩნდა. მოსაზრებას, რომ ევროპაში ჰერალდიკის წარმოშობა ჯვაროსნულ ლაშქრობებთანაა დაკავშირებული, მხარს უმაგრებს ის ფაქტი, რომ პირველ ჰერალდიკურ გერბებს ატარებდა ერთმანეთთან ნათესაური თუ სხვა კავშირებით შეკავშირებული ოჯახების მცირე ჯგუფი, რომლებიც თავიდანვე და განუყოფლად იყვნენ დაკავშირებულნი ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და სამხედრო-სასულიერო ორდენებთან.¹⁴³ მათ მიერ გამოყენებული სიმბოლოები (ლომი, არწივი, გრიფონი, სხვ.) აღმოსავლური წარმოშობისაა და მათ ჯვაროსნულ წარსულსა და აღმოსავლეთში შეძენილ გამოცდილებას უკავშირდება.¹⁴⁴

გარკვეული ფერით დროშის გამორჩევის პრაქტიკაც ევროპელმა მმართველებმა აღმოსავლეთიდან მიიღეს. აქ ფერი ყოველთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, როგორც განმასხვავებელი სიმბოლო. მუსლიმებს შორის ხალიფას ყოველ გვარს თავისი ფერი ჰქონდა. ბიზანტიურ ჯარში თითოეულ დანაყოფს საკუთარი ფერი ჰქონდა, რომელიც მეორდებოდა მის დროშებში, მეთაურთა ნიშნებში და ცხენოსანთა შუბის აღმებშიც. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ჯვაროსნები გაეცნენ და გადაიღეს



სურ. 93

დისკოებიანი ჯვარი უმმ ელ-ჯიმალის ეკლესიის ნანგრევებში (ა); ჯვრებიანი მოზაიკა ნაზარეთში, ხარების ეკლესიის იატაკზე (ბ).

¹⁴⁰ ზემომოყვანილი მსჯელობიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ხუთფიგურიანი კომპოზიცია სწორედ ბიზანტიურ ოიკუმენაში იშვა და თუ რამდენადაა საფუძველს მოკლებული შემდეგი მტკიცება: „ხუთფიგურიანი“ დროშა... უცხოა სრულიად მართლმადიდებელი სამყაროსათვის და ყოველთვის აღიქმებოდა და დღესაც ასოცირდება ევროპულ ჯვაროსანთა დამპყრობლურ

პოლიტიკასთან“. ნინო ჯაველიძე, „ახალი უცხოენოვანი წყარო საქართველოს სამეფო დროშის შესახებ“, *მთაწმინდა*, 2 (2013), 28.

¹⁴¹ Lynda Garland, “Anointed with your Blood and Holy Oil”: Byzantines, Crusaders and Warrior Saints in the Eastern Mediterranean (324-1099),” in *Religion and Classical Warfare: The Roman Empire*, eds. Matthew Dillon

and Christopher Matthew (Barnsley, 2022), 316.

¹⁴² მხოლოდ მემკვიდრეობითი სიმბოლოების სისტემატური გამოყენება მიიჩნევა ჰერალდიკურად. Anthony Wagner, *Heralds and Heraldry in the Middle Ages* (Oxford 1956), 12.

¹⁴³ Paul A. Fox, “Crusading Families and the Spread of Heraldry,” *Coat of Arms*, 224 (2012), 59-61.

¹⁴⁴ იქვე, 79-82.



ეს გამოცდილება. ამ ფერებს მხოლოდ ცალკეული მეთაურების პირადი დროშები არ იყენებდა. აღმოსავლეთის კვალდაკვალ, დროშები მმართველის ფერებში შენობებზეც ფრიალებდა. ეს ერთფეროვანი, მარტივი დროშები შემდგომი ეროვნული დროშების წინამორბედად იქცა.¹⁴⁵

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქრისტიანოში ჰერალდიკა გაცილებით უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ეს წარმოუდგენიათ და ზოგიერთი მკვლევარი, დასავლეთ ევროპაში ჰერალდიკის წარმოშობას, სულაც ბიზანტიის გავლენას მიაწერს.¹⁴⁶ რუდტ ფონ კოლენბერგი მიუთითებს, რომ 1100 წლიდან მოყოლებული, ჯვაროსნულ ჰერალდიკასა და სამოსზე შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ბიზანტიური გავლენა.¹⁴⁷ ცხადია, დასავლეთ ევროპის მსგავსად, აღმოსავლეთში არ დამკვიდრებულა მემკვიდრეობითი გერბების კულტურა, მაგრამ რაც შეეხება თავად ვექსილოლოგიას, დღემდე მოღწეული მასალ-ით შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ბიზანტიური დროშა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ფერებისა და სიმბოლოების ჰერალდიკური მოტივები გაითავისა.¹⁴⁸ ჯ. დენი-სი აღნიშნავს, რომ ბიზანტიურ საბრძოლო დროშებზე ყველაზე ხშირად ჯვარი იყო გამოსახული.¹⁴⁹ 960 წელს კრეტაზე ექსპედიციის დროს ნიკიფორე ფოკას ბრძანებით ბიზანტიელთა საბრძოლო წყობის წინ გამოაქვთ დროშა, რომელზეც ჯვარი იყო გამოსახუ-ლი.¹⁵⁰ 971 წელს ბიზანტიის იმპერატორი იოანე ციმისხი რუსების წინააღმდეგ ლაშქრობას ჯვრიანი დროშის აღმართვით იწყებს.¹⁵¹ ბიზანტიური ჯვრიანი დროშები გვხვდება *იოპის წიგნის* მინიატურებზე (XI ს.), წმ. მარკოზის მინაწქარზე (XII ს.), წმ. დემეტრიო-სის ფრესკაზე სალონიკის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (1310-20) და სხვ.¹⁵² მეტიც, XIV საუკუნის შუახანებში შედგენილ სამეფო კარის განგებათა ტრაქტატში (*De Officiis*) ფსე-ვდო-კოლინე ადასტურებს, რომ ბიზანტიის იმპერიის დროშები ხუთფიგურიანი ჯვრის გამოსახულებას ატარებდნენ. მისი აღწერით, ერთ ასეთ წყვილ დროშაზე, რომლებიც სადღესასწაულო ცერემონიების დროს იმპერატორის წინ გამოჰქონდათ, ცენტრალური ჯვრის ყოველ მეოთხედში წმინდანი იყო ჩახატული (წმ. დემეტრიოსი, პროკოპიოსი, თე-ოდორე ტირონი და თეოდორე სტრატილატი),¹⁵³ ხოლო მეორე, ყოველდღიური საიმპერ-ატორო დროშა ე.წ. „ტეტრაგრამატიკულ ჯვარს“ წარმოადგენდა, სადაც ჯვრის ოთხივე მხარში ასო Β-ს მსგავსი ჰერალდიკური კვესი იყო გამოსახული.¹⁵⁴ ეს ტეტრაგრამული დროშა დადასტურებულია იმდროინდელ მანუსკრიპტებშიც: ის გვხვდება კონსტანტი-ნოპოლის გარემოცვის ამსახველ მინიატურაზე ჟოფრუა დე ვილარდუენის ქრონიკიდან (*კონსტანტინოპოლის დაპყრობა*, დ. 1330) და პიეტრო ვესკონტეს შავი ზღვის პორტო-ლანზე (1321)¹⁵⁵ (სურ. 97). საერთოდ კი, დროშაზე გამოსახული ცენტრალური ჯვარი და მის მკლავებში ჩასმული ოთხი სხვადასხვაგვარი ფიგურა მრავალსაუკუნოვან ბიზან-

სურ. 94
Vat. gr. 752, f. 54r. დეტალი. XI ს. ვა-ტიკანის ბიბლიოთეკა.

სურ. 95
Vat. gr. 752, f. 153r. XI ს. დეტალი. ვატიკანის ბიბლიოთეკა.

სურ. 96
Vat. gr. 752, f. 448v. XI ს. დეტალი. ვატიკანის ბიბლიოთეკა.

^[145] Horstmann, “Vor- und Frühgeschichte des europäischen Flaggenwesens,” 35.

^[146] T. R. Davies, “As It Was in the Beginning,” *The Coat of Arms*, 109 (1979), The Heraldry Society, https://www.theheraldrysociety.com/articles/as-it-was-in-the-beginning/, accessed November 13, 2024.

^[147] Rüd̈t von Collenberg, “Au sujet de l’héraldique des états des crois̈es en Palestine et en Syrie,” 141.

^[148] Babuin, “Standards and Insignia of Byzantium,” 41. X საუკუნის ბიზანტიაში უკვე გვხვდება ჭადრაკული დროშა, რაც ერთ-ერთი უძველესი ჰერალდიკური სახეა. იქვე, 27.

^[149] Dennis, “Byzantine Battle Flags,” 59.

^[150] Лев Днякон, *История*, перевод М.М. Копыленко (Москва, 1988), 9.

^[151] იქვე, 68.

^[152] იბ. Babuin, “Standards and Insignia of Byzantium,” figs. 30, 32-33, 43, 55.

^[153] *Pseudo-Kodinos and the Constantinopolitan Court: Offices and Ceremonies*, 126-29.

^[154] იქვე, 70-71.

^[155] სხვათა შორის, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს პორტოლანებზე ასახული ინფორმაციის ხასიათსა და საიმე-დოობას.



სურ. 97

ა) კონსტანტინოპოლის ალყა მე-ოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მიერ. დ.1330 წ. Bodleian Library, MS Laud Misc. 587, f. 1r; ბ) კონსტანტინოპოლის თავზე გამოსახული დროშა პიეტრო ვესკონტეს შავი ზღვის პორტოლანიდან. 1321 წ. Biblioteca Apostolica Vaticana. MS Vat. Lat. 2972, f. 107r.

ტიურ ჰერალდიკურ ტრადიციას ეკუთვნის და მისი გამოვლინებები გვხვდება როგორც მონეტებზე, ისე მინიატურებზე.¹⁵⁶

XII საუკუნის შუახანებიდან ჰერალდიკამ ფეხი მოიკიდა დასავლეთ ევროპაში და XIII საუკუნისათვის გერბებს ვხედავთ ხელოვნების ნიმუშებში, არქიტექტურაში, კოსტუმსა და იარაღზე. ამ ხანებიდან, ევროპაში ჩამოყალიბებული მწყობრი ჰერალდიკური სისტე-მა უკვე აღმოსავლეთის საქრისტიანოზე ახდენს გავლენას. ჰერალდიკა საგვარეულო და ინდივიდუალური იდენტობის აღმნიშვნელი ადვილად საცნობი სიმბოლოების სისტემაა. XII საუკუნის ბიზანტიაში სოციალური პირობები მრავალი თვალსაზრისით ემსგავსებო-და დასავლეთ ევროპულს. არისტოკრატიის აღზევებასთან ერთად საგვარეულო იდენ-ტობა სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, განსაკუთრებით კომნენოსების ხანაში. ამავე პერიოდს ემთხვევა მზარდი კონტაქტი ბიზანტიელებსა და დასავლეთ ევროპელებს შორის ვაჭრობის, დიპლომატიის, ქორწინებებისა და ჯვაროსნული ლაშქრობების მეშ-ვეობით. ამ კონტაქტებს მოჰყვა დასავლური ადათ-წესებისა და იდეების ნაწილობრივი დანერგვა. პალეოლოგოსების ბიზანტიაში დასავლური ჰერალდიკური ნიმუები უკვე ფართოდაა დანერგილი კონსტანტინოპოლის ელიტურ გვარებში.¹⁵⁷ ეს ორმხრივი და ურთიერთ- გავლენები კიდევ უფრო აახლოებდა კულტურულად მაღალი ფეოდალური წრეების წარმომადგენლებს და ხელს უწყობდა იდეების მიმოცვლას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

კონსტანტინოპოლის ლათინური იმპერია

როგორ მოხდა ბიზანტიური ხუთფიგურიანი გეომეტრიული კომპოზიციის ტრანს-ფორმირება ხუთჯვრიან სიმბოლოდ?

როგორც ზემოთ გავარკვიეთ, მეთიუ პარიზელი იერუსალიმის მეფეებს, გოდფრუ-ადან მოყოლებული და მის მემკვიდრეებს ვერცხლის ჯვრით ოქროს ფარზე გამოსახავს. გოდფრუას გერბი სინამდვილეში მისი ჩამომავლების გერბია, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო ხუთჯვრიანი ფორმიდან და ფერებიც შებრუნებული აქვს (ვერცხ-ლი ოქროზე). თავდაპირველად ასეთი ფარი აქვს ჟან დე ბრიენსაც, რომელიც ცვლი-ლებას განიცდის და შემდგომში გვევლინება როგორც ოქროს ფარზე ვერცხლის ჯვარი თოთხმეტი პატარა ჯვრით. ფელიქს ჰაუპტმანის მიხედვით, ფარის ასეთი მდიდრული ცვლილებისათვის ჟანს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მით უფრო, რომ 1225 წელს ფრიდრიხ II-მ მას იერუსალიმის მეფობა წაართვა;¹⁵⁸ მისი აზრით, აქ გაერთიანებულია იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის გერბები, რადგანაც ჟან დე ბრიენი 1229-37 წლებში კონსტანტინოპოლის ლათინი იმპერატორი გახდა.¹⁵⁹



ეს საინტერესო მოსაზრებაა, რასაც მხარს უჭერს კონსტანტინოპოლის ლათინური იმპერიის პერალდიკური მემკვიდრეობა. ლათინთა პირველი იმპერატორი ბალდუინი (1204-5) მხოლოდ ფლანდრიის გრაფის გერბს იყენებდა, ლომის გამოსახულებით, როგორც ამას ვხედავთ მის ბეჭედზე.¹⁶⁰ მისი ძმა, მომდევნო იმპერატორი ჰენრი ფლანდრიელი (1206-16) თავდაპირველად იმავე, ლომის გამოსახულებიან ფარს იყენებდა,¹⁶¹ თუმცა შემდგომში გერბი შეცვალა: მისი წითელი დროშა და სამოსი, ასევე მუზარადი, პატარა ოქროს ჯვრებით დაიფარა.¹⁶² ჰენრის ბეჭედზეც ცენტრალური ჯვრის კანტონებში წრეში (ბეზანტში)¹⁶³ ჩასმული ოთხი პატარა ჯვარია¹⁶⁴ (სურ. 98).

უნდა ვითქროთ, რომ ეს ცვლილება განხორციელდა ადგილობრივი, ბიზანტიური ტრადიციის ზეგავლენით, რომელიც ძველთაგანვე ათავსებდა სხვადასხვა ფიგურებსა თუ ასოებს ცენტრალური ჯვრის კანტონებში.¹⁶⁵ ამ მოტივმა შემდგომში კიდევ უფრო დახვეწილი პერალდიკური სახე მიიღო. კონსტანტინოპოლის ტიტულარული იმპერატორის ფილიპე I-ის (1273-83) 1280 წლის საბუთზე, ცვილის დიდ ბეჭედზე ვხედავთ გერბს ცენტრალური ჯვრის ყოველი კანტონის შუაში ბეზანტში ჩამჯდარი პატარა ჯვრებით, რომლებიც თავის მხრივ ოთხი ჯვრითაა გარემოცული; ცხენზე ამხედრებული იმპერატორის ფარი და ცხენის საფარველი ასეთი, 21-ჯვრიანი გერბებითაა უხვად შემკული (სურ. 99).¹⁶⁶

მაგრამ საქმე ისაა, რომ ჟან დე ბრიენის კონსტანტინოპოლის იმპერატორად გახდომამდე (1229) ცოტა ხნით ადრე, 1228 წელს მისი ზიძაშვილის გოტიე დე ბრიენის გერბზე უკვე ჩანს მრავალი პატარა ჯვარი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მოვლენები დროში საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. 1228 წლის მიწურულს კონსტანტინოპოლიდან

სურ. 98. ჰენრი ფლანდრიელის ბეჭედი. გ. შლუმბერჟეს მიხედვით.

სურ. 99. ფილიპე I-ის დიდი ბეჭედი. გ. შლუმბერჟეს მიხედვით.

სურ. 100. უფლისწულ ფილიპეს ბეჭედი. გ. შლუმბერჟეს მიხედვით.

სურ. 101. ჰენრი ფლანდრიელის ბეჭედი. გ. შლუმბერჟეს მიხედვით.

სურ. 102. ჰენრი ფლანდრიელის ბეჭედი. გ. შლუმბერჟეს მიხედვით.

^[160] Gustave Schlumberger, Sceaux et bulles des empereurs latins de Constantinople (Caen, 1890), 5-8, pl. 1, 1-2; Sigillographie de l’Orient latin, commencée par Gustave Schlumberger, continuée par Ferdinand Chalandon, complétée, annotée et publiée par Adrien Blanchet (Paris, 1943), 165-66, pl. VII, 1-2.

^[161] Sigillographie de l’Orient latin, 167-68, pl. VII, 3.

^[162] Henri de Valenciennes, Histoire de l’empereur Henri de Constantinople, éd. Jean Longnon (Paris, 1948), §541.

^[163] ითვლება, რომ ბეზანტზე გამოსახული ჯვარი გამოხატავს ჯვრიან სფეროს (globus cruciger), რომელიც ბიზანტიამ დაამკვიდრა როგორც იმპერატორის ძალაუფლების სიმბოლო. Max Prinert, “Les armoiries des empereurs latins de Constantinople,” Revue numismatique, 4e série, t. 15, (1911), 254-55; Filip Van Tricht, The Latin Renovatio of Byzantium: The Empire of Constantinople (1204-1228), trans. Peter Longbottom (Leiden, 2011), 92. ამასთანავე, ბეზანტი როგორც „მოლაპარაკე სიმბოლო“ შეიძლება პირდაპირ მიან-

^[164] იშნებდეს ბიზანტიაზე, დედაქალაქის ძველ ბერძნულ სახელზე, რომელსაც ამ დროისთვისაც იყენებდნენ. Prinert, “Les armoiries des empereurs latins de Constantinople,” 256; Tricht, The Latin Renovatio of Byzantium, 92.

^[165] Gustave Schlumberger, Un nouveau sceau de l’empereur latin Henri 1er d’Angre de Constantinople (Paris, 1901), 4.

^[166] Tricht, The Latin Renovatio of Byzantium, 92. ასეთი ზეგავლენის მაგალითები სახეზეა. ვიცით, რომ ლათინი იმპერა-

^[167] Perry, John of Brienne, 150-51.
^[168] იქვე, 145-47; Joseph P. Donovan, Pelagius and the Fifth Crusade (Philadelphia, PA, 1950), 112-13, n. 83.
^[169] იერუსალიმის გერბზე ჯვრების „გამრავლებას“, შესაძლოა, უბიძგა ჯვაროსნებში გავრცელებულმა მრავალი ჯვრის ტარების პრაქტიკამაც. მაგალითად, მეინის გრაფი ელიასი ამბობდა: „მე არ დავთმობ ჩვენი მაცხოვრის ჯვარს, რომლითაც გაცხდი პილიგრიმი, არამედ გამოვსახავ მას ჩემს ფარზე, მუზარადასა და ყველა იარაღზე და დავიმაგრებ ჯვრის ნიშანს ჩემს უნაგირსა და აღვირზე. ასე შეიარაღებული წავალ მშვიდობისა და სამართლიანობის მტრების წინააღმდეგ და ბრძოლით დავიცავ ქრისტიანთა მიწებს. ჩემი ცხენი და იარაღი წმინდა ნიშნით იქნება აღბეჭდილი და ჩემს წინააღმდეგ აღძრულ ყოველ მტერს ქრისტეს ჯარისკაცის წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა“. The Ecclesiastical History of Orderic Vitalis, ed. and trans. Marjorie Chibnall, vol. V (Oxford, 1975), 230.

ელჩობა გამოემართა, რათა პაპისა და „მეფე“ ჟანისათვის ტახტი შეეთავაზებინა. დე ბრიენმა თანხმობა განაცხადა და პაპის დამტკიცების შემდეგ 1229 წლის 9 აპრილს ფორმალურადაც იქნა კონსტანტინოპოლის იმპერატორად აღიარებული.¹⁶⁷ ვიცით აგრეთვე, რომ უკვე 1228 წელს ჟან დე ბრიენი თავის იმპერატორად თვლიდა და ამავე წელს ის და მისი ძმისშვილი გოტიე ერთად ებრძოდნენ ფრიდრიხ II-ის ჯარებს იტალიაში.¹⁶⁸ შესაძლოა, ბიზანტიურმა ტრადიციამ, რომელიც XIII საუკუნის 10-იან წლებში უკვე აისახა კონსტანტინოპოლის ლათინი იმპერატორების პერალდიკაში, ამის შემდეგ, უკვე 20-იან წლებში, ჟანის იმპერატორობამდეც, იქონია გარკვეული გავლენა იერუსალიმის სამეფოს ემბლემატიკაზე.¹⁶⁹

ზემოთმოყვანილი ვრცელი მსჯელობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ბიზანტიურ მემკვიდრეობას მიუძღვის დიდი წვლილი ხუთჯვრიანი სიმბოლოს ჩამოყალიბებაში. მათი გავლენით დამკვიდრდა ხუთფიგურიანი კომპოზიცია ევროპულ ნუმიზმატიკასა და პერალდიკაში და, როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე დამკვიდრებულმა ტრადიციამ უბიძგა ჯვაროსნებს პატარა ჯვრებით მოერთოთ ცენტრალური ჯვარი, რამაც საბოლოოდ ხუთჯვრიან სიმბოლომდე მიგვიყვანა.

ქართული დროშები

ჰოცაძისა ჰოხობიანების ბაჰშეშო

ქართული დროშების გარშემო პოლემიკამ ისეთ სიბრტყეშიც გადაინაცვლა, როგორიცაა პორტოლანების რაობა, დანიშნულება და უტყუარობა; ამ პროცესში ხუთჯვრიანი დროშის ოპონენტები არ ერიდებიან პორტოლანური რუკების თავისებურ ინტერპრეტაციებს, ახლებურ კლასიფიკაციებს და ა.შ.

ოპონენტები თავიდანვე აყენებდნენ პორტოლანების ნდობისა და კომპეტენციის საკითხს,¹ რომელიც შემდგომ რიგითი ეჭვებიდან დაუსაბუთებელ მოსაზრებებში გადაიზარდა.

ასე მაგალითად, ნ. ჯაველიძემ, რომელსაც არც უცდია საზღვაო რუკების ქრონოლოგიის საკითხში გარკვეულიყო, ასეთი საკითხი დააყენა: „1320-იანი წლების შემდგომ შექმნილ პორტულანოებზე სხვადასხვა ქვეყნების ქალაქებთან ერთად საქართველოს ორი ქალაქი – თბილისი და ცხუმი მონიშნულია „ხუთჯვრიანი“ დროშებით, ხოლო წინა პერიოდის რუკებზე, სადაც ნაჩვენებია შავი და აზოვის საზღვაო გზები და ნავთსაყუდებლები, „ხუთჯვრიანი“ დროშები არსად ჩანს. ჩვენი აზრით, სწორედ ეს საკითხი გახლავთ შესასწავლი, რათა გავარკვიოთ რუკებზე ამ დროშების გაჩენის ნამდვილი მიზეზი და ამოვიცნოთ მათი იერ-სახის შინაარსობრივი დატვირთვა“.² ასეთი შესწავლის შემდეგ კი ასკვნის, რომ პორტოლანებზე XIV ს-ის 20-იანი წლებიდან ცხუმსა და თბილისზე დროშები იმიტომ ჩნდება, რომ ამ ქალაქებში ამოქმედდა კათოლიკთა სამისიონერო ცენტრები.³ აშკარაა, ნ. ჯაველიძეს ჰგონია, რომ 1320 წლამდე დროშები ჩვეულებრივი მოვლენაა პორტოლანებზე, ცხუმსა და თბილისზე კი მხოლოდ მისიონების აქ დაარსების შემდეგ ჩნდება. არადა, საკითხს ასეთი „ღრმა შესწავლა“ სულ არ სჭირდება. საქმე ისაა, რომ 1320 წლამდე პორტოლანებზე დროშები საერთოდ არ დაჰქონდათ და სწორედ პიეტრო ვესკონტა ამ საქმის პიონერი. 1320 წლამდე საქართველოს ტერიტორიაზე დროშები იმის გამო კი ვერ გაჩნდებოდა, რომ აქ კათოლიკეთა მისიონები არ არსებობდა, არამედ იმის გამო, რომ საზღვაო რუკებზე დროშები საერთოდ არ არსებობდა და ბუნებრივია, არც საქართველოსთვის დაუშვებდა ვინმე გამონაკლისს!⁴

პორტოლანებზე მსჯელობისას ნ. ჯაველიძეს შემოაქვს უცნაური კლასიფიკაცია და „ფიზიკურ-გეოგრაფიულ თუ პოლიტიკურ“ რუკებს ასხვავებს „მეზღვაურ-მისიონერთა გზამკვლევად“ შექმნილი პორტოლანებისაგან; შემდეგ ჩამოთვლის XVI-XVII საუკუნეების რამდენიმე რუკას, რომლებიც მისი აზრით „პორტულანოებისგან განსხვავებით შედგენილი ფიზიკურ-გეოგრაფიული თუ პოლიტიკური რუკებია“, მიზნად არ

„ევროპელმა მოგზაურებმა, ალბათ, არც იცოდნენ, როგორი იყო „გორგასლიან-დავითიანი“ დროშა და არც აინტერესებდათ“. ზაქარაია და სხვ., „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 9.

ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“ პროექტისა გამო“, 11. ასეთ კითხვას სხვა დროსაც სვამს: „ხუთჯვრიანი“ დროშის მომხრე მკვლევარებს, ალბათ, უპირველესად, უნდა გაერკვიათ, თუ რატომ ჩნდება პორტულანოებზე იქ, სადაც ასახულია საქართველოს ტერიტორია, „ხუთჯვრიანი“ დროშები მხოლოდ XIV ს-ის 20-იანი წლებიდან და რატომ არ აღინუსხება ეს სიმბოლოები უფრო ადრეულ საზღვაო რუკებზე?“. ჯაველიძე, „კათოლიკური სიმბოლო XIII ს-ის ქართველ მეფეთა მონეტებზე“, 62.

ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“ პროექტისა გამო“, 11-12.

დამახასიათებელია, რომ პორტოლანების შესახებ მკვლევრის ღამის ყოველი მოსაზრება სინამდვილესაა აცდენილი: მაგალითად, ჰგონია, რომ „ანონიმის მიერ შექმნილ ატლასში (1450 წ.) ქ. ცხუმთან აღმართული დროშის დარად ასეთივე შედგენილი დროშა მონიშნულია მდ. დონის ქვემო ნელში, მის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარე ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის თავზე“. ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“, 18. სინამდვილეში, 1450 წლის კატალანურ ატლასზე დონის ქვემო წელი კი არა, სებასტოპოლია გამოსახული ციხე-ქალაქის ვინიეტის სახით, რაზეც გამოსახულების ქვემოთ წითელი წარწერა (*Sauastopoli*) მიუთითებს (იხ. სურ. 16).

ისახავენ „სამისიონერო ცენტრების ადგილმდებარეობის მიკვლევას“ და ამიტომაც მათზე „არც ერთი პუნქტი, მათ შორის არც ქ. ცხუმი და არც ქ. თბილისი კათოლიკური სიმბოლო-დროშებით მონიშნული არ გახლავთ“. ამ რუკების კატეგორიას მკვლევარი აკუთვნებს ძმები პიციგანების 1367 წლის რუკასაც.⁵ პორტოლანების კვლევის საკითხში ამ ახალ სიტყვაზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებ და მოკლე შენიშვნით შემოვიფარგლები: ერთი, რომ XVI-XVII საუკუნეების დაშლილი საქართველოს ამსახველი რუკები, ბუნებრივია, ვერ გვიჩვენებდა ერთიანი მონარქიის დროშას, და მეორეც, პიციგანების 1367 წლის რუკაზე, რომელიც საქართველოს ერთიანობის პერიოდს ასახავს, თბილისის თავზე სწორედაც რომ ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს!

დავუბრუნდეთ პატივცემულ მკვლევარს, რომელიც სვამს კითხვას, „თუ ეს [ცხუმის] დროშა მართლაც ადგილობრივი ფეოდალის და სუვერენის – მეფის ურთიერთდამოკიდებულებას გამოსახავდა, მაშინ რატომ არ არის ასეთივე დროშით მონიშნული სხვა „ადგილობრივ ფეოდალთა“ – გნებავთ ამიერ და გნებავთ იმიერ საქართველოში – მთავარი ციხე-ქალაქები?“⁶ რის შემდეგაც მსჯელობს: „თუკი ვიფიქრებთ, რომ იგი ქ. ცხუმთან, როგორც მნიშვნელოვან ქალაქ-პორტთან მონიშნეს, მაშინ ლოგიკური იქნებოდა, ასეთივე დროშა აღემართათ ფოთთან ან თუნდაც ბიჭვინთასთან“⁷ და აზრის დასასაბუთებლად გვიამბობს ორივე ნავსადგურის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან.⁸ ჯერ ერთი, პორტოლანებზე საქართველოს (და სხვა ქვეყნების) შიდა ციხე-ქალაქებს იმიტომ არ აღნიშნავდნენ, რომ საზღვაო რუკის შემდგენლებს უმთავრესად საზღვაო პორტები აინტერესებდათ და არა „ადგილობრივ ფეოდალთა“ ციხე-ქალაქები; მეორეც, ცხუმის გამოყოფა პორტოლანებზე სრულიად ლოგიკურია სწორედ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეებში ფოთი, ბიჭვინთა, ბათუმი თუ სხვა ნავსადგურები თავიანთი მნიშვნელობით ვერ შეედრებოდნენ ცხუმს. ბათუმი (vati) პატარა ქალაქი იყო და აქ არც უარსებია ვენეციელთა ან გენუელთა ფაქტორიას.⁹ ფოთი (fasso), სანაპიროს ნაცვლად, რიონის ქვემო ნელზე მდებარეობდა, რის გამოც გემები რეიდზე დგებოდნენ და ტვირთი ნავეებით გადაჰქონდათ, მდინარის დინების სანინალმდევოდ. ეს გარემოება ფოთის სავაჭრო მნიშვნელობას ამცირებდა, რომელიც საკმაოდ შეზღუდული და რეგიონული იყო. ქალაქში იტალიური ფაქტორიის კვალი არ იქებნება და მხოლოდ გენუელთა მცირე დასახლებაა სავარაუდო XV საუკუნის დამდეგს.¹⁰ კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ბიჭვინთას (pezonda). თავისი მდებარეობით ცხუმის (სებასტოპოლის) ყურე ერთ-ერთი საუკეთესო იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ქარისაგან საიმედოდ დაცული მთებითა და კონცხებით, რის გამოც ის საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან ნავსადგურად იქცა.¹¹ ამიტომაც, სხვა ქართული პორტებისაგან განსხვავებით, ყველაზე ხშირად სებასტოპოლზე გვხვდება დროშა და გენუელთა კონსულსაც მხოლოდ აქ ედო ბინა.

ნ. ჯაველიძე რატომღაც დარწმუნებულია, რომ პორტოლანებზე საეპისკოპოსო კათედრებსა და მისიონებს ხუთჯვრიანი დროშით აღნიშნავდნენ, საკონსულოებს – ზოლებიანი ალმით, ხოლო სავაჭრო კოლონიებსა თუ ფაქტორიებს – ჯვრიანი დროშით.¹²

განვიხილოთ ეს თამამი ვექსილოლოგიური „მიგნება“: – 1318 წლის შემდეგ სებასტოპოლის, ისევე როგორც თბილისის კათედრა დომინიკელთა სულთანისე საარქიეპისკოპოსოს ემორჩილებოდა; შესაბამისად, ამავე წლიდან სებასტოპოლის ეპისკოპოსი დომინიკელი ბერნარდო მორეტი იყო, ხოლო 1329 წლიდან თბილისის ეპისკოპოსი ასევე დომინიკელი იოანე ფლორენციელია.¹³ დომინიკელთა საეპისკოპოსო კათედრა კი ვერ აღინიშნებოდა წითელი ხუთჯვრიანი დროშით, რომელსაც მხოლოდ ფრანცისკელები იყენებდნენ და ისიც, განსახილველ შემთხვევაზე ბევრად უფრო გვიან.¹⁴ – ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე სებასტოპოლის თავზე ფრიალებს

^[1] ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“, 13.

^[2] იქვე, 14.

^[3] იქვე, 15.

^[4] იქვე, 15-17.

^[5] С.П. Карпов, Итальянские морские республики и Южное Причерноморье в XIII-XV вв.: Проблемы торговли (Москва, 1990), 100-2.

^[6] იქვე, 102.

^[7] იქვე, 103.

^[8] „ე.წ. ხუთჯვრიანი სიმბოლო მანიშნებელია კათოლიკთა სასულიერო ცენტრისა... რაც შეეხება ზოლებიან ნაწილს დროშისა, იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ხსენებულ პუნქტებში მოქმედ გენუელთა თუ ვენეციელთა პოლიტიკურ-დიაპომატიურ ცენტრებთან“. ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“, 18; „ეს შედგენილი დროშები დაკავშირებული იყო დასავლეთ ევროპის სინამდვილესთან და შინაარსობრივად ისინი ასახავდნენ კათოლიკ ევროპელთა სამისიონერო (საეპისკოპოსო კათედრა) და პოლიტიკური (საკონსულო) ცენტრების არსებობას. კერძოდ, „ხუთჯვრიანი“ ნაწილი ამ დროშისა იყო მანიშნებელი კათოლიკი ეპისკოპოსის რეზიდენციისა, ხოლო ზოლებიანი ნაწილით, ამ შემთხვევაში, დიაპომატიურ მისიონს აღნიშნავდნენ“. იქვე, 19; „პორტულანოების ავტორები აღწუსხავდნენ დასავლეთევროპულ ხელისუფალთა მიერ მახლობელი აღმოსავლეთის და სხვა ქვეყნებში დაარსებულ სარწმუნოებრივ, პოლიტიკურ თუ სავაჭრო ცენტრებს – იქნებოდა ეს „საეპისკოპოსო კათედრა და მისიონები („ხუთჯვრიანი“ დროშა), საკონსულოები (ზოლებიანი ალაში) და სავაჭრო კოლონიები თუ ფაქტორიები (ჯვრიანი დროშა)“. იქვე, 27.

^[9] იხ. ქვეთავი „კათოლიკური მისიები აღმოსავლეთში“.

^[10] დანვრილებით იხ. ქვეთავი „ფრანცისკელები და იერუსალიმის დროშა“.

დროშა თეთრ ველზე ირიბი მწვანე ზოლებით. თუ ხუთი ჯვარი 1318 წლის შემდეგ არ-სებულ მისიონს აღნიშნავს, რატომ არ არის ის დულჩეტის 1330 წლის რუკაზე, სადაც სებასტოპოლზე მხოლოდ ზოლებიანი დროშაა?

– შეუძლებელია გენუის ან ვენეციის საკონსულო აღნიშნულიყო ზოლებიანი დროშით, რადგან გენუელთა საყრდენი პუნქტები პორტოლანებზე ყველგან წმ. გიორგის დროშით (წითელი ჯვრით თეთრ ველზე) არის მონიშნული, ვენეციის კი წმ. მარკოზის ლომით.

– 1300 წლისათვის სებასტიაში (სივასში) მოქმედებს გენუელების საკონსულო.¹⁵ რა-ტომ არ არის ის მაშინ პორტოლანებზე ზოლებიანი დროშით აღნიშნული? ან რატომ არ არის ამ დროშით აღნიშნული ასეთივე საკონსულოები ტრაპიზონში, სამსუენში, სინოპსა და სამასტროში?

– სხვას რომ თავი გავანებოთ, დულჩეტის რუკებზე (1330, 1339, 1340) სებასტოპოლი ზოლებიანი დროშით მონიშნულია იმაზე უფრო ადრე, ვიდრე გენუელების საკონსულო გაჩნდებოდა! მკვლევრები ერთხმად მიუთითებენ, რომ ვაჭრების აქ ყოფნის მიუხედა-ვად, გენუელთა საკონსულო გაცილებით გვიან გაიხსნა.¹⁶ თავის ფუნდამენტურ ნაშ-რომში გენუელთა სავაჭრო იმპერიის შესახებ, მიშელ ბალარი წერდა, რომ 1280 წლიდან გენუელ ვაჭართა ყოფნის მიუხედავად სებასტოპოლში,¹⁷ მათი მუდმივი წარმომადგენ-ლობა აქ მხოლოდ XIV საუკუნის II ნახევარში გაიხსნა.¹⁸ თამაზ ბერაძემ აჩვენა, რომ 1330 წლამდე მაინც ცხუმში იტალიელების სავაჭრო კოლონიაც არ არსებობდა: სებასტოპო-ლის ეპისკოპოსის პიეტრო ჯერალდის წერილიდან ჩანს, რომ 1330 წლამდე კათოლიკებს სებასტოპოლში თავიანთი სასაფლაო არ ჰქონდათ, სანამ მათ საქართველოს მეფემ ცალკე ადგილი არ გამოუყო, ხოლო „საკუთარი ეკლესია და სასაფლაო შუაფეოდალური სავაჭრო კოლონიის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ცხუმის კათოლიკე ეპისკო-პოსის 1330 წ. წერილი კი მოწმობს, რომ ამ დროისათვის გენუელებს ამ ქალაქში თავი-ანთი სავაჭრო კოლონია არ ჰქონდათ“.¹⁹ სებასტოპოლის პირველი კონსული ამბროჯიო დი პიეტრო მხოლოდ 1354 წელს ინიშნება.²⁰ ეს საკონსულო 1473 წლის ჩათვლით არსე-ბობდა.²¹ რადგან გენუელთა საკონსულო 1354 წელს ჩნდება სებასტოპოლში, ბუნებრივ-ია, გამორიცხულია დულჩეტის 1330, 1339 და 1340 წწ. რუკებზე ის აღენიშნათ ზოლიანი დროშით.

სინამდვილეში, მწვანე ზოლებიანი დროშა დულჩეტის პორტოლანებზე ცხუმს და, ალბათ, ოდიშის მთელ სამთავროს აღნიშნავდა. ორი დროშის (ჩვენს შემთხვევაში, ხუთ-ჯვრიანისა და ზოლებიანის) შეერთება ჰერალდიკაში ცნობილი ხერხია, როდესაც ერთი (ხუთი ჯვარი) უზენაეს სუზერენს გამოსახავს (საქართველოს), მეორე (მწვანე ზოლები) კი ადგილობრივ მმართველობას (ოდიშს), რაც ზედმიწევნით ზუსტად ასახავს საქართ-ველოს იმდროინდელ მდგომარეობას.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, XIV ს. 20-იან წლებში ცხუმს ოდიშის სამთავრო ფლობდა. გიორგი დადიანმა (-1323) ისარგებლა დასავლეთ საქართველოში სამეფო ხელისუფლების სისუსტით და ცხუმის საერისთაოს დაეუფლა: „იხილა დადიანმან გი-ორგი ესევითარება მათ შორის, მაშინ მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თვთ სრულიად ოდიში ანაკოფიადმდე... და არლარა ეგდენსა მორჩილებასა შინა იყვნენ მეფეთასა“.²² 1323-27 წლებში მისმა ძემ მამია დადიანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და მთავრად მოგვეყვლინა („ამან უმეტესად დაიპყრა ოდიში“).²³ 1330 წელს მამია დადიანმა მხარი დაუჭირა დასავლეთ საქართველოში ქვეყნის გასაერთიანებლად გადმოსულ გი-ორგი V ბრწყინვალეს, რისთვისაც ამირსპასალარის სახელო დაიმსახურა.²⁴

ვახუშტის ინფორმაციას დადიანთა განდიდების შესახებ ადასტურებენ არაბი ის-ტორიკოსებიც. სირიელი სწავლული, მამლუქთა ლაშქრის ნაზირი (ინსპექტორი) ალ-მუჰიბბი (-1384) თავის თხზულებაში, რომელიც წარმოადგენდა სახელმძღვანელოს ეგვიპტის სულთნების მდივნებისათვის, მოგვითხრობს, რომ „ქართველებს ჰყავთ ორი

^[1] XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა (თბილისი, 1988), 53.

^[2] იქვე, 56.

^[3] ვ. ჩირიკბა ცდილობს გააკრიტიკოს თ. ბერაძე და ი. ფომენკო, რომ-ლებიც ამბობენ, რომ ცხუმში გენუელ-თა სავაჭრო კოლონია საქართველოს მეფის (ბერაძე) ან დადიანის (ფომენ-კო) ნებართვით დაარსდა. ამ მიზნით მას კოლონიის დაფუძნების თარიღი XIII საუკუნის მიწურულს „გადმოა-ქვს“, რისთვისაც იმონშებს ს. კარ-პოვს და გენუელებთან ხელშეკრულე-ბას აფხაზ მთავარ ჩაჩბას მიაწერს. Чирикина, Абхазия и итальянские города-государства, 18. სინამდვილეში, კარ-პოვი 1280 წელს მხოლოდ გენუელი ვაჭრების არსებობას აღნიშნავს, ხოლო კოლონიას და მის კონსულებს XIV საუკუნეში ათავსებს. იხ. Карпов, Итальянские морские республики, 103. ეს „ხერხი“ ვ. ჩირიკბას იმისთვის დას-ჭირდა, რომ როგორმე აერიდებინა მისთვის არასასურველი XIV საუკუნე, როდესაც დადიანმა ცხუმის საერის-თავო დაიმორჩილა, საქართველო კი გიორგი ბრწყინვალემ გააერთიანა. შედარებისათვის, ვ. ჰეიდიც დარ-წმუნებულია, რომ გენუელებს ნე-ბართვა მამია დადიანმა მისცა. Heyd, Histoire du commerce du Levant au moyen-âge, 192, n. 4.

^[4] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 258.

^[5] „ასეთი ხუთჯვრიანი დროშები დასმულია სოხუმთან, თბილისში, კუნ-ძულ კვიპროსის აღმოსავლეთით ქ. ფამაგუსტას ადგილას; ლიონის უბ-ნის დასავლეთით ქ. ნარობონთან (სა-ფრანგეთი), თურქეთის თანამედროვე ქ. მალტისთან და ა.შ. (sic).“ ჯანსუღ კეკელია, „ესპანური და იტალიუ-რი რუკები ვერ გამოდგება ერთიანი საქართველოს დროშის რაგვარობის საფუძვლად“, საქართველოს რეს-პუბლიკა, 195 (1999), 4; „აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა, სადაც ამ „პორ-ტულანების“ მონაცემთა მიხედვით დადგენილია ხუთჯვრიანი სიმბოლიკ-ის გავრცელების არეალი და დადას-ტურებულია, რომ ასეთი დროშებია თურქეთის ქ. სმირნაზე (respicite: იზმი-რი), ყირიმის ნახევარკუნძულის აღმო-სავლეთ ნაწილში, კილიკიის სომხეთში, ქალაქ სებასტიის თავზე, კუნძულ კვი-პროსზე“... ლორთქიფანიძე, „იყო თუ არა ხუთჯვრიანი დროშა შუასაუკუნ-ოვანი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო?“, 476; „ასეთი დროშა სხვა ტერიტორიებზეც არის განლაგებული, მათ შორის – ბიზანტიურ ქალაქ სებას-

მეფე – დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს, და დადიმანი – მეფე, რომელიც გა-ნაგებს სუხუმსა და აბსასს“.25 ალ-მუჰიბბის ნაშრომი დაიმონმა ცნობილმა ეგვიპტელმა სწავლულმა ალ-კალკაშანდიმ (1355-1418) და მცირე განმარტებაც დაურთო:

ქართველებს ჰყავთ ორი მეფე, ერთი მათგანია ზემოხსენებული თბილისის გამგებელი და აღნიშნა [ალ-მუჰიბბიმ], რომ მისი სახელი იყო მაშინ „დავითი“, მეორე „სუხუმისა და აფხაზის გამგებელი“. ეს არის ყირიმის ზღვის სამხრე-თით მდებარე ორი ქალაქი, როგორც აღინიშნა ზემოთ... მაშინ მის გამგებელს ეწოდებოდა დადიანი.26

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დადიანების, როგორც მთავრე-ბის და დასავლეთ საქართველოში რეალური ძალაუფლების მქონეთა სამფლობელოს დროშით გამოარჩევენ რუკებზე.²⁷ ანჯელინო დულჩეტის 1330 წ. პორტოლანზე სებას-ტოპოლის თავზე გაშლილია დროშა თეთრ ველზე მწვანე ირიბი ზოლებით, ხოლო მი-სივე 1339 წ. პორტოლანი სებასტოპოლზე უკვე ორად გაყოფილ დროშას გვიჩვენებს ხუთი წითელი ჯვრითა და ირიბი ზოლებით, თბილისზე კი ხუთი წითელი ჯვარი ფრი-ალებს. გამოდის, რომ დულჩეტი ფლობს პირველხარისხოვან ინფორმაციას საქართვე-ლოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ: 1330 წლამდე ის ასახავს რეალობას, როდესაც ცხუმს დადიანი ფლობს და დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო გაყო-ფილია; 1339 წლის რუკაზე კი ნაჩვენებია ახალი რეალობა, რომელიც 1330 წელს დადგა საქართველოს გაერთიანების შემდეგ, როდესაც მამია დადიანი „მოერთო ნიჭთა დიდ-ითა“ გიორგი ბრწყინვალეს.²⁸ შესაბამისად, ცხუმის თავზე უკვე ახალი დროშაა, სადაც ერთდროულადაა ასახული სუზერენის (გიორგი V-ის საქართველოს ხუთჯვრიანი) და ვასალის (მამია დადიანის ზოლებიანი) სიმბოლოები.


პორტოლანების ხუთჯვრიანი დროშები

ერთ-ერთი საბუთი, რომელიც ხუთჯვრიანი დროშის მოწინააღმდეგეებს გამუდმებით და დღემდე მოჰყავთ, გახლავთ ის, თითქოსდა ევროპულ საზღვაო რუკებზე ხუთჯვრი-ანი დროშებით, თბილისისა და ცხუმის ანუ საქართველოს ტერიტორიის გარდა, მო-ნიშნულია მრავალი სხვა ადგილიც, რის გამოც ეს დროშები ვერ ჩაითვლება საქართ-ველოს კუთვნილებად.²⁹ დ. მუსხელიშვილი კატეგორიულად მიუთითებდა, რომ „არაკო-რექტულია ოპონენტთა არაერთგზისი განცხადება, რომ ევროპულ საზღვაო რუკაზე თბილისის თავზე დაფიქსირებული დროშა წითელი ჯვრებით შემკული თეთრი ალამით, თითქოს სხვა ქალაქების (ქვეყნების) სიმბოლოდაც გვხვდება. სინამდვილეში თბილი-სურის იდენტური სხვა დროშა, გამოსახული რომელიმე სხვა ქალაქზე (ქვეყანაზე), პორტულანებზე არ მოიპოვება!“³⁰ ეს მართლაც ასეა (სებასტიის გამონაკლისის გარდა, რომელზეც ვრცლად ქვემოთ ვიმსჯელებთ) და ევროპელთა საზღვაო რუკებზე საქართ-ველოს ტერიტორიაზე ნაჩვენები დროშების ანალოგი არსად არ გვხვდება. თუმცა, გან-

^[1] თიაზე, კვიპროსზე, იერუსალიმზე, კილიკიის არმენიაზე და სხვ.“ აპო-ლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე, „დროშა, გერბი, ჰიმნი და... ზნეო-ბა“, საქართველოს რესპუბლიკა, 240 (1999), 4; „საზღვაო რუკების მსგავსი დროშებით მონიშნულია არსებობს კიდევ სხვა არგუმენტი, რომელიც ცხადყოფს, რომ „ხუთ-ჯვრიანი“ დროშები არ გახლავთ „საქართველოში მოქმედი სიმ-ბოლიკა“, რადგანაც სხვადასხვა ავტორთა (ძმები პიციგანები, ჯ. სიდვრი, პ. ვესკონტე და სხვ.) მიერ მსგავსი დროშებით მონიშნულია პუნქტები ყირიმში, მცირე აზიაში,

^[2] კ. კვიპროსზე, დასავლეთ ევროპა-ში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავ-ლეთ სანაპიროსთან და სხვ.“ ჯაე-ელიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკ-ისთვის“, 13.

^[3] დავით მუსხელიშვილი, „საქა-რთველოს სახელმწიფო დროშა“, მნათობი, 3 (2007), 137.



ვიზილით ოპონენტების მიერ მითითებული პორტულანების ხუთჯვრიანი თუ მას მიმს-
გავსებული დროშები, რათა თვალნათლივ დავინახოთ რეალობა.

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ნაშრომში გამოქვეყნებული ასეთი „ხუთჯვრიანი“
პუნქტების ჩამონათვალი შეჯამებულად ასე გამოიყურება: სებასტია, მალატია, სმირ-
ნა, კვიპროსი (ფამაგუსტა), კილიკიის სომხეთი, იერუსალიმი, ნარბონა, ყირიმის ნახე-
ვარკუნძული, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ტერიტორია.

ამ სიიდან იოლად შეგვიძლია ამოვიღოთ **მალატია** და **სმირნა**, როგორც უნებლიე
შეცდომის ნაყოფი. საქმე ისაა, რომ ანატოლიაში მდებარე ქალაქი მალატია შეცდომი-
თაა ამ სიაში მოხვედრილი,³¹ სავარაუდოდ, მისი სებასტიასთან სიახლოვის გამო. ხოლო
მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქი სმირნა პორტულანებზე საერთოდ
უდროშოდ არის დატოვებული;³² როგორც ჩანს, ეს შეცდომაც ტერიტორიულად ახლო
მდებარე ქალაქ ფილადელფიის დროშამ გამოიწვია, რომლის თავზეც ბიზანტიური პა-
ლეოლოგოსების დროშა ფრიალებს (იხ. დულჩეტის 1330 წ. და პიციგანების 1367 წ. რუკე-
ბი).


შეცდომას უნდა მივაკუთვნოთ **ყირიმის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში**
„არსებული“ ხუთჯვრიანი დროშაც, რომლის მსგავსიც არაფერი ჩანს პორტულანებზე.

სურ. 101
წერტილებიანი ჯვარი კაფასა
და პერაზე ჯორჯიო სიდერის (ა)
1561, (ბ) 1563, (გ) 1565 წლების
რუკებზე.

³¹ იხ. ეს შეცდომა: კეკელია, „ეს-
პანური და იტალიური რუკები“, 4; და
მისი გასწორება: დავით მუსხელიშვი-
ლი, „გორგასლიანი, დავითიანი, დრო-
შა იახლის მსრველად მტერთათვის“,
ანალები, 14 (2018), 280.

³² იხ. ეს შეცდომა: ლორთქიფანიძე,
„იყო თუ არა ხუთჯვრიანი დრო-
შა შუასაუკუნოვანი საქართველოს
სახელმწიფო სიმბოლო?“, 476; და
მისი კრიტიკა: „ივ. ჯავახიშვილის სა-
ხელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის დირექციის პრეს-რელ-
იზი“, 401-2.





ყირიმის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა შავ ზღვაზე გენუელ-თა მთავარი სავაჭრო და ადმინისტრაციული პუნქტი – კაფა (თანამედროვე ფეოდოსია), რომელიც პრაქტიკულად ყველა პორტოლანზეა დატანილი. კაფა ჩვეულებრივ გენუელთა დროშით – თეთრ ველზე წმ. გიორგის წითელი ჯვრით აღინიშნებოდა. ჩემთვის ცნობილი ერთადერთი გამონაკლისი ჯორჯიო სიდერის XVI საუკუნის (1560, 1561, 1563, 1565 წწ.) რუკებია, სადაც ეს პუნქტი, გენუელთა კოლონია პერასთან ერთად, უცნაური დროშით – ყვითელ ველზე წითელი ჯვრით და ოთხი წერტილით არის აღნიშნული (სურ. 101). ცხადია, სიდერი ამ დროშით გენუელთა ყოფილ კოლონიებს მონიშნავს:³³ რუკების შედგენის დროისათვის აქ არც კოლონიები და არც კათოლიკური მისიები აღარ არსებობდა. გამოსახვის ეს მანერა ბერძნული კარტოგრაფიის ტრადიციას უნდა მივაწეროთ, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ. ნებისმიერ შემთხვევაში, სიდერის დროშებს საერთო არაფერი აქვთ ქართულ ხუთჯვრიან დროშებთან.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ტერიტორიის „ხუთჯვრიან“ დროშებში, ამ ბუნდოვანი გეოგრაფიული დეფინიციის ავტორი, როგორც მის მიერ დართული რუკიდან ჩანს, უნდა გულისხმობდეს ჯორჯიო სიდერის 1560 (და არა 1565) წლის რუკაზე გამოსახულ ჰერალდიკურ სიმბოლოებს.³⁴ ზედმეტია იმაზე მსჯელობა, რომ აქ არ შეინიშნება არავითარი „ხუთჯვრიანი“ დროშები ორ ქალაქთან“, მით უმეტეს, ქართულის მსგავსი

სურ. 102
კაფა და პერა წითელი ჯვრით
ჯორჯიო სიდერის 1552 წლის
რუკაზე.

³³ შდრ. სიდერის შავი ზღვის 1552 წ. რუკას, სადაც კაფა და პერა ჩვეულებრივი წითელი ჯვრითაა აღნიშნული (სურ. 102).

³⁴ ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“, 13-14.

სურ. 103
დროშები იერუსალიმსა და სინას
მთის წმ. ეკატერინეს მონასტერ-
ზე ჯორჯიო სიდერის 1560 წლის
რუკაზე.



(იხ. სურ. 103). სინამდვილეში, ორი ხუთფიგურიანი დროშით „ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე“ მონიშნულია ორი კონკრეტული პუნქტი – იერუსალიმი და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი. მართალია, 1560 წლის რუკაზე ეს პუნქტები უსახელოა, მაგრამ საკმარისია ისინი შევადაროთ სიდერის სხვა (1561 და 1565 წწ.) რუკებს (სურ. 104), რომ ადვილად დავრწმუნდებით: წითელი ჯვრითა და წერტილებით ოქროს ველზე აღნიშნულია იერუსალიმი, ხოლო ოქროს ჯვრითა და წერტილებით წითელ ველზე – სინას მთა და წმ. ეკატერინეს მონასტერი. ამ სიმბოლოებში გასარკვევად ავტორის ბიოგრაფია უნდა მოვიშველიოთ. ჯორჯიო სიდერი (სიდეროსი), მეტსახელად კალაპო-და, ბერძენი გახლდათ, კრეტაზე დაბადებული, რომელსაც ამ დროს ვენეცია ფლობდა. ის კარტოგრაფიის ბერძნული, კრეტას სკოლის წარმომადგენელი იყო, რომელიც ვენეციელებისათვის ადგენდა რუკებს.³⁵ ცნობილია, რომ სიდერის რუკებზე დროშები აღნიშნავენ ქვეყნების მმართველებს.³⁶ ამავე დროს, წმ. ეკატერინეს მონასტერს ბერძენი კარტოგრაფები გამოყოფდნენ, როგორც ქრისტიანობის ბოლო დასაყრდენს ისლამის ზღვაში.³⁷ ეს მონასტერი, რომელიც ყოველთვის ბერძენი მართლმადიდებლების ხელში იყო, კალაპოდამ ძველი ბიზანტიური დროშით მონიშნა. დასავლელი კარტოგრაფები-საგან განსხვავებით, სიდერი იერუსალიმსაც დროშით გამოყოფს. იერუსალიმის თავზე ხუთჯვრიანი დროშის გამოსახვა სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ, როგორც ჩანს, სიდერი ბიზანტიურ ტრადიციას მისდევს და ბეზანტებიანი დროშით ასახავს ქალაქს. ყველაფრიდან ჩანს, რომ ბერძენი კარტოგრაფი მეტად მიდრეკილია ხუთფიგურიანი კომპოზიციისაკენ, რომელსაც ის ისლამის ნახევარმთვარიან დროშებშიც კი იყენებს. ცხადია, ეს დროშების გამოსახვის ბიზანტიურ ტრადიციას უნდა მივაწეროთ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყენებდა ამ კომპოზიციას.

³⁵ George Tolias, *The Greek Portolan Charts, 15th-17th Centuries: A Contribution to the Mediterranean Cartography of the Modern Period* (Athens, 1999), 38-40.

³⁶ იქვე, 182.

³⁷ იქვე, 61.




რაც შეეხება **იერუსალიმს**, ცხადია, მასზე აღმართული ხუთჯვრიანი დროშა სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ადრეულ საზღვაო რუკებზე იერუსალიმი, რომელსაც უკვე მუსლიმები ფლობდნენ, უდროშოდ არის დატანილი. როგორც ჩანს, იერუსალიმზე ისლამური ნახევარმთვარის გამოხატვას მაინც ერიდებოდნენ და ის უმთავრესად ქრისტეს საფლავის ან ჯვარცმის სახითაა წარმოდგენილი რუკებზე. თუმცა, მოგვიანებით, როდესაც წმინდა მიწის დაბრუნების იმედი საბოლოოდ გადაიწურა, **XVI** საუკუნის II ნახევრიდან და **XVII** საუკუნეში იერუსალიმზე უკვე გვხვდება ნახევარმთვარეებიც.³⁸ პარალელურად, **XVI** საუკუნიდან, უმთავრესად კატალანური სკოლა, იწყებს იერუსალიმზე ქრისტიანული სიმბოლიკის გამოსახვასაც: ჯაკოპო რუსოს 1540, 1563 წწ. და ალოიზიუს ჩეზანის 1574 წ. რუკებზე ვხედავთ წითელ ველზე დადებულ ოქროს ჯვარს (სურ. 106); ჯოან მარტინესის 1567, 1570 და 1578 წწ. რუკებზე პირიქით – ოქროს ველზე წითელი ჯვარია ოთხი წერტილით (სურ. 107), ხოლო მისივე 1572 და 1583 წწ. რუკებზე ოქროზე უკვე ხუთი წითელი ჯვარია (სურ. 108); ჯოან რიზო ოლივას კი 1590 წ. რუკაზე ხუთი ოქროს ჯვარი დააქვს წითელ ველზე (სურ. 109). ეს ნაირსახოვანი და ნაირფერი სიმბოლიკა ნიშნავს იმას, რომ მათ კონკრეტული შესაბამისობა არ მოეძებნებათ და რომ ქალაქის აღნიშვნა ხდებოდა ზოგადად, ქრისტიანობის (ჯვარი) და იერუსალიმის (ხუთი ჯვარი) განმასახიერებელი სიმბოლიკით. ცხადია, **XVI** საუკუნეში იერუსალიმზე გამო-სახულ წითელ-ოქროსფერ დროშებს ორი საუკუნენახევრით ადრე გამოსახულ ქართულ

სურ. 104
სინას მთის წმ. ეკატერინეს მონ-ასტერი დროშებით ჯორჯიო სიდ-ერის (ა) 1561 და (ბ) 1565 წლების რუკებზე.


³⁸ იხ. მაიორკელი კარტოგრაფების ოლივების ოჯახის რუკები, სადაც ისლამური ნახევარმთვარის გარდა, იერუსალიმი გამოსახულია გოლგოთას მთით და სამი ჯვრით: ბართოლომეუ ოლივას დ.1538-88 წ. რუკა, ჯოან რიზო ოლივას 1588, 1593, 1594 წწ. რუკები, ჯოან ოლივას 1602 წ. რუკა. (სურ. 105)



სურ. 105
იერუსალიმი გოლგოთას მთით და სამი ჯვრით ა) ბარ-თოლომეუ ოლივას დ.1538-88 წ. რუკაზე, ჯოან რიზო ოლივას ბ) 1593 წ. და გ) 1594 წ. რუკებზე, დ) ჯოან ოლი-ვას 1602 წ. რუკაზე.



სურ. 106
იერუსალიმი წითელზე ოქროს
ჯვარიანი დროშით ა) ჯაკოპო რუ-
სოს 1563 წ. და ბ) ალიოზიუს ჩეზა-
ნის 1574 წ. რუკებზე.




სურ. 107
იერუსალიმი ოქროზე წითელი ჯვრით
ჯოან მარტინესის 1578 წ. რუკაზე.

სურ. 108
იერუსალიმი ოქროზე ხუთი წითელი
ჯვრით ჯოან მარტინესის 1583 წ. რუ-
კაზე.

სურ. 109
იერუსალიმი წითელზე ხუთი ოქროს
ჯვრით ჯოან რიზო ოლივას 1590 წ.
რუკაზე.





თეთრ-წითელ დროშებთან საერთო მხოლოდ ის აქვთ, რომ ყველა ისინი მაცხოვარს და მისი ვნების ადგილს განასახიერებენ.

კვიპროსზე პორტოლანები გამოსახვეენ ლუზინიანების დინასტიის დროშებს, რომლებიც თითქმის სამი საუკუნე (1192-1489) ფლობდნენ კუნძულს და ამავე დროს იერუსალიმის მეფეებიც იყვნენ. ამიტომ, მათ დროშებს კუნძულზე ან კვიპროსის ლომის სახით გამოსახავდნენ ან ორი სამეფოს გაერთიანებული ემბლემების – ლომისა და იერუსალიმის ხუთი ჯვრის სახით. მაგრამ იერუსალიმის ეს ჯვარი, ცენტრში მოტივტივე ოქროს საყრდენიანი (*cross potent*) ხუთი ჯვრით, ფერითა და ფორმით მკვეთრად განსხვავდება ქართული ჯვრისაგან, რომელიც წითელი, კიდით კიდემდე გადაჭიმული ცენტრალური და მის კანტონებში ჩანერილი ოთხი პატარა ჯვრითაა წარმოდგენილი. ეს განსხვავება მკაფიოდაა დაცული ანჯელინო დულჩეტის 1339 წლის რუკაზე, სადაც გვერდიგვერდ შეგვიძლია შევადაროთ თბილისისა და კვიპროსის დროშები (სურ. 110).


არც **კილიკიის სომხეთის** მიწებზე ფრიალებს წითელი ხუთჯვრიანი დროშა, როგორც ამას ოპონენტები ირწმუნებიან. დულჩეტის 1339 და 1340 წლების პორტოლანებზე კილიკიის საპორტო ქალაქის კორიკოსის თავზე (Cucho, Curco) ლაჟვარდოვანი დროშაა აღმართული ხუთი პატარა თეთრი ჯვრით (სურ. 111აბ), აბრაჰამ კრესკეს 1375 წლის რუკაზე კი ეს დროშა მრავალი თეთრი პატარა ჯვრითაა მორთული (სურ. 111გ), ისევე როგორც ხაიმე ბერტრანისა და ბერენგერ რიპოლის 1456 წლის რუკაზე (სურ. 111დ).³⁹ არცერთი მათგანი არც ფერით და არც კომპოზიციით ოდნავადაც არ ჰგავს ქართულ დროშას! აქ უკვე ვცილდებით ჩვენი კვლევის საგანს, მაგრამ ვეცდებით ავხსნათ ჯვრებიანი დროშის წარმოშობა, რომელიც კილიკიაში ლუზინიანების დაფუძნებით უნდა იყოს გამოწვეული. დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე კილიკიაში მხოლოდ ერთი დროშა ჩანს – ლომი ქალაქ აიაზის (Laiazo) თავზე (სურ. 112); მეცვლილი ვითარებაა 1339 წლის რუკაზე, როდესაც კილიკიაში უკვე ორი დროშა ჩნდება – კილიკიის ლომი აიაზზე და ჯვრებიანი დროშა კორიკოსზე. ვიცით, რომ 1336 წლიდან მაინც, კორიკოსის გრაფი იყო ბოემუნდ ლუზინიანი.⁴⁰ 1342 წელს ლუზინიანები საერთოდ გამეფდნენ კილიკიის სომხეთში. ამ წელს გი დე ლუზინიანი სომხებმა მეფედ აირჩიეს და ის კონსტანტინე (კოსტანდინ) II-ის სახელით მართავდა ქვეყანას. ლუზინიანი იყო კილიკიის უკანასკნელი მეფე ლეონ V-ც, რომელიც 1375 წელს დაამხეს მამლუქებმა.⁴¹ მიუხედავად ამისა, 1448 წლამდე კორიკოსს კვიპროსის სამეფო ინარჩუნებდა, რომელიც ამ ქალაქს 1359 წლიდან ფლობდა.⁴² უნდა ვიფიქროთ, რომ ბოემუნდ ლუზინიანი იყენებდა თეთრ ჯვრებიან



სურ. 110
თბილისისა (ა) და კვიპროსის (ბ) დროშები ანჯელინო დულჩეტის 1339 წლის პორტოლანზე.



სურ. 112
კილიკიის ლომი ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის პორტოლანზე.



სურ. 113
ოთხად გაყოფილი ლუზინიანების დროშის I მეოთხედში იერუსალიმის ჯვარია გამოსახული, II და IV მეოთხედებში კვიპროსის ლომი, ხოლო III მეოთხედში – კილიკიის სომხეთის ლომი. კონსტანტინ კრებაზე მყოფი პორტუგალიელი ჰეროლდის მიერ შექმნილი არმო-რიალიდან. 1416 წ. The John Rylands Library, Latin MS 28, f. 50r.



ლაჟვარდოვან დროშას, რომელიც კორიკოსის დაპატრონების შემდეგ, აისახა კიდევ პორტოლანებზე. სანამ სხვა ემბლემები დაემატებოდა, ლუზინიანთა თავდაპირველი გერბი ხომ ლაჟვარდოვან-თეთრი ფარი იყო. საინტერესოა, რომ კილიკიის დაკარგვის შემდეგაც ლუზინიანები თავს მის მეფეებად თვლიდნენ, სამი სამეფოს (იერუსალიმი, კვიპროსი, კილიკია) მემკვიდრეებად აცხადებდნენ თავს და შესაბამისი გერბიც ჰქონდათ (სურ. 113).

სამხრეთ საფრანგეთში ქალაქ **ნარბონის** თავზე, რიგი პორტოლანების (ვესკონ-ტი, კარინიანო, დულჩეტი, პიციგანები, რაფელ და გილელმო სოლერები, გაბრიელ დე ვალსეკა, სხვ.) მიხედვით, ფრიალებს დროშა, რომელსაც ქართულ ხუთჯვრიან დროშას ამსგავსებენ (სურ. 114აბგდე). მართალია, ამ დროშის თეთრ ველზე ვხედავთ წითელ ცენტრალურ ჯვარს, მაგრამ მის მკლავებში ჯვრების ნაცვლად ოთხი წითელი ფარი (თუ გული) არის მოთავსებული. ამ დროშის წარმოშობა დღემდე აუხსნელი რჩება ვექსილოლოგიაში. ფრანგი ვექსილოლოგები ნარბონის დროშის ფიგურებს ამსგავსებენ შუბის წვერებს, სამკუთხედებს, ფარებს და სხვ. მათ მიაჩნიათ, რომ XIV საუკუნისათვის ამ ობიექტების მნიშვნელობა უკვე უცნობი იყო პორტოლანების შემდგენელთათვის. ფიქრობენ, რომ ეს შეიძლება იყოს ფარები, მით უმეტეს, რომ ნარბონის გერბი უბრალო წითელი ფარი იყო.⁴³ არ არის გამორიცხული, ეს დროშა ნარბონელთა ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობას უკავშირდებოდეს,⁴⁴ საიდანაც მათ შეეძლოთ იერუსალიმის ჯვართან მიმსგავსებული სიმბოლიკა წამოეღოთ, რომელიც საკუთარი წითელი ფარებით შეავსეს. ზოგჯერ, „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნზე“ (*Libro del conocimiento de todos los reinos*) დაყრდნობით, ნარბონის გერბს ამსგავსებენ ჯვარს ოთხი ლურსმნით.⁴⁵ მართლაც, ამ წიგნის ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ მანუსკრიპტში ჯვრის მკლავებში სამსჭვალის მსგავსი ფიგურები ჩანს (სურ. 115).⁴⁶ ამ ფაქტით ნარბონის დროშის იერუსალიმთან კავშირი შეგვეძლო შეგვემაგრებინა, რომ არა შემდეგი გარემოება: „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნის“ ოთხი ნუსხიდან მხოლოდ ერთშია ასეთი ფიგურები, სამ შემთხვევაში კი ჯვრის მკლავებში სამკუთხედებია მოთავსებული. მეტიც, ორ ხელნაწერში მარტივი ჯვარი ფარის კიდებამდეა მიყვანილი, ორში კი ცენტრში მოთავსებულია ე.წ. ლანგედოკის ბოლოებგაყოფილი ჯვარი, რომელსაც ტულუზას გრაფები ატარებდნენ, მით უმეტეს, რომ წიგნის ტექსტის მიხედვით, ნარბონა ტულუზას გრაფს ეკუთვნოდა.⁴⁷ თითქოსდა ცხადია, რომ აქ არასწორადაა გამოსახული ტულუზას გრაფების დროშა და ასეც ფიქრობს

⁴³ Pasch, “Les drapeaux des cartes-portulans, II: Drapeaux du “Libro del conocimiento,” 12.

⁴⁴ ნარბონის ვიკონტი ეიმერიკ I წმინდა მინაზე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობდა და 1105 წელს გარდაიცვალა იერუსალიმში. Jacqueline Caille, “Narbonne


from Roman Foundations to the Fifteenth Century,” in *Medieval Narbonne: A City at the Heart of the Troubadour World*, ed. Kathryn L. Reyerson (Aldershot, 2005), 6. ნარბონა საკმაოდ დანაწიარებული სავაჭრო ქალაქი გახლდათ. მისი გემები დაცურავდნენ ლევანტშიც, კრეტაზე, რო-

დოსზე, კვიპროსზე, ეგვიპტესა და სირიაში, აღწევდნენ კონსტანტინოპოლსა და შავ ზღვას. იქვე, 23.

⁴⁵ Ashley, Clemmensen, “*The Book of Knowledge*,” 6.

⁴⁶ *El Libro del conocimiento*, fig. XXVIa.

⁴⁷ იქვე, 24-25, სურ. XXVIa-c.



ზოგიერთი მკვლევარი.⁴⁸ მაგრამ აქ მხოლოდ ერთი ავტორის შეცდომასთან არ გვაქვს საქმე და ნარბონის დროშა კიდით კიდემდე გადაჭიმული მარტივი ჯვრით გვხვდება პორტულანებზე, რომლებიც წინ უსწრებენ და პირველად წყაროს წარმოადგენენ *Libro del conocimiento*-სთან შედარებით, რომელიც ფიქტიური მოგზაურობის ტიპური ნიმუშია და რომლის მონაცემები უაღრესი სიფრთხილით უნდა განვიხილოთ.⁴⁹

ერთადერთი პუნქტი პორტულანებზე, სადაც საქართველოს ტერიტორიაზე გამო-სახული დროშების მსგავსი წითელი ხუთჯვრიანი სიმბოლო მართლაც არის გამოსახუ-ლი, გახლავთ ანატოლიაში, მნიშვნელოვანი გზების გადაკვეთაზე მდებარე ქალაქი **სე-ბასტია** (სივასი), რომლის თავზე ვხედავთ შედგენილ დროშას – ხუთჯვრიანი დროშისა და ილხანთა დროშის კომბინაციას.

⁴⁸ Pasch, “Les drapeaux des cartes-portulans, II: Drapeaux du “Libro del conocimiento,” 12; Ashley, Clemmensen, “The Book of Knowledge,” 27. ასევე იხ. თვარაძე, *საქა-რთველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 257.

⁴⁹ „ყველა სამეფოს ცოდნის ნიგნი“ XIV საუკუნის II ნახევრის ანონიმური თხზულებაა წარმოსახ-ვითი მოგზაურობის სახით, რომე-ლიც ცნობილია XV საუკუნის ოთხი ასლით. ის არ შეიცავს რუკებს, არ-ამედ მხოლოდ ტექსტს და ილუს-

ტრაციებს და არის ფურცელზე შესრულებული ფიქტიური მოგ-ზაურობა. Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politico. I Portolani e il “Libro del Conocimiento de todos los Reinos,” 108. მთხრობელის წარმოსახვი-თი მოგზაურობის დროს ის „ენვია“



სურ. 115
ნარბონის გერბი „ყველა სამეფოს ცოდნის ნიგნში“.

სურ. 116
შედგენილი ხუთჯვრიანი დროშე-ბი სებასტიასა (ა) და სებასტო-პოლზე (ბ) ანჯელინო დულჩეტის 1339 წლის რუკაზე.

ქალაქებსა და ქვეყნებს, რომლებიც უკვე აღარ არსებობდა და რომელთა სახელები გაურკვეველი ან ამოუც-ნობია, ზოგი კი ლეგენდარული ან გა-მოგონილი იყო. Ashley, Clemmensen, “The Book of Knowledge,” 1-4. ავტორი ამტკიცებდა, რომ ნახა ნოეს კიდობა-ნი არარატის მთაზე, იყო გოგისა და მაგოგის ზღაპრულ ციხესიმაგრეში და ეწვია მეფე-ხუცესი იოანეს სახლს. Pasch, “Les drapeaux des cartes-portulans, II: Drapeaux du “Libro del conocimiento,” 8; *El Libro del conocimiento de todos los reinos*, XXVI. მისი მონათხრობი არ არის მხოლოდ ქალაქების და ქვეყნების ჩამონათვალი; ავტორი ასახელებს ის-ტორიულ და ლეგენდარულ პიროვნე-ბებს, ისტორიულ მოვლენებს, უჩვეულო ცხოველებსა და ადამიანებს, ლეგენდ-არულ ქალაქებს და სახელმწიფოებისა და მმართველების გერბებს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ასეთი მრავალფერო-ვანი ასპექტების გამოსაკვლევად მას სხვადასხვა წყაროები დასჭირდებოდა, მას პორტულანების საფუძველზე შე-ქმნილად მიიჩნევს და უწოდებს „დან-ერილ პორტულანს“, „პორტულანს რუკების გარეშე“ ან „პორტულანს სიუ-ჟეტის სახით“ (Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politico. I Portolani e il “Libro del Conocimiento de todos los Reinos,” 108), მაგრამ ყოველივე ეს ავტორს ად-ვილად შეეძლო ამოეკითხა მხოლოდ ერთი წყაროდან – მსოფლიო რუკიდან (*mappamundi*). ეს არის გეოგრაფიული „რომანი“, რომელიც შედგენილია მსოფლიო რუკის დახმარებით. *El Libro del conocimiento*, XVI, XXVII. თხზუ-ლებაში, დროშის ან ფარის ფორმით, მოცემულია ქვეყნების, ქალაქებისა და მათი მმართველების ასზე მეტი გერბი. ჩვენამდე მოღწეულ ოთხ მანუსკრიპტ-ში გერბების და დროშების გამოსახ-ულებები განსხვავებულია, დროშები არასტანდარტული ფორმისაა და ბევრი გერბი არასწორი, გამოგონილი ან მოძ-ველებულია. Ashley, Clemmensen, “The Book of Knowledge,” 5-6. როგორც ჩანს, ეს შეცდომები და განსხვავებები გა-მოხვეულია იმით, რომ თავდაპირველი ტექსტი მხოლოდ სიტყვიერ აღწერილო-ბას შეიცავდა და გვიანდელი გადაწერ-ები ტექსტის საფუძველზე ხატავდნენ



სებასტიის დროშაზე არსებული წითელი ხუთი ჯვრის ახსნის ორი ვერსია შე-მოგვთავაზა დ. მუსხელიშვილმა. ერთი მხრივ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ „აქ შეიძლება რუკის გამომხაზველის უბრალო მექანიკურ შეცდომასთან გვეკონდეს საქმე ქალაქთა სახელების იდენტურობის შედეგად“;⁵⁰ „ევროპელთათვის კარგად იყო ცნობილი და, ცხადია, რუკის გამომხაზველმაც იცოდა, რომ ცხუმი – სებასტოპოლი (savastopoli) საქართველოს ქალაქია; ფაქტობრივად იდენტური სახელწოდების ქალაქი – სებასტია (savasto) იმავე ცხუმად გაიზარა და ამიტომ მასზეც საქართველოს სახელ-მწიფო სიმბოლიკით შემკული დროშა გამოსახა“.⁵¹ უნდა ითქვას, რომ ასეთი შეცდომის მაგალითი ოფიციალურ დოკუმენტებშიც მოიძებნება: გენუელი პროკურატორის ბენე-დეტო კასტანოს მიერ შედგენილ და ნოტარიუსით დამონმებულ 1276 წლის აქტში ნახ-სენებია გენუელ ვაჭართა კუთვნილი გალერის გაძარცვა, რომელიც Savasto-დან იყო.⁵² ითვლება, რომ ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება სებასტია, ანდა აქ სებასტოპოლის სახელია დამახინჯებული.⁵³ თუმცა, სებასტია საპორტო ქალაქი არ ყოფილა, გალერა რომ ჰყოლოდა ან მისი ნავსადგურით ესარგებლათ. როგორც ჩანს, აქ საუბარია გალერ-აზე სებასტოპოლიდან და მსგავსების გამო ქალაქების სახელებია არეული. ასე რომ, ეს მოსაზრება ყურადსაღებია და ასეც შეგვეძლო გვევარაუდა დულჩეტის 1339 წლის რუ-კის მიხედვით, სადაც სებასტიასა და სებასტოპოლზე, ორივეზე შედგენილი ხუთჯვრი-ანი დროშები ჩანს (სურ. 116); მაგრამ დულჩეტის 1330 წლის რუკაზე სებასტოპოლზე მარტო მწვანე ზოლებიანი დროშაა, სებასტიაზე კი მხოლოდ ილხანების დროშა, რაც სახელების არევას გამორიცხავს, რადგან ამ შემთხვევაში ორივე პუნქტზე ერთნაირი დროშები უნდა დაეტანათ (სურ. 117). როგორც ჩანს, ამ ტიპის შეცდომა უნდა გამოირ-იცხოს.

დ. მუსხელიშვილი მსჯელობს სხვა შესაძლებლობაზეც, როცა „არ არის გამორიცხუ-ლი ისიც, რომ XIV საუკუნის 30-იან წლებში ისეთი პოლიტიკური ვითარება შექმნილიყო

სხვადასხვა ტიპის გერბებს. Pasch, “Les drapeaux des cartes-portulans, II: Drapeaux du “Libro del conocimiento,” 9-10; *El Libro del conocimiento de to-dos los reinos*, XIV. „ყველა სამეფოს ცოდნის ნიგნის“ შეცდომების შეს-

ახებ ასევე იხ. თვარაძე, *საქარ-თველო და კავკასია ევროპულ წყ-აროებში*, 295-301.
⁵⁰ მუსხელიშვილი, „საქართვე-ლოს სახელმწიფო დროშა“, 137.
⁵¹ მუსხელიშვილი, „გორგას-

ლიანი, დავითიანი“, 293-94.
⁵² G. I. Bratianu, *Recherches sur le Commerce Génois dans la Mer Noire au XIIIe Siècle* (Paris, 1929), 310-11.
⁵³ Карпов, *Итальянские морские путешествия*, 92.



მცირე აზიაში, რომ ქ. სებასტია დროის რაღაც მონაკვეთზე, მართლაც, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოხვედრილიყო და სწორედ ეს მომენტი იყოს ასახული ანჯელინო დულჩერის რუკაზე“.⁵⁴ მასვე მოჰყავს შესაბამისი ისტორიული პარალელი, როდე-საც 1300 წელს ყაზან ყაენმა იერუსალიმი გადასცა ქართველებს: „განა არ შეიძლება სებასტიის მიმართაც რაღაც მსგავსი ვითარება ყოფილიყო, რომელიც არ დაფიქსირ-და ნარატიულ ისტორიულ წყაროებში, მაგრამ აისახა დულჩერტის 1339 წლის რუკაზე. მით უმეტეს, რომ გიორგი ბრწყინვალის ლაშქრობა მონღოლებთან ერთად მცირე აზია-ში ცნობილია. ჩვენ რომ შემორჩენილი გვქონდეს ამ დიდებული მეფის მმართველობის მატრიანე, ეგების, ამ საკითხსაც მოჰფენოდა სინათლე!“⁵⁵

შეიძლებოდა თუ არა მოვლენები ამ სცენარით განვითარებულიყო და ქართული დროშა მართლაც აფრიალებულიყო სებასტიაზე?⁵⁶ ვნახოთ, რა ვითარება იყო ანატო-ლიაში XIV საუკუნის I ნახევარში და ამის მიხედვით გავაკეთოთ დასკვნები.

1314 წლის ზაფხულში ანატოლიაში მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ თურქმენე-ბი გამოვიდნენ და ყარამანიანებმა კონია აიღეს. ილხანმა ოლჯათუმ მათ წინააღმდეგ ჩობან ნოინი გააგზავნა. ჩობანმა სამხედრო ბანაკი ყარანბუეკში გამართა, არზრუმსა და სებასტიას შორის, სადაც მას მორჩილება გამოუცხადა თურქმენული ტომების უმრავ-ლესობამ. 1315 წლის გაზაფხულზე ჩობანი კონიისაკენ დაიძრა, საიდანაც ყარამანიანები თავიანთ დედაქალაქში, ლარენდეში გაიქცნენ. ჩობანმა მათ უკან მისდია და უვნებლო-ბის პირობით, ყარამანიანები დანებდნენ. ჩობანმა კონიაში შიჰნა და ახალი მოხელეები დანიშნა. ის არანში ოქტომბერში დაბრუნდა, მაგრამ მალევე მობრუნდა ანატოლიაში. აქ, 1316 წლის 17 დეკემბერს შეიტყო მან ოლჯათუს სიკვდილის ამბავი. ის დაუყოვნე-ბლივ წავიდა ურდოში და კაისერიაში თავისი შვილი, თემურთაში დატოვა.⁵⁷ როგორც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, ამ ლაშქრობის დროს ჩობანს, ქართულ სპასთან ერ-თად, მისი პროტეჟე გიორგი ბრწყინვალეც ახლდა, რომელმაც ბრძოლებში გამოიჩინა თავი:

ამათ ჟამთა შინა იქმნა განდგომილება საბერძნეთს, და განუდგეს ოლჯათ სულტანსა ფარვანას შვილნი და ქალაქი დიდი კონისა. მაშინ წარავლინა ყაე-ნმან ჩოფან სპითა მისითა საბერძნეთს და თანა წარატანა ქართველნიცა. და წარჰყვა გიორგი ჩოფანს... და წარიტანეს თანა მეფე გიორგი საბერძნეთს, და ვერ წინა-აღუდგეს ფარვანიანნი ლაშქართა მათ ერთ წელ. და ყოველ-

სურ. 117
ილხანების დროშა სებასტიაზე (ა) და ზოლებიანი დროშა სებასტო-პოლზე (ბ) ანჯელინო დულჩეტის 1330 წლის რუკაზე.



სურ. 118
მონპელიეს დროშა გილემებისა და არაგონის გერბებით ანჯელი-ნო დულჩეტის 1339 წლის პორ-ტოლანზე.

⁵⁴ მუსხელიშვილი, „გორგასლიანი, დავითიანი“, 294.
⁵⁵ მუსხელიშვილი, „საქართველოს სახელმწიფო დროშა“, 138. ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ა. თვარაძე-საც, რომელიც სებასტიის ხუთჯვრიან დროშას ანატოლიაში მონღოლებთან ერთად გიორგი ბრწყინვალის 1316 წლის ლაშქრობას უკავშირებს. იხ. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 280-81.
⁵⁶ სხვათა შორის, ცნობილი გამომცე-მლობის *Dorling Kindersley*-ს მიერ ბრი-ტანეთის დროშების ინსტიტუტთან ერთად 2008 წელს გამოქვეყნებულ დროშათა კრებულში საქართველოს ხუთჯვრიანი დროშის შესახებ ნათქ-ვაშია, რომ ის შეიძლება უკავშირდე-ბოდეს ქართველების მიერ სივასის და-ლაშქერას. *Complete Flags of the World*, 5th ed. (New York, 2008), 175.

⁵⁷ Хафиз Абду, Дополнение к собранию историй Рашида, перевод с персидско-го, предисловие, комментарий, приме-чания и указатели Э.Р. Талышханова (Казань, 2011), 71; J. A. Boyle, “Dynastic and Political History of the Il-Khans,” in *The Cambridge History of Iran*, vol. V, *The Saljuq and Mongol Periods*, ed. J. A. Boyle (Cambridge, 1968), 406; Charles Melville, “Anatolia under the Mongols,” in *The Cam-bridge History of Turkey*, vol. 1, *Byzantium to Turkey, 1071-1453*, ed. Kate Fleet (Cam-bridge, 2009), 89-90.



სურ. 118
მონპელიეს დროშა გილემებისა და არაგონის გერბებით ანჯელი-ნო დულჩეტის 1339 წლის პორ-ტოლანზე.



სურ. 119
ბარსელონას დროშა არაგონის გერბითა და ქალაქის მფარველი წმ. გიორგის ჯვრით. ანჯელინო დულჩეტის 1339 წ. პორტოლანი.



სურ. 120
კასტილია-ლეონის ჭადრაკული დროშა სევილიაზე. ანჯელინო დულჩეტის 1339 წ. პორტოლანი.

⁵⁸ ჟამთააღმწერელი, „ასნლოვანი მატრიანე“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გიული ალასანიამ, *ქართ-ლის ცხოვრება*, რედ. როინ მეტრეველი (თბილისი, 2008), 652-53.

⁵⁹ *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ*, 52.

⁶⁰ რომელსაც ცოტა განსხვავებულად თარგმნის და უფრო მკვეთრად სვამს აქცენტებს: გიორგი V, რომელიც ჩო-ბანის შემწე იყო, მას „განამორებდა ყველა უბედურებას“. D. M. Lang, “Geor-gia in the Reign of Giorgi the Brilliant (1314-1346),” *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, 17/1 (1955), 80.

ნი მას შინა მყოფი ქართველნი მოსცა მეფესა გიორგის. იახლნეს ჯავახნი და თორელნი ოდენ ყვეს, და სადაცა ილაშქრიან და შეიბიან ციხესა, მწნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი და ყოველნი ქართველნი. ესრეთ მოი-მორჩილნა ყოველნი განდგომილნი და ურჩნი, და მოქცევასა წელიწადისა-სა მივიდა შინა. და სთულისა ჟამსა, ვითარ მივიდა ჩოფან ყაენს წინაშე, და მცირედლა დაყო, ვითარ თუეცა ერთ, მოკუდა ოლჯათ სულტანი და დაუტევა ძე მცირე, ვითარ შვდისა წლისა, სახელით აბუსაიდ.⁵⁸

სამწუხაროდ, ქართველი მემატიანის თხრობა მალევე წყდება და ჩვენ ისლა დაგვრჩე-ნია ვივარაუდოთ, მიიღო თუ არა გიორგი ბრწყინვალემ მონაწილეობა თავისი მფარვ-ელისა და მოკავშირის ჩობანის მხარდამხარ ანატოლიის სხვა კამპანიებში.

ამგვარი ვარაუდის უფლება კი ნამდვილად გვაქვს, რადგან ვიცით, თუ როგორ უჭ-ერდნენ ისინი ერთმანეთს მხარს. მამლუქთა ეგვიპტის სახელმწიფო მდივანი, ცნობილი ენციკლოპედისტი ალ-უმარი (1301-49) ხაზგასმით აღნიშნავს გიორგი V-ის მნიშვნელო-ბას ჩობანისათვის:

იგი იყო მისთვის ყველაზე საყვარელი რჩეულთა შორის და ყველაზე გულწრ-ფელი გულწრფელ მეგობართა შორის. მოუხმობდა მას მნიშვნელოვანი ამ-ბის დროს და სთხოვდა დახმარებას გაჭირვების ჟამს. მიიჩნევდა მას თავისი ლაშქრის საყრდენად და უბედურების განმშორებლად“.⁵⁹

დევიდ ლანგმა ყურადღება მიაქცია ალ-უმარის ამ ცნობას⁶⁰ და მაგალითად მოი-ყვანა გიორგი ბრწყინვალის თანადგომა ყურუმჩი ნოინის ამბოხის დროს. ჟამთა-აღმწერლის თხზულებიდან კარგად ნაცნობი ყურუმჩი ალინაყის ძე საქართველოს ნაცვალი იყო და ფორმალურად, გიორგი V მას ემორჩილებოდა, მაგრამ ქართველ-თა მეფემ მაინც ჩობანს დაუჭირა მხარი.⁶¹ 1319 წელს ჩობანისაგან განანწყენებული ყურუმჩი და სხვა მონღოლი ნოინები აჯანყდნენ, გოგჩის ტბასთან მოულოდნელად დაესხნენ თავს ჩობანს და მისი მოკვლა სცადეს. ჩობანმა ბრძოლა წააგო, მაგრამ თავს გაქცევით უშველა. ამის შემდეგ აჯანყებულებს შეუერთდა გავლენიანი ნოინი ირენ-ჯინი, დიარბაქრის ყოფილი მმართველი, რომელიც ამ პოსტიდან ჩობანმა გადააყენა. უპირატესობა ამბოხებულთა მხარეს იხრებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდ-ნენ გადამწყვეტ ბრძოლაში მიანასთან ჩობანისა და ილხან აბუ-საიდის ჯარებთან.⁶² ამის შემდეგ, 1323 წელს ჩობანმა კიდევ ერთხელ წარმატებით ილაშქრა ანატოლია-ში, ამჯერად ილხანების წინააღმდეგ აჯანყებული საკუთარი შვილის თემურთაშის წინააღმდეგ, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა. აჯანყება მალე ჩააქრეს, თემურთაშის მომხრეები სიკვდილით დასაჯეს, თავად ის კი აბუ-საიდს მიჰგვარეს, რომელმაც მამის ხათრით, შვილი შეინყალა.⁶³ ადვილი შესაძლებელია, რომ გიორ-გი ბრწყინვალე ამ ლაშქრობაშიც ახლდა თან ჩობანს, რამაც შემდგომში ასახვა ჰპოვა პორტოლანებზე. შესაძლოა, სებასტიაში მყოფმა ევროპელებმა იხილეს მონ-ღოლებთან ერთად ქართველი მეფისა და ქართული ჯარის შესვლა;⁶⁴ ერთხანს იქნებ გარნიზონადაც იდგნენ ქალაქში ქართველები, თავიანთი ჯვრიანი დროშებით.⁶⁵

⁶¹ იქვე.

⁶² Хафиз Абду, Дополнение к

собранию историй Рашида, 95-103.

⁶³ იქვე, 112-13.

⁶⁴ ყოველ შემთხვევაში, 1315-16 წლებში ამ მოვლენას ნამდვილად ექნებოდა ადგილი, როდესაც კონი-

ისკენ მიმავალი მონღოლ-ქართუ-ლი ლაშქარი სებასტიაშიც შევიდა.

⁶⁵ გიორგი ბრწყინვალე ანა-ტოლიაში შემდეგ წლებშიც აქ-ტიურობს. მისი მეფობის ხანა-ში, 1341 წელს ქართული ჯარი ტრაპიზონში შეიჭრა, ირინე პა-

ლეოლოგოსი ჩამოაგდო და ალე-ქსი II კომნენოსის ასული, ანა I ანახუტლუ გაამეფა, რომელიც გიორგი ბრწყინვალის დეიდაშ-ვილი იყო. მიქელ პანარეტოსი, „ტრაპიზონის ქრონიკა“, ბერ-ძნული ტექსტი ქართული თარგ-

ქრისტიანული სიმბოლიკით გაჯერებული ეს მოვლენა სიამოვნებით აისახებოდა ევროპულ რუკებზე.⁶⁶

მთავარი ისაა, რომ ასეთი დასკვნისაკენ გვიბიძგებს თავად პორტოლანების როგორც მარტივი, ისე შედგენილი დროშები და მათი გამოსახვის ლოგიკა. განვიხილოთ ეს უკანასკნელნი დეტალურად და ვნახოთ რას გვიჩვენებენ ისინი დულჩეტის 1339 წლის პორტოლანზე, სადაც პირველად ჩნდება სებასტიის შედგენილი დროშა (იხ. რუკა 14).

ანჯელინო დულჩეტის 1339 წლის პორტოლანზე შედგენილი დროშები სამხრეთ საფრანგეთში მონპელიეს, ესპანეთში ბარსელონას, სევილიას, პალმა დე მაიორკას, სიცილიაში მესინას, ადრიატიკაზე სეინის, უნგრეთში შეკესფეჰერვარის, კვიპროსზე ფამაგუსტას, ანატოლიაში ფოკაიას, სებასტიას, ანტალიას და საქართველოში სებასტოპოლის თავზე გვხვდება.

მონპელიეს დროშაზე (სურ. 118) გამოსახულია თეთრ ველზე წითელი დისკო და ე.წ. „არაგონის ზოლები“ ანუ წითელი ზოლები ოქროზე; პირველი სიმბოლო ადგილობრივი მმართველი დინასტიის გილემების გერბია, რომელიც დღემდე ამშვენებს ქალაქის დროშასა და გერბს,⁶⁷ ხოლო წითელ-ყვითელი ზოლები არაგონის სამეფოს ეკუთვნის, რომელიც 1204 წლის შემდეგ ფლობდა ქალაქს, სანამ 1349 წელს მაიორკის მეფე ხაიმე III-მ არ მიჰყიდა ის საფრანგეთის მეფე ფილიპე VI-ს.

ბარსელონას ჭადრაკულ დროშაში შეერთებულია არაგონის გერბი და ქალაქის მფარველი წმ. გიორგის ჯვარი.⁶⁸ (სურ. 119)

სევილიაზე, რომელიც 1248 წელს წაართვა ალმოჰადებს კასტილიის სამეფომ, ფრიალებს კასტილია-ლეონის ჭადრაკული დროშა, რომელიც აერთიანებს კასტილიისა (ციხე-სიმაგრე) და ლეონის (ლომი) ემბლემებს. (სურ. 120)

პალმა დე მაიორკას დროშა ბალეარის კუნძულების ხაიმე I არაგონელის დაპყრობის (1229-31) შედეგად შეიქმნა და მოიცავს არაგონისა (ზოლები) და პალმას (ლაჟვარდზე მუნიციპალიტეტის შენობა) გერბებს. (სურ. 121)

მესინაზე სიცილიის სამეფოს დროშაა, რომელიც აერთიანებს არაგონის ზოლებს შვაბიის (ჰოჰენშტაუფენების) არწივთან, რომელიც სიცილიის ემბლემად მეფე მანფრედ ჰოჰენშტაუფენმა აქცია (სურ. 122). ეს დროშა დამკვიდრდა სიცილიაში პეტრე III არაგონელის გამეფების (1282) შემდეგ, რომლის მეუღლე კონსტანს სიცილიელი მანფრედ ჰოჰენშტაუფენის ასული და სიცილიის ტახტის მემკვიდრე იყო.

სეინის დროშაზე ხორვატი გრაფი ფრანკოპანების რვაქიმიანი ვარსკვლავი და ოქროს ველია, რომლებიც 1271-1469 წლებში მართავდნენ ქალაქს.⁶⁹ (სურ. 123)

შეკესფეჰერვარის დროშა ეკუთვნის უნგრეთის მეფე შარლ I-ს (1308-42), კაპეტინგების

მანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გა- მოსცა ალ. გამყრელიძემ, მსკი, 33 (1960), 23, 69-70. ასევე იხ. ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი III, ნაწილი I, თბ- ზულუბანი, ტ. III (თბილისი, 1982), 177-78.

⁶⁶ ცხადია, სებასტიაში დგომა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, როგორც ეს შემდგომი მოვლენ- ებიდან ჩანს, როდესაც ილხანთა სახელმწიფოს მოშლის შემდეგ, 1339 წლიდან სებასტიას ერეთნას სულთანათი დაეუფლა. Карпов, Итальянские морские путешествия, 92. ამასვე მოწმობს პიციგანების 1367 წლის პორტოლანიც, სადაც სებასტიაზე მხოლოდ ილხანების დროშაა ნაჩვენები. იხ. მუსხელიშ-

ვილი, „გორგასლიანი,დავითიანი“, 294. ეს თითქოსდა ანაქრონიზმია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ერეთნა უილური წარმოშობის მონღოლი მოხელე იყო, რომელიც ერთხანს რუმის მმართველიც იყო, და შესაძლოა, ამის გამო რუკებზე ინერციით სებასტიას ისევ ილხ- ანთა ხელდებულ ტერიტორიად ასახავდნენ. სამაგიეროდ, აშკარა ანაქრონიზმია სებასტიის დრო- შა აბრაჰამ კრესკეს 1375 წლის კატალანურ ატლასზე, რომელიც ბრმად მისდევს მისი წინამორბე- დი დულჩეტის რუკებს, არ შეაქვს შესწორება უკვე დრომოჭმულ დროშებში და სებასტიაზე ისევ ილხანურ-ხუთჯვრიან დროშას გა- მოსახავს.

⁶⁷ კიდევ ერთი მტკიცება იმისა,

თუ რამდენად სანდოა პორტო- ლანებში დაცული პერალდიკური ინფორმაცია.

⁶⁸ საინტერესოა, რომ დულჩე- ტის 1330 წლის პორტოლანშიც ბარსელონას ასეთი დროშა აქვს, რაც კარტოგრაფის შესაშურ ოპერ- ატიულობაზე მეტყველებს: ასეთი გერბი ქალაქმა 1329 წელს მიიღო. იხ. Manuel Bassa i Armengol, “L’escut de la ciutat de Barcelona,” *Bulleti de la Societat Catalana d’Estudis Històrics*, 3-4 (1954-55), 27-31; Armand de Fluvià i Escorsa, “El bohomoso asunto de los símbolos de Barcelona,” *Revista Hidal- guia*, 274-75 (1999), 351.

⁶⁹ Gavro A. Škrivanić, *Monumenta cartographica Jugoslaviae: Srednjo- vekovne karte*, vol. 2 (Belgrad, 1979), 47.



სურ. 121
პალმა დე მაიორკას დროშა არა- გონისა და პალმას გერბებით. ან- ჯელინო დულჩეტის 1339 წ. პორ- ტოლანი.



სურ. 122
სიცილიის სამეფოს დროშა არაგო- ნის ზოლებით და ჰოჰენშტაუფენ- ების არწივით. ანჯელინო დულჩე- ტის 1339 წ. პორტოლანი.



სურ. 123
სეინის დროშა გრაფი ფრანკო- პანების რვაქიმიანი ვარსკვლავით. ანჯელინო დულჩეტის 1339 წ. პორტოლანი.



სურ. 124
უნგრეთის მეფის შარლ I-ს დროშა ფრანგული სამეფო შროშანებითა და არპადების წითელ-თეთრი ზოლებით. ანჯელინო დულჩეტის 1339 წ. პორტოლანი.



სურ. 125
ლუზინიანების დროშა კვიპროსის ლომით და იერუსალიმის ხუთი ჯვრით. ანჯელინო დულჩეტის 1339 წ. პორტოლანი.



სურ. 126
გენუელი ზაკარიების დროშა ფოკაიაზე. ანჯელინო დულჩეტის 1339 წ. პორტოლანი.



სურ. 127
თეკეს თურქული ბეილიქის დრო- შა ექესქიმიანი ვარსკვლავით და კლაკნილი ზოლებით. ანჯელინო დულჩეტის 1339 წ. პორტოლანი.



სურ. 128
ექესქიმიანი ვარსკვლავი ერეთნას ბეილიქის ახჩაზე.

უმცროსი შტოს ანჟუს დინასტიიდან და აერთიანებს ანჟუს ფრანგულ სამეფო შროშანებს ლაჟვარდოვან ველზე, უმცროსი შტოსთვის დამახასიათებელი წითელი საჭდეთი,⁷⁰ უნ- გრეთის პირველი სამეფო სახლის არპადების წითელ-თეთრ ზოლებთან. (სურ. 124)

ფამაგუსტაზე ლუზინიანების დროშა ფრიალებს, ორი სამეფოს – კვიპროსის (ლომი) და იერუსალიმის (ხუთი ჯვარი) – გერბით. (სურ. 125)

ფოკაიაზე ვხვდავთ წმ. გიორგის დროშას და ვერტიკალურ ზოლებს (სურ. 126). 1275 წელს გენუელმა მანუელ ზაკარიამ ანდრონიკოს II პალეოლოგოსიდან ფოკაია ფიფვის სახით მიიღო; შემდეგი მმართველია მისი ძმა ბენედეტო, რომელიც ხშირად იცვლიდა პატრონს, ხან კასტილიის მეფეს ემსახურებოდა, ხან კი საფრანგეთისას; ბენედეტოს მემკვიდრეები, რომლებიც ქალაქს 1340 წლამდე ფლობდნენ, უკვე ბიზანტიის იმპერა- ტორის წინააღმდეგ გამოდიან.⁷¹ ასე რომ, დროშის ერთი ნახევარი გენუის წმ. გიორგის დროშას წარმოადგენს, მეორე ნახევრის რაობის დადგენა კი გაძნელებულია.

ანტალიის დროშაზე ექესქიმიანი ვარსკვლავი და კლაკნილი ზოლებია (სურ. 127). ამ ზოლების კუთვნილება დაუდგენელია, თუმცა მეორე სიმბოლო რეალობიდანაა აღებუ- ლი.⁷² ამ დროს ანტალია თეკეს თურქული ბეილიქის (1321-1423) დედაქალაქი იყო. ანა- ტოლიის თურქულ ბეილიქებში კი გავრცელებული იყო ფულზე ექესქიმიანი ვარსკვლა- ვის გამოსახვა, რომელსაც ვხვდავთ ერეთნას, ყარამანიანების, ისფენდირიანების, მენ- თემეს და სხვა ბეილიქების მონეტებზე (სურ. 128). ეს ფიგურა, დავითის ვარსკვლავის გარდა, სოლომონის ბეჭდის სახელითაა ცნობილი ისლამში და მაგიური ძალა მიენერე- ბოდა. როგორც ვხვდავთ, აქაც, მიუხედავად ისლამური ჰერალდიკის ჩანასახოვანი მდ- გომარეობისა, პორტოლანების ინფორმაცია სინამდვილეს ასახავს.

უნდა დავასკვნათ, რომ ყველა შედგენილი დროშა **ერთმნიშვნელოვნად, გამონაკ- ლისის გარეშე**, აღნიშნავს მოცემული ქალაქის მფლობელს, ზოგჯერ უზენაეს და ზო- გჯერ თანასწორ ხელისუფალთან ერთად. ამ წესიდან გადახვევა არც ერთხელ (!) არ დადასტურებულა დულჩეტის პორტოლანზე. ბუნებრივია, ეს წესი უნდა გაგავრცოთ სებასტიასა და სებასტოპოლზეც. გამოდის, რომ სებასტიის დროშის ერთი ნაწილი ილხ- ანებს (სუზერენს) წარმოადგენს, მეორე კი ხუთჯვრიანია, რომელიც რუკის ლოგიკიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად ეკუთვნის საქართველოს (ილხანების ვასალს). რადგან დანამდვილებით ვიცით, რომ სებასტია ამ დროს ილხანთა იმპერიაში შედიო- და, რაც უტყუარადაა დროშის ერთ ნაწილზე ასახული, მეორე ნაწილიც რეალობას უნდა გადმოცემდეს და მართალი უნდა იყოს მასზე ქართული კვალის აღნიშვნაც.

სებასტიის დროშის სხვაგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც ქალაქის მფლობელის გარდა დროშას სხვა ინსტიტუციას მიაწერს, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, რის შესახებაც მომდევნო თავში ვიმსჯელებთ.

⁷⁰ ეს მცირე შტრიხი პორტო- ლანების ავტორების პერალდიკუ- რი ცოდნის კიდევ ერთი დასტურია.

⁷¹ William Miller, *Essays on the Lat- in Orient* (Cambridge, 1921), 283-95.

⁷² ისლამის სამყაროში ჰერალ- დიკის განუვითარებლობის გამო, მუსლიმური ქვეყნების დროშები და გერბები ევროპული ჰერალ- დიკის ენით ყოველთვის ძნელი გადმოსაცემი იყო. ანატოლიის შემთხვევაში საქმეს მრავალი წერილი სამთავროს (ბეილიქის) არსებობაც ართულებდა. მცირე აზიაში პოლიტიკური ქაოსი, ბი- ზანტიის იმპერიის კრიზისი და თურქულ-მონღოლური სამფლო- ბელოების მონაცვლეობა კმნიდა

მრავალ დროშას, რომლებიც, რო- გორც ჩანს, არასტაბილურ მდგო- მარეობას ასახავდნენ. Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politi- co. Le bandiere dei portolani trecentes- chi,” 246. *Libro del conocimiento* აღ- ექესქიმიანი ვარსკვლავით, – რაც ნიშნავს პოლიტიკურ კოორდინა- ციას: ეს არის ბიზანტიის იმპერი- ის ტერიტორიები, რომლებიც XIV საუკუნის შუა ხანებში მუდმივად იცვლიდნენ პატრონს და ახალი დინასტიები გარკვეულწილად იმ- პერიული სუვერენიტეტის დროე- ბით მემკვიდრეებად ითვლებოდ- ნენ. Savorelli, “Atlanti simbolici dello spazio politico. I Portolani e il “Libro del Conocimiento de todos los Rein- os,” 116.



რუკა 14
 ანჯელინო დულჩეტის 1339
 წლის ხმელთაშუა ზღვის,
 შავი ზღვისა და დასავლეთ
 ევროპის რუკა. კატალანუ-
 რი სკოლა. Bibliothèque natio-
 nale de France, MS number: GE
 B-696 (RES).
 თბილისზე წითელი ხუთ-
 ჯვრიანი დროშა, სეზასტო-
 პოლზე – ორად გაყოფი-
 ლი დროშა წითელი ხუთი
 ჯვრითა და ირიბი მწვანე
 ზოლებით.

კათოლიკური მისიები აღმოსავლეთში (XIII-XIV სს.)

ხუთჯვრიანი დროშის ოპონენტების აზრით, საზღვაო რუკებზე ეს დროშა საქართველოში (ცხუმსა და თბილისში) არსებულ კათოლიკურ მისიებს აღნიშნავს.⁷³ თავის დროზე მათ არგუმენტირებულად უპასუხა დ. მუსხელიშვილმა, რომელმაც მიუთითა იმ ფაქტზე, რომ პორტოლანებზე აღმოსავლეთის არც ერთი კათოლიკური საეპისკოპოსო არ არის აღნიშნული ხუთჯვრიანი დროშით: „თბილისსა და ცხუმს გარდა, კათოლიკური საეპისკოპოსოები აღმოსავლეთში, რა თქმა უნდა, სხვაც ბევრი იყო. კერძოდ, სპარსეთში არაერთი ასეთი საეპისკოპოსო არსებობდა, ხოლო ქალაქ სულთანიეში, რომელშიც 25-მდე კათოლიკური ეკლესია იყო, საარქიეპისკოპოსოც კი დააარსეს, რომელსაც ემორჩილებოდნენ თბილისისა და ცხუმის ეპისკოპოსები“. მიუხედავად ამისა, სულთანიეს თავზე ხუთჯვრიანი დროშის ნაცვლად ილხანთა სახანოს დროშაა აღმართული.⁷⁴

არსებითად, ამ მოკლე განმარტებით საკითხი ამონწურულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ რადგან კათოლიკურ მისიებზე აპელირება არ წყდება,⁷⁵ უფრო ვრცლად მიმოვიხილოთ კათოლიკური დაწესებულებები საქართველოში და ვნახოთ, შეიძლებაოა თუ არა მათზე გამოესახათ ხუთჯვრიანი დროშა.

კათოლიკური მისიების ისტორია საქართველოში XIII საუკუნის I ნახევარში იწყება. 1233 წელს რუსუდან მეფე პატივისცემით იღებს რომის პაპის გრიგორი IX-ის (1227-41) წარგზავნილ ფრანცისკელ ბერს იაკობ (ჯაკომო) დე რუსანოს, რომელიც თბილისში მისიონს აარსებს.⁷⁶ 1240 წელს პაპმა რვა დომინიკელი ბერი გამოაგზავნა თბილისში, სადაც მათ მისიონი დააფუძნეს, რომლის კვალიც 1256 წლის შემდეგ აღარ ჩანს.⁷⁷

XIII საუკუნეში ხანმოკლე დროის განმავლობაში დომინიკელებს რეზიდენცია ჰქონდათ სებასტიაშიც (სივასში), სადაც ისინი ჩანან 1289 წელს.⁷⁸ აქ ასევე იყვნენ წარმოდგენილნი ფრანცისკელები, რომელთა სავანე მარკო დი მონტეფელტრომ დაარსა. 1277-80 წლებში მუსლიმებმა მათი ეკლესიის ზარები დალენეს, თუმცა ფრანცისკელთა კონვენტი 1292 წელსაც ჩანს.⁷⁹ XIII საუკუნის მიწურულს მისიონერებმა სებასტია მიატოვეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1318 წელს ეპისკოპოსად ბერნარდ პიაჩენცელი დაინიშნა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისია დაბრუნდა. თუმცა, ბერნარდი ერთადერთი მოქმედი ეპისკოპოსია, რომელსაც აქ ჰქონდა რეზიდენცია.⁸⁰ 1289-90 წლებში დომინიკელები მკვიდრდებიან თავრიზში, ილხანთა დედაქალაქში.⁸¹

XIII საუკუნის მიწურულს ფრანცისკელთა სახლები გვხვდება თავრიზში, სალმასში (Salamastrum), სივასსა და ერზინჯანში (Arzenga).⁸² მონღოლთა იმპერიაში ფრანცისკელთა და დომინიკელთა სავანეების ნუსხის (*De locis Fratrum Minorum et Fratrum Praedicato-*

მისიონია, მათი ეპისკოპოსი ზის, სხვა ქალაქში ასეთი მისიონები არ არსებობს და არც დროშაა". ლორთქიფანიძე, „იყო თუ არა ხუთჯვრიანი დროშა შუასაუკუნეოვანი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო?“⁸³, 476.

⁷⁴ მუსხელიშვილი, „საქართველოს სახელმწიფო დროშა“, 136. სხვათა შორის, ა. თვარაძემ დასვა მახვილგონივრული კითხვა, რომელზეც პასუხი არავის გაუცია: „როდესაც XIV-XV საუკუნის პორტოლანებზე საქართველოსთან მოთავსებულ ჯვრიან დროშებს მისიონერთა კუთვნილებად ვსახავთ, მისიონერები არანაკლები რაოდენო-

ბით ჩამოდიოდნენ საქართველოში XVI ან XVII საუკუნეებში, მაგრამ არც ამ დროის რუკებზე ჩანს მათი მოღვაწეობის რაიმე აღმნიშვნელი კვალი, ძირითადად თურქეთის ნახევარმთვარიან დროშებს ვხვდებით“. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 259.

⁷⁵ განსაკუთრებით აქტიურია ნ. ჯაველიძე, რომელიც ლამის ყოველ ნაშრომში ამ მოსაზრებას, როგორც აღიარებულ ჭეშმარიტებას, ისე იმეორებს: ხუთჯვრიანი დროშა „უთუოდ, კათოლიკე-მისიონერთა ცენტრებს უნდა ნიშნავდეს“. ჯაველიძე, „სეფე დროშა“ თუ მასონური ნიშანი“, 47; „ევ-

როპულ პორტულანებზე ხსენებული დროშებით მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში მოქმედ კათოლიკე მისიონერთა ცენტრებს აღნიშნავდნენ“. მისივე, „ქართველთა საერო დროშის გამო“, 43. ფაქტობრივ უზუსტობასთან ერთად, არ ერიდება ასეთ „დასკვნებსაც“: „ის ფაქტი, რომ დასავლეთ ევროპულ პორტულანებზე ყველა ქალაქი, სადაც კათოლიკური მისიონერული ცენტრები არსებობდა, „წითელჯვრიანები“ და მისი მსგავსი დროშებითაა მონიშნული, მეტყველებს კათოლიკეთა სწრაფვას მსოფლიო გავრთიანებისკენ, კათოლიციზმის საყოველთაო დამკვიდრებისკენ და მას არაფერი აქვს საერთო არც ქართულ და არც ზოგადად მართლმადიდებლურ სინამდვილესთან“. მისივე, „კიდევ ერთი ცნობა შუა საუკუნეების საქართველოს დროშის შესახებ“, *პერსპექტივა-XXI*, 11 (2009), 75.

⁷⁶ Luca Wadding, *Annales minorum seu trium ordinum a S. Francisco Institutorum*, t. II (Romae, 1732), 316-17; ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)* (თბილისი, 1984), 82-83.

⁷⁷ Jean Richard, *La papauté et les missions d’Orient au Moyen-Age (XIIIe-XIVe siècles)* (Rome, 1977), 55; მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის* (ტფილისი, 1902), 14-17.

⁷⁸ Raymond J. Loenertz, “Les missions Dominicaines en Orient au quatorzième siècle et la Société des Frères Pèrègrinants Pour le Christ.” *Archivum fratrum praedicatorum*, 2 (1932), 35. XIII საუკუნის მიწურულიათვის დომინიკელთა მისიონების გაუქმებას თბილისსა და სებასტიამუ უკავშირებენ ლევანტში ჯვაროსნული სახელმწიფოების დაცემას, სადაც დომინიკელთა მისიების საოპერაციო ბაზა იმყოფებოდა. იქვე.

⁷⁹ Girolamo Golubovich, *Biblioteca bio-bibliografica della Terra Santa e dell’Oriente francescano*, t. I (Quaracchi, 1906), 301; Richard, *La papauté et les missions d’Orient au Moyen-Age*, 115.

⁸⁰ Marshall W. Baldwin, “Missions to the East in the Thirteenth and Fourteenth Centuries,” in *A History of the Crusades*, ed. Kenneth M. Setton, vol. V (Madison, 1985), 506.

⁸¹ Sergio La Porta, “Armeno-Latin Intellectual Exchange in the Fourteenth Century,” *Medieval Encounters*, 21 (2015), 275-76.

⁸² Baldwin, “Missions to the East in the Thirteenth and Fourteenth Centuries,” 482.

⁸³ კუსტოდია (*custodia*) ფრანცისკელთა ორდენის ადმინისტრაციული ერთეულია.

⁸⁴ იქვე, 491-92; Johannes Preiser-Kapeller, “*Civitas Thauris*. The Significance of Tabriz in the Spatial Frameworks of Christian Merchants and Ecclesiastics in the 13th and 14th Centuries,” in *Politics, Patronage and the Transmission of Knowledge in 13th-15th Century Tabriz*, ed. Judith Pfeiffer (Leiden, 2014), 281.

⁸⁵ Baldwin, “Missions to the East in the Thirteenth and Fourteenth Centuries,” 492-93; Preiser-Kapeller, “*Civitas Thauris*. The Significance of Tabriz,” 281. თავდაპირველად ორდენის აღმოსავლური მისიები იტალიური სავაჭრო რესპუბლიკების ეკონომიკურ ექსპანსიას უწყობდა ფეხს და განსაკუთრებით შავ ზღვაზე, გენუელთა ფაქტორიებს ეყრდნობოდა, რასაც მოწმობს მისიონების არსებობა კაფას, გალათასა და ტრაპიზონში. Loenertz, “Les missions Dominicaines,” 3.

⁸⁶ Richard, *La papauté et les missions d’Orient au Moyen-Age*, 169-75; Baldwin, “Missions to the East in the Thirteenth and Fourteenth Centuries,” 495-96, 505; La Porta, “Armeno-Latin Intellectual Exchange in the Fourteenth Century,” 279.

⁸⁷ ქართულ ისტორიოგრაფიაში სმირნადან კათედრის გადმოტანა თბილისში ახსნილია როგორც გიორგი ბრწყინვალის პერიოდის გავრთიანებული საქართველოს მიერ მოპოვებული დიდი ავტორიტეტის შედეგი და ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერის მაჩვენებელი. იხ. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III, *საქართველო XI-XV საუკუნეებში*, რედ. ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გუჩუა (თბილისი, 1979), 658; ვაჟა კიკნაძე, *საქართველო XIV საუკუნეში* (თბილისი, 1989), 73; ლოვარდ ტუხაშვილი, *ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან*, ნ. I (თბილისი, 1994), 274-75; მურმან პაპაშვილი, *საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს.* (თბილისი, 1995), 89-90; *საქართველოს ისტორია ოთხ ტომად*, ტ. III, *საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე*, მთ. რედ. მარიამ ლორთქიფანიძე (თბილისი, 2012), 85. რელიგიურთან ერთად, მ. გაბაშვილი ხაზს უსვამს ევროპელთა სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებსაც. მანანა გაბაშვილი, „რატომ გადმოიტანეს აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში?“, *აღმოსავლეთი და კავკასია*, 1 (2003), 36. ამ მოსაზრებას ელდარ მამისთვალშვილიც იზიარებს. იხ. მისი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XIII-XIV საუკუნეები)*, ტ. V (თბილისი, 2021), 211, შენ. 1. ცხადია, თბილისის საეპისკოპოსო ქალაქად

rum in Tartaria) მიხედვით, 1318 წლისათვის ფრანცისკელთა აღმოსავლეთის ვიკარიატი სამ კუსტოდიად⁸³ იყო დაყოფილი: კონსტანტინოპოლის (ფარავდა დასავლეთ ანატოლიას), ტრაპიზონისა (დარჩენილი ანატოლია) და თავრიზის (დიდი სომხეთი, აზერბაიჯანი, სამხრეთ საქართველო და მესოპოტამია). თავრიზის კუსტოდიაში შედიოდა ქალაქები სულთანიე, სალმასი, არზრუმი, თბილისი, ბორჩხა? (Porsico), გარპი? (Carpi) და ყარაკლისი.⁸⁴

1312 წელს დომინიკელთა ორდენმა აღმოსავლეთში საქადაგოდ საგანგებო ორგანიზაცია დააარსა (*Societas fratrum peregrinantium propter Christum inter gentes*). ორდენის მისიონერული იურისდიქცია მოიცავდა საბერძნეთის, ეგვიპტისა და ნუბიის ნაწილებს და მთელ აზიას პალესტინის, სირიისა და კილიკიის სომხეთის გარდა. ეს ვრცელი ტერიტორია დაყოფილი იყო სექციებად (*contratae*), რომლებსაც შეიძლება „მისია“ ვუწოდოთ. მთავარი მისიები იყო საბერძნეთის, შავი ზღვის რეგიონისა და დიდი სომხეთის, საქართველოსა და სპარსეთის ტერიტორიებზე. შავი ზღვის რეგიონში იყო დომინიკელთა ორი რეზიდენცია (კაფა და ტანა), სპარსეთში კი სამი – თავრიზი, მარალა და დეხარე-განი. ჩანს, 1315 წლის შემდეგ კონვენტი დაარსდა ტრაპიზონშიც. კაფას ეპისკოპოსის 1323 წლის ანგარიში და მოგვიანებით დომინიკელი ეპისკოპოსების არსებობა, როგორც ჩანს, მიუთითებს დომინიკელთა ეპარქიების შესაძლებლობაზე ქერჩში, ხერსონში, სოლდაიას, ჩემბალოსა და სებასტოპოლში.⁸⁵

1318 წელს პაპმა იოანე XXII-მ (1316-34) დომინიკელებს დაუქვემდებარა ახლადშექმნილი სულთანიეს საარქიეპისკოპოსო, რომლის იურისდიქციაში შედიოდა ილხანთა მიწები (ანატოლია, სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი და ირანი), შუა აზია, ინდოეთი და ეთიოპია. სულთანიეს ექვსი ეპარქია ექვემდებარებოდა – სმირნა, სივასი, სებასტოპოლი, თავრიზი, დეხარეგანი და მარალა. ფრანცისკელების იურისდიქცია მოიცავდა მონღოლთა იმპერიის დარჩენილ ტერიტორიებს – ოქროს ურდოს, ჩალატაის სახანოს აღმოსავლეთ ნაწილს და დიდი ხანის აღმოსავლეთ იმპერიას.⁸⁶

1329 წელს სულთანიეს პროვინციის რეორგანიზაცია მოხდა: ეპარქია სმირნადან, რომელიც ამ წელს აიდინის საამირომ დაიპყრო, თბილისში გადაიტანეს,⁸⁷ რითაც აღადგინეს XIII საუკუნეში მიტოვებული დომინიკელთა თავდაპირველი რეზიდენცია. ორგანიზაციულად თბილისის ეპარქია სულთანიეს ექვემდებარებოდა. 1329 წელს თბილისის ეპისკოპოსად დაინიშნა დომინიკელი იოანე ფლორენციელი. სმირნასთან ერთად სულთანიეს საეპისკოპოსო ნუსხიდან ქრება სებასტიაც.⁸⁸

ქცევა შემთხვევით არ მოხდებოდა და ამას ხელს შეუწყობდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერე, მაგრამ სმირნას ეპარქიის გაუქმების მთავარი მიზეზი,რამაც რომის პაპი იძულებული გახადა შესაფერი აღტერნატივა მოენახა, არის აიდინის საამიროს მიერ სმირნას დაპყრობა და არა ოსმალთა მიერ ქალაქის შევიწროება, როგორც ამას აღნიშნავენ ხოლმე. თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 32; *საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე*, ტ. III, 658; გაბაშვილი, „რატომ გადმოიტანეს აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში?“, *აღმოსავლეთი და კავკასია*, 1 (2003), 36. ამ მოსაზრებას ელდარ მამისთვალშვილიც იზიარებს. იხ. მისი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XIII-XIV საუკუნეები)*, ტ. V (თბილისი, 2021), 211, შენ. 1. ცხადია, თბილისის საეპისკოპოსო ქალაქად

რის, 31-39; Loenertz, “Les missions Dominicaines,” 45; Richard, *La papauté et les missions d’Orient au Moyen-Age*, 182-86; Baldwin, “Missions to the East in the Thirteenth and Fourteenth Centuries,” 505-6, 509; Preiser-Kapeller, “*Civitas Thauris*. The Significance of Tabriz,” 285-86. შესაძლოა, სებასტიის მისიონის გაუქმების მიზეზი XIV საუკუნის 20-იანი წლების არასტაბილურობაა ანატოლიაში, რის შედეგადაც 1330-იან წლებში ერეთნას სულთანათი წარმოიქმნა, რომელიც 1339 წელს სებასტიასაც დაეუფლა. ილხანთა მფლობელობის ბოლო წლებში აქ სმირი იყო საბრძოლო მოქმედებები: 1319 წელს აჯანყდა დიარბექრის მმართველი ირეჯინი, რომელმაც ანატოლია მოაოხრა; შემდეგ ჩობან ნოინ-

ის შვილი თემურთაში ებრძვის ადგილობრივ თურქულ ბეილიქებს, ხოლო 1323 და 1327 წლებში თემურთაში თავად ჯანყდება და როდესაც, საბოლოოდ ეგვიპტეში გაიქცა, რუმის მმართველად ალაად-დინ ერეთნა დატოვა. ერეთნა ილხანთა მოხელე იყო, იმპერიაში არეულობის შედეგად აღზევებული, რომელმაც აბუ-საიდის სიკვდილის (1335) შემდეგ საკუთარი საამირო შექმნა ანატოლიაში. იხ. Melville, “Anatolia under the Mongols,” 90-96; Bertold Spuler, *Die Mongolen in Iran: Politik, Verwaltung und Kultur der Ilchanzeit 1220-1350* (Berlin, 1955), 134, 355; Claude Cahen, “Eretna,” in *El2*, vol. 2, eds. B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht (Leiden, 1991), 705-7; Карпов, *Итальянские морские путешники*, 92.

შავი ზღვის რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპარქია კაფა იყო, რომელიც 1318 წლის თებერვალში იოანე XXII-მ დააარსა და მის პირველ ხელმძღვანელად ფრანცისკელი იერონიმე კატალონელი დაასახელა. კაფა როგორც დომინიკელთა, ისე ფრანცისკელთა მისიების ცენტრი იყო და აქ დროდადრო ჩნდებოდნენ დომინიკელი ეპისკოპოსებიც. იგივე ხდებოდა სებასტოპოლის, სოლდაიას (სუდაკი), ტანას (აზოვი), ჩემბალოს (ბალაკლავა), სურგატისა (სოლგატი) და ვოსპოროს (ქერჩი) ეპარქიებშიც.⁸⁹

1318 წლიდან სებასტოპოლის პირველი ეპისკოპოსი ბერნარდო მორეტი იყო, 1330 წლიდან კი პიეტრო ჯერალდი.⁹⁰ სებასტოპოლის ეპარქია 1450 თუ 1472 წლამდე არსებობდა.⁹¹

XIV საუკუნის II ნახევარში კათოლიკური მისიონი იხსნება ახალციხეშიც, სადაც 1373 და 1390 წლებში ფრანცისკელთა ორდენი გვხვდება, ხოლო 1382 წელს კლემენტ VII-ის (1378-94) ნებართვით საქართველოს მეფისაგან იღებენ რეზიდენციას დომინიკელებიც.⁹²

როგორც ვხედავთ, XIII-XIV საუკუნეებში აღმოსავლეთის ვრცელ ტერიტორიაზე რომის ეკლესიის მისიონები მრავალ ადგილას მოქმედებდნენ, მათ შორის საქართველოშიც (თბილისი, ცხუმი, ახალციხე). თუკი ხუთი წითელი ჯვარი კათოლიკურ მისიას აღნიშნავს, როგორ მოხდა, რომ ასეთი ხუთჯვრიანი დროშები მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება?⁹³ ერთადერთი გამონაკლისი **სებასტიაა (სივასი) და მასზეც ხუთჯვრიანი დროშა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც იქ მისიონი საერთოდ გაუქმებულია**!⁹⁴ ვესკონტეს 1320-იანი წლების რუკებზე სებასტიის დროშა საერთოდ არ ჩანს, ხოლო დულჩეტის 1330 წლის რუკაზე მხოლოდ ილხანთა დროშაა ანუ მაშინ, როდესაც მისიონი ფუნქციონირებდა, ხუთჯვრიანი დროშის კვალიც კი არ არის და მხოლოდ 1339 წლიდან ჩნდება ილხანების დროშასთან ერთად, როდესაც მისია უკვე გაუქმებულია.

სინამდვილეში კი, არათუ რიგითი ფრანცისკული თუ კათოლიკური მისიონები, არამედ **იერუსალიმში მოქმედი ფრანცისკელთა წმინდა მიწის კუსტოდიაც არ არის აღნიშნული პორტოლანებზე წითელი ხუთჯვრიანი დროშით!** თუკი მუსლიმური სამყაროს ტერიტორიაზე მოქმედ კათოლიკეთა მთავარ მისიონს არ აღნიშნავდნენ ასე, მაშ რა ლოგიკით უნდა მოენიშნათ ქრისტიანული საქართველოს ტერიტორიაზე კათოლიკური მისიონი?⁹⁵

სიმართლე ისაა, რომ **პორტოლანებზე არც ერთი კათოლიკური მისია არ არის დროშით აღნიშნული!** როდესაც დროშა გვხვდება იმ უნქტზე, სადაც ასეთი მისიაც ბინადრობდა, ეს დროშა **ყოველთვის** მის მფლობელს (ან სუზერენს) აღნიშნავს: კაფა და პერა – გენუის წითელჯვრიანი დროშითაა აღნიშნული, ტანა – ოქროს ურდოს ტამლით ან ვენეციის ლომით, ტრაპიზონი – იმპერიის ორთავიანი არწივით, სულთანიე, თავრიზი, ერზინჯანი – ილხანთა დროშით და ა.შ. ეს ლოგიკა არც ერთ პორტოლანში არ არის დარღვეული. თავისთავად ცხადია, რომ თბილისისა და სებასტოპოლის თავზე აღმართული დროშები ამ ქალაქების მფლობელებს ეკუთვნის, საქართველოს მეფესა და ცხუმის პატრონს.

^[89] Baldwin, “Missions to the East in the Thirteenth and Fourteenth Centuries,” 502.

^[90] Richard, La papauté et les missions d’Orient au Moyen-Age, 178, 182; კიენაძე, „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან“, 158. სებასტოპოლის

ადგილობრივი მმართველი მისიონერებს კარგად ეპყრობოდა. თუმცა, ქალაქი მონების ცნობილი ბაზარი იყო და 1330 წელს მეორე ეპისკოპოსმა, პიეტრო ჯერალდიმ, საგულისხმო წერილი გაუგზავნა ინგლისის ეპისკოპოსებს, სადაც აღწერილი იყო

მისი წარუმატებელი მცდელობები ამ სამარცხვინო ვაჭრობის შეზღუდვისთვის, ისევე როგორც მრავალი სხვა სირთულე, რომელიც მას შეექმნა. Baldwin, “Missions to the East in the Thirteenth and Fourteenth Centuries,” 506.

^[91] Preiser-Kapeller, “Civitas

^[92] Thauris. The Significance of Tabriz,” 287.

^[93] Richard, La papauté et les missions d’Orient au Moyen-Age, 186; კიენაძე, „საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები“, 163.

^[94] თავისთავად, იმის მტკიცება, რომ ხუთჯვრიანი დროშა კათოლიკურ მისიებს აღნიშნავს საქართველოში, წინააღმდეგობაში მოდის პერალდიკის პრინციპებთან, სადაც ერთი ემბლემა ერთ კონკრეტულ სუბიექტს (პიროვნებას, გვარს, ქალაქს, სახელმწიფოს, ა.შ.) შეესაბამება და მხოლოდ მას ეკუთვნის; წინააღმდეგობაშია ის პორტოლანებთანაც, რომლებზეც ამ პრინციპების დაცვითაა დატანილი დროშები: შეუძლებელია რაიმე ერთი გერბი ან დროშა ისეთ მრავალგვარ და მრავალი ორგანიზაციისაგან შემდგარ ცნებას აღნიშნავდეს, როგორიც კათოლიკური ეკლესიის მისიონია. ხუთჯვრიანი დროშა შეუძლებელია გამოსახავდეს ზოგადად კათოლიკურ მისიას და ის რომელიმე კონკრეტულ კათოლიკურ ორდენს უნდა შეესაბამებოდეს. მაგალითად, ის არ შეიძლება იყოს დომინიკელთა, ბენედიქტელთა, ავგუსტინელთა და სხვ. მისიის დროშა, არამედ მარტო ფრანცისკელების, რომლებმაც ხუთჯვრიანი დროშის გამოყენების უფლება მხოლოდ 1342 წლის შემდეგ მოიპოვეს. თბილისისა და ცხუმის კათოლიკური კათედრები კი სულაც არ იყო ფრანცისკანული: 1318 წლიდან სებასტოპოლის ეპისკოპოსი დომინიკელი ბერნარდო მორეტი იყო და თბილისის ეპისკოპოსიც 1329 წლიდან დომინიკელი იოანე ფლორენციელია. მეტიც, ვესკონტების 1320, 1321, 1325 და 1327 წლების რუკებზე ჯვრითა და ოთხი დისკოთი გამოსახული სებასტოპოლის დროშები შეუძლებელია აღნიშნავდეს ფრანცისკელთა მისიონს საქართველოში, რადგანაც მათ ასეთი დროშა არ გააჩნდათ, არამედ მხოლოდ ხუთჯვრიანი. ეს დროშა მხოლოდ საქართველოს შეიძლება ეკუთვნოდეს.

^[95] დულჩეტის 1330 წლის რუკაზე სებასტიაზე ილხანთა დროშა ფრიალებს და მხოლოდ 1339 წლის რუკაზე ვხედავთ დროშას, რომლის ნახევარი ილხანურია, მეორე ნახევარი კი ხუთჯვრიანი. ამ დროისათვის კი, XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან, სებასტიაში კათოლიკური მისია აღარ ფუნქციონირებს და ის სულთანიეს დაქვემდებარებული საეპისკოპოსოების ნუსხიდან არის გამქრალი.

^[96] თუ ხუთფიგურიანი კომპოზიციები კათოლიკურ მისიებს აღნიშნავენ, რა ესაქმება ასეთ დროშას ნარბონაზე, ფრანგული ქალაქის თავზე? არა მგონია, ვინმეს საფრანგეთის მიწაზე კათოლიკური მისიის დაარსება მოსვლოდა აზრად.

^[97] კლდიაშვილი, „დროშა სვიანად მოხმარებული“, 3; მუსხელიშვილი, „ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში“, 5; მისივე, „საქართველოს სახელმწიფო დროშა“, 136-37.

^[98] სილაგაძე, ჯაფარიძე, „ისევ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 3. ასევე იხ. მათივე, ავმართე დროშა მეფისა, 18-19.

^[99] Leonhard Lemmens, Die Franziskaner im Hl. Lande (Münster, 1919), 41-44; Michele Campopiano, Writing the Holy Land: The Franciscans of Mount Zion and the Construction of a Cultural Memory, 1300-1550 (Cham, 2020), 36-45.

^[100] Gerhard Dumke, “Die Flagge des Heiligen Landes,” Jahrbuch für Internationales Recht, 8 (1959), 107.

^[101] იერუსალიმის ხუთი ჯვარი, რომელიც პალესტინაში მყოფმა ფრანცისკელებმაც გადაიღეს, ჯვაროსნულ ლაშქრობებზე ადრინდელია და ის გვხვდება ისეთ ძველ შენობებზე, როგორიცაა კაიროში წმინდა სერგის კოპტური ეკლესია და იერუსალიმის წმინდა იაკობის სომხური ეკლესია. Lemmens, Die Franziskaner im Hl. Lande, 190. საგულისხმოა, რომ წმ. იაკობის ეკლესია ადრე ქართველებს ეკუთვნოდა და მხოლოდ შემდეგ, XII საუკუნეში ან უფრო გვიან, ჩაუვარდა ხელში სომხებს. იხ. გონა ჯაფარიძე, ქართულეთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით) (თბილისი, 2018), 143-47.

^[102] Dumke, “Die Flagge des Heiligen Landes,” 109-11, 124-25.

ფრანცისკელები და იერუსალიმის დროშა

ქართულ ვექსილოლოგიურ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ პორტოლანებისეული საქართველოს წითელი ხუთჯვრიანი დროშა განსხვავდება იერუსალიმის სამეფოს ხუთჯვრიანი დროშისაგან, რომელიც ოქროსფერი იყო და სხვა ფორმა ჰქონდა.⁹⁶ ამავე დროს, ა. სილაგაძემ და გ. ჯაფარიძემ მიუთითეს, რომ „არსებობს იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშის სხვა ვარიანტიც. ეს არის სამოქალაქო დროშა – სწორედ ხუთი წითელი ჯვარი თეთრ ფონზე, რომელიც ფრიალებდა წმინდა მიწის მეურვის (მცველის) – ფრანცისკელთა ორდენის – საკუთარსა და უცხოურ გემებზე, 1333 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე“.⁹⁷

მართალია, წმინდა მიწის ეს დროშა თავისი ფორმით იმეორებს ჯვაროსნების ნიშანს და, შესაბამისად, განსხვავდება ქართული ვარიანტისაგან, მაგრამ ფერისა (წითელი) და კომპოზიციის (ხუთი ჯვარი) მსგავსების გამო, ვნახოთ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე ფრანცისკელებისა და მათი წითელჯვრიანი დროშის სახით.

ფრანცისკელთა ორდენმა წმინდა მიწის პროვინცია 1217 წელს შექმნა, თუმცა 1291 წელს აკრას დაცემის შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა პალესტინა. 1333 წელს ნეაპოლის მეფე რობერტ ანჟუელმა (1309-43) და მისმა მეუღლემ სანჩამ დიდი ხარჯისა და ძალისხმევის ფასად ეგვიპტის სულთან ნასირ ად-დინ მუჰამედისაგან მოიპოვეს წმინდა საფლავზე ფრანცისკელების ყოფნის უფლება. 1342 წელს რომის პაპმა კლემენტ VI-მ (1342-52) ფრანცისკელები წმინდა მიწის მცველებად გამოაცხადა, რაც, შესაძლებლობის ფარგლებში, ქრისტიანული სინმინდეების დაცვასა და პოლიგრმიებზე ზრუნვას გულისხმობდა.⁹⁸

1427 წლის 24 ნოემბერს სულთანმა ბარსბაიმ (1422-38) ფრანცისკელებს ყველა უფლება დაუმტკიცა და ბრძანება გასცა, არ დაებრკოლებინათ მათი პოლიგრიმობა და ნავმისადგომებსა და გზებზე შეუფერხებლად გაეტარებინათ ქრისტიანული ქვეყნებიდან მათთვის გამოგზავნილი მონყალება. როგორც გერჰარდ დუმკე თვლის, ამ და მსგავსი ბრძანებებით შექმნილი გარემოება უნდა იყოს ფრანცისკელთა მიერ იერუსალიმის დროშის არჩევისა და გამოყენების მთავარი მიზეზი. ფრანცისკელებს, რომლებიც მართო დარჩნენ წმინდა მიწაზე, უნდა ეპოვათ გზები და საშუალებები მათთვის საჭირო ტვირთების ზღვით მოსატანად, ეზრუნათ მომლოცველებსა და ორდენის წევრებზე; ამ მიზნით მცურავი გემებისათვის მათ უნდა მიეცათ სპეციალური სტატუსი, რათა თავიდან აერიდათ ყველა საფრთხე. შესაბამისად, მათ უნდა მიეღწიათ თავიანთი დროშის ნეიტრალიტეტის საყოველთაო აღიარებისათვის.⁹⁹ ამ მიზნით ფრანცისკელებმა გამოიყენეს იერუსალიმის ხუთი ჯვარი, რომელიც ჯერ კიდევ ჯვაროსნულ ეპოქამდე არსებობდა.¹⁰⁰ დროშას ოფიციალურად *Vexillum Terrae Sanctae* ეწოდა, თუმცა XVIII საუკუნიდან ხშირად გამოიყენებოდა სახელი *Vexillum Jerosolymitanum* ან *Bandiera di Gerusalemme*. ამ დროშის ქვეშ მცურავი გემები, რომლებსაც მონყალება მოჰქონდათ ევროპიდან წმინდა მიწაზე, სრულად თავისუფლდებოდნენ ყველა გადასახადისგან. დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, იერუსალიმის დროშა ნეიტრალურად ითვლებოდა. პატენტებში მოცემულ რეკომენდაციას დაცვისა და დახმარების განევის შესახებ პატივს სცემდნენ არა მხოლოდ ევროპის ქვეყნები, არამედ ოსმალეთის მთავრობაც და, საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ჩრდილოეთ აფრიკის მეკობრე სახელმწიფოებიც. საინტერესოა, რომ წმინდა მიწის დროშა ხუთი ჯვრით არ იყო მხოლოდ კათოლიკეებისათვის განკუთვნილი, არამედ მას აგრეთვე აძლევდნენ მარონიტებს (სირიელ ქალკედონელებს), ბერძნებსა და მელქიტებს (ბიზანტიური წესის მართლმადიდებლებს), როგორც ეს ირკვევა ფრანცისკელების 1669-1795 წლების გემების რეესტრიდან.¹⁰¹



როგორც ვხედავთ, წითელ ხუთჯვრიან დროშას მართლაც იყენებდნენ ფრანცისკელები და მათი დროშის ქვეშ მცურავი გემები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ფრანცისკელთა მიერ გემებზე იერუსალიმის დროშის გამოყენების პრაქტიკა გვიანდელ ხანას მიეკუთვნება. იერუსალიმში დაცული ფრანცისკელების გემების რეესტრიდან გამომდინარე, გ. დუმკე აცხადებს, რომ წმინდა მიწის დროშის გემის კაპიტნებისათვის გადაცემის პრაქტიკა გვიან შუა საუკუნეებამდე არ არსებობდა.¹⁰² დუმკე, რომელიც კარგად იცნობს XIII საუკუნეში მონეტებზე იერუსალიმის ჯვრის დატანის შემთხვევებს, ფიქრობს, რომ დროშებზე იერუსალიმის ჯვარი გაცილებით გვიან გაჩნდებოდა. მისი თქმით, იერუსალიმის დროშის ადრეული გამოჩენა არც უნდა ვივარაუდოთ, რადგან დიდი სავაჭრო ცენტრების პირველი საქალაქო დროშები მხოლოდ XIII საუკუნეში ჩნდება და მათ ჯერ კიდევ მარტივი ფორმა აქვთ.¹⁰³ მართლაც, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში გენუამ (1238), ვენეციამ და პიზამ პირველებმა გამოიყენეს დროშა. 1253 წელს უკვე მარსელმა დაავალდებულა ქალაქის ყველა გემი აღემართათ თეთრი დროშა ლაჟვარდოვანი ჯვრით. ჩრდილოეთში ეს წესი ჰანზის ქალაქებმაც გადაიღეს: ჯერ ლუბეკმა (1280), შემდეგ შტრალზუნდმა და ელბინგმა.¹⁰⁴

იერუსალიმის ხუთი წითელი ჯვრის გამოსახულებები XV საუკუნეზე ადრე არც გვხვდება. ალბათ, უადრესია ფრანცისკელთა ჯვრის გამოსახულება პილიგრიმების გემზე, რომელიც კონრად გრიუნენბერგის წმინდა მიწაზე 1486 წლის მოგზაურობის აღწერაში გვხვდება. გრიუნენბერგი, სხვა პილიგრიმებთან ერთად, ლევანტში ვენეციელი აგოსტი-

სურ. 129
პილიგრიმებისათვის განკუთვნილი ვენეციური გალერა ფრანცისკელთა ორდენის დროშებით. 1487 წ. Badische Landesbibliothek Karlsruhe, Cod. St. Peter pap. 32, ff. 5v-6r.

¹⁰² იქვე, 106, 124.

¹⁰³ იქვე, 105.

¹⁰⁴ Horstmann, “Vor- und Frühgeschichte des europäischen Flaggenwesens,” 40-43.

¹⁰⁵ Konrad Grünembergs Pilgerreise ins

Heilige Land 1486, untersuchung, edition und kommentar von Andrea Denke (Köln, 2011), 290.

ნო კონტარინის გალერით ჩავიდა,¹⁰⁵ რომელიც გამოსახა კიდევ კარლსრუეში, ბადენის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერში (სურ. 129).

აქედან ცხადია, რომ ფრანცისკელებს კი არ შემოუღიათ იერუსალიმის წითელი ხუთჯვრიანი ნიშანი, არამედ, პირიქით, მათ სწორედ მანამდე არსებული იერუსალიმის დროშა აიღეს, რომლის წითელჯვრიანი გვარეობაც უკვე გვხვდებოდა სხვადასხვა დოკუმენტებში, მათ შორის, საზღვაო რუკებზეც. რომც დავუშვათ, რომ წითელ ხუთჯვრიან დროშას ფრანცისკელები თავიდანვე იყენებდნენ, ეს მაინც მხოლოდ 1342 წლის შემდეგ მოხდებოდა, როდესაც რომის პაპმა მათ წმინდა მიწის მეურვეობა დაუმტკიცა, რეალურად კი მხოლოდ 1427 წლის 24 ნოემბრის შემდეგ, როდესაც მამლუქთა სულთანმა ბარსბაიმ მათ ამის უფლება მისცა. ასე რომ, საქართველოს ტერიტორიაზე (თბილისსა და ცხუმზე) წითელჯვრიანი დროშების გამოსახვის პრაქტიკა მაინც წინ უსწრებს ამ მოვლენას, როგორც ეს ჩანს ანჯელინო დულჩეტის 1339 წლის რუკაზე, თავი რომც გავანებოთ პიეტრო და პერინო ვესკონტების 1320, 1321, 1325 და 1327 წლის პორტოლანებს წითელი ჯვრითა და ბეზანტებით.

წმინდა ბიოხბი თუ ხეთჰჰიიანი დიოშა?

ზედიზედ სამი წელიწადი (1997-1999) ზღვისიქითა მოგზაურობის დროს, ჯორჯი უილიამსი, რომელიც დაიბადა 1967 წელს, იმყოფებოდა აფრიკის სამხრეთ ნაწილში.

ჯორჯი უილიამსი, რომელიც დაიბადა 1967 წელს, იმყოფებოდა აფრიკის სამხრეთ ნაწილში.

ჯორჯი უილიამსი, რომელიც დაიბადა 1967 წელს, იმყოფებოდა აფრიკის სამხრეთ ნაწილში.

წმინდა გიორგი ქართულ დროშებზე

საქართველოს ერთიანი მონარქიის გორგასლიან-დავითიანი დროშის თაობაზე მსჯელობისას მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ დროშაზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული.¹ ქართველები რომ თავიანთ დროშებზე წმინდა გიორგის გამოსახავდნენ, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია და ამის თაობაზე მრავალი მონაცემი არსებობს. ასეთია **თეიმურაზ ბაგრატიონის** XIX საუკუნის ცნობა,² რომლის მიხედვითაც ქართველთა „მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა ამის მთავარ-მონაშისა გიორგისასა...“³**ვახუშტი ბატონიშვილის** 1735 ატლასში საქართველოს რუკის თანმხლებ გერბებშიც ქვეყანა წარმოდგენილია როგორც წმინდა გიორგის, ისე მიქაელ მთავარანგელოზის სახით.⁴

ამ, მართალია, გვიანდელ, მაგრამ ქართულ ცნობებს ეთანხმებიან უცხოელი ავტორე-ბიც. საუკუნეების მანძილზე მრავალი ევროპელი აღწერდა ქართველებს, როგორც კარ-გად შეიარაღებულ, ბრძოლაში ძლევამოსილ და წმ. გიორგის თაყვანისმცემელ ერს; სა-განგებოდ აღნიშნავდნენ, ყველა სხვა პილიგრიმთაგან განსხვავებით, წმინდა მიწაზე მათ მიმოსვლას ყოველგვარი გადასახადის გარეშე, მხედრულად და გაშლილი დროშებით.

ჯერ კიდევ **ჟაკ დე ვიტრი** 1216-27 წლებში დაწერილ *Historia orientalis*-ში და **მარინო სანუდო ტორსელო** 1307-21 წლების *Liber secretorum fidelium Crucis*-ში წერენ, რომ ქარ-თელები განსაკუთრებული მოწინებით ეპყრობიან წმინდა გიორგის და მიაჩნიათ ის თავ-იანთ პატრონად და მედროშედ (*signiferum*).⁵ ა. თვარაძისა და დ. მუსხელიშვილის აზრით, ეს ცნობები იმას გულისხმობს, რომ ქართველები იყენებდნენ წმინდა გიორგის დროშებს.⁶ შემდგომი მოგზაურები და პილიგრიმები უკვე პირდაპირ აღწერენ ქართველთა დროშებს: ლუდოლფ ფონ ზუდჰაიმი (1336-41), ქვემო რაინელი ანონიმი (1355), იოჰანეს

^[1] იხ. პარმენ ზაქარაია და სხვ., „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 9; სილაგაძე, ჯაფარიძე, აემართე დროშა მეფი-სა, 22-25; მათივე, „ისევ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 3, 5; ლორთქიფანიძე, „იყო თუ არა

^[2] ხუთჯვრიანი დროშა შუასაუკუნე-ოვანი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო?“, 480; და სხვ.

^[3] ამ ცნობის შესახებ დანე-რილებით იხ. მამუკა წურწუშია, „კვლავ ერთიანი მონარქიის დრო-შის შესახებ ანუ „არასიმართლე...

^[4] ნარმოსახვით ნასაზრდოები“, ჟეროლდი, 9 (2020), 113-15. ასევე იხ. მუსხელიშვილი, „გორგას-ლიანი, დავითიანი, დროშა იახლის მსრველად მტერთათვის“, 309-13.

^[5] თეიმურაზ ბაგრატიონი, ის-ტორია დაწყებითგან ივერიისა

^[6] (სანკტ-პეტერბურგი, 1848), 19.

^[7] საქართველოს დროშები და გერ-ბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედ-ვით, შემდგ. ნ. გამცემლიძე, თ. კი-კნაძე (თბილისი, 1991), 7, 9.

^[8] Jacques de Vitry, Historia orientalis, introduction, édition critique et traduction par Jean Donnadiou (Turnhout, 2008), 322; Marinus Sanutus Torsellus, Liber secretorum fidelium Crucis super Terrae Sanctae recu- peratione et conservatione (Hanover, 1611), 184. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში სანუდო აშკარად ჟაკ დე ვიტრის ნაწერთ სარგებლობს და თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს მას. შდრ. “Hi homines Georgiani nuncupan- tur, eo quod sanctum Georgium quem in preli- is suis contra gentem incredulam advocatum habent et patronum et tamquam signiferum, cum summa reverentia colunt et adorant et pre aliis sanctis specialiter honorant” (Jacques de Vitry);

^[9] “Sunt etiam Christiani Georgiani vocati, eo quod sanctum Georgium in praeliis contra incredulam gétem, aduocatum habeant et patronum et tanquam signiferum praë aliis Sanctis singulari reuerentia colunt” (Marino Sanudo). ქართული თარგმანისათვის იხ. გრიგოლ ფერაძე, უცხოელ პილიგრიმ-თა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრე-ბის შესახებ, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ (თბილისი, 1995), 30; თვარაძე, საქე-რთვე საქართველო და კავკასია ევრო-პულ წყაროებში, 141, 160.

^[10] იქვე, 141, 160-61; მუსხელიშვილი, „საქართველოს სახელმწიფო დროშა“, 138.

^[11] მათი ცნობები ქართველთა დროშე-ბის შესახებ პირველად დაიმონმეს აპო-ლონ სილაგაძემ და გოჩა ჯაფარიძემ. იხ. მათი, „ისევ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 3, 5.

^[12] ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი II, ნაკვე-თი II, თხზულებანი, ტ. VII (თბილისი, 1984), 160.

^[13] ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები, 74-75, შენ. 213.

^[14] Reinhold Röhricht, Heinrich Meisner, “Ein niederrheinischer Bericht über den Orient,” Zeitschrift für deutsche Philologie, 19 (1887), 16; Anna-Dorotheë von den Brincken, Die “Nationes Christianorum Orientalium” im Verständnis der lateinischen Historiographie von der Mitte des 12. bis in die zweite Hälfte des 14. Jahrhunderts (Köln, 1973), 122. ასევე იხ. სილაგაძე, ჯაფარიძე, „ისევ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 3; თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 163.

^[15] “...et vocantur Georgiani, nam quocun- que tendunt, semper in turmis, ut Frisones vel Vngari, simul incedunt, et semper habent vexillum cum ymagine sancti Geor- gij depictum; et sunt Christiani in armis strenuissimi.” Johannes Hildesheimensis, Historia gloriosissimorum trium regum integra (Colonie, 1514), f. 25r; The Three Kings of Cologne, an early English trans- lation of the “Historia trium regum” by John of Hildesheim, edited from the Mss., together with the Latin text by C. Horst- mann (London, 1886), 281. შდრ. სი- ლაგაძე, ჯაფარიძე, „ისევ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 3; თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 166.

^[16] Jean Thenaud, Le Voyage D'outremer (Égypte, Mont Sinay, Palestine), ed. Ch. Schefer (Paris, 1864), 102; სილაგაძე, ჯა- ფარიძე, „ისევ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 3, 5.

^[17] François-Xavier Feller, Jan Baptiste Christyn, Dictionnaire historique, ou Histoire abrégée de tous les hommes nés dans les XVII Provinces Beligiques, qui se sont fait un nom par le génie, les talens, les vertus, les erreurs etc. depuis la naissance de J. C. jusqu'à nos jours, t. 1 (Paris, 1786), 116; Abraham Jacob van der Aa, Biographisch woordenboek der Nederlanden, vol. 3 (Haarlem, 1858), 704-5.

^[18] სამწუხაროდ, აქამდე არსებული კოტოვიკუსის ცნობების ქართული თარგმანები ნაკლებია და გამოტოვე- ბულია ბევრი მნიშვნელოვანი მონ- აკვეთი. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. მამუკა წურწუშია, „იოჰან ვან კოტვეიკის ცნობები ქართველების შესახებ“, აღმოსავლეთმცოდნეობა, 13 (2024), 110-18.

^[19] Ioanne Cotovico, Itinerarium Hiero- solymitanum et Syriacum (Antwerpen, 1619), 200.

^[20] ქართული დროშები და ევროპული პორტოლანები

ფონ ჰილდესჰაიმი (1364-75), ჟან თენო (1512),⁷ იოჰანეს კოტოვიკუსი (1598),⁸ ფრანც ფერდინანდ ფონ ტროილო (1666)⁹ გვამცნობენ, რომ ქართველებს აქვთ წმინდა გიორ-გის დროშები.

ჯორჯი უილიამსი, რომელიც დაიბადა 1967 წელს, იმყოფებოდა აფრიკის სამხრეთ ნაწილში.

ქვემო რაინელი ანონიმი, სასულიერო პირი კიოლნიდან, 1355 წლით დათარიღებულ „ქვემო რაინული აღმოსავლეთის აღწერაში“ მოგვითხრობს, რომ ქართველები „არიან მძლავრი ხალხი, აქვთ საკუთარი ენა, ისინი მოგზაურობენ მხედრულად დიდი რაზმე-ბით, როგორც ფრიზები და ყველგან დააქვთ დროშა წმინდა გიორგის გამოსახულებით, რის გამოც ეწოდებათ გეორგიანები“.¹⁰

ჯორჯი უილიამსი, რომელიც დაიბადა 1967 წელს, იმყოფებოდა აფრიკის სამხრეთ ნაწილში.

იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი, მარიენაუს კარმელიტთა მონასტრის წინამძღვარი, 1364-75 წლებში დაწერილ ნაშრომში *ამბავი სამი მეფისა (Historia trium regum)*, ქარ-თ-ველებზე თხრობისას ქვემო რაინელ ანონიმს იყენებს წყაროდ. მისი თხზულების ლათ-ინური დედანი მცირედით განსხვავდება უფრო გვიანდელი გერმანული თარგმანისაგან, ამიტომ მოგვყავს ორიგინალი: „მათ ეწოდებათ გეორგიანები, რადგან ყველგან დადიან რაზმებად, როგორც ფრიზები ან უნგრელები და ყოველთვის დააქვთ დროშა, რომელ-ზეც წმინდა გიორგის გამოსახულებაა დატანილი. ისინი არიან ქრისტიანები და ძალზე მამაცნი ბრძოლაში“.¹¹

ჯორჯი უილიამსი, რომელიც დაიბადა 1967 წელს, იმყოფებოდა აფრიკის სამხრეთ ნაწილში.

ჟან თენო (დ. 1480-1542), ფრანცისკელი ბერი, მთარგმნელი და ავტორი, მოგზაური და მეფე ფრანცისკ I-ის მოძღვარი, 1512 წელს ჩავიდა წმინდა მიწაზე, მოიარა პალეს-ტინა და ეგვიპტე და მომდევნო წელს დაბრუნდა სამშობლოში. 1530 წელს მან პარიზში გამოსცა თავისი *ზღვისიქითა მოგზაურობა: ეგვიპტე, სინას მთა, პალესტინა (Le Voyage D'outremer: Égypte, Mont Sinay, Palestine)*. ჟან თენოს მიხედვით, ქართველებს „ეწოდებათ გეორგიანები, რადგან, ამბობენ, რომ ურწმუნოებთან ბრძოლებში ისინი წმინდა გიორ-გის დროშას ატარებენ“.¹²

ჯორჯი უილიამსი, რომელიც დაიბადა 1967 წელს, იმყოფებოდა აფრიკის სამხრეთ ნაწილში.

იოჰან ვან კოტვეიკი, იგივე **იოჰანეს კოტოვიკუსი**, რომელმაც წმინდა მიწაზე მოგ-ზაურობის შემდეგ საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა ქართველებზე, ჩვენს ისტო-რიოგრაფიაში პოლონელ მოგზაურადაა მიჩნეული. როგორც ირკვევა, ის პოლონელი კი არა, ნიდერლანდელი იყო და მისი ნამდვილი სახელია იოჰან ვან კოტვეიკი (Johannes van Cootwijk, ლათინურად – Ioannes Cotovicus). ის უტრეხტში დაიბადა XVI საუკუნის შუხ-ანებში, ამ ქალაქის მკვიდრი იყო და აქვე გარდაიცვალა 1629 წელს.¹³ 1598-99 წლებში კოტოვიკუსმა აღმოსავლეთში იმოგზაურა და დატოვა იმ ადგილების დანვრილები-თი აღწერა, რომლებიც ინახულა. ევროპაში დაბრუნებულმა 1619 წელს ანტვერპენში ლათინურ ენაზე გამოსცა თავისი მოგზაურობის წიგნი (*Itinerarium Hierosolymitanum et Syriacum*).¹⁴ თავისი თხზულების მეორე წიგნის მეექვსე თავში კოტოვიკუსი საკმაოდ ვრ-ცლად აღწერს აღმოსავლეთის ქრისტიანულ თემებს, რომელთა შორის ქართველებსაც მოიხსენიებს: „[ქართველი] ხალხი ძლიერი, მტკიცე და მეომარია (bellicosi), მაგრამ ასევე ჰუმანური, მეგობრული, კეთილი და თავაზიანი. ისინი განსაკუთრებით ეთაყვანებიან წმიდა მოწამე გიორგის (რომლისგანაც მომდინარეობს მათი სახელი), მიაგებენ მას ყვე-ლა სხვა წმინდანზე მეტ პატივს და თავიანთ მფარველად თვლიან; მისი სახე ყოველთვის არის გამოსახული მათ სამხედრო დროშებზე (cuius imaginem in signis militariibus depictam perpetuo deferunt)“.¹⁵

ჯორჯი უილიამსი, რომელიც დაიბადა 1967 წელს, იმყოფებოდა აფრიკის სამხრეთ ნაწილში.

ასე რომ, ქართულ დროშებზე წმ. გიორგის არსებობას ერთნაირად ადასტურებენ ქა-რთველი და უცხოელი ავტორებიც. მაგრამ რომელ ქართულ დროშებზე იყო წმ. გიორგი

გამოსახული? რას წარმოადგენდა სინამდვილეში ეს დროშები და ვის ეკუთვნოდა ისინი?

ა. თვარაძემ პირველად გამოთქვა სწორი მოსაზრება, რომ წმინდა მინის მოსალოცად მიმავალი ქართველების წმ. გიორგის დროშები არ შეიძლება იყოს საქართველოს სამეფოს გორგასლიან-დავითიანი დროშა, რომელსაც არაეინ გაატანდა იერუსალიმში მიმავალ პილიგრიმებს.¹⁶ ამ აზრს დაეთანხმა დ. მუსხელიშვილიც და მიუთითა, რომ ამ დროშის განმკარგავი მეფე იყო და ის მხოლოდ საგანგებო შემთხვევების დროს გამოჰქონდათ დღესასწაულების, ცერემონიებისა და ლაშქრობების დროს.¹⁷

მეც ვიზიარებ ამ მოსაზრებას და დავამატებ, რომ ქართულ სახელმწიფო დროშაზე წმ. გიორგის ნატურალური გამოსახულების არსებობის შემთხვევაში, მას არაეინ უწოდებდა შეთხზულ სახელს „გორგასლიან-დავითიანს“, არამედ მას ბუნებრივად „წმ. გიორგის დროშა“ ერქმეოდა. მეტიც, სახელმწიფო დროშაზე ნებისმიერი სხვა წმინდანის არსებობის შემთხვევაში მას ამ წმინდანის სახელი შეერქმეოდა. „გორგასლიან-დავითიანი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაერქმეოდა დროშას, თუკი მასზე ისეთი სიმბოლური გამოსახულება (ან გამოსახულებები) იქნებოდა დატანილი, რომლის სახელდებაც ასე პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელი იყო და მას საკუთარი სახელწოდება უნდა მოძებნოდა.

როდესაც ვამტკიცებთ, რომ ერთიანი საქართველოს დროშაზე წმინდა გიორგი იკონოგრაფიულად ანუ არაჰერალდიკურად, ნატურალისტურად იყო გამოსახული, მაშინ ისიც უნდა გავიზაროთ, რომ ეს კატეგორიულად ეწინააღმდეგება წყართა მონაცემებს: **შეუძლებელია დროშაზე, რომელიც თეთრ ტილოზე დახატულ წმ. გიორგის ფერად გამოსახულებას წარმოადგენს, ვინმეს ეთქვა – მოსჰეტაკდებოდაო**, როგორც ამას გვიმტკიცებს „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი.¹⁸

გორგასლიან-დავითიანი დროშასთან გასაიგივებლად ვერ გამოდგება სხვადასხვა დროის ქართველი მთაგრების, ეპისკოპოსების, მოურავებისა თუ მოხელეების მიერ გამოყენებული წმ. გიორგის დროშების ის მაგალითები, რომლებიც დღემდე მოჰყავთ ხუთ-ჯვრიანი დროშის ოპონენტებს.¹⁹ ასეთი მაგალითებით თავიანთ დებულებას ისინი თავადვე აცლიან საფუძველს, რადგან შეუძლებელია ფეოდალური იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ამ პირებს რაიმე შესება ჰქონდათ ერთიანი მონარქიის უპირველეს სიმბოლოსთან. ერთადერთი, რასაც ეს დროშები ცალსახად აჩვენებენ და რაზეც წერენ კიდევ ქართველი თუ უცხოელი ავტორები, არის წმ. გიორგის კულტის უაღრესი პოპულარობა საქართველოში, რამაც შვა კიდევ ქვეყანაში მისი დროშების სიმრავლე.²⁰

ცხადია, ქართველები იყენებდნენ დროშებს წმ. გიორგის გამოსახულებით, რომელიც ეროვნული წმინდანის სტატუსს ატარებდა, ერთგვარ ნაციონალურ დროშასაც წარმოადგენდა და ასახავდა როგორც ზოგად ქრისტიანულ ღირებულებას, ისე ქართული ქრისტიანობის მეზრძოლ ხასიათსაც. სწორედ ამიტომ ივ. ჯავახიშვილი წმ. გიორგის დროშას „ეროვნულ დროშას“ უწოდებდა და განასხვავებდა სამეფო გორგასლიანი დროშიდან: კოტოვიკუშის მიერ აღწერილი ქართული დროშების საფუძველზე მეცნიერი თვლიდა, რომ „საქართველოს ეროვნული დროშის ალამზე გამოხატული ყოფილა ქართველი ერის უზენაეს მფარველად მიჩნეული წმ. გიორგი“;²¹ ხოლო სტეფანოს ორბელიანის ცნობის გათვალისწინებით, სულაც არ მიიჩნევდა, რომ ასეთივე იყო ერთიანი საქართველოს სამეფო დროშაც: „რაკი მე-XIII ს. დამლევის ისტორიკოსს სტ. ორბელი-

ვითხრობენ შუა საუკუნეების ქართული განწესებები. XIII საუკუნის მეფედ კურთხევის წესიდან ვიგებთ, რომ ამ დროს საზეიმო პროცესიას წინ სამეფო დროშა მოუძღვებოდა: „და წარმოემართნენ ესრეთ სახედ: წინათ ზარი მეფეთა და შემდგომად დროშა და შუბი, და შემდგომად მთავარდიაკონი და ჯუარის-მტკრთველი, მეფე და ლაშქარნი“. „წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისაჲ“, *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. II (თბილისი, 1965), 50. XIII საუკუნის მინურულის თუ XIV საუკუნის დამღევის „ხელმწიფის კარის გარიგება“ გვამცნობს, რომ სახელმწიფო „დიდი დროშა“ ზარდახანაში ინახებოდა. „გარიგება ხელმწიფის კარისა“, *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. II (თბილისი, 1965), 87. ეს დროშა თან ახლდა მეფეს დიდი დღესასწაულების დროს: „და წესი არის, რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტიანი, ყოვლივე წავა. დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ, და დროშა განალამცა წინა ამართული...“ და მერმე ჯვარის-მტკრთველი შემოსილი და ძელი ცხოვრებისა ჴელთა“. იქვე, 80.

¹⁸ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გურამ კარტოზიამ, ცოტნე კიკვიძემ, *ქართლის ცხოვრება*, რედ. როინ მეტრეველი (თბილისი, 2008), 441.

¹⁹ მაგალითისათვის იხ. ჯაველიძე, „აფხაზეთის სიმბოლიკისთვის“, 8.

²⁰ წმ. გიორგის დროშის მომხრეები ვერ ითვალისწინებენ ერთ, მართალია, ტექნიკურ, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც თეორიულადაც კი შეუძლებელს ხდის ამ დროშის შემოღებას საქართველოში. საქმე ისაა, რომ წმ. გიორგის ჰერალდიკური ანუ თეთრ ველზე წითელჯვრიანი დროშა საუკუნეებია ინგლისს აქვს დასაკუთრებული, რაც გამოირიცხავს მის დუბლირებას; გამოირიცხულია დროშის ძველებური სახით ანუ ტილოზე დახატული წმინდანის გამოსახულებით აღდგენაც, რა თქმა უნდა, თუ თავი არ გვინდა სასაცილო გავიხადოთ და დროშაზე, სიმბოლოების ნაცვლად, ნატურალური ნახატებით გადმოვცეთ სათქმელი.

²¹ ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი II, ნაკვეთი II, *თხზულებანი*, ტ. VII (თბილისი, 1984), 161.



სურ. 130 ჩითახევის ეკლესიის ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 131 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 132 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 133 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 134 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

²² იქვე. ²³ ბარნაველი, *ქართული დროშები*, 16. ამ ფაქტზე ყურადღება გაამახვილა ა. თვარაძემაც. იხ. მისი, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 97.

²⁴ Jonathan Good, “*Argent a cross gules: The Origins and English Use of the Arms of Saint George*,” *The Coat of Arms*, 213 (2007), 9; Jeremy Goldsmith, “The Cross of St George and the Banner of the Resurrection,” *The Coat of Arms*, 215 (2008), 17-18.

²⁵ Jacobus de Voragine, *The Golden Legend: Readings on the Saints*, vol. 1 (Princeton, 1993), 242.

²⁶ საინტერესოა, რომ გენუის დროშაზე თავდაპირველად წითელ ველზე ოქროსფერი მხედარი იყო გამოხატული, რომელიც დრაკონს გმირავდა და მხოლოდ 1138 წელს ჩაანაცვლა გენუამ თავის დროშაში წმ. გიორგის გამოსახულება მისი სიმბოლოთი – თეთრ ველზე დადებული წითელი ჯვრით. Paul Dechaix, “St George’s Cross and St John’s Cross,” in *Proceedings of the 15th International Congresses of Vexillology* (Zurich, 1993), 95.

²⁷ Good, “*Argent a cross gules*,” 10-12. გენუის გერბის წარმოშობა ზუსტად არ არის დადგენილი. თავიდანვე ის სულაც არ იყო წმ. გიორგისთან დაკავშირებული. მარტივ, ჯვრის გამოსახულებიან გერბებს ჩრდილოეთ იტალიის ბევრი ქალაქი ატარებდა, მათ შორის მილანი, მოდენა, პადუა, პარმა, პავია და ვერონა; ხოლო მილანისა და პადუის გერბი გენუის მსგავსია – უბრალო წითელი ჯვარი თეთრ ველზე. მათ ვერ დაუკავშირებთ წმ. გიორგის, რადგანაც მილანის მფარველი

ანს საქართველოს სახელმწიფო დროშის ალამის წმ. გიორგის სახით მოხატულობის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, ამიტომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მე-XI-XIII სს-შიც იყო ალამზე წმ. გიორგის სახე გამოყვანილი, თუ ეს მერმინდელი დანართია“. ²² მას ეთანხმება ს. ბარნაველიც: „არც შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაურის კოტოვიჩის ცნობა, რომ ქართველების სამხედრო დროშებზედ, ჩვეულებრივ, წმინდა გიორგი იყო დახატული, არ გულისხმობს, რომ ასევე იყო სამეფო გორგასლიან დროშაზედაც“, და იქვე, სრულიად ლოგიკურად, ამატებს: „სამეფო სხვა დროშების მიმართ, შესაძლოა, ეს სამართლიანი ყოფილიყოს“. ²³

ახლა განვიხილოთ სხვა საკითხიც: რა სახით იყო დახატული წმინდა გიორგი ქართულ დროშებზე – ნატურალური გამოსახულებისა თუ სიმბოლოს სახით, თუ ორივე ვარიანტს ჰქონდა ადგილი? თუმცა, თავდაპირველად ვნახოთ, თუ როგორ დამკვიდრდა ჰერალდიკაში წმ. გიორგის სიმბოლური – თეთრ ველზე წითელი ჯვრის – სახით გამოსახვა.

წმინდა გიორგის წითელჯვრიან თეთრ დროშასთან პირველად გენუის არქიეპისკოპოსის იაკობ ვორაგინელის მიერ 1260-იან წლებში შედგენილი წმინდანების ცხოვრების ამსახველი „ოქროს ლეგენდა“ აკავშირებს.²⁴ ვორაგინელის მიხედვით, 1099 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა ალყა შემოარტყეს ანტიოქიას და ვერ ახერხებდნენ საიერიშო კიბეების გამოყენებას, მათ შემწედ მოევლინათ წმინდა გიორგი თეთრ აბჯარზე გამოსახული წითელი ჯვრით.²⁵ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ამსახველ ქრონიკებში წმინდა გიორგი მართლაც გვხვდება ჯვაროსანთა შემწედ, მაგრამ საქმე ისაა, რომ მისი აბჯრის თეთრი ფერისაგან განსხვავებით, ზედ გამოსახული ჯვრის ფერი დაზუსტებული არ არის. ვორაგინელის ლეგენდა რაიმონდ აჟილელის თხზულებაზეა დაფუძნებული, აქ კი წმინდა გიორგი თეთრ აბჯარშია გამოწყობილი ზედ თოვლივით მზრწყინავი ჯვრით. როგორც ჩანს, წმინდა გიორგისათვის წითელი ჯვრის მიკუთვნება იაკობ ვორაგინელის ინიციატივაა, რაც მისმა სამოღვაწეო ასპარეზმა – გენუამ განაპირობა. გენუის გერბი თეთრ ველზე წითელი ჯვარი იყო, ქალაქის მფარველი წმინდანი კი წმ. გიორგი გახლდათ.²⁶ სწორედ ამიტომ, ვორაგინელმა ბუნებრივად დაუკავშირა წითელი ფერი წმინდანის ჯვარს, ხოლო „ოქროს ლეგენდის“ უზარმაზარმა პოპულარობამ (ათასზე მეტი ხელნაწერი და ასობით ბეჭდური გამოცემა) უზრუნველყო მისი წამოწყების დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროში გავრცელება. XIII საუკუნის შემდეგ ევროპაში წითელი ჯვარი თეთრ ველზე უკვე წმინდა გიორგიზე მიანიშნებს.²⁷

ცხადია, შუა საუკუნეების ქართულ დროშებზე წმინდა გიორგი ნატურალურად იქნებოდა აღბეჭდილი, რაშიც გვარწმუნებს თუნდაც დღემდე მოღწეული გვიანი შუა საუკუნეების წმ. გიორგის დროშები.²⁸ ეს ბუნებრივად გამომდინარეობს როგორც საკუთრივ წმინდანის ხატწერის მდიდარი გამოცდილებიდან საქართველოში, ისე ჰერალდიკის ნაკლები მნიშვნელობით აღმოსავლეთ საქრისტიანოში. მიუხედავად ამისა, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში წმინდა გიორგი დროშებზე, ნატურალური გამოსახულების გარდა, ჯვრის სახითაც იყო სიმბოლურად გადმოცემული.

თავის დროზე ჰერალდიკოსმა დავით კლდიაშვილმა ყურადღება მიაქცია ხალხურ ლექსს, რომელიც პირდაპირ გვეუბნება, რომ წმინდა გიორგის სახე ჯვარია: „წმინდა გიორგი მწყალობდეს, სახე მაგისი ჯვარია“. ²⁹ კიდევ ერთი მტკიცებულება, რომ საქართველოში წმ. გიორგის ჯვრის ფორმით აღიქვამდნენ, IX საუკუნის წარწერაა: ბორჯომის

სურ. 135 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 136 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 137 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 138 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 139 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 140 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 141 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 142 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 143 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 144 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 145 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

სურ. 146 ანტიფიქსის ჯვარი წმინდა გიორგის წარწერით. IX ს.

^[16] თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 142. გ. მაჭარაშვილის საყურადღებო დაკვირვებით, სეფე დროშა „საისტორიო წყაროებში არსად მოიხსენიება მრავლობით რიცხვში, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი იყო ერთადერთი“. გიორგი მაჭარაშვილი, დროშა გორგასლიანი (თბილისი, 2011), 37.

^[17] მუსხელიშვილი, „საქართველოს სახელმწიფო დროშა“, 138. მართლაც, სახელმწიფო დროშის შენახვისა და გამოყენების პროცედურაზე საგანგებოდ მოგ-

^[29] კლდიაშვილი, „დროშა სვიანად მოხმარებული“, 3; მისივე, დროშა სვიანად მოხმარებული, 87; ასევე იხ. მუსხელიშვილი, „საქართველოს სახელმწიფო დროშა“, 138.

ხეობაში, ჩითახევის (მწვანე მონასტრის) ეკლესიის ანტეფიქსზე გამოსახულია ჯვარი, რომლის მკლავებში წმინდა გიორგის სახელი [წ(მიდა)ჟ გ(იორგ)ი] არის ჩანერილი (სურ. 130).³⁰ ეს ხუთელემენტიანი კომპოზიცია ცენტრალური ჯვრითა და წმ. გიორგის წარწერით, სწორედ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში წმინდა გიორგის გამოსახვა ჯვრის ფორმით არცთუ უცხო მოვლენა გახლდათ.

გარკვეული მინიშნება ქართველთა დროშებზე სიმბოლოს სახით გამოსახულ წმ. გიორგიზე შეიძლება იყოს ევროპელი პილიგრიმის **ფრანც ფერდინანდ ფონ ტროილოს** (დ. 1635-1704) ცნობაში. ის ტიროლის დიდგვაროვანი ოჯახიდან წარმოდგებოდა, რომელმაც XVI საუკუნეში სილეზიაში გადაინაცვლა. ფერდინანდ ფონ ტროილომ ყმანვილკაცობაში რამდენიმე სკოლა და უნივერსიტეტი გამოიცვალა და 14 წლის განმავლობაში მოგზაურობდა გერმანიასა და იტალიაში; 1666-70 წლებში წმინდა მიწაზეც იმოგზაურა და 1676 წელს დრეზდენში გამოაქვეყნა თავისი *აღმოსავლეთში მოგზაურობის აღწერა (Orientalische Reise-Beschreibung)*, რომელიც 1717 წელს ხელახლა გამოიცა ლეიპციგსა და ფრანკფურტში.³¹ ქართველთა დროშის შესახებ მისი ცნობის დედანი მნიშვნელოვანი ნიუანსით განსხვავდება გრ. ფერადისეული თარგმანისაგან, რის გამოც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი მოყვანა: „ბევრი ამბობს, თითქოს ქართველებმა თავიანთი სახელი მამაცი გმირის გიორგისგან მიიღეს, იმ დიდი თავდადებისა და პატივისცემის გამო, რომელიც მათ [ქართველებს] მის [წმ. გიორგის] მიმართ აქვთ, რომლის გამოსახულებას ყველა დროშაზე ატარებენ როგორც სიმბოლოს (ნიშანს) და აცხადებენ, რომ ქრისტიანული რწმენა მხოლოდ მისგან მიიღეს და სხვა არავისგან“.³² ამ შემთხვევაში კონტექსტი იცვლება და ფერდინანდ ფონ ტროილოს განცხადება შეიძლება ორგვარად გავიგოთ: 1) რომ ქართველები დროშებზე წმ. გიორგის გამოსახულებას ატარებენ როგორც სიმბოლოს (ნიშანს) ან 2) ქართველების დროშებზე წმ. გიორგის გამოსახულება სიმბოლოს (ნიშნის) სახით არის დატანილი.

კიდევ უფრო საინტერესო ცნობა მოჰყავს **ლუდოლფ ფონ ზუდჰაიმს**, გერმანელ სასულიერო პირს, რომელიც ზუდჰაიმის ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ. მან 1336-41 წლებში იმოგზაურა აღმოსავლეთსა და წმინდა მიწაზე და მოიარა ეგვიპტე, სინას ნახევარკუნძული, პალესტინა და სირია. მისი „მოგზაურობა წმინდა მიწაზე“ (*De itinere Terre sancte*) ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების ევროპაში.³³ უხვი დეტალებით დახუნძლული ზუდჰაიმის თხზულება ერთ-ერთი მთავარი წყაროა XIV საუკუნის ლევანტის შესახებ, სადაც აღწერილია რეგიონი, ქალაქები, ნაგებობები, ხალხი, ადათ-წესები, ისტორიები და ლეგენდები. ლუდოლფი ეყრდნობა როგორც საკუთარ დაკვირვებებს, ასევე იმ „მეფეების, მთაერების, დიდებულებისა და ბატონების“ ინფორმაციას, რომლებთანაც საუბარში მან დიდი დრო გაატარა. ის იყენებს წინამორბედთა შრომებს, მაგრამ თავის თხზულებას მრავალი სიახლითაც ამდიდრებს.³⁴

ზუდჰაიმისეული ქართველების აღწერა კარგადაა ცნობილი და მის ინფორმაციას წმინდა გიორგის დროშების შესახებ იყენებენ ა. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე და ალ. თვარაძე.³⁵ ბექა ჭიჭინაძემ პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ზუდჰაიმის მონათხრობში ქართველების დროშაზე ერთდროულადაა გამოსახული წმ. გიორგი და ჯვარი და რომ საქმე უნდა გვექონდეს კომბინირებულ ვარიანტთან: „თავიანთ დროშებზე კი გამოსახავენ წმინდა გიორგის ჯვარში (sancti georgii in cruce)“.³⁶ ზუდჰაიმის ცნობა მართლაც უნიკალურია იმ მხრივ, რომ ის დეტალურად გადმოგვცემს თავისი თვალით ნანახს და სხვა ევროპელი ავტორებისაგან განსხვავებით, ქართულ დროშაზე ამჩნევს არა მარტო წმ. გიორგის გამოსახულებას, არამედ ჯვარსაც და, შეძლებისდაგვარად, ზუსტად ცდილობს ნანახის სიტყვებით გადმოცემას. ის წერს, რომ ქართველები

³⁰ თამაზ გოგოლაძე, *ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები (გზამკვლევი)* (თბილისი, 2014), 162-65; მისივე, *თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო* (თბილისი, 2019), 25-27.

³¹ Johann Heinrich Zedler, *Grosses vollständiges Universal-Lexicon aller Wissenschaften und Künste*, bd. 45 (Leipzig, 1745), 1079-80; *Fr. Rassmann's kurzgefasstes Lexicon deutscher pseudonymer Schriftsteller von der ältern bis auf die jüngste Zeit aus allen Fächern der Wissenschaften* (Leipzig, 1830), 187; Paul Pfothenhauer, “Franz Ferdinand von Troilo,” in *Allgemeine Deutsche Biographie*, bd. 38 (Leipzig, 1894), 634-35; Franz Heiduk, *Oberschlesisches Literatur-Lexikon*, Bd. 3 (Heidelberg, 2000), 138. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა შეიყვანა შეცდომაში გრ. ფერაძე და ის მისი მოგზაურობის თარიღად მიიჩნია. ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 66, 74.

³² “Swollen etliche sagen, als wenn die Georgianer ihren Nahmen von dem tapffern Helde, Georgio, herbekommen hatten; Und gründen ihre Worte in der grossen Devotion und Reverenß, so sie gegen ihme tragen, dessen Bildniß sie auch in allen ihren Fahnen zum Zeichen tragen, vorgebend, daß sie von ihme allein, und sonst von keinem andern, zu dem Christlichen Glauben wären befehret worden.” Franz Ferdinand von Troilo, *Orientalische Reise-Beschreibung* (Drezden, 1676), 138. შდრ. „ბევრი ამბობს, რომ თითქოს Georgian-ებმა თავიანთი სახელი მამაცი გმირის, გიორგის გამო მიიღეს. მათი თვალსაზრისი ემყარება იმას, რომ Georgian-ები დიდ თავყვანსა სცემენ წმ. გიორგის და ერთგულნი არიან მისი, ყოველ დროშაზე აქვთ მისი გამოსახულება, ნიშნად იმისა, რომ ისინი ქრისტიანულ რწმენაზე მოაქცია მან და მხოლოდ მან.“ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 75, შენ. 213.

³³ Ludolphus de Sudheim, “De itinere Terre sancte,” ed. G. A. Neumann, *Archives de l’Orient latin*, II/2 (1884), 320.

³⁴ Ludolph von Suchem, *Description of the Holy Land, and of the Way Thither: Written in the Year A.D. 1350*, ed. and trans. Aubrey Stewart (Cambridge, 1895), 1.

³⁵ სილაგაძე, ჯაფარიძე, „ისევ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 3; თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 162.

³⁶ ბექა ჭიჭინაძე, *საქართველოს ხუთჯვრიანი დროშის წარმომავლობა და ქართულ-ჯვაროსნული ურთიერთობები* (თბილისი, 2022), 36.



სურ. 131
მაცხოვარი წმ. გიორგის დროშით. გელათის სახარების ყდა. მანუსკრიპტი Q908. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

“in vexillis ymagines sancti Georgii in cruce figentes”^{,37} რაც ნიშნავს შემდეგს: ქართველები „დროშებზე გამოსახავენ წმინდა გიორგის ჯვარზე“, სიტყვასიტყვით კი – „დროშებზე წმინდა გიორგის გამოსახულება ჯვარზეა დადებული (დაფიქსირებული)“. როგორც ჩანს, ქართულ დროშაზე გამოსახული ყოფილა ჯვარზე დადებული წმ. გიორგი ანუ წმინდანის გამოსახულების უკან ჯვარიც ჩანდა. ასეთი ჯვარი დიდი ზომის უნდა ყოფილიყო, რომ ზედ დახატული წმინდა მეომრის დომინანტური გამოსახულების ფონზე შეემჩნიათ და გამოერჩიათ.

აქედან ერთი ნაბიჯია დროშამდე, რომელზეც წმინდა გიორგი მხოლოდ სიმბოლურად, ჯვრის სახითაა გამოსახული და ასეთ დროშას ვხედავთ კიდეც გელათის სახარების ყდაზე. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია XII საუკუნის გელათის ოთხთავი, რომლის ყდა მოგვიანებითაა მოჭედილი.³⁸ ყდის უკანა ფრთაზე გამოსახულია აღდგომის კომპოზიცია, სადაც მაცხოვარს ხელთ უპყრია წმ. გიორგის დროშა: ვერცხლის (ჰერალდიკურ თეთრ) ველზე კარგად ჩანს შტრიხებით გამოსახული ჯვარი (სურ. 131) . ეს არტეფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართველები იყენებდნენ დროშებს, სადაც წმინდა გიორგი სიმბოლურად, ჯვრის სახით იყო წარმოდგენილი.³⁹

ქართული-სომხური და აღმოსავლური მატიანეები ქართული დროშის შესახებ

ერთიანი მონარქიის ქართული დროშების შესახებ ერთობ მწირი ცნობები მოგვეპოვება. კიდეც უფრო მწირია ცნობები, რომლებიც ამ დროშის აღწერილობას შეიცავს. გორგას-ლიან-დავითიანი დროშის ფერსა თუ სახეზე მხოლოდ **თამარის პირველი ისტორიკოსი** (XII-XIII სს.),⁴⁰ **სტეფანოს ორბელიანი** (XIII ს.)⁴¹ და სპარსელი მემბატიანე **მუჰამად იბნ ალი რავენდი** (XII-XIII სს.) მოგვითხრობს.⁴²

დავინყოთ ამ უკანასკნელით. რავენდის შესახებ ცოტა რამ თუ არის ცნობილი, ისიც, მისივე ნაშრომში მოყვანილი ფაქტებიდან. მსახურობდა უკანასკნელი დიდი სელჩუკი სულთნის თოღრულ III იბნ არსლანის (1176-94) კარზე, რომლის დალუპვის შემდეგ რუ-მის სულთანს ღიას ად-დინ ქაი-ხუსრაუ I-ს (1192-96, 1205-11) მიმართა. ის განსწავლული იყო სამართალსა და თეოლოგიაში და განაფული კალიგრაფიც გახლდათ, რომელსაც შეეძლო ეწერა ერთმანეთისაგან განსხვავებული 70 სახის ხელით. თავისი შრომა („რაჰაით ალ-სუფურ“),⁴³ რომელშიც დიდ სელჩუკთა დინასტიური ისტორიაა მოთხრობილი, რავენდიმ 1202-10 წლებში დაწერა.⁴⁴

აღნიშნული ცნობა XII საუკუნის შუახანებს ეხება, პერიოდს, როდესაც გაძლიერებული საქართველო ჩრდილოეთ სომხეთსა და არანში უტევს მუსლიმურ სახელმწიფო ერთეულებს. მასში აღწერილია გიორგი III-ის მარცხი მუსლიმებთან ბრძოლაში, რომელიც მან წინა წლების წარმატებების (ანისთან გამარჯვებისა და დვინის აღების) შემდეგ განიცადა. გამეფებიდან (1157) ცოტა ხანში, კერძოდ, 1160 წელს გიორგი III აქტიურ შეტევას იწყებს მუსლიმთა წინააღმდეგ. 1161 წელს ის ანისთან ამარცხებს შაჰ-არმენ სუქმან II-ის მიერ ორგანიზებულ ისლამურ კოალიციას, 1162 წელს კი იღებს დვინს, სომხეთის ძველ დედაქალაქს.⁴⁵ ქართველთა წარმატებებმა მუსლიმ მმართველებს გაერთიანებისაკენ უბიძგა. გიორგი III-ის წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრით გამოვიდა აზერბაიჯანის ათაბაგი შამს ად-დინ ელდიგუზი თავის პროტყეუ თოღრულ III-სა და ერაყის თურქ ამირებთან ერთად, შაჰ-არმენი სუქმან II, აჰმადილიანები და აჰდაბიანები. 1163 წელს მუსლიმთა გაერთიანებულმა ლაშქარმა გერგერის (გარგარის) მძიმე და სისხლისმღვრელ ბრძოლაში სძლია გიორგი III-ს.⁴⁶ მუსლიმებმა მოიპოვეს მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება და ქართველებთან დაპირისპირებაში ინიციატივასაც დაეუ-

^[37] Ludolphus de Sudheim, “De itinere Terre sancte,” 369.

^[38] „მოგვიანებით ნაკეთები სქელი, ფიცრული, ტყავგადაკრული ყდა ვერცხლით არის მოჭედილი“. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 2 კოლექცია, ტ. II (თბილისი, 1958), 327.

^[39] ასევე, ვიკით, რომ XV საუკუნეში, ერთიანი მონარქიის დაშლისას, ქართლ-კახეთის სამეფო წმინდა გიორგის ჯვრის სიმბოლურ გამოსახულებას იყენებდა, თეთრ ველზე წითელი ჯვრით. ამის შესახებ იხ. ქვათავი „ღმოსავლეთის დიდი ელჩობა ვეროპაში და ქართული ჰერალდიკა“.

^[40] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 441.

^[41] სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 38.

^[42] რავენდის ეს ცნობა თავის დროზე ვ. მინორსკიმ გამოიყენა XII საუკუნის საქართველოსა და კავკასიის ისტორიის გაშუქებისას, ქართულ ისტორიოგრაფიაში კი პ. თოფურიამ შემოიტანა. V. Minorsky, Studies in Caucasian History (London, 1953), 95; პაველ თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში (თბილისი, 1975), 223. თუმცაღა, ამ ცნობისათვის, შუა საუკუნეების ქართული დროშების თვალსაზრისით, არც მაშინ და არც შემდეგ, ყურადღება არავის მიუქცევია. ის შეუმჩნეველი რჩებოდა ქართული ევქსილოლოგიისთვისაც. რავენდის ცნობის ევქსილოლოგიური შესწავლა უკანასკნელ ხანებში მოხდა, იხ. მამუკა წურწუშია, „სპარსი მემბატიანის ცნობა XII საუკუნის ქართული დროშის შესახებ“, ჰეროლდი, 6 (2017), 19-21.

^[43] ამ ნაშრომის სათაურისათვის იხ. Sara Nur Yildiz, “A Nadīm for the Sultan: Rāwandī and the Anatolian Seljuks,” in The Seljuks of Anatolia: Court and Society in the Medieval Middle East, ed. by A. C. S. Peacock and Sara Nur Yildiz (London, 2013), 104.

^[44] The Rāhat-uṣ-ṣudūr wa āyat-uṣ-surūr, being a History of the Saljūqs by Muḥammad ibn ʿAlī ibn Sulaymān ar-Rāwandī, ed. with notes, glossary and indices by Muhammad Iqbal (London, 1921), XV-XX; Carole Hillenbrand, “Rāwandī,” Encyclopaedia of Islam, 2nd ed, vol. VIII (1995), 461; Id., “Rāvandī, the Seljuk Court at Konya and the Persianisation of Anatolian Cities,” Mesogei-os, vol. 25-26 (2005), 159-60; Yildiz, “A Nadīm for the Sultan: Rāwandī and the Anatolian Seljuks,” 94-95.

^[45] გოჩა ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში (თბილისი, 1995), 102-6.

^[46] იქვე, 106-8.

ფლენე. მომდევნო წელს საქართველომ დათმო ანისი (1164), რომლის ხელახლა აღება მხოლოდ 1174 წელს მოხერხდა.

გერგერის ბრძოლაში ჩვენთვის, ამჯერად, ქართველების მიერ დაკარგული ქონების ჩამონათვალია საინტერესო. ეს ქონება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მისი აღწერა მრავალ მუსლიმ ავტორთან გვხვდება.⁴⁷ რავენდის ცნობა მათგან ერთ-ერთი ყველაზე მოკლეა, მაგრამ ის შეიცავს ჩვენთვის უაღრესად საინტერესო ინფორმაციას ქართული დროშის შესახებ. სპარსი მემბატიანის თქმით,

ათაბაგის სიფრთხილე რომ არა, რომელმაც მუსლიმთა ლაშქარს უკანმოუხედავი დევნა აუკრძალა, ერთი ქართველიც ვერ გაიქცეოდა და აფხაზთა მეფეც ტყვედ ჩაგარდებოდა. თუმცა, ყველა თეთრი დროშა, ოქროს ჯვრები, ვერცხლის კასრები, ხაზინა და მარანი მოინადაველს და მეფე, ფეხშიშველი, ბოლო წამს მოახტა ცხენს და თავს უშველა.⁴⁸

რავენდის ცნობიდან მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა არის შესაძლებელი. მის საფუძველზე საბოლოოდ შეიძლება დადგინდეს ქართული დროშის ფერი, რომელიც აქამდე ეჭვქვეშაც კი იდგა. ერთიანი მონარქიის სახელმწიფო დროშის ფერზე პირველად „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მოგვითხრობს: „დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკდებოდა“.⁴⁹ XII საუკუნის ქართულ სამეფო დროშას აღწერს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანიც, რომელიც ქართველ დიდებულთა, ორბელთა ჩამომავალი იყო. სომხურ დედანში დროშის ფერი იკითხება როგორც „სპიტ-აკ“ და ის ქართულად ტრადიციულად ითარგმნება როგორც თეთრი. თუმცა, სპეტაკის, როგორც თეთრის განმარტება ეჭვქვეშ დააყენა გ. მაჭარაშვილმა, რომელმაც მიიჩნია, რომ სპეტაკი აქ ბრწყინვალე ანუ ოქრომკედით შემკულ დროშას ნიშნავს და რომ სახელმწიფო დროშა ჩალისფერი იყო.⁵⁰ ამ საკითხზე შეიძლებოდა მსჯელობა, რომ არა ერთი გარემოება: „ისტორიანის და აზმანის“ ერთ ნუსხაში (ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შევსებული ტექსტში) დროშა ასე არის აღწერილი – „მოსპეტაკობდა რეცა სიბერისა სახედ“.⁵¹ აქ დროშის ფერი სიბერის ფერს ანუ თეთრს არის შედარებული, რაც ეჭვმიუტანლად ნიშნავს, რომ გორგასლიან-დავითიანი დროშის ქსოვილი (ველი) თეთრი იყო.

რავენდის ცნობა გვიდასტურებს ქართულ–სომხური მატიანეების ინფორმაციას და ეჭვმიუტანლად ცხადყოფს, რომ ერთიანი მონარქიის დროშა ნამდვილად თეთრი იყო.

ამავე დროს, ცხადია, ქართული დროშა მხოლოდ და უბრალოდ თეთრი არ იქნებოდა. თეთრი უნდა ყოფილიყო დროშის ველი ანუ ძირითადი ფერი, რომელიც უპირველესად და შორიდანვე ხვდებოდა თვალს, მაგრამ მასზე აუცილებლად იქნებოდა დატანილი

by Kenneth Allin Luther, edited by C. Edmund Bosworth (Richmond, Surrey, 2001), 143.

^[48] The Rāhat-uṣ-ṣudūr wa āyat-uṣ-surūr, being a History of the Saljūqs by Muḥammad ibn ʿAlī ibn Sulaymān ar-Rāwandī, ed. with notes, glossary and indices by Muhammad Iqbal (London, 1921), 288-89; Minorsky, Studies in Caucasian History, 93-94. ზაპირ ად-დინ ნიშაბურის თაანახმად, მუსლიმები „მოულოდნელად დაეცნენ მათ [ქართველებს] თავს და დაიტაცეს მისი [აფხაზთა მეფის] ხაზინა, და ოქროს ჯვრები და ვერცხლის ჭურჭელი; მათ [მუსლიმებმა] წაიღეს ყველაფერი“. The History of the Seljuq Turks: From the Jāmi al-Tawārīkh: An Ilkhanid Adaptation of the Saljūq-nāma of Zahir al-Dīn Nishāpūrī, translated and annotated

თარგმანში მცირედი, თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს მინორსკი ასე თარგმნის: „თუმცა, მისი [მეფის] ყველა თეთრი დროშა“, თოფურია – „მანიც, ყველა [მათი] თეთრი დროშები...“

როგორც ვხედავთ, მინორსკის მიხედვით, თეთრი დროშები მეფეს ეკუთვნის, თოფურიას თანახმად კი – (ზოგადად) ქართველებს. სპარსული ტექსტის გადამოწმებამ ცხადყო, რომ შინაარსობრივად უფრო ზუსტი

პ. თოფურიას თარგმანია. მადლობას მოვასხენებ გია ბერაძეს სპარსული დედნის შემოწმებისა და ცნობის დაზუსტებისათვის.

^[49] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 441.

^[50] მაჭარაშვილი, დროშა გორგასლიანი, 9-15.

^[51] ს. ბარნაველის დახასიათებით, „ეს ცნობა მეორდება შევსებულს ქართლის ცხოვრებაში, რომელიც აშკარა სიყვარულით უმატებს“ ამ მონაკვეთს. ბარნაველი, ქართული დროშები, 16.

ქრისტიანული სიმბოლიკა – მთავარანგელოზის, წმინდანის ან ჯვრის ნიშანი. რავენდის ცნობიდან ისიც შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს გამოსახულებები წმინდა ჰერალდიკუ-რი ხერხებით იყო დატანილი ანუ სიმბოლურად, რაიმე ფორმის ჯვრის (ჯვრების) სახით გადმოცემული. მემატიანეს ადვილად შეეძლო ასეთი გამოსახულების უგულებელყოფა (თუნდაც ზომისა და დაკავებული ფართობის მიხედვით) და მხოლოდ დროშის ფერზე ყურადღების გამახვილება. მაგრამ ის ვერ უგულებელყოფდა მთავარანგელოზისა თუ წმ. გიორგის ნატურალურ გამოსახულებას, რომელიც თავისი ზომების გამო დომინან-ტური ფიგურა იქნებოდა და აღწერისას უკვე ის მიიქცევდა ყურადღებას და არა დრო-შის ველი.

ქართულ დროშაზე დატანილი ჰერალდიკური გამოსახულების შესახებ ყველაზე სრულ ცნობას სტეფანოს ორბელიანი გვაწვდის, რომელიც აღწერს XII საუკუნის საქა-რთველოს მეფისა და ამირსპასალარის დროშებს:

	რამეთუ განწესებულ იყო მეფისა ქონებად თეთრისა აღმისა და წითლისა ნიშნისა, და უბრძანეს მათ წითლისა აღმისა ქონებად, დროშისა და თეთრისა ნიშნისა მას ზედა.⁵²
---------------	--

დ. მუსხელიშვილის განმარტებით, „სომხური სიტყვა „ნშან“ (ნიშანი, გამოსახულება) ამავე დროს „ჯვარს“ ნიშნავდა და ასეც ითარგმნებოდა“. ამრიგად, ტექსტი ასე უნდა წავიკითხოთ (ვთარგმნოთ): „წესად იყო ხელმწიფის (დროშის) ალაში თეთრი ყოფილიყო, ხოლო (ზედ) წითელი ჯვარი ჰქონოდა“.⁵³ სხვაგვარად ფიქრობს ნ. ჯაველიძე, რომელსაც მოჰყავს სტეფანოს ორბელიანის ცნობაში მოხსენებული „ნშანის“ სხვადასხვა თარგ-მანები და მათგან გამორიცხავს ჯვრის მნიშვნელობას.⁵⁴ მისი აზრით, ეს სიტყვა „უნდა ითარგმნოს ცნებით იერსახე, ხატი (წმ. გიორგისა) და არა ცნებით ჯვარი“.⁵⁵

დავუშვათ, დავიჯერეთ, რომ სტეფანოს ორბელიანის „ნშანი“ იერსახეა, თან არა უბრალო იერსახე, არამედ წმინდა გიორგის, როგორც ეს ნ. ჯაველიძეს სურს (მერე რა, რომ წმინდანზე მინიშნებაც არ არის ორბელიანის ტექსტში). რა ვუყოთ სიტყვა „წი-თელს“, რომელიც „ნშანის“ მახასიათებელს, მის მსაზღვრელს წარმოადგენს? თუკი ამ მოცემულობას მთლიანობაში გავიაზრებთ, დავრწმუნდებით, რამდენად უსაფუძვლოა „ნშანის“ იზოლირებულად ახსნის ცდა: თუკი ცალკე აღებული „გამოსახულება“, „იერ-სახე“, „ხატი“ კიდევ შეიძლება ყველაფერი იყოს, გამორიცხულია წმინდა გიორგის აღ-სანიშნად „წითელი გამოსახულება“, „წითელი იერსახე“ ან „წითელი ხატი“ გამოეყენა ვინმეს!

„ნშანის“ წმ. გიორგით ჩანაცვლების უსაფუძვლობა კარგად გამოჩნდება, თუკი ვი-თარებას თავად სტეფანოს ორბელიანის პოზიციიდან შევხედავთ: გამოდის, ავტორმა წმინდა გიორგის სახელი რატომღაც დამალა და ის უცნაური განსაზღვრებით – „წითე-ლი ნშანით“ ჩაანაცვლა?! ანუ სურთ დაგვაჯერონ, რომ სტეფანოს ორბელიანი, სივნი-ეთის ეპისკოპოსი წმინდა გიორგის ხსენებას ერიდებოდა და მას ტექსტში პირობითად „წითელი ნშანის“ სახით მოიხსენიებდა?! სტეფანოსის ცნობა უნდა გავიგოთ როგორც არის და მასში დაფარული მნიშვნელობის ძიებას აზრი არ აქვს; ის გარკვევით აღწერს დროშებს და მისი მონათხრობი სრულიად გასაგები ხდება, თუკი „ნშანს“ წავიკითხავთ როგორც ჯვარს: გამოვა, რომ ორბელიანმა „წითელი ჯვარი“ დაწერა, რაც ამ სიტყვის არათუ მხოლოდ ლოგიკური, არამედ ერთადერთი შესაძლებელი ახსნაა.⁵⁶

და აქ მივადექით სტეფანოს ორბელიანის ცნობის მეორე ნაწილს, რომელზეც, რო-გორც წესი, ჯვრიანი დროშის ოპონენტები თვალს ხუჭავენ და მის სრულ უგულებელყ-ოფას ამჯობინებენ. არადა, ეს მონაკვეთი უაღრესად მნიშვნელოვანია და მთლიანობა-ში, მის პირველ ნაწილთან ერთად, საკმაოდ მარტივ მოცემულობას გვთავაზობს: სტე-

სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრე-

 ბა ორბელიანთა“–ს ძველი ქართული თარგმანები, 38. აქვე ვიტყვი, რომ სრულიად მიუღებელია სტეფანოს ორბელიანის ცნობის კ. თუმანოვი-სეული ინტერპრეტაცია, როდესაც ის ცდილობს ქართული (!) დროშის ფერები (თეთრი და წითელი) მამიკო-ნიანების საშუალებით დაუკავშიროს აქემენურსა და ზოროასტრულ სპარ-სულ ტრადიციას და სრულიად ჰიპო-თეტურ სომხურ (?) სამეფო დროშას. Cyril Toumanov, “More on the Mamiko-nids and the Liparitids,” in *Armenian Studies: in Memoriam Haig Berbérian*, ed. Dickran Kouymjian (Lisboa, 1986), 859-60. თავი გაგანებოთ იმას, თუმანოვი ერთმანეთში რომ ურევს სამეფო და ორბელთა დროშის ფერებს; მხოლოდ კვინტუს კურციუს რუფუსის მიერ აღწერილი დარიოს III-ის მეწამულ ქობაშემოვლებული თეთრი ტუნიკიდან და ტიგრან დიდის სამოსიდან, რომელიც დიონ კასიოსის მიხედვით თეთრ ტუნიკაზე მეწამულს ატარებ-და, ასეთი „გაბედული“ და შორსმი-მავალი დასკვნის გამოტანა ყოვლად შეუძლებელია. Quintus Curtius, *History of Alexander*, with an English translation by John C. Rolfe, vol. I (Cambridge, MA, 1946), III.III.17; Dio Cassius, *Roman His-tory*, with an English translation by Ear-nest Cary, vol. III (Cambridge, MA, 1914), XXXVI.52. კ. თუმანოვის ცნობაზე გ. ჯაფარიძემ მიმითითა.

53 მუსხელიშვილი, „ერთიანი საქა-რთველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში“, 5.

 54 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეე-ბის ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 21-22. მისგან განსხ-ვავებით, მოუხედავად იმისა, რომ ხუთჯვრიანი დროშის სანიწაღმდე-გოდ მოჰყავთ არგუმენტები, ა. სი-ლაგაძე და გ. ჯაფარიძე ობიექტურად აღიარებენ „ნშანის“ როგორც ჯვრის შესაძლო წაკითხვას და მხოლოდ მის ხუთ ჯვრად ინტერპრეტაციას უარყ-ოფენ. სილაგაძე, ჯაფარიძე, *ავმართე დროშა მეფისა*, 17-18.

55 ჯაველიძე, „XI-XIII საუკუნეე-ბის ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 25.

56 გარდა ამისა, თუკი „ნშანი“ წმ. გიორგის გამოსახულება და ხატია, მაშინ „წითელი ნშანი“ გულისხმობს, რომ დროშაზე წითელი წმ. გიორგი იყო დახატული. როგორც ჩანს, მდ-გომარეობის უხერხულობა თავად ნ. ჯაველიძესაც ესმის და გამოსავ-ლის ძიებაში შეინდისფერი აშია (!) შემოაქვს: „სტ. ორბელიანის „წითე-ლი ნშან“-ის ფერთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თითქოსდა უც-ნაურია ალაშზე წმ. გიორგის ხატის აღქმა წითელი ფერის გამოსახულე-

ბად. მაგრამ, თუკი გავიხსენებთ, რომ გერის ეკლესიის დროშის თეთრ ალაშზე ამოქარგული ხატი შეინდის-ფერი ნაჭრებითაა შემოვლებული, მა-შინ სავეებით შესაძლებელია, XIII ს-ის დროშაზე წმ. გიორგის ხატი ასევე ყოფილიყო გარშემოვლებული მეწამ-ული ფერის ქსოვილით ან „განყობი-ლი“ ყოფილიყო ყირმიზი აბრეშუმის ძაფიანი ნაქარგით“. ჯაველიძე, „**XI-XIII** საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის“, 25, შენ. 103. უცნაური სწორედ ასეთი ახსნაა, რომელიც წყაროში გარკვევით მოცე-მული წითელი ფერის გამოსახულების ნაცვლად მის წითელ აშიაშემოვლე-ბულ ალტერნატივას გვთავაზობს.

57 მოვიყვან საყოველთაოდ ცნობილ მაგალითს: 1864 წელს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ემბლე-მად შეიცარიის დროშის ფერების – წითელ ველზე თეთრი ჯვარი – შენ-აცვლებით მიღებული წითელი ჯვარი დაამტკიცეს, რითიც გამოხატეს პა-ტივისცემა კომიტეტის შექმნის ინი-ციატორის შვეიცარიელი ჟან-ანრი დიუნანის მიმართ. ჟენევის 1906 წლის კონვენციის მე-18 მუხლში ვკითხუ-ლობთ, რომ „თეთრ ველზე წითელი ჯვრის ჰერალდიკური ემბლემა შექმ-ნილია, შვეიცარიისადმი პატივისცე-მის ნიშნად, ფედერალური ფერების შენაცვლებით“. https://ihl-databases.icrc.org/en/ihl-treaties/gc-1906/article-18?ac-tiveTab=undefined.

 58 В.В. Похлебкин, *Словарь между-народной символики и эмблематики* (Москва, 2004), 206. შუა საუკუნეებში სიუზერენის მიერ ვასალისთვის თავ-ისი ჰერალდიკური სიმბოლიკის რაიმე ფორმით გაზიარება დიდ პატივად ითვლებოდა. შესაბამისი მაგალითები იხ. Maurice Keen, *Chivalry* (New Haven, 1984), 166.

59 Crampton, “The Dynamics of Flag Evolution,” 92.

 60 ქართულ სამეფო და სამხედრო დროშებში ფერთა შენაცვლების სათავე, ალბათ, ბიზანტიურ მეგკეიდრობაში უნდა ვეძებოთ. სულ მცირე, VI საუკუნი-დან მოყოლებული, ბიზანტიურ არმიაში შემუშავებული იყო კარგად მოფიქრე-ბული სისტემა, რომლის მიხედვითაც განაწილებული და დიფერენცირებული იყო სხვადასხვა ნაწილების და მათში შემავალი რაზმების დროშების ფერე-ბი. ერთ ნაწილის რაზმების დროშებს ერთი ფერის ველი (ტილო) და სხვადასხ-ვა ფერის კუდები ჰქონდათ. *Maurices’s Strategikon: Handbook of Byzantine Military Strategy*, trans. George T. Dennis (Philadel-phia, 1984), 14, 32, 76-77. ასევე იხ. *The Tak-tika of Leo VI*, text, translation, and commen-tary by George T. Dennis (Washington, 2010), 12.82; Nikephoros II Phokas, *Praecepta mili-taria*, in *Sowing the Dragon’s Teeth: Byzantine*

ფანოსის მიხედვით, სამეფო დროშა თეთრია, ზედ წითელი „ნიშნით“, ამირსპასალარის დროშა კი წითელი, ზედ თეთრი „ნიშნით“ ანუ ადგილი აქვს სახელმწიფო დროშის ფერ-ების შენაცვლებას სამხედრო დროშაში. ფერთა შენაცვლება ცნობილი ჰერალდიკური ხერხია,⁵⁷ რითაც გამოხატავენ განსაკუთრებულ პატივისცემას იმ დროშისადმი, რომ-ლის ფერებსაც იყენებენ მონაცვლეობით.⁵⁸ ქართულ სამეფო და სამხედრო დროშებში კიდევ ერთი ჰერალდიკური ხერხის გამოყენება შეიძლება დავინახოთ: ჩვეულებრივ, სამხედრო დროშა ეროვნული დროშიდან წარმოდგება. ასეა დიდ ბრიტანეთში, საფრან-გეთში, შვეიცარიასა თუ სხვაგან.⁵⁹ ასე იყო საქართველოშიც, რაც კიდევ ერთხელ აჩვენ-ებს იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს მესვეურთა მაღალ კულტურას, რომლებიც ამ მეთოდს ჯერ კიდევ XII საუკუნეში იყენებდნენ.⁶⁰

ორბელიანის ცნობის ორივე ნაწილის ფონზე, თავიდან გავიაზროთ მოსაზრება, რო-მელიც გვიმტკიცებს, რომ სამეფო დროშის თეთრ ქსოვილზე წითელ აშიაშემოვლებული წმინდა გიორგი იყო გამოსახული. მაშ რალა იყო გამოსახული ამირსპასალარის წითელ ალაშზე? თეთრ აშიაშემოვლებული წმინდა გიორგი? მეტიც, თუ თავსმოხვეულ აშიას უკუუვადებთ, წყაროს ჩვენებას დავუბრუნდებით და „ნშანში“ წმ. გიორგის ვიგულისხ-მებთ, გამოვა, რომ მეფის დროშაზე წითელი წმ. გიორგი იყო დახატული, ამირსპასალ-არის კი – თეთრი წმ. გიორგი. სად ან ვის სმენია ასეთი იკონოგრაფიული ნაჯექუ-უკუ-ჯექობა? ვის უნდა მოსვლოდა აზრად წმინდა გიორგის (ან მისი აშიის) ნაირფერად შეფერადება დროშებზე? თუკი XII-XIII საუკუნეების საქართველოში იმდენად ესმოდათ ჰერალდიკა, რომ ფერთა მონაცვლეობის პრინციპს აღიარებდნენ და იყენებდნენ, ნუთუ წითელი ჯვრით წმინდა გიორგის აღნიშვნა გაუჭირდებოდათ თუ ჰერალდიკური კულ-ტურა არ ეყოფოდათ ამისთვის?

კიდევ ერთხელ, პუნქტობრივად ჩამოვყალიბოთ სამივე წყაროს მოცემულობა: 1) სამეფო დროშის ალაში თეთრი იყო (თამარის პირველი ისტორიკოსი, სტეფანოს ორბე-ლიანი, რავენდი); 2) თეთრ ალაშზე წითელი ფერის „ნიშანი“ იყო დატანილი (სტეფანოს ორბელიანი); 3) ამირსპასალარის (სამხედრო) დროშა სამეფო დროშის კომპოზიციას იმ-ეორებდა შენაცვლებული ფერებით: ის წითელი იყო და თეთრი „ნიშანი“ ჰქონდა (სტე-ფანოს ორბელიანი); 4) თეთრ დროშაზე არსებული „ნიშანი“ არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი ზომისა და ფართობის, რომ თავად ალაში ან მისი ფერი დაეჩრდილა, სხვა შემთხვევაში დროშას არავინ უწოდებდა სპეტაკს ან თეთრს (თამარის პირველი ის-ტორიკოსი, რავენდი).

ახლა ჩასვით ამ მოცემულობაში „ნიშნის“ ადგილას გნებავთ წმ. გიორგის, გინდა ნებისმიერი სხვა გამოსახულება: მივიღებთ სრულ აბსურდს და სამივე მემატიანის ცნო-ბის უარყოფას: წმინდანის გამოსახულებიან დროშას არავინ უწოდებდა თეთრს და არ-აეინ, იკონოგრაფიაში ოდნავ ჩახედული, ერთსა და იმავე წმინდანს ერთ დროშაზე წით-ლად და მეორეზე თეთრად არ დაახატავდა. ახლა ჩასვით „ნიშნის“ ნაცვლად ჯვარი და მიიღებთ დახვეწილ კომპოზიციას, რომლის ალაში თეთრიც იქნებოდა და სპეტაკიც, და რომლის ჯვრებიც თავისუფლად შეიცვლიდა ფერებს. აქედან პირდაპირ გამომდინარე-ობს დასკვნა: სტეფანოს ორბელიანის ცნობის, რომელიც „ნშანის“ ორ – წითელსა და თეთრ – ფერს და მათი შენაცვლების პრინციპს გვიდასტურებს, წაკითხვა ჯვრის გარდა რაიმე სხვა მნიშვნელობით ყოვლად შეუძლებელია.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების ქართული დროშის შესახებ სამი ერთმანეთი-საგან დამოუკიდებელი წყარო იძლევა ერთნაირ ინფორმაციას: ქართველი (თამარის პირველი ისტორიკოსი), სომეხი (სტეფანოს ორბელიანი) და სპარსელი (რავენდი) მემა-ტიანეები გვიდასტურებენ, რომ სამეფო დროშა თეთრი იყო. სტეფანოსი ამატებს, რომ დროშაზე წითელი „ნშანი“ (ჯვარიც) იყო გამოსახული. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ XII საუკუნეში საქართველოს სამეფო დროშა თეთრი ფერის ქსოვილზე დატანილ

წითელ ჯვარს წარმოადგენდა. თუ გავითვალისწინებთ ევროპული პორტოლანების მონაცემებსაც, რომლებიც აბსოლუტურად ეთანხმება სტეფანოს ორბელიანის ცნობას, დავრწმუნდებით, რომ ქართულ დროშაზე წითელი ხუთჯვრიანი კომპოზიცია იყო გამოსახული.

ჯვრის სიმბოლო

ხუთჯვრიანი დროშა და ქართული სახელმწიფო იდეოლოგია

რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ხუთჯვრიანი იერუსალიმის დროშის არსებობა საქართველოში სრულ თანხვედრაშია ქვეყნის პოლიტიკურ კურსთან,⁶¹ რომლის გაცხადებული იდეოლოგია ერთიანი თუ დაშლილი საქართველოების არსებობის ხანაში იყო და საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა იერუსალიმზე ორიენტირებული ქრისტიანობა, ქრისტეს საფლავისა და წმინდა მიწის სხვა სინწინდეების დაცვის პოლიტიკა,⁶² რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატულია წერილში, რომელიც **XVII** საუკუნის შუა ხანებში მონაზონმა მართამ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს გრიგოლ I-ს იერუსალიმიდან გამოუგზავნა:

	თუ იერუსოლიმი დაგეკარგვიან, რასლა სჯული და ან რასლა პირჯვრის წერა გექნებათ“! მონაზონი დავით წინასწარმეტყველის სიტყვებსაც იმეორებს, რომელიც იმ გულისნადებს გამოხატავს, საუკუნეების განმავლობაში რომ ამოძრავებდა ქართველ ქრისტიანებს: „დავით მამა უფლისა ამას არ მოგახსენებს? „უკეთუ დაგივინყო შენ იერუსალიმ, დაივინყენ მარჯვენეცა ჩემი.⁶³
---------------	--

ჯვრის სიმბოლო

ქართველები იერუსალიმს მიიჩნევდნენ თავიანთი რწმენის წყაროდ. კ. კეკელიძე წერდა, რომ ქართულმა ეკლესიამ, თავისი დედის, იერუსალიმის ეკლესიიდან ტოპოგრაფიაც კი გადმოიღო და მცხეთაში და მის გარშემო ქრისტეს ცხოვრების ამსახველი პუნქტები შექმნა. საქართველოს ეკლესიებს იერუსალიმის ეკლესიების მიხედვით არქმევდნენ სახელებს, მცხეთა კი, როგორც „ახალი იერუსალიმი“, გარშემორტყმული იყო წმინდა მიწის ნაცნობი სახელებით – გეთსიმანია, გოლგოთა, თაბორი, ბეთლემი, სხვ.⁶⁴

იერუსალიმთან კავშირს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შესძინა ბაგრატიონთა დინასტიის ლეგენდამ. ქართველი მეფეები თავიანთ წარმომავლობას იერუსალიმს უკავშირებდნენ, დავით წინასწარმეტყველს მიიჩნევდნენ წინაპრად და თავს ღვთის შთამომავლებად თვლიდნენ. ბაგრატიონების მიერ კულტივირებულ ლეგენდას ანგარიშს უწევდნენ ბიზანტიის იმპერატორებიც. კონსტანტინე პორფიროგენეტის მოწმობით, „ისინი, როგორც თვითონ ამბობენ, იერუსალემიდან შთამომავლობენ და რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს“.⁶⁵ თვლიდნენ რა თავს ბიბლიური დავითის ჩამომავლებად, ქართველ მეფეებს თავიანთი პრესტიჟის საქმედ მიაჩნდათ და ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ მრავალრიცხოვან ქართველ ბერ-მონაზონთა თუ პილიგრიმთა მდგომარეობას წმინდა მიწაზე.⁶⁶

საზღვარგარეთის წმინდა ადგილებიდან განსაკუთრებული ყურადღება იერუსალიმს ექცეოდა და მისი საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. 1219 წელს, როდესაც მეხუთე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ეგვიპტეში დამიეტა აიღო, დამასკოს აიუბიანმა მმართველმა ალ-მუ‘აზამ ‘ისა შარაფ ად-დინმა ჯვაროსანთა შიშით იერუსალიმის კედლები დაანგრია. ჟაკ დე ვიტრის გადმოცემით, ქართველები ამ ამბავმა მეტად აღაშფოთა და ისინი დამუქრებიან ალ-მუ‘აზამს,⁶⁷ ანუ მისი სახით აიუბიანთა იმპერიას.

ჯვრის სიმბოლო

ჯვრის სიმბოლო

Warfare in the Tenth Century, ed. Eric McGeer (Washington, 1995), 42-43; Nikephoros Ouranos, “Taktika,” in Sowing the Dragon’s Teeth, 124-25. ქართველებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიური არმიის რიგებში, მის გვერდით და წინააღმდეგ იბრძოდნენ, არ გაუჭირდებოდათ დროებში ფერების დიფერენცირების ძირითადი პრინციპების შეთვისება.

61 ქართული სამხედრო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა და სახელმწიფო იდეოლოგია შესანიშნავად აქვს ნაჩვენები ა. თვარაძეს 2004 წელს გამოცემულ ნაშრომში, რომლის ლამის ყოველი გვერდი ამ სულისკვეთებაზე ღალადებს. იხ. მისი, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 1-356.

62 წმინდა მიწის მიმართ ქართველთა დამოკიდებულებისათვის იხ. ქვეთავი „იერუსალიმის მნიშვნელობა ქართული ქრისტიანობისათვის“, წიგნში: მამუკა წურწუშია, ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთში: ქრისტიანული საღვთო ომი და ისლამური ჯიჰადი (თბილისი, 2019), 247-57.

63 საქართველოს სიძველენი, რედ. ე. თაყაიშვილი, ტ. I (ტფილისი, 1899), 39-42; ელდარ მამისთვალიშვილი, „მართა მონაზონის წერილი იერუსალიმის ქართული მონასტრების მდგომარეობის შესახებ“, გსსუიაცშკ, 5 (2014), 143-52.

64 Корнелий Кекелидзе, “К вопросу об Иерусалимском происхождении грузинской церкви,” ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV (თბილისი, 1957), 262-63; თამილა მგალობლიშვილი, ახალი იერუსალიმები საქართველოში (თბილისი, 2013), 16-22; Amnon Linder, “Christian Communities in Jersusalem,” in The History of Jerusalem: The Early Muslim Period 638-1099, eds. Joshua Prawer and Haggai Ben-Shammai (Jerusalem), 152.

65 გეორგიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. IV, ნაკვ. 2 (თბილისი, 1952), 258.

66 Johannes Pahlitzsch, “Georgians and Greeks in Jerusalem (1099-1310),” in East and West in the Crusader States III, eds. K. Ciggaar and H.G.B. Teule (Leuven, 2003), 35-37.

67 Jacques de Vitry, The History of Jerusalem, A.D. 1180, trans. A. Stewart (London, 1896), 84.

ჯვრის სიმბოლო

ჯაზირას აიუბიანი გამგებელი ალ-აშრაფი იძულებული გახდა გიორგი **IV** ლაშასთან მოსაბოდიშებლად ელჩები გაეგზავნა და მომხდარი განემარტა.⁶⁸

წმინდა მიწის გამოსხნის პროექტებში საქართველოს მეფეების, გიორგი **IV** ლაშას და რუსუდანის მონაწილეობა არ იყო სტრატეგიული მიზნებით გამართლებული. ასეთი ლაშქრობა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოსათვის და არც იერუსალიმისა და წმინდა მიწის შენარჩუნებაზე შეიძლება ჰქონოდათ ქართველებს რაიმე ილუზია. ერთადერთი მოტივი, რაც იმდროინდელი საქართველოს მესვეურებს ამოძრავებდათ, ეს იყო იერუსალიმის სალოცავებისა და უფლის საფლავის გათავისუფლების სურვილი.

იერუსალიმის მიმართ ქართველთა ინტერესები კარგად იცოდნენ ჩვენი ქვეყნის გარეთაც. ფიდენცო პადუელის, გიიომ ადამის, ფილიპე VI-ის მიერ წმინდა მიწის გამო-სახსნელად შედგენილი ჯვაროსნული გეგმები საკმაო იმედებს ამყარებდა ქართველთა მონაწილეობაზეც.⁶⁹ ბიზანტიელი ისტორიკოსი პახიმერე მოგვითხრობს, რომ ყაზან ყაენმა „იერუსალიმსაც კი შეუტია და მზად იყო მის ასაღებად იმისთვის, რომ ესიამოვნე-ბინა იბერებისათვის ცხოვრების მომნიჭებელი [მაცხოვრის] საფლავის გამო“.⁷⁰ მამლუქ სულთანთა სამდივნოში დაცული საქართველოს მეფეებთან ეგვიპტის სულთნების მიმონერის ნიმუშებიდან ვიგებთ, რომ **XIV-XV** საუკუნეებში მუსლიმი მბრძანებლები საქართველოს მეფეს მიმართავდნენ ტიტულით: „წმინდათა ადგილთა განმადიდებელი“ და „იერუსალიმის განმადიდებელი“.⁷¹

საქართველოს დაშლის შემდეგ, მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში მყოფი ქართველი მეფეები იერუსალიმს მაინც არ ივიწყებენ. 1595 წელს ქართლისა და კახეთის სამეფოებმა და ირანმა ერთობლივად დააპირეს ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლა. ანტიოსმალური კოალიციის ზრახვების შესახებ სვიმონ მეფე და საქართველოს კათალიკოსი 1596 წელს წერილებს წერენ რომის პაპს, გერმანიის იმპერატორს, ვენეციელებსა და ესპანეთის მეფეს. სვიმონი პირდება მათ, რომ გაერთიანებული ძალებით შეუტევენ თურქებს და „წმ. იერუსალიმს და ქრისტიანებს თურქის ხელიდან გავათავისუფლებთ... მე და ჩემი თავადები ქრისტეს სარწმუნოებისათვის ტანჯვასა და სიკვდილზე თავს ვდებთ, რათა ჩვენს დროში ვიხილოთ წმ. იერუსალიმი და ქრისტეს წმინდა საფლავი ქრისტიან სამეფოთა ხელში“.⁷² ის თხოვს ესპანეთის მეფეს, დაარწმუნოს გერმანიის იმპერატორი არ დაუზავდეს ოსმალებს, რადგან „მეორე ფრონტის გახსნა ევროპის მხრიდან ჩვენ გაგვიადვილებს თურქების დამარცხებას საბოლოოდ და მივაღწევთ წმიდათა-წმიდა ადგილის იერუსალიმის გათავისუფლებას“.⁷³

იერუსალიმი და ქრისტეს საფლავი მუდამ რჩებოდა ქართველი მეფეების თვალსაწიერში, ხოლო წმინდა ქალაქი და ქრისტიანობა საუკუნეების განმავლობაში იყო მთავარი ორიენტირი ქართველი ერისათვის.

^[1] გოჩა ჯაფარიძე, „‘აჯაიბ ად-დუნ-ია აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ერთი ეპიზოდის შესახებ“, ქართული დიპლომატია, VI (1999), 126-35.

^[2] Guillaume Adam, “De modo Sarra-cenos extirpandi,” in Recueil des Historiens des Croisades. Documents Armeniens, t. II (Paris, 1906), 534; Adam Knobler, “Missions, Mythologies and the Search for non-European Allies in anti-Islamic Holy War, 1291-c. 1540,” PhD thesis (University of Cambridge, 1989), 55-56, 66-67, 71.

^[3] Georgii Pachymeris, De Michaele et Andronico Palaeologis libri tredecim, rec. Immanuel Bekkerus, vol. 2 (Bonnae, 1835), 457; Georges Pachymèrès, Relations historiques, édition, introduction et notes par A. Failler, traduction française V. Laurent, T. IV (Paris, 1999), 504-5.

^[4] XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები, 52, 55.

^[5] ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, 223-24.

^[6] პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, 121-22.

სნობები სუთჰჰიანი დიოშის მესახე

იერუსალიმის ჯვრის გამოსახულებები საქართველოს ტერიტორიაზე

თავის ნაშრომში ა. თვარაძე აღნიშნავს, რომ იერუსალიმის ჯვრის ტიპის კონფიგურაციები ხშირად გამოიყენებოდა შუა საუკუნეების საქართველოში. მას თავმოყრილი აქვს ხუთფიგურიანი ჯვრების მრავალი ნიმუში, როგორც ბურთულებიანი (ბეზანტიანი) ჯვრები,¹ ისე თავად ხუთჯვრიანი გამოსახულებები.² ჯვარი ოთხი ბეზანტით გამოსახულია ტაბანყურის ეკლესიის ფასადზე (X ს.),³ სტელაზე თოკის წმ. გიორგის ეკლესიასთან (IX-X სს.),⁴ კასაგინას ეკლესიის სარკმელზე (X ს.), კაბერის ეკლესიის კანკელზე (X-XI სს.),⁵ კუმურდოს ეკლესიის სამხრეთ სტოაზე (XI ს.) (სურ. 132ა); ხუთჯვრიანი გამოსახულებები გვხვდება დმანისის ქვაჯვარზე, ბოჭორმის ეკლესიისა (XI-XII სს.) (სურ. 134ა) და ჩხერის ეკლესიის ფასადებზე (XV ს.) (სურ. 134ბ).⁶

ჩვენ შეგვიძლია დამატებით მოვიხმოთ ხუთფიგურიანი ჯვრების სხვა ნიმუშებიც, მათ შორის ბეზანტიანი ჯვრები – კიდეც ერთი გამოსახულება კუმურდოს ტაძრიდან (სურ. 132ბ), ხეოთის ეკლესიის სამრეკლოზე (XV ს.) (სურ. 132გ), დღემდე შემორჩენილი წითელი საღებავით შეფერადებული ახალი ათონის სვიმონ კანანელის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე (X ს.) (სურ. 132დ);⁷ კომბინირებული კომპოზიცია – ორი ბეზანტითა და ორი ჯვრით სამშვილდის ნაქალაქარიდან (სურ. 133); ხუთჯვრიანი – უდეს წმ. ნინოს ტაძარზე (VI-VII სს.) (სურ. 134გ), ჯაყისმანის ეკლესიაში (XIII-XIV სს.) (სურ. 134დ), ბარელიეფი იერუსალიმში, წმ. იოანეს (იმავე სვეტის ანუ ამუდის) ყოფილ ქართულ მონასტერში, რომლის დღევანდელი მფლობელი ფრანცისკელებიც აღიარებენ, რომ ეს გამოსახულება ქართული წარმომავლობისაა (სურ. 134ე).⁸

ხუთფიგურიანი ჯვრების დროსა და სივრცეში გაბნეული ეს მრავალრიცხოვანი მაგალითები, რა თქმა უნდა, სულაც არ მიუთითებენ იმაზე, რომ ეს კომპოზიცია იყო აღბე-

¹ თვარაძე, *საქართველო და ეკლესია ევროპულ წყაროებში*, 114.

² იქვე, 115.

³ ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, რედ. დიმიტრი თუმანიშვილი (თბილისი, 2000), ტაბ. 260.

⁴ იქვე, ტაბ. 264.

⁵ P.C. Меписашвили, “Памятники архитектуры X-XI веков в сел. Кабери и Гостице,” *ქართული ხელოვნება. Ars Georgica*, 8 (1979), ტაბ. 27.2.

⁶ ნეკრესის, დმანისის, ბოჭორმისა და ჩხერის ქვაში ნაკვეთ

ხუთჯვრიან გამოსახულებებზე უთითებენ იოსებ ბიჭიკაშვილი და რაულ ჩაგუნავაც. იხ. მათი, „ისტორიული ცნობები ქართული ხუთჯვრიანი დროშის შესახებ“, 24 საათი, 15 (2004), B6.

⁷ *Искусство Абхазского царства VIII-XI веков. Христианские памят-*



სურ. 133
ხუთჯვრიანი კომპოზიცია ორი ბეზანტითა და ორი ჯვრით. სამშვილდის ნაქალაქარი.

ники Анакопийской крепости, ред. Е.Ю. Ендольцева (Санкт-Петербург, 2011), таб. 7; Е.Ю. Ендольцева, *Архитектурная пластика Абхазии в период Абхазского царства (VIII-XI вв.)* (Москва, 2020), 187-89, ил. 90.

⁸ <https://www.terrasanctamuseum.org/en/the-georgian-capital-of-st-saviour-new-evidence-of-the-history-of-the-siege-of-the-custody-of-the-holy-land/>.



სურ. 132
ჯვარი ოთხი ბეზანტით: ა) კუმურდოს ეკლესიის სამხრეთ სტოაზე. XI ს., ბ) კუმურდოს ტაძრიდან. XI ს., გ) ხეოთის ეკლესიის სამრეკლოზე. XV ს., დ) ახალი ათონის სვიმონ კანანელის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე. X ს.



სურ. 134

ხუთჯვრიანი ბარელიეფი: ა) ბოჭორმის ეკლესიის ფასადზე. X ს. გურამ ხარშილადის ფოტო, ბ) ჩხერის ეკლესიის ფასადზე. XV ს., გ) უდეს წმ. ნინოს ტაძარზე. VI-VII სს., დ) ჯაყისმანის ეკლესიიდან. XIII-XIV სს., ე) იერუსალიმის სვეტის ქართულ მონასტერში.

⁹ როგორც ამას კატეგორიულად უარყოფენ ხოლმე: „ხუთჯვრიანი სიმბოლო შეუძლებელია ქართულ მართლმადიდებლურ სინამდვილეს ასახავდეს“. ჯაველიძე, „ქართველთა საერო დროშის გამო“, 43.

¹⁰ დავით მაისურაძე, ნესტან ბაგაური, „ოთხნერტილიანი ჯვარი ქართულ ისტორიულ საბუთებში“, *პერალდიკისა და ვექსილოლოგიის III კონფერენცია: პერალდია და ისტორიული წყაროები. მოხსენებათა თეზისები* (თბილისი, 2023), 27. იერუსალიმის ჯვრით დაწყებული მეფეთა ხელრთვების მაგალითები იხ. მანანა ჭუმბურიძე, *ხელრთვები. დამწერები* (თბილისი, 2016): გიორგი II-ის ხელრთვა შიომღვიმის სიგელზე (1073), გვ. 10; თამარ მეფის და დავით სოსლანის ხელრთვები შიომღვიმის სიგელზე (1195/96), გვ. 12; გიორგი IV ლაშას ხელრთვა შიომღვიმის სიგელზე (1211/12), გვ. 13; რუსუდან მეფის და დავით VI ნარინის ხელრთვები ორომაშენის (1241) და ლუერკის (1241-42) სიგელებზე, გვ. 14. ამ მოვლენას დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, რაშიც გვარწმუნებს ზოგიერთი ხელრთვისა და მათი პალეოგრაფიული პირის შედარება, სადაც ჯვარი წერტილების გარეშეა გადატანილი, მაშინ როდესაც დედანში ისინი გარკვევით ჩანან. შდრ. ვალერი სილოგავა, *ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები, XI-XIII სს.* (თბილისი, 2003): გიორგი II-ის ხელრთვა, სურ. 1 და 2; დავით აღმაშენებლის ხელრთვა სინური ხელნაწერის (Sin. Geo. 10) პალეოგრაფიულ პირსა (გვ. 13) და დედანზე; გიორგი IV ლაშას ხელრთვა (1211), სურ. 19 და 20; ზოგან მხოლოდ სამი წერტილია გადატანილი და გამოტოვებულია მეოთხე. შდრ. იქვე, თამარ მეფის ხელრთვა ჭიაბერის დანეროლზე (1189), სურ. 11 და 12; მისივე სხალტბურ სიგელზე (1196), სურ. 14 და 15; დავით ნარინის ხელრთვა ქართლის კათალიკოსის დანეროლზე (1249), სურ. 22 და 23.

¹¹ ქანწილი ქრისტეს მონოგრამას (ქრისტოგრამას), ანუ დაქარაგმვით მიღებულ ქრისტეს სახელს წარმოადგენს. ლ. ქაჯაია, „ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში“, *პალეოგრაფიული ძიებანი*, II (1969), 103-7.

¹² მაისურაძე, ბაგაური, „ოთხნერტილიანი ჯვარი ქართულ ისტორიულ საბუთებში“, 27-28.

¹³ ოთხბეზანტიანი ჯვარი ანუ ჯვარი ოთხი ბეზანტი (სფეროთი, ბურთულით, დისკოთი) იმავე სიმბოლიკის მატარებელია, რაც ხუთი ჯვარი და იკონოგრაფიულად მაცხოვარს წარმოადგენს. მანუსკრიპტებში ნაწერის სპეციფიკურობის გამო ის ოთხნერტილიანი ჯვრის ფორმას იღებდა.

¹⁴ მადლობას ვუხდი ნიკოლოზ ჟღენტს, რომელმაც მიმითითა ტყემ-

ჭდილი საქართველოს სახელმწიფო დროშაზე, თუმცა იმას კი ნათლად აჩვენებენ, რომ იერუსალიმის ჯვარი არ იყო უცხო ქართული სინამდვილისათვის.⁹

ამასთანავე, სრულიად სხვა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ იმ შემთხვევებიდან, როდესაც იერუსალიმის ჯვარი სამეფო ძალაუფლების ნიშნებზე ჩნდება. როგორც დავინახავთ, ასეთი შემთხვევები დასტურდება ქართულ ნუმიზმატიკაში, სფრაგისტიკასა და დიპლომატიკაში, როგორც ხელნაწერ, ისე ქვაში ნაკვეთ აქტებში.

დ. მაისურაძისა და ნ. ბაგაურის უახლესმა კვლევამ აჩვენა XI საუკუნის ქართულ საბუთებში ოთხნერტილიანი იერუსალიმის ჯვრის არსებობა. პირველი ასეთი საბუთი ბაგრატ IV-ის 1057/58 წლის სიგელია, სადაც ხელრთვის სახით ოთხნერტილიანი ჯვარი დასმული აქვს გიორგი ქართლის კათალიკოსს (სურ. 135ა). შემდეგში ეს სიმბოლო გვხვდება ერთიანი საქართველოს ყველა მეფის ხელრთვაში (სურ. 135ბ-თ), ისევე როგორც სხვა საერო და სასულიერო პირთა ხელრთვებში.¹⁰ ეს ოთხნერტილიანი იერუსალიმის ჯვარი ქართულ საბუთებში ფუნქციურად ქანწილის როლს ასრულებს.¹¹ ქანწილი აღნიშნავდა საბუთის დასაწყისს (invocatio), თუმცა იურიდიულ საბუთებში მისი გამოყენება სიმბოლურ დატვირთვისაც ატარებდა. საბუთის ან მისი დამამტკიცებელი ხელრთვის „ქრისტეთი დაწყება“ ნიშნავდა საბუთის ღვთის მონაწილეობით შედგენას და მას ლეგიტიმაციის ფუნქციაც ენიჭებოდა. როგორც ჩანს, IX-XIV საუკუნეებში ოთხნერტილიანი ჯვარი საბუთების გაფორმების წესის აუცილებელი ელემენტი იყო. ავტორთა დასკვნით, ერთიანი მონარქიის ხანაში ამ სიმბოლოს ასეთი პოპულარულობა იმას ადასტურებს, რომ „ეს ზოგადქრისტიანული ფორმა ნამდვილად იქცა საყოველთაო გამოყენების ეროვნულ სიმბოლოდ... ფაქტია, რომ ოთხნერტილიანი ჯვარი ასოცირდებოდა ხელისუფლებასთან, [საბუთების გაცემის] ხელმწიფებასთან, ძალაუფლებასთან და ამ ყველაფრის ღვთაებრივ ლეგიტიმაციასთან. ამიტომ შეიძლება თიქვას, რომ ოთხნერტილიანი ჯვრის ეროვნულ/სახელმწიფო სიმბოლოდ გამოყენებისთვის ნამდვილად კარგი ნიადაგი არსებობდა XI-XIV საუკუნეებში“.¹²

აქედან ცხადი ხდება, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული, ერთიანი მონარქიის ხანაში სამეფო საბუთებში გამოყენებულ ქანწილს იერუსალიმის ჯვრის ფორმა ჰქონდა.¹³

ხუთფიგურიანი ჯვრები ქვასვეტებზე

იგივე ფორმის იერუსალიმის ჯვარი გვხვდება ქვაში ნაკვეთ დიპლომატიკურ აქტებშიც.¹⁴

ქვემო ქართლში, დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდი გომარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნაქალაქარ ტყემლიანში, დარბაზული ტიპის ეკლესიისა და აფთიაქის მიმდებარედ დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებმა მიაკვლიეს ხელის გამოსახულებიან სტელას, რომელიც თანმხლები ასომთავრული წარწერით, რუსუდან მეფეთ-მეფისა და დავით მეფის მოხსენიებით, 1230-45 წლებით თარიღდება. სვეტის თავში სამსაფეხურიან სადგომზე აღმართულია წრეში ჩასმული რელიეფური ჯვარი, რომლის მკლავებს შორის ოთხი სფეროა. ჯვრის ქვეშ ამოკვეთილია გაშლილი ხელის მტევანი – სამეფო ძალაუფლების ნიშანი.¹⁵ (სურ. 136)





ქართულ ეკლესიებსა თუ სხვა ნაგებობზე გამოსახული იერუსალიმის ჯვრებისაგან განსხვავებით, ეს შემთხვევა უადრესად მნიშვნელოვანია, რადგან სამეფო ხელი-

ლიანისა და ზრესკის სტელებზე და მომანოდა ინფორმაცია და ფოტოები.





¹⁵ მერი მამარდაშვილი, „ხელის გამოსახულებიანი წარწერ-

იანი სტელა გომარეთიდან“, *ძეგლის მეგობარი*, 1 (1994), 63-64; დევი ბერძენიშვილი, *ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან* (თბილისი, 2014),

114; *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I, დმანისის რაიონი, V-XVIII სს.*, ავტორ-შემდგენლები გიორგი ოთხმეზური და სხვ. (თბილისი, 2017), 170-72.



სურ. 135
ოთხნერტილიანი იერუსალიმის ჯვარი: ა) გიორგი ქართლის კათალიკოსის ხელრთვაში ბაგრატ IV-ის სიგელზე (1057/58). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ბ) გიორგი II-ის ხელრთვაში შიომღვიმის სიგელზე (1073). საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449/1475, გ) დავით აღმაშენებლის ხელრთვაში სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერზე, დ) თამარ მეფის ხელრთვაში ჭიაბერის დაწერილობაზე (1189). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,



ე) თამარ მეფის ხელრთვაში შიომღვიმის სხალტბურ სიგელზე (1196). საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1449/1476, ვ) გიორგი IV ლაშას ხელრთვაში შიომღვიმის სიგელზე (1211/12). საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1448/1723, ზ) დავით ნარინის ხელრთვაში ორომაშენის წყალობის დაწერილობაზე (1241). ფ. 1448/9253, თ) რუსუდანისა და დავით ნარინის ხელრთვაში ლუერკის წყალობის დაწერილობაზე (1241/42). ფ. 1448/5003.

სუფლების ოფიციალურ აქტს წარმოადგენს.¹⁶ ცნობილია, რომ XII-XIII საუკუნეების საქართველოში ჩნდება ხელის გამოსახულებიანი სტელები, რომლებიც მეფეთა მიერ და მათი სახელით იდგმებოდა და სამამულო მფლობელობას აღნიშნავდა. ფეოდალურ საქართველოში „ჴელი“ უფლების გამომხატველი სიმბოლო იყო, ხოლო სტელები ქვაზე ამოკვეთილი იურიდიული ხასიათის საბუთებია.¹⁷ ხელის გამოსახულებიანი ქვასვეტები, ე.წ. „ჴელები“ განსაზღვრული დიპლომატიკური წესით შედგენილ სამეფო აქტებს წარმოადგენენ. სტელაზე გამოსახული გაშლილი ხელის მტევანი მეფის ძალაუფლების მატერიალური გამომხატულება იყო.¹⁸

ცხადია, სამეფო აქტზე შემთხვევითი გამოსახულება ვერ მოხვდებოდა და ხელის თანმხლები ყოველი სიმბოლო უნდა აღვიქვათ როგორც სამეფო იდეოლოგიის გამოხატულება. ტყემლიანის სტელაზე აღბეჭდილი ჯვარი კი უაღრესად საინტერესოა, რადგან მასში ლაკონურად, დახვეწილი სიმბოლიზმით არის გადმოცემული გოლგოთას მისტერია: საფეხურებიანი ჯვარი იგივე გოლგოთაზე აღმართული ჯვარია,¹⁹ სადაც საფეხურები გოლგოთას მთას განასახიერებს, ხოლო მასზე აღმართული ჯვარი მკლავებში ოთხი სფეროთი – მაცხოვარს; შედეგად, ქვასვეტზე სიმბოლურადაა გამოსახული გოლგოთაზე ჯვარცმული მაცხოვარი. ეს ფაქტი, გარდა იმისა, რომ ადასტურებს სამეფო ხელისუფლების მიერ იერუსალიმის ჯვრის ოფიციალურ აქტებში გამოყენებას, იმაზეც მიუთითებს, რომ ქართველებმა კარგად იცოდნენ ამ ჯვრის მნიშვნელობა და მას ზუსტად, თავისი დანიშნულებით იყენებდნენ!²⁰

კიდევ ერთი მსგავსი ჯვარი გვხვდება ჯავახეთში, ნასოფლარ ზრესკის ტერიტორიაზე, სადაც ბაგრატოვან მონარქთა სამი ხელიანი სტელაა გამოვლენილი: 1) თაღოვან სიბრტყეზე ამოკვეთილი ხელის გამოსახულებითა და თამარ მეფისა და მისი ძის ნუსხური წარწერით; 2) თაღოვან სიბრტყეში ამოკვეთილი ხელით, რომლის თავზე ექვსქიმიანი ვარსკვლავი, სადგამიანი ჯვარი და ვარდულია თამარის ძის გიორგის ნუსხური წარწერით, 3) თაღოვან სიბრტყეში ამოკვეთილი ხელით, თავზე რვაქიმიანი ვარსკვლავით და წარხოცილი (სავარაუდოდ, რუსუდან მეფის) წარწერით. მესამე სტელასთან ახლოს ქვასვეტის დაზიანებული ბაზისია, ერთ-ერთ ნახნაგზე წრეში ჩასმული ჯვრით, რომელსაც მკლავებს შორის ოთხი სფერო უჩანს (სურ. 138).

ნუმიზმატიკური მონაცემები

იერუსალიმის ჯვრის ვარიანტებია გამოსახული ერთიანი მონარქიის მონეტებზეც. ამ მოვლენის მნიშვნელობა აშკარაა, თუკი გავიხსენებთ, რომ ფული იყო „სამეფო ლეგიტიმაციის უმაღლესი იურიდიული საბუთი“.²¹ უმაღლესი ხელისუფლების მიერ მოჭრილი ფულით ხდება შესაბამისი პოლიტიკური გზავნილების დეკლარირება და მასზე აღბეჭდილი სიმბოლოები შემთხვევითი ვერ იქნება.

თუმცა, სანამ XII-XIII საუკუნეების ფულზე გადავიდოდეთ, ყურადღება შევაჩეროთ X საუკუნის ერთ ნუმიზმატიკურ ეგზემპლარზე. თ. ასათიანმა მიუთითა, რომ დავით კურაპალატის მონეტის ზურგზე დატანილია იერუსალიმის ჯვრის მსგავსი კომპოზიცია, როდესაც ცენტრალური ჯვრის მკლავები ასომთავრული წარწერებითაა შეესებული (სურ. 139).²² მართლაც, კურაპალატის მონეტაზე გამოსახული გოლგოთაზე აღმართული ჭეშმარიტი ჯვრის მკლავებში ჩაწერილი ასომთავრული ასოები გეომეტრიულად ხუთფიგურიან კომპოზიციას წარმოადგენს და ძალაუნებურად ასოციაციას აღძრავს იერუსალიმის ხუთ ჯვართან, მით უმეტეს, რომ თავისი არსით ორივე ჯვარცმულ მაცხოვარს განასახიერებს.²³

ასოციაციები აღარ გვჭირდება 1118 წელს მოჭრილი დავით IV-ის სპილენძის მონეტის

^[16] სურათის სისრულისათვის დავამატებ, რომ თავად გომარეთის სტელებზეც გვხვდება საგულდაგულოდ გამოკვეთილი იერუსალიმის ჯვრის გამოსახულება. (სურ. 137)

^[17] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო (თბილისი, 1959), 70-84.

^[18] გიორგი ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო (თბილისი, 1981), 5, 37, 67-68.

^[19] ეს სიმბოლო პირველად გვხვდება ტიბერიუს II-ის (578-82) მიერ მოჭრილ ოქროს მონეტაზე (იხ. სურ. 90). ბიზანტიურ იკონოგრაფიაში გოლგოთას ჯვარი სხვადასხვა რიცხვის (უმთავრესად, სამი) საფეხურითაა გამოსახული, რაც გოლგოთას მთაზე გამოკვეთილი საფეხურების ანალოგია უნდა იყოს. Heba Gayed, “The Cross “Above Steps” on the Byzantine Coins,” in *Proceedings of the 4th Biennial of Architectural and Urban Restoration* (Florence, 2018), 918-23; Péter Somogyi, “Christian Symbols on Byzantine Coins from the 5th-7th Centuries,” in *Saint Martin and Pannonia: Christianity on the Frontiers of the Roman World*, eds. Endre Tóth, Imre Takács, and Tivadar Vida (Pannonhalma, 2016), 149.

^[20] ამ სიუჟეტის არსზე მეტყველებს დავით კურაპალატის ქვაბატიც ოშკის ტაძრიდან, სადაც წითელი საღებავით დაფერილი სამსაფეხურიანი გოლგოთას ჯვრის თავზე დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა იკითხება: „ძელი ცხ(ო)რ(ე)ბ(ი)ს(ა)ჲ“. შესაბამისად, ვ. სილოგავა ასკვნის: „მაშასადამე, აქ წარმოდგენილია ჯვარი „ძელი ცხოვრებისა“, ე.ი. ქრისტეს სიმბოლური გამოსახულება“. ვალერი სილოგავა, ოშკი – X ს. მემორიალური ტაძარი (თბილისი, 2006), 68-69.

^[21] მაია პატარიძე, დავით აღმაშენებელი. ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა (თბილისი, 2022), 56.

^[22] თორნიკე ასათიანი, „კიდევ ერთხელ სახელმწიფო სიმბოლიკის თაობაზე“, ახალი ეპოქა, 2 (2003), 15. ამ მოსაზრებას ვხვდებით ა. თვარაძესთანაც. იხ. მისი, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 103. ჯვრის მკლავებს შორის მოთავსებული ასოების მოტივი ბიზანტიიდან არის შემოსული. დავით კურაპალატის ვერცხლის დრამა ბიზანტიური ვერცხლის მილიარესიონის ნაბაძვით არის შექმნილი და ქართულ-ბიზანტიური მონეტების ჯგუფს მიეკუთვნება. მასზე წმინდა ბიზანტიური სიუჟეტია – საფეხურებზე მდგომი გოლგოთას საყრდენიანი ჯვარი (crux potent), იგივე ძელი ცხოველი მკლავებში ოთხი ასოთი.

^[23] ასათიანის ამ მოსაზრებას „ერთობ უსუსური“ უწოდა ნ. ჯაველიძემ, იმ მოტივით, რომ „არ არსებობს



სურ. 136

გოლგოთას ბეზანტებიანი ჯვარი ტყემლიანის ხელიან სტელაზე. ჯიმშერ ჩხვიმიანის ფოტო.

სურ. 137

იერუსალიმის ჯვარი ოთხი ბეზანტით გომარეთის სტელაზე. გურამ ხარშილაძის ფოტო.

სურ. 138

იერუსალიმის ჯვარი ოთხი ბეზანტით ზრესკის ქვასვეტის ფუძეზე.



შემთხვევაში, რომელზეც პირველად და ხმამაღლა არის გაცხადებული მისი ემიტენტის საიმპერატორო ამბიციები.²⁴ ამ სამონეტო ტიპის, რომელიც აქამდე მხოლოდ ბრიტანეთის მუზეუმში დაცული უნიკუმით იყო ცნობილი, ახალი ეგზემპლარი 2021 წელს შემოვიდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. მის ზურგზე აღბეჭდილია ჯვარი, რომლის მკლავებს შორის ოთხი წერტილი (ბურთულაა) ჩასმული (სურ. 140).²⁵ აღმაშენებლის მონეტის მთელი რევერსი, წრეში ჩასმული ჯვარი ირგვლივი წარწერითა და თავად ჯვარი მკლავებში ოთხი წერტილით, აშკარად ჯვაროსნული მონეტებიდან არის ალებული.²⁶ მართლაც, დავითის მონეტის ეს ტიპი ძალიან ჰგავს ჯვაროსნულ ფულს და განსაკუთრებით, ინგლისის მეფე უილიამ II რუფუსის (1087-1100) მონეტის ზურგს (სურ. 141). საიდან უნდა მოხვედრილიყო ინგლისური ფული აღმოსავლეთში ისეთი ოდენობით, რომ ქართველთა მეფის ყურადღება მიეპყრო? საქმე ისაა, რომ ჯვაროსნების აღმოსავლეთისაკენ სვლას თან ახლდა ფულის დიდი მასების მოძრაობაც. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების წინ მისმა მეთაურებმა მიახლოებით დაიანგარიშეს საჭირო თანხის ოდენობა, რომელიც გზად უნდა წაეღოთ. მათ აღალში მრავალი ტიპის ევროპული მონეტა იყო, რომლებსაც დღემდე პოულობენ სირია-პალესტინაში.²⁷ რაც შეეხება უილიამ რუფუსის ფულს, მას შეგვიძლია ზუსტად გავადევნოთ თვალი: 1096 წელს უილიამის ძმამ, რობერტ მოკლენინდამ, ჯვაროსნული ლაშქრობისათვის საჭირო თანხის შესაგროვებლად, 10 ათას მარკად დაუგირავა მეფეს ნორმანდიის საჰერცოგო. სწორედ ეს ინგლისური ფული უნდა გამოჩენილიყო აღმოსავლეთში, რომელსაც შემდეგ ადგილობრივი დერივატები მოყვა. ჯვაროსნების წარმატება და მათი ფულის აღმოსავლეთში გამოჩენა უნდა ყოფილიყო ის ბოლო ბიძგი, რომელიც დავით აღმაშენებელს გადააწყვეტინებდა იერუსალიმის ჯვრის გამოსახულების სახელმწიფო ფულზე დატანას, იმ გამოსახულების, რომელსაც ქართული სამეფო კარი უკვე XI საუკუნეში იყენებდა სამეფო საბუთებში.

თამარისა და დავითის 1200 წლის მონეტაზე (სურ. 142),²⁸ ისევე როგორც რუსუდანის 1230 წლისა (სურ. 143) და დავით VI ნარინის 1247 წლის მონეტებზე (სურ. 144) ქანწილი წარმოდგენილია ოთხწერტილიანი იერუსალიმის ჯვრით, როგორც ეს არის ქართულ სამეფო საბუთებში.²⁹ თუკი აქ ჩამოთვლილ საფასეებზე ქანწილი ქორონიკონით გამოსახული თარიღის შემადგენელი ნაწილი გახლდათ, ის უკვე დამოუკიდებელი სიმბოლოს სახით გვხვდება ვახტანგ III-ის 1297/98 (ჯვარი ოთხი ვარსკვლავით) და 1299/1300 (ჯვარი ოთხი წერტილით) წლების მონეტებზე და XIV ს. დამდეგის ანონიმურ ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტაზე (ჯვარი ოთხი წერტილით), რაც უფრო მეტად უსვამს ხაზს მის მნიშვნელობას.³⁰ (სურ. 145)

მართლმადიდებლურ სამყაროში მოჭრილი მონეტა, რომელზე-დაც ხუთი ჯვარი იყოს გამოსახული“. ჯაველიძე, „სეფე დროშა“ თუ მასონური ნიშანი“, 48. 2006 წელს დანერილი ამ სტრიქონების ავტორის ნუმიზმატიკური ნი-აღსვლების ტრანსფორმაცია კი, ალბათ, ყველაზე დიდი ბედის ირონია გახლავთ. 2020 წელს ეს განაცხადი ასეთი ფორმულირებით შეიცვალა: „საყურადღებო გახლავთ, რომ დავით აღმაშენებლის დროს ქართულ მონეტებზე ხსენებული [ხუთჯვრიანი] ნიშანი არ ჩნდება და იგი პირველად დასტურდება თამარის ერთ-ერთ მონეტაზე“. ჯაველიძე, „კათოლიკური სიმბოლო XIII ს-ის

ქართველ მეფეთა მონეტებზე“, 67. სულ რაღაც ორიოდე წელში, დავით აღმაშენებლის მონეტაზე ხუთფიგურიანი ჯვრის აღმოჩენის შემდეგ კი უკვე იძულებული გახდა ემტკიცებინა, რომ ის „სხვებთან“ წარსადგენი საფასე“ ანუ „ლეევანტში დაფუძნებულ ლათინ მეფე-მთავრებთან“ მიმოცვლი-სათვის განკუთვნილი ფული გახ-ლდათ. ჯაველიძე, „კათოლიკური სიმბოლო საქართველოს სახელ-მწიფო დროშაზე“, 104-12. თურმე ნუ იტყვით და ჩრდილოეთ მესო-პოტამია-სირიის სავაჭრო გზის დაუფლება გახლდათ ქართველი მეფეების საუკუნოვანი მიზან-დასახულობა, რომლის ფარგლებ-შიც მირიან მეფე ჯაზირეთისა

(ზემო მესოპოტამიის) და შამის (სირიის) ნახევარს დაუფლებია, ვახტანგ გორგასალს სპარსთა-გან პალესტინა და ჯაზირეთის „ორი ნაწილი“ გამოუგლეჯია, ხოლო დავით IV-ს ეს პოლიტიკა გაუგრძელებია და ალექომდეც (!) კი მიუღწევია. იქვე, 108-10. ქართული გეოპოლიტიკის ამ ფანტასმაგორიული მოცემულო-ბის კომენტირებისას მხოლოდ იმას ვიტყვოდი, რომ არც ერთ ამ ფაქტს რეალობასთან არა აქვს საერთო, ხოლო იმის მტკიცება, რომ 1118 წელს ლორეს ალების შემდეგ დავით აღმაშენებელმა ჯვაროსნულის მსგავსი მონეტა იმიტომ მოჭრა, რომ ის ოდესღაც ჯვაროსნებთან ვაჭრობაში გამო-

ყენებინა, ალბათ შესაშურ სითამამეს (და არა მარტო) საჭიროებს.

²⁴ პატარიძე, დავით აღმაშენებელი. *ნუმიზმატიკური მეკეიდრეობა*, 52-60, 97.

²⁵ ა. თვარაძემ თითქოს „ინინას-წარმეტყველა“ დავით აღმაშენებლის მონეტაზე ასეთი ჯვარი, როდესაც იმხანად ერთადერთი ბრიტანეთის მუზეუმის ეგზემპლარის აღწერისას წერდა: ჯვრის „ოთხივე ბოლოს შემდეგ კი ფართო ჯვარშივე ჩასმულია თითო წერტილი. საკმარისია ოდნავ შევცვალოთ წერტილების კონფიგ-ურაცია და მივიღებთ იერუსალიმ-ის ჯვარის მსგავს კომპოზიციას“. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 104. მანვე აღწერა იერუსალიმის ჯვრის მსგავსი კომპოზიციის მატარებელი თამ-არის (1200), ვახტანგ III-ის (1297/98 და 1299/1300) და ანონიმური ქარ-თულ-ჰულაგუიდური (XIV ს.) მონეტე-ბი. იქვე, 105-8.

²⁶ იხ. პატარიძე, დავით აღმაშენებე-ლი: *ნუმიზმატიკური მეკეიდრეობა*, 60-64.

²⁷ Porteous, “Crusader Coinage with Greek or Latin Inscriptions,” 354-59.

²⁸ კომენტარის გარეშე დავტოვებ 1200 წელს თამარის მიერ „ხუთჯვრი-ანი“ სიმბოლიკით აღბეჭდილი მონე-ტის მოჭრის მიზეზის ისეთ „ახსნას“, რომელიც თითქოსდა განპირობებუ-ლი იყო 1204 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრო-ბის შედეგად შექმნილი პოლიტი-კურ-ეკონომიკური რეალობით, რაც თურმე წლებით ადრე „განჭვრიტა“ ქართველთა მეფემ, იმ ჯვაროსნებზე უფრო ადრე, რომელთაც 1203 წლამ-დე ვერც წარმოედგინათ, კონსტანტი-ნოპოლთან თუ ამოყოფდნენ თავს. იხ. ჯაველიძე, „კათოლიკური სიმბოლო XIII ს-ის ქართველ მეფეთა მონეტე-ზე“, 22-27.

²⁹ ა. თვარაძის აზრით, „ქანი“ ოთხი წერტილით „სავარაუდოდ აღნიშნავს ქრისტეს და იძლევა იერუსალიმის ჯვარის კომპოზიციას“. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 105. ეს მართლაც ასეა, როგორც ზემოთ ითქვა, ეს სიმბო-ლო არის ქანწილი, ქრისტეს მონო-გრამა, გამოსახული ოთხწერტილიანი ჯვრით.

³⁰ თავის დროზე, იერუსალიმის ჯვრიან ქართულ მონეტებზე მსჯე-ლობისას, ლ. მირიანაშვილმა სავსებით სამართლიანად მიუთითა, რომ მონე-ტებს ხუთჯვრიანი კომპოზიციის სხ-ვადასხვა ვარიანტებით დასავლეთ ეე-როპაშიც ჭრიდნენ, მოიყვანა შესაბამ-ისი ოთხწერტილიანი და ხუთჯვრიანი მაგალითები და აჩვენა, რომ ეს მოე-ლენა სათანადო ახსნას საჭიროებდა.

სურ. 139

დავით კურაპალატის ვერცხლის დრამა. ბერლინის მიუნცკაბინეტი.

სურ. 140

დავით აღმაშენებლის სპილენძის მონეტა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.






სურ. 141

უილიამ II რუფუსის ვერცხლის ფული. ვარვიკის ზარაფხანა. იჭრე-ბოდა 1089-92 წწ.



სურ. 142

თამარისა და დავითის 1200 წლის მონეტა. ბერლინის მიუნცკაბინეტი.



რა თქმა უნდა, ცალკე აღებული მონეტებზე გამოსახული იერუსალიმის ჯვარი არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად დროშაზეც უნდა ყოფილიყო. თუმცა, ისეთი შემთხვევებიც საკმაოა, როდესაც ფულზეც და დროშაზეც ერთი იყო გამოსახული. მაგალითად, ზემოთაც ვახსენეთ, რომ ეუსტაშ II ბულონელის მონეტაზეც და მის დროშაზეც ბაიოს გობელენზე ერთი და იგივე ხუთფიგურიანი კომპოზიციაა, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, რიგ შემთხვევებში, შუა საუკუნეებში მონეტისა და დროშის გამოსახულებები ერთმანეთს ემთხვეოდა. მონეტიდან რაიმე გამოსახულების დროშაზე ანუ ნუმიზმატიკიდან ჰერალდიკაში გადასვლის მოვლენა ყველგან და ყოველთვის არ შეიმჩნევა, მაგრამ საქართველოში ჯერ დავით IV-ის და მომდევნო ქართველი მონარქების ფულზე გამოსახული და შემდეგ პორტოლანებზე დადასტურებული ერთი და იგივე გამოსახულება სწორედ ასეთი დასკვნისაკენ გვიბიძგებს. ის, რაც თავდაპირველად მხოლოდ მონეტის ნაბაძვად შეიძლება ჩათვლილიყო, როგორც ჩანს, დროშაზეც აისახა.

გიორგი მეფის „ხუთჯვრიანი“ ბეჭედი

იერუსალიმის ჯვრის კომპოზიცია გამოიყენებოდა ქართულ სამეფო ბეჭდებზეც. თემო ჯოჯუამ შეისწავლა შუა საუკუნეების ორი ხელნაწერი – ნიკოლოზ ნიკრაის მიერ გარეჯში გადაწერილი 1160 წლის კრებული „სანატრელი“ (Ven.4) და ალავერდის პაგიოგრაფიული კრებული (A-382) და აღმოაჩინა მეფეთმეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭედი, რომელიც ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული სამეფო ბეჭდის ანაბეჭდს წარმოადგენს.³¹ აღნიშნული ხელნაწერები სამეფო წიგნთსაცავში ინახებოდა და მათ ფურცლებზე მეფისადმი კუთვნილების აღსანიშნავად დასმულია მრგვალი ბეჭედი, ხუთჯვრიანი სიმბოლიკითა და ორი ასომთავრული ლეგენდით („ჯუარი ქრისტჴსი. ჯუარი ქრისტჴსი“ და „მონაჲ ღმრთისაჲ, მეფეთა მეფე გიორგი“). ავტორის აღწერით, ბეჭედზე ცენტრალური ჯვრის თითოეულ ბოლოზე თითო პატარა ჯვარია გამოსახუ-ლი, ხოლო დიდი ჯვრის „მკლავთაშორის არეებშიც ასომთავრულით შესრულებული ოთხი დაქარაგმებული სიტყვა: „ჯუარი ქრისტჴსი. ჯუარი ქრისტჴსი“ არის ჩაწერი-ლი. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსახილველ ანაბეჭდებზე ე.წ. ხუთჯვრიანი კომპოზიციის მეტად ორიგინალური ვარიანტია წარმოდგენილი, რომელშიც დიდი ჯვრის მკლავთაშორის არეებზე გამოსახული ტრადიციული სიმბოლოები – პატარა ჯვრები ამავე არეებში ჩაწერილი შესაბამისი მნიშვნელობის მქონე სიტყვებით არის ჩანაცვლე-ბული. სხვათა შორის, ხსენებული ოთხი სიტყვის ჯვრებად გააზრებას, ამ სიტყვების შინაარსის გარდა, მათი ასომთავრული გრაფემების მოხაზულობაც უწყობს ხელს: ამ ოთხი, ორ-ორგრაფემიანი დაქარაგმებული სიტყვის დაწერილობაში, გამომსახველო-ბითი თვალსაზრისით, წამყვან, დომინანტურ როლს, პირველი გრაფემები – X (ჯ) და † (ქ) ასრულებს, რომლებიც, თავის მხრივ, სწორედ ჯვართან მიახლოებული მოხაზულო-ბითაა გადმოცემული. ამ თავისებურების გამო, მნახველის მიერ ეს სიტყვები, ვიზუა-ლურადაც კი, მათი წაკითხვის გარეშე, დიდი ჯვრის მკლავთაშორის არეებზე გამოსახ-ულ ჯვრებად აღიქმება“ (სურ. 146).³²

თავის კვლევაში თ. ჯოჯუა „ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გარეჯული კრებულის არმეებზე დასმულ მეფე გიორგის ხუთჯვრიან ბეჭედთან დაკავშირე-ბული საკითხების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის შედეგები იმ მკვ-ლევართა მოსაზრებას უჭერს მხარს, რომლებიც ფიქრობენ, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო დროშაზე ხუთჯვრიანი კომპოზიცია იყო გამოსახუ-ლი“.³³



სურ. 146 მეფე გიორგის ხუთჯვრიანი ბეჭდის ანაბეჭდის გრაფიკული რეკონსტრუქცია. ავტორი კ. დემურაძე.

ლალო მირიანაშვილი, „რას აღნიშნავს შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე გამოსახული ოთხწერტილიანი ჯვარი“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XIX-XX (2017-2018), 325-27.

ფეიქრობ, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანი-ლი მაგალითები (იხ. თავი „იერუსალი-მის ჯვარი“) ნათლად აჩვენებს, რომ ევროპულ სამონეტო საქმეში იერუ-სალიმის ჯვრის სხვადასხვა ვარიან-ტები აღმოსავლეთ რომის იმპერი-იდანაა მოხვედრილი, ისევე როგორც საქართველოში, რომელმაც გაიზიარა ჯვრის ოთხივე მკლავში სხვადასხვა გამოსახულებებისა და ასო-ნიშნების განთავსების ბიზანტიური ტრადიცია.

³¹ იხ. თემო ჯოჯუა, „მეფე გიორ-გის ხუთჯვრიანი ბეჭდის (1160-1346) ანაბეჭდები ვენის ეროვნულ ბიბ-ლიოთეკაში დაცული 1160 წლის გარე-ჯული ხელნაწერი კრებულის (Vენ.4) არმეებიდან“, *საისტორიო კრებული*, 2 (2012), 242-99; მისივე, „მეფე გიორ-გის ხუთჯვრიანი ბეჭდის კიდევ ერთი ანაბეჭდი XV-XVI საუკუნების პაგიოგ-რაფიული კრებულის ფრაგმენტიდან (A-382ბ)“, *საისტორიო კრებული*, 9 (2023), 151-75. ავტორის აზრით, ეს ბეჭედი ოთხი ქართველი მეფიდან ერთ-ერთის – საქართველოს მეფე გი-ორგი III-ის (1157-84), საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშას (1210-23), საქა-რთველოს მეფე გიორგი V ბრწყინვა-ლის (1299, 1314-46) ან აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გიორგი VI მცირეს (1308, 1314-18) კუთვნილება იყო.

³² ჯოჯუა, „მეფე გიორგის ხუთ-ჯვრიანი ბეჭდის (1160-1346) ანაბე-ჭდები“, 247-48.

³³ იქვე, 288.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა

ხუთჯვრიანი დროშის ოპონენტთა ერთ-ერთი არგუმენტი ასეთი იყო: „ხუთჯვრიანი დროშა“ რომ ქართული ყოფილიყო, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მისი ხსენების ყოველგვარი კვალი წაშლილიყო ქართულ და სომხურ წყაროებში“.³⁴ საკითხის ასე დაყ-ენება გამართლებული იმ შემთხვევაში იქნებოდა, მატიანეები დროშების დაწვრილები-თი აღწერებით რომ იყოს გაჯერებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არაა. ჩვენი ქრონიკე-ბი რომ დეტალების სიუხვით არ გამოირჩევიან, არ ახალია. ამ მხრივ არც სახელმწიფო დროშა ყოფილა განებივრებული ყურადღებით. საკმარისია ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“ ციკლში შესულ თხზულებათა ფურცლებზე ერთიანი მონარქიის გორგას-ლიან-დავითიანი დროშა სულ რამდენჯერმე მოიხსენიება³⁵ და ერთი შემთხვევის გარ-და, სადაც დროშის თეთრი ფერია აღნიშნული,³⁶ მის გარეგნულ სახეზე მინიშნებაც კი არ არის. მიუხედავად ასეთი მოცემულობისა, მაინც აღმოჩნდა ისეთი წყარო, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ხუთჯვრიან დროშაზე.

ც. ლვაბერძემე ყურადლება მიაქცია ფარსადან გორგიჯანიძის (1626-96) უაღრესად საყურადღებო ცნობას გიორგი IV ლაშას თანამოსაყდრედ კურთხევის დროს გამოყ-ენებული ერთიანი მონარქიის დროშის შესახებ და სწორად განმარტა მისი შინაარსი.³⁷ ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით,

მეფეთა მეფემან თამარ წინარესა თავისავე სიცოცხლეში თვის შვილი ლაშა გიორგი მეფეთ აკურთხეს და თავისი მამა პაპათ სვიანი და ბედნიერი გვირგ-ვინი თავს დაადგეს, შესვეს ტახტსა მისასა და ჴელთ მისცეს საჴემნიფოს სკიპტრა და აუშმართეს წინა **დროშა მრავალჯერ საჴელოანად გამარჯვე-ბულნი, ჯვარცმის საჴეზედ მქნილნი**.³⁸

ცხადია, სახელოვნად გამარჯვებულ და „ჯვარცმის საჴეზედ მქნილ“ დროშაში მემა-ტიანე გულისხმობს გორგასლიან-დავითიან დროშაზე აღბეჭდილ იერუსალიმის ჯვარს, რომელიც მაცხოვრის ხუთი ჭრილობის სიმბოლური გადმოცემით სწორედ რომ ჯვარც-მას წარმოადგენდა.

შეგვიძლია კი ვენდოთ XVII საუკუნის ისტორიკოსს, რომელიც აღნიშნული მოვლე-ნიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ წერდა? საბედნიეროდ, გორგიჯანიძის ნაშრომის სანდოობისა და წყაროების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე საფუძვლი-ანადაა შესწავლილი. რ. კიკნაძემ გამოარკვია, რომ ფარსადან გორგიჯანიძე სარგე-ბლობდა თამარის ისტორიკოსის თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ჩვენამდე მოღწეულზე უფრო ძველი და სრული ნუსხით, რის გამოც მისი „საქართვე-ლოს ცხოვრება“ ინარჩუნებს პირველწყაროს მნიშვნელობას და მის საფუძველზე ხდე-ბა თამარის ისტორიკოსის თხზულების ბევრი ადგილის დაზუსტება.³⁹ სწორედ ასეთი უნდა იყოს ის ადგილიც, სადაც გორგასლიან-დავითიანი დროშის სახეზე არის საუბარი. ცხადია, თავდაპირველი წყაროს გარეშე, ასეთ დეტალს ავტორი ვერ გამოიგონებდა და მსგავსი რამ არც მოაფიქრდებოდა.

კონრად გრიუნენბერგის ცნობა ქართველების შესახებ

კონრად გრიუნენბერგი XV საუკუნეში მცხოვრები გერმანელი რაინდი, პილიგრიმი და ავტორი იყო, რომლის კალამს გერბთა ორი კრებული და წმინდა მიწაზე მოგზაურობის წიგნი ეკუთვნის. 1482 ან 1492 წელს⁴⁰ მან დაწერა „ავსტრიული გერბების ქრონიკა“,

^[1] ზაქარაია და სხვ., „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ“, 9.

^[2] ბასილი ეზოსმოდვართან სახელ-მწიფო დროშა ერთხელაა ნახსენები, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მას ხუთ ადგილას მოიხსენიებს, ჟამთა-აღმწერელი სამგან, ხოლო დავითისა და ლაშა-გიორგის მემატიანეებთან ის საერთოდ არ გვხვდება. ბასილი ეზოს-მოდლუარი, „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფე-სა თამარისი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ. ქართლის ცხოვრება, რედ. როინ მეტრეველი (თბილისი, 2008), 483; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 412, 438, 441, 464, 472; ჟამთააღმწერელი, „ას-ნლოვანი მატიანე“, 533, 536, 545.

^[3] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 441.

^[4] იხ. ციალა ლვაბერძემ, „ერთიანი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო დროშის შესახებ“, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XIV-XV (2018), 48, შენ. 2.

^[5] ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება, ტექსტი გა-მოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ (თბილისი, 2022), 108. ეს ნაწილი ც. ლვაბერძემს ოდნავ განსხვავებულად მოჰყავს: მასთან დროშა „ჯვარცმის სახელზედ ქმნილ-ია“, დედანი კი უფრო დაბეჯითებით გვეუბნება, რომ დროშა ჯვარცმის „საჴეზედ“ არის შექმნილ ანუ ჯვარც-მის სახე აქვს.

^[6] რეკაზ კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (თბილისი, 1975), 134-35.

^[7] ნაშრომი დათარიღებული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, თარიღის მხ-ოლოდ ნაწილი იკითხება. Konrad Grünembegs Pilgerreise ins Heilige Land 1486, 44-45.



ხოლო 1483 წელს შექმნა „გერბების წიგნი“, გრანდიოზული არმორიალი, რომელიც 2 ათასზე მეტ გერბს მოიცავს.⁴¹

1486 წელს გრიუნენბერგმა იმოგზაურა წმინდა მიწაზე, საიდანაც დაბრუნებულმა, მალევე დაწერა „კონსტანციდან იერუსალიმში მოგზაურობის აღწერა“, რომელიც უხვად არის ილუსტრირებული. ამ თხზულებამ ორი, კარლსრუესა და ერფურტის ნუსხების სახით მოაღწია ჩვენამდე. კარლსრუეში დაცული მანუსკრიპტი 1487 წელსაა დაწერილი,⁴² ერფურტის უნივერსიტეტის გოთას კვლევითი ცენტრის მანუსკრიპტი კი ცოტა მოგვიანებით, დაახლოებით 1490 წლისთვის უნდა იყოს დაწერილი.⁴³ ის შედარებით ვრცელი და უფრო მეტად დასურათებულია. როგორც ჩანს, თხზულების პირველი ვერსია „ცხელ კვალზე“ შექმნილი და ჯერ კიდევ ცოცხალი შთაბეჭდილებებით აღსავსეა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ შეავსო და განავრცო ავტორმა.⁴⁴

კონრად გრიუნენბერგი გაამკვლევის სახით აღწერს მოგზაურობის მთავარ გაჩერებებს, მანძილებსა და წმინდა ადგილებს. მოგზაურობის მარშრუტის სკრუპულოზური აღწერის გარდა, ავტორი აღმოსავლეთის ხალხებზეც მოგვითხრობს. ის ქართველებსაც უთმობს საკმაო ადგილს თავის თხზულებაში:

კიდევ არიან ქრისტიანები იერუსალიმში, რომლებიც გეორგიანებად (*Jorgiten*) იწოდებიან. ისინი მამაცი ხალხია, ჰყავთ თავიანთი მეფეები და მთავრები, და არიან ძალზე ძლიერები, შეუპოვრები და მეომრები. მათი მიწა კასპიის

სურ. 147
ქართველები კონრად გრიუნენბერგის შესრულებით. Universitäts- und Forschungsbibliothek Erfurt, Forschungsbibliothek Gotha, Chart. A 541, fol. 78v.

⁴¹ Hiram Kümper, “Konrad Grünberg,” in *Encyclopedia of the Medieval Chronicle*, vol. 1, ed. Graeme Dunphy (Leiden, 2010), 738-39.

⁴² Konrad Grünberg, Beschreibung der Reise von Konstanz nach Jerusalem. Badische Landesbibliothek Karlsruhe, Cod. St. Peter pap. 32.

⁴³ Konrad Grünemberg, Bericht über die Pilgerfahrt ins Heilige Land 1486. Universitäts- und Forschungsbibliothek Erfurt, Forschungsbibliothek Gotha, Chart. A 541.

⁴⁴ Konrad Grünembergs Pilgerreise ins Heilige Land 1486, 57-59.

სურ. 148
ჯვრის მონასტერი წარწერით *Santa Cruczis*. Universitäts- und Forschungsbibliothek Erfurt, Forschungsbibliothek Gotha, Chart. A 541, fol. 85r.



მთის გარშემოა და ესაზღვრება სპარსეთს, მიდიასა და ასურეთს. ისინი დიდ პატივს სცემენ წმინდა რაინდს, წმინდა გიორგის, რომელიც მათი მთავარი მფარველია. **ბრძოლაში ისინი ატარებენ ჯვრიან დროშებს** (Und wenn si vechten, so führen si ire panner⁴⁵ mit dem crucz). ისინი ხშირად მოდიან იერუსალიმში ქრისტეს წმინდა ადგილების მოსალოცად და არ უხდიან სარაცინებს გადასახადს ან ბაჟს. **მათ წინ მოუძღვით ჯვრიანი დროშა** (und lond inn ainen fan⁴⁶ vor tragen mit dem crucz), რომელსაც სულთანის, მათი მეფის, ბრძანებით, წარმართებმა პატივი უნდა სცენ. სარაცინებთან და წარმართებთან შედარებით ისინი არიან ოდნავ მუქები და ატარებენ გვირგვინის მსგავსს მდიდრულ ქუდეbs მრავალი წვეტით. უბრალო ხალხის ქუდეbs ასეთი წვეტები ან მორთულობა არ აქვს. ისინი არ იჭრიან თმას, ამიტომ აქვთ გრძელი შავი თმა და წვერი. მათ შორის ვინც თავს კეთილშობილად მიიჩნევს, ატარებს რაინდის ოქროს ნიშნებს და გამორჩეულ სამოსს. მათი კეთილშობილი ქალები ცხენ-

⁴⁵ გრიუნენბერგი *banner*-ის ნაცვლად იყენებს არქაულ ფორმას *panner*.

⁴⁶ გრიუნენბერგი აქაც *fahne*-ს ნაცვლად იყენებს დროშის არქაულ გერმანულ ფორმას *fan*.

ზე მამაკაცებივით ზიან, მშვილდებით, შუბებითა და ხმლებით აღჭურვილნი და, როგორც ამბობენ, იბრძვიან ისე, როგორც ლეგენდარული ამორძალები. რწმენაში ისინი მისდევენ ბერძნულ წესს და იყენებენ ბერძნულ ენას, თუმცა ასევე საუბრობენ ქალდეურად⁴⁷ და სარაციინულად.⁴⁸ ქართველებს აქვთ წმინდა ჯვრის აღმოჩენის სამლოცველო, სადაც სამ ლამპარს ანთებენ. მათ ასევე აქვთ გოლგოთას მთა, რომელიც პირველად ქრისტეს დაბადებიდან 1475 წელს მიენიჭათ.⁴⁹ მათ ასევე აქვთ სამლოცველო გოლგოთას მთის ძირ-ში, სადაც ქრისტეს ვნების დროს კლდე გაიბზარა.⁵⁰

მამუკა წურწუშია

როგორც ვხედავთ, გერმანელი მოგზაური ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველები წმინდა გიორგის სცემენ პატივს და, ამავე დროს, ორჯერ აღნიშნავს, რომ ისინი იყენებენ ჯვრიან დროშებს.

თავისი ნაშრომის ვრცელ ვერსიაში, კონრად გრიუნენბერგი ქართველებზე თხრობის დასასურათებლად ჩანახატს იყენებს, რომელიც არ გვხვდება კარლსრუეს მანუსკრიპტ-ში (სურ. 147). სურათზე გამოსახულია სამი მამაკაცი და ერთი ქალი, ყველანი მაკურთხებელი ჟესტით. ქალს მეორე ხელში ალაში უპყრია, ხოლო გრძელთმიან და გრძელწვერა მამაკაცებს ტექსტში აღწერილი გვირგვინის ფორმის ქუდეები ხურავთ.⁵¹

სამწუხაროდ, სწორედ ეს ნახატი გვარწმუნებს იმაში, რომ თავად გრიუნენბერგს არ უნახავს იერუსალიმში დროშების ფრიალით შესული ქართველი პილიგრიმები, რომლებიც მხოლოდ სხვისი მონაყოლით უნდა შესულიყო მის თხზულებაში. საქმე ისაა, რომ გრიუნენბერგი ცნობილი ჰერალდიკოსი გახლდათ, რომელსაც ათასობით (!) გერბი აქვს შესრულებული და მას რომ საკუთარი თვალით ენახა ქართველთა დროშებიანი მსვლელობა, აუცილებლად გამოსახავდა ავთენტიკურ დროშას თავის ნახატზე, სადაც ქართული ალაში ყოველგვარი ფერებისა და ნიშნების გარეშე არის მოცემული.

როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრების გრიუნენბერგისეული დახასიათება, ავტორს იერუ-სალიმში აქვს გაგონილი. ასეთი შეხედულება გაბატონებული იყო წმინდა მიწაზე მყოფ ლათინ სასულიერო პირებში, რომლებიც შემდეგ შთამბეჭდავ ცნობებს აწვდიდნენ ევროპიდან ახალჩასულ პილიგრიმებს. რა თქმა უნდა, ამით არ მცირდება წარმოდგენილი ცნობის მნიშვნელობა; მეტიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადგილობრივ ლათინ სამღვდელოებას მუდმივად, წლიდან წლამდე, უწევდა ქართველების საზეიმო მსვლელობების ხილვა წმინდა ქალაქში, ის კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს და გამორიცხავს ყოველგვარ შემთხვევითობას.

რაც შეეხება ჯვრის მონასტერს, რომლის ილუსტრაციაც ასევე მოხვდა გრიუნენბერ-გის ვრცელ ხელნაწერში (სურ. 148), აქ უკვე ავტორი პირადად არის ნამყოფი. ტრადიცი-ული, ხშირად გამეორებული ინფორმაციის გარდა, ის ერთ საინტერესო გარემოებაზეც მოგვითხრობს:

მამუკა წურწუშია

შემდეგ, გავემართეთ დაახლოებით ორი გერმანული მილის მანძილზე იერუ-სალიმის მიმართულებით და მივაღწიეთ მზით განათებულ ძალიან ლამაზ გორამდე, სადაც მდებარეობს მონასტერი. ამ მონასტერში რამდენიმე ბერძენი⁵² ბერია, რომლებიც წმინდა პავლეს წესს მისდევენ. ეკლესიაში, მაღალი საკურთხევლის უკან, იზრდება ხე, რომლისგანაც წმინდა ჯვარი გაკეთდა. ასევე გვითხრეს, რომ პირველი ადამიანი, ადამი, აქ დამარხა მისმა შვილმა სეთმა. ჩვენ ასევე გვაჩვენეს წმინდა ქალწულის, წმინდა ბარბარეს ხელი. ეს მონასტერი ციხე-სიმაგრეს მოგვაგონებს და ანიჭებს ინდულგენციას T.⁵³

მამუკა წურწუშია

როგორც ვხედავთ, გერმანელი მოგზაური ამბობს, რომ ჯვრის მონასტრის მონახულე-

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია


მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია

მამუკა წურწუშია



სურ. 149
Beinecke MS 648, fol. 76v. General
Collection, Beinecke Rare Book and
Manuscript Library, Yale University.



სურ. 150
Beinecke MS 648, fol. 77r. General
Collection, Beinecke Rare Book and
Manuscript Library, Yale University.

ვიკო საქართველოში ჩამოდის და ერთი წლის განმავლობაში ოსმალთა სანინააღმდეგო ალიანსის ფორმირებას ცდილობს. მან ერთმანეთთან დააზავა ქართველი მეფე-მთავრე-ბი. ამის შესახებ ბურგუნდიის მთავარს 1459 წლის ნოემბრის ეპისტოლეებში ატყობინე-ბენ როგორც სამცხის ათაბაგი ყვარყვარე,⁶³ ისე გიორგი VIII.⁶⁴

1460 წელს ლუდოვიკო ქართველ ელჩებთან ერთად ევროპისაკენ გაემართა.⁶⁵ ქართ-ველების გარდა, მას თან ახლდა კოალიციის წევრი მუსლიმი სახელმწიფოების ელჩებიც, რომლებიც ოსმალთა გაძლიერებით იყვნენ შეშფოთებულნი. ევროპული ცნობებით, გი-ორგი VIII-ის ელჩი იყო ნიკოლო (ნიკოლოზ თბილელი), ყვარყვარე ათაბაგის – ქასადან ქარციხელი (ფარსადან ახალციხელი),⁶⁶ აყ-ყოუნლუს (თეთრბატკნიანების) მბრძანებ-ლის უზუნ ჰასანის – მაჰმუდ თურქმანი, ხოლო კილიკიის სომხეთის მფლობელს სომეხი მორატი წარმოადგენდა. ფლორენციაში მათ შეუერთდა ტრაპიზონის იმპერატორის ელჩი მიქელე ალეგიერიც, ვაჭარი ცნობილი ფლორენციური ოჯახიდან და დანტე ალე-გიერის ჩამომავალი.⁶⁷

ელჩობა სამეგრელოდან დონისა და დუნაის გავლით ჩავიდა ევროპაში და მოიარა უნგრეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი და ფლანდრია. უნგრეთში ისინი მიიღო მეფე მატიამ ჰუნიადიმ (მატიას კორვინმა) (1458-90), ვენაში გერმანიის იმპერატორმა ფრიდრიხ III-მ (1452-93), ვენეციასა და ფლორენციაში პატივით დახვდნენ ადგილობრივი სენატები, 1460 წლის 20 დეკემბერს კი რომში ჩავიდნენ, სადაც ისინი მალევე მიიღო პაპმა პიუს II-მ. 1461 წლის თებერვალში ელჩები ისევ ფლორენციას სტუმრობენ, მარტში – მილანის ჰერცოგს ფრანჩესკო I სფორცას (1450-66), მაისში ისინი საფრანგეთში არიან, შარლ VII-ის (1422-61) სამეფო კარზე, ხოლო 23 მაისს მათ უკვე ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპე კეთილი (1419-67) მასპინძლობს სენტ-ომერში.⁶⁸ ადგილობრივი ქრონიკებიდან ვიცით, რომ 15 ივნისს ისინი ქალაქ ლილსაც ესტუმრნენ,⁶⁹ ხოლო 4 ივლისს გენტში იმყოფებოდნენ, სადაც ოთხი დღე დაყვეს.⁷⁰ ელჩები 1461 წლის აგვისტომდე დარჩნენ ფლანდრიაში და ფილიპე კეთილს რეიმსში გაყვენენ, სადაც 15 აგვისტოს საფრანგეთის ახალი მეფის ლუი XI-ის (1461-83) კორონაციას დაესწრნენ. ამ დღეს რეიმსის ნოტრ-დამის ტაძარში ლუი XI რაინდად აკურთხა ბურგუნდიის ჰერცოგმა, რის შემდეგ თავად მეფემ, ჰერცოგმა და შემდეგ სხვებმა რაინდად აკურთხეს ორასამდე კაცი. დიუ კლერკი ჩამოთვლის ყველაზე გავლენიან პირებს და მათ შორის ასახელებს სპარსეთის მეფის სამ ელჩსაც.⁷¹ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით თუ ვის ერგო ეს პატივი, მაგრამ ცხადია, სამივე ვერ იქნებოდა გიორგი VIII-ის ელჩი, რომელსაც მხოლოდ ნიკოლოზ თბილელი წარმოადგენდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რაინდად არ აკურთხებდნენ მუსლიმ ელჩებს, არამედ მხოლოდ ქრისტიან ხელმწიფეთა მოციქულებს, რომლებიც ზუსტად სამნი იყვნენ – ორი ქართველი (ნიკოლოზ თბილელი და ფარსადან ახალციხელი) და ერთი იტალიელი (მიქელე ალეგიერი). შემდეგ ელჩები მილანის გავლით რომში დაბრუნდნენ, სადაც 20 ნოემბერს ჩავიდნენ.⁷²

პომპეზური დახვედრების მიუხედავად, ევროპის ქვეყნების საშინაო პრობლემების, განსაკუთრებით, საფრანგეთსა და ბურგუნდიას შორის არსებული დაპირისპირების

^[63] „ან ბატონი ჩვენი პატრიარქ-ის ლუდოვიკეს ბრძანებით შე-ვურგიდო ყველა ჩემს მეზობელს ქრისტიანე მთავრებსა და გა-დაწყვიტე, მთელი ჩემი ღონე და შეძლება მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ...“ თამარაშვილი, ის-ტორია კათოლიკობისა ქართველ-თა შორის, 57; მისივე, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 513.

^[64] „ან უწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევიფიცენ-ით, რათა ყველა ჩვენი ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს“. თამა-რაშვილი, ისტორია კათოლიკობი-სა ქართველთა შორის, 59.

^[65] მ. სვანიდის აზრით, რადგან ქართველი მეფე-მთავრების წერილები 1459 წლის ნოემბერ-

შია დაწერილი, ელჩები წლის მინურულს, დეკემბერშივე გაე-მართნენ ევროპისაკენ. იხ. მიხ-ეილ სვანიძე, საქართველო-ოს-მალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.) (თბილისი, 1990), 128. თუმცა, ვენაში მათი ჩასე-ლის გვიანი დრო (1460 წლის ოქტომბერი) იმაზე მეტყველებს, რომ ისინი საქართველოდან 1460 წელს დაიძრნენ.

^[66] „ან უწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევიფიცენ-ით, რათა ყველა ჩვენი ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს“. თამა-რაშვილი, ისტორია კათოლიკობი-სა ქართველთა შორის, 59.

^[67] მ. სვანიდის აზრით, რადგან ქართველი მეფე-მთავრების წერილები 1459 წლის ნოემბერ-

^[68] „ან უწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევიფიცენ-ით, რათა ყველა ჩვენი ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს“. თამა-რაშვილი, ისტორია კათოლიკობი-სა ქართველთა შორის, 59.

^[69] მ. სვანიდის აზრით, რადგან ქართველი მეფე-მთავრების წერილები 1459 წლის ნოემბერ-

^[70] „ან უწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევიფიცენ-ით, რათა ყველა ჩვენი ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს“. თამა-რაშვილი, ისტორია კათოლიკობი-სა ქართველთა შორის, 59.

^[71] Jacques du Clercq, “Les mémoires,” in Choix de chroniques et mémoires sur l’histoire de France. XVI^e siècle, par J. A. C. Buchon (Paris, 1838), 178-79.



^[72] „ან უწყოდეთ, რომ ყველა ამ მხრის ქრისტიანე მთავრებმა ერთმანეთს შორის ჩამოვაგდეთ მშვიდობა და ზავი და შევიფიცენ-ით, რათა ყველა ჩვენი ძალით და ცდით ვეომოთ ოსმალებს“. თამა-რაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 61; Корнелий Кекелидзе, “Отклики в Грузии на падение Константинополя (к 500-летию взятия Константинополя турками),” етнграфический очерк Грузии, 1955), 93; პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია, 139.

^[73] Brayer, “Ludovico da Bologna and the Georgian and Anatolian Embassy,” 185-86; Paolo Evangelisti, “Politica e credibilità personale. Un diplomatico francescano tra Tabriz e la Borgogna (1450 circa-1479),” Quaderni Storici, 40/118 (2005), 13, 16; პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოს-მალური კოალიცია, 132-33.

^[74] 6-7 ივნისს ფილიპე კეთილმა ხე-ლმეორედ მიიღო ელჩები სენტ-ომერ-ში. Herman Vander Linden, Itinéraires de Philippe le Bon, duc de Bourgogne (1419-1467) et de Charles, comte de Charolais (1433-1467) (Bruxelles, 1940), 429.

^[75] მათ მიერ ლილში გატარებული დროის შესახებ იხ. Annuaire-bulletin de la Société de l’histoire de France, t. VI (Paris, 1868), 183.

^[76] Dagboek der Gentsche collatie, 443. გენტში აღმოსავლელი ელჩების შეს-ახებ ასევე იხ. Memorieboek der stad Ghent van ‘t jaar 1301 tot 1793, ed. Andreas van Heule, t. 1 (Gent, 1852), 257.

^[77] Jacques du Clercq, “Les mémoires,” in Choix de chroniques et mémoires sur l’histoire de France. XVI^e siècle, par J. A. C. Buchon (Paris, 1838), 178-79.

^[78] The Commentaries of Pius II, 182-83; Giorgio Rota, “Taking Stock of Ludovico da Bologna,” Studia et Documenta Turco-logica, 5-6 (2017-2018), 56-57.



^[79] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[80] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[81] The Commentaries of Pius II, 181-84.

^[82] Jacques du Clercq, “Les mémoires,” 172.

^[83] Enguerrand de Monstrelet, The Chroni-cles, trans. Thomas Johnes, vol. II (London, 1849), 274-75.

^[84] Dagboek der Gentsche collatie, 441-43.

^[85] Torsten Hiltmann, “Jean Faucquet ou l’attirance de la noblesse. Le scribe, le roi des Romains et la reprise de la ville de Saint-Omer en 1489,” in Relations, échanges, transferts en Occident au cours des derniers siècles du Moyen Âge. Hommage à Werner Paravicini. Actes du colloque de Paris (4-6 décembre 2008), eds. Bernard Guenée, Jean-Marie Moeglin (Paris, 2010), 504.

^[86] იქვე, 485-88.

^[87] Torsten Hiltmann, Spätmittelalterliche Heroldskompendien. Referenzen adeliger Wissenskultur in Zeiten gesellschaftlichen Wandels (Frankreich und Burgund, 15. Jahrhundert) (München, 2011), 159.



^[88] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[89] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[90] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[91] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[92] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[93] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[94] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[95] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[96] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

^[97] სურ. 151 ა) პიუს II-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collec-tion, Beinecke Rare Book and Manu-script Library, Yale University; ბ) პა-პის გერბი პიკოლომინის ოჯახი-დან. მეტროპოლიტენის მუზეუმი.



მაქსიმილიანმა, რომელიც ამ დროს უკვე საღვთო რომის იმპერიას უძღვებოდა,⁸⁰ მემკვიდრეობითი კეთილშობილის წოდება უბოძა.⁸¹

ხსენებული ხელნაწერი **XV-XVI** საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს დასრულებული. მასში გამოყენებული ყველაზე ახალი ქალალდი 1490-იან წლებშია წარმოებული, თუმცა გვხვდება 1452 და 1460-70-იანი წლების ქალღღებიც; ტექსტში მოხსენიებული უგვიანესი დოკუმენტი 1497 წლით თარიღდება, რაც 1500 წლის ახლობანებზე მიუთითებს. ეჭვგარეშეა, რომ მანუსკრიპტის ავტორი ჟან ფოკეა. მისი სახელი ბევრჯერ გვხვდება, როგორც თავად ტექსტებში, ასევე შენიშვნებში.⁸² ამას მოწმობს ხელმოწერებსა და საკუთრების ნიშნებზე დაკვირვებაც, რომლებიც უხვად გვხვდება ხელნაწერში და მისი შინაარსიც.⁸³

ხელნაწერი შედგება სამ ნაწილად დაყოფილი ტექსტებისაგან, რომლებიც ეძღვნება ჰერალდიკას, ჰეროლდთა სამსახურსა და თავად-აზნაურობას. პირველ ნაწილში მოთავსებულია არმორიალი, რომელსაც წინ უძღვის განმარტება ჰერალდიკური ფერების შესახებ და ახლავს ტრაქტატი ბლაზონირების ხელოვნების შესასწავლად.⁸⁴ არმორიალი 456 დახვეწილი დიზაინის გერბს მოიცავს. მეორე ნაწილს შეადგენს ჟან ფოკეს პირადი საბუთების კოლექცია და მის მიერ დაწერილი ბალადები, მიძღვნილი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მაქსიმილიან ჰაბსბურგისადმი. აქვეა მცირე ტექსტი ჰერალდიკურ ფერებზე, რასაც მოჰყვება აღმოსავლეთის (ტექსტში – თურქეთის) ელჩობის აღწერა, რომელიც 1461 წელს სენტ-ომერში იმყოფებოდა, დასურათებული ლამაზი გერბებით. ხელნაწერის მესამე, ბოლო ნაწილში მოთავსებულია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჰეროლდების კრებულის, ე.წ. „ბურგუნდიული კომპენდიუმის“ შესწორებული ვერსია.⁸⁵

ხელნაწერი მოწმობს ავტორის გატაცებას გერბებით. რამდენიმე გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ის თავადაც ქმნიდა გერბებს. მაგალითად, „სამარიის სულთნის“ გერბის ქვეშ არსებული შენიშვნა ამბობს, რომ ის ჟან ფოკემ დახატა 1488 წელს.⁸⁶ ტექსტების მეორე ნაწილი დეტალურ ინფორმაციას გვანვდის ავტორის პოზიციისა და ამბიციების შესახებ. აქ არის პირადი დოკუმენტები და ვრცელი მიმოწერა მაქსიმილიან ავსტრიელთან, რომელსაც შემდგომ პანეგირიკული ბალადა ეძღვნება.⁸⁷ საბუთებიდან ჩანს, რომ ჟან ფოკე ყველა საშუალებით იბრძოდა სოციალური წინსვლისთვის, რასაც მიაღწია კიდევ, როდესაც მაქსიმილიან I-მა იგი კეთილშობილად (აზნაურად) აღაზევა და გერბი უბოძა. ხელნაწერიდან ჩანს ავტორის ინტერესები და მისი ლტოლვა არის-

სურ. 152
ტრაპიზონის იმპერატორის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collection, Beinecke Rare Book and Manuscript Library, Yale University.

სურ. 153
ტრაპიზონის იმპერიის დროშა: ა) აბრაჰამ კრესკეს 1375 წლის მსოფლიოს კატალანურ ატლასში. Bibliothèque nationale de France, MS Espagnol 30; ბ) XIV საუკუნის II ნახევრის „ყველა სამეფოს ცოდნის წიგნი“. Libro del conocimiento de todos los reinos. Madrid, Biblioteca Nacional de España, MS/1997; გ) გაბრიელ დე ვალსეკას 1449 წლის პორტოლანზე. Archivio di Stato di Firenze, MS CN 22.

^[80] ფორმალურად, ის მხოლოდ 1508 წელს ეკურთხა იმპერატორად.

^[81] Hiltmann, “Jean Faucquet ou l’attirance de la noblesse,” 511-12.

^[82] Hiltmann, *Spätmittelalterliche Heraldskompendien*, 163.

^[83] Hiltmann, “Jean Faucquet ou l’attirance de la noblesse,” 507.

^[84] ბლაზონი არის სიტყვიერად გადმოცემული გერბის შინაარსი.

^[85] Hiltmann, “Jean Faucquet ou l’attirance de la noblesse,” 504-6.

^[86] იხ. Yale University Library, Beinecke MS 648, fol. 48v.

^[87] Hiltmann, *Spätmittelalterliche Heraldskompendien*, 159.

სურ. 154

გიორგი VIII-ის გერბი. Beinecke MS 648, fol. 76v, detail. General Collection, Beinecke Rare Book and Manuscript Library, Yale University.

^[88] იქვე, 163-64.

^[89] 1513 წელს ჟან ფოკე ჯერ კიდევ ცოცხალია. Hiltmann, “Jean Faucquet ou l’attirance de la noblesse,” 513-14, n. 115.

^[90] ქართველი ელჩის ნიკოლოს სახელი დაწერილი როგორც მეოლო, შეიძლება სწორედ იმაზე მიუთითებდეს, რომ ფოკემ სენტ-ომერის არქივში არსებულ რომელიმე დოკუმენტში სახელის პირველი ასოები *nic* წაიკითხა როგორც *me*.

^[91] სამწუხაროდ, სააბატო გაუქმდა საფრანგეთის რევოლუციის დროს, 1830 წელს კი დაინგრა და დღეს მხოლოდ მისი ნანგრევებია ნაწილობრივ შემორჩენილი. ზოგი რამ სააბატოს მემკვიდრეობიდან ამჟამად სენტ-ომერში, სანდელისის მუზეუმში ინახება, მაგრამ მათ შორის ჩვენთვის საინტერესო მხატვრობის ძეგნას შედგეი არ მოუტანია. სენტ-ბერტინის სააბატოს ჩვენამდე მოღწეული ნიმუშების შესახებ იხ. Serge Dercourt, Un patrimoine dispersé: Les objets d’art de Saint-Omer et environs dispersés à la Revolution et retrouvés aussi bien en France qu’à l’étranger (Saint-Omer, 2006).

^[92] Yale University Library, Beinecke MS 648, fol. 76r.

^[93] ევროპელი ლუდოვიკოს და მიქელე ალეგიერის გარდა, ყველა ელჩის საგერბე ფარი ცარიელია.

^[94] დასახელებული როგორც ქალაქ თბილისის მრჩეველი.

^[95] Yale University Library, Beinecke MS

ტოკრატიული კულტურის მიმართ, რომელთა რიგებისკენაც ფოკე ასე ისწრაფოდა.⁸⁸

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ხელნაწერის ის ადგილი, სადაც აღმოსავლელი ელჩების სტუმრობაა აღწერილი. საფიქრებელია, რომ როგორც სენტ-ომერის მოქალაქე, ჟან ფოკე ესწრებოდა ელჩების საზეიმო მიღებას მის ქალაქში. თუმცა, ის ამ დროს საკმაოდ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო.⁸⁹ შესაძლოა, როგორც მწერალი, ის ქალაქის არქივებითაც სარგებლობდა.⁹⁰

აქ მოთხრობილი ამბავი ბევრ რამეში ემთხვევა და იმეორებს სხვა ევროპული ქრონიკების მონაცემებს, თუმცა ბევრი ყურადსაღები დეტალით ხასიათდება და ისეთ ცნობებსაც გვანვდის, სხვაგან რომ არ გვხვდება. ასეთია ბურგუნდიის ჰერცოგის დახვედრისა და ამ დროს ჩატარებული ღონისძიებების დეტალური აღწერა, ელჩების პორტრეტების გამოსახვა სენტ-ბერტინის სააბატოს წმინდა ეკატერინეს სამლოცველოში,⁹¹ რომ არაფერი ვთქვათ ელჩების გერბებზე.

მანუსკრიპტის 76r გვერდის ბოლოს მოთავსებული პატარა აბზაცით იწყება სენტ-ომერში ელჩების სტუმრობის აღწერა: „საფრანგეთის მეფე შარლ დე ვალუას თურქეთის ელჩობა ეწვია, რომელიც მალევე წავიდა ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპესთან, მის ქალაქ სენტ-ომერში, სადაც ის ოქროს საწმისის ორდენის კრებას მართავდა“.⁹²

77v-79v გვერდებზე არსებული ტექსტი საკმარისად ვრცლად აღწერს ელჩების ყოფნას სენტ-ომერში, ხოლო 76v და 77r გვერდებზე წყვილ-წყვილად და მოკლე წარწერებითა წარმოდგენილი ელჩობის ინიციატორებისა და მათი წარმომადგენლების გერბები:⁹³ რომის პაპი (*Papa Pius Secundus*) და ლუდოვიკო ბოლონიელი (*Ill. Frater Ludouicus, partriarche D’Anthioce l’ambassadeur dudict Pius Papa Secundus*), დავით კომნენოსი (*Dauid Imperado ral de Trapsondia*) და მიქელე ალეგიერი (*Michael de Ligere conte palatin, Ambassadeur de l’empereur de Trapsonde dessudict*), გიორგი VIII (*Georgio alexandrio Roy de perse*) და ნიკოლოზ თბილელი⁹⁴ (*Meollo, conseillio en la cite de Tessis*);⁹⁵ უზუნ-ჰასანი (*Assamperc soldan de Messaptania*) და მაჰმუდ თურქმანი (*Macomut, son ambassadeur, Turck*), ყვარყვარე ათაბაგი (*Gongora duc de Jorganya*) და ფარსადანი (*Chosquauam son Ambassadeur*), კილიკიის სომხეთის მფლობელი (*Varibec, duc d’Arminya*) და მორატი (*Morat son ambassadeur*).⁹⁶ (სურ. 149 და 150)

ელჩობის ჰერალდიკა

განვიხილოთ ჩვენს ხელნაწერში მოთავსებული აღმოსავლური ელჩობის გერბები. უპირველესად უნდა ითქვას, რომ ჟან ფოკეს სწორად აქვს მოცემული რომის პაპის, ტრაპიზონის იმპერატორისა და, რაც მთავარია, თეთრბატკნიანი უზუნ-ჰასანის გერბები:

პიუს II-ის, ერისკაცობაში ენეა სილვიო ბართოლომეო პიკოლომინის გერბი (სურ. 151ა) წარმოადგენს პიკოლომინების საგვარეულო ფარს (თეთრ ველზე ლურჯი ჯვარი ხუთი ოქროს ნახევარმთვარით), თავზე პაპის ტიარითა და წმ. პეტრეს გადაჯვარედიებული გასაღებებით;⁹⁷

ტრაპიზონის იმპერატორის გერბია წითელ ველზე ოქროს ორთავიანი არწივი, (სურ. 152) რომელიც ხშირად გვხვდება პორტოლანურ რუკებზე ტრაპიზონის იმპერიის აღსანიშნავად;⁹⁸ (სურ. 153)

648, fol. 76v.	გერბი, რომელიც მეტროპოლიტენის მუზეუმშია დაცული. (სურ. 151ბ)	figs. 12, 20. ასევე იხ. С.П. Карпов, “К вопросу о государственной символике в поздневизантийском мире: Герб и флаг Трапезундской империи,” <i>ВИД</i> , т. XXX (2007), 228-31.
⁹⁶ Yale University Library, Beinecke MS 648, fol. 77r.	⁹⁷ შედარებისათვის იხ. მარ-მარილოში გამოკვეთილი პაპის	⁹⁸ მაგალითისათვის იხ. Babuin, “Late Byzantine Insignia,” 91-92,



სურ. 155
უზუნ-ჰასანის გერბი. Beinecke MS 648, fol. 77r, detail. General Collection, Beinecke Rare Book and Manuscript Library, Yale University.

სურ. 156
ბაიანდურის ტომის ტამლა ცენტრალური ადგილით: ა) ყარა უსმანის ვერცხლის ახჩაზე, ბ) უზუნ-ჰასანის სპილენძის მონეტაზე, გ) უზუნ-ჰასანის ტულრაზე.

სურ. 157
ყვარყვარე ათაბაგის გერბი. Beinecke MS 648, fol. 77r, detail. General Collection, Beinecke Rare Book and Manuscript Library, Yale University.

სურ. 158
ყვარყვარე ათაბაგის ვერცხლის მონეტა თევზის გამოსახულებით. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.



იქვე, ქვემოთ მოცემულია მათი წარმომადგენლების, შესაბამისად ლუდოვიკო ბოლონიელისა და მიქელე ალეგიერის პირადი გერბები;

შემდეგ მოდის გიორგი ალექსანდრეს ძის, „სპარსეთის“ (ქართლ-კახეთის) მეფის გერბი, რომელიც თეთრ ველზე დადებულ წითელ ჯვარს წარმოადგენს; (სურ. 154)

უზუნ-ჰასანის გერბის ოქროსფერ ფარზე მუქი (ლურჯი) ფერის ტამლაა გამოსახული (სურ. 155). ეს არის ბაიანდურის ტომის ტამლა, რომელიც მაჰმუდ ქაშლარის მიხედვით შევარდენს წარმოადგენს. ბაიანდური თეთრბატკნიანთა თურქმენული კონფედერაციის წამყვანი ტომი იყო და აყ-ყოიუნლუს სულთნებიც ამ ტომიდან იყვნენ. თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ყარა უსმანის დროიდან მოყოლებული, ბაიანდურის ტომის ტამლა სახელმწიფოს სიმბოლოდ იყო ქცეული და მას იყენებდნენ წარწერებში, მონეტებზე, დროშებზე, ოფიციალურ დოკუმენტებში.⁹⁹ (სურ. 156)

„საქართველოს ჰერცოგი“ ყვარყვარე ათაბაგი საკმაოდ რთულ გერბს ფლობს, მისი ფარის თეთრი ველი შუაში და ძირკიდეზე ორი ლურჯი, თავზე კი ოქროს ზოლითააა გაყოფილი და ზედ დადებულია ცხენზე ამხედრებული მაცხოვრის ოქროს ფიგურა; (სურ. 157)

გერბებში დაცულია რანჟირების სისტემა: ტრაპიზონის გერბს მაღალი საიმპერატორო გვირგვინი ადგას, გიორგი VIII-ისას – უფრო დაბალი სამეფო, ათაბაგის (ჰერცოგის) გერბი კი უგვირგვინოა და მხოლოდ ჯვრით ბოლოვდება.

როგორც ევროპული და ბიზანტიური, ისე შორეული აზიელი მბრძანებლის, უზუნ-ჰასანის სწორად გადმოცემული გერბები მონშობს იმას, რომ მათ შესახებ ინფორმაცია ჟან ფოკეს თავად აღმოსავლელი ელჩებისაგან ან მათ მიერ დატოვებული საარქივო მასალებიდან უნდა მიეღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფოკეს მიერ წარმოდგენილი ქართული გერბებიც ზუსტად გადმოგვცემს სინამდვილეს. გერბების რეალურობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მის ავტორს შეუვსებელი, ცარიელი ფარები აქვს ქართველი და მუსლიმი ელჩების გერბების ადგილზე გამოსახული, მაშინ როდესაც ლუდოვიკო ბოლონიელისა და მიქელე ალეგიერის პირადი ფარები მათი სუბერენების (რომის პაპისა და ტრაპიზონის იმპერატორის) ქვეშ არის მოთავსებული. ეს კი სწორად ასახავს იმდროინდელი ქართული ჰერალდიკის მდგომარეობას, როდესაც ცალკეული პიროვნებები ჯერ კიდევ არ ფლობდნენ გერბებს; თავისთავად, გერბებს არ ფლობდნენ მუსლიმი ელჩებიც.

¹⁰⁰ წურწუშია, „კვლავ ერთიანი მონარქიის დროშის შესახებ“, 118-19.

¹⁰¹ საგულისხმოა, რომ ყვარყვარე ათაბაგი უშვებს ვერცხლის ფულს შუბლზე თევზის გამოსახულებით, რომელიც ასევე ქრისტეს განასახიერებს (სურ. 158). იხ. გიორგი დუნდუა, *სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში* (თბილისი, 1964), 101-6. ამ თევზის ნიშანს, „იესოს თევზს“, როგორც სიმბოლოს ქრისტიანები II საუკუნიდან იყენებენ. თევზის ბერძნული სახელწოდება „იხთისი“ აკრონიმს წარმოადგენს და ასე იკითხება: „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხსნელი“ (Ιησὺς Χριστὸς Θεὸς Υἱὸς Θεοῦ). Tuomas Rasimus, “Revisiting the Ichthys: A Suggestion Concerning the Origins of Christological Fish Symbolism,” in *Mystery and Secrecy in the Nag Hammadi Collection and Other Ancient Literature: Ideas and Practices*, eds. Christian H. Bull, Liv Ingeborg Lied and John D. Turner (Leiden, 2012), 327. ყვარყვარე ათაბაგის მონეტაზე მიმითითა და ფოტო მომწოდა მაია პატარიძემ.

¹⁰² ქართული გერბების შესახებ გრიუნენბერგის წიგნში იხ. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 349; ზაქარია კიკნაძე, „უძველესი ქართული გერბი“, *ჰეროლდი*, 3 (2014), 3-7; Tornike Asatiani, *The Story of Georgian Heraldry* (Tbilisi, 2023), 12-13.

ეს, ჯერჯერობით, პირველი შემთხვევაა, როდესაც ევროპულ საგერბე წიგნში ჰერალდიკურად გამართული და ისტორიული სინამდვილის ამსახველი ქართული გერბები აღმოჩნდა, რომელთა უშუალო წყაროც თავად ქართველი ელჩები უნდა ყოფილიყვნენ.

ზემოხსენებული ქართული გერბები ცხადად მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი სიმბოლოების ფესვები ერთიანობის ხანის ჰერალდიკაში უნდა ვეძებოთ. თუკი გავიხსენებთ, რომ ევროპული პორტოლანები საქართველოს სამეფოს წითელი ხუთჯვრიანი დროშით გამოსახავდნენ, გავიხსენებთ მისგან წარმოშობილ XVI საუკუნის ბოლოს აღწერილ ქართლის სამეფოს დროშას წითელ ველზე დადებული ოთხი დიდი ჯვრით,¹⁰⁰ დავრწმუნდებით, რომ გიორგი VIII-ისა და ყვარყვარე II ათაბაგის გერბებსაც საერთო საფუძველი აქვთ: ორივე მათგანი ერთიანი საქართველოს დროშის (ანუ ჰერალდიკურად თეთრ ველზე წითელი ხუთი ჯვრის) დაშლის შედეგად მიღებულია პროდუქტია – გიორგი მეფეს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) მფლობელს, თეთრ ველზე ცენტრალური წითელი ჯვარი (იგივე ჰერალდიკური წმ. გიორგი) აქვს არჩეული, სამცხე-საათაბაგოს გერბზე კი თავად ცხენზე ამხედრებული მაცხოვარია გამოსახული, რაც ხუთი ჯვრის (როგორც ჰერალდიკურად ქრისტეს გამოსახვის) ალუზიაა.¹⁰¹

ბურგუნდიულ ჰერალდიკის წიგნში მოთავსებული ქართული გერბები, კონრად გრიუნენბერგის 1483 წლის „გერბების წიგნში“ აღწერილი ქართული გერბების მსგავსად,¹⁰² ევროპელი ჰერალდიკოსის მიერ შექმნილ უადრეს ქართულ გერბებად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, გრიუნენბერგისგან განსხვავებით, რომლის გერბები ლეგენდარული, ე.წ. მიწერთი ჰერალდიკის ნიმუშია და შორს დგას რეალობისაგან, ჟან ფოკე პირველხარისხოვან ინფორმაციას ფლობდა ქართული გერბების შესახებ, რაც აისახა კიდევც მის მიერ შესრულებული გერბების ავთენტიკურობაში.

ანრი დე როჰანი და ქართული სახელმწიფო დროშა

სულ ახლახანს, 2022 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში, ახალგაზრდა და მეტად ნაყოფიერმა ქართველმა მკვლევარმა ბექა ჭიჭინაძემ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა

უაღრესად საყურადღებო ცნობა შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო სიმბოლოს შესახებ. ამ ინფორმაციას ავტორი შესავალშივე გვანვდის:

ჟან დუ პაის მიერ გამოცემულ შესანიშნავ თხზულებაში, სახელწოდებით: „სუვერენულ სახელმწიფოთა ხელისუფალნი“, ქართველთა შესახებ ასე-თი საგულისხმო ჩანაწერია მოცემული: „[ქართველები] იმედოვნებენ, რომ ქრისტიანთა ძალისხმევით იერუსალიმის სამეფო დაუბრუნდება [მის მესა-კუთრე] ფლანდრიის გრაფებს, რის სახსოვრადაც ისინი თავის ნიშნად ატ-არებენ იერუსალიმის ჯვარს (იერუსალიმის ჯვარი წარმოადგენს ცნობილ ხუთჯვრიან სიმბოლოს. – ბ. ჭ.), რომელიც ფლანდრიის ჯვარიცაა.¹⁰³

მოსმობილი ცნობის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია იმის გათვალისწინებით, რომ ქართველების მიერ იერუსალიმის აღმნიშვნელი ხუთჯვრიანი დროშის გამოყ-ენების შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დღემდე სადავო პორტოლანური საზ-ღვაო რუკების მონაცემებს, წარატიული მონაცემები სანთლით საძებნია. აქედან გა-მომდინარე, ცხადია, რომ ეს ინფორმაცია, რომელიც თავისებურ ახსნას უძებნის საქა-რთველოში იერუსალიმის ხუთჯვრიანი სიმბოლოს დამკვიდრების ფაქტს, სამეცნიერო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

უპირველესად, მოვიყვანოთ ამ მონაკვეთის სრული თარგმანი, რათა დავაზუსტოთ და შესაბამის კონტექსტში შევაფასოთ მთლიანი ინფორმაცია.

აზიის ქრისტიანი მთავრები ფლანდრიის გრაფიები პრეტენზიას აცხადებდნენ იუდეასა და იდუმეაზე, რომლებსაც მათი წინაპრები დიდი ხნის განმავლობაში ფლობდნენ. როდესაც დიდმა სულთანმა სალადინმა განდევნა ქრისტიანები, ისინი საქართველოში წავიდნენ და მათგან მოდიან ქრისტიანები, რომლებსაც დღეს ქართველე-ბად უხმობენ. ისინი თავს კათოლიკეებს უწოდებენ, თუმცა იმდენად თავი-სუფლად ცხოვრობენ, რომ, როგორც ჩანს, ქრისტიანის სახელს მხოლოდ ძალიან მარტივი და სულელური რწმენით ატარებენ და, შესაძლოა, მხოლოდ ღვინის დასალევად. თურქებმა ვერ შეძლეს მათი დამორჩილება და, მცირე ხარკის სანაცვლოდ, თავისუფლად ცხოვრების საშუალება მისცეს. ისინი დღესასწაულობენ და ღვთისმსახურებენ იერუსალიმში, თუმცა არ არიან რელიგიურნი; ისინი აქორწინებენ ძმებს, დებს და ახლო ნათესავებს და ამბობენ, რომ ამას აკეთებენ თურქებთან ან ებრაელებთან კავშირის თა-ვიდან ასარიდებლად; შვეიცარიელთა მსგავსად, მათ ქირაობენ და უხმობენ როგორც დამხმარე ძალას; მაგრამ ისინი იმედოვნებენ, რომ ქრისტიანთა ძალისხმევით გათავისუფლებული იერუსალიმის სამეფო დაუბრუნდება ფლანდრიის გრაფთა მემკვიდრეებს, რომელთა სამახსოვრადაც ისინი თავ-იანთ გერბად ატარებენ იერუსალიმის ჯვარს, ფლანდრიის [გერბს] ზემოთ.¹⁰⁴

ახლა კი მონაკვეთებად დავყოთ ზემომოხმობილი ინფორმაცია და ცალ-ცალკე გან-ვიხილოთ მათი ავკარგიანობა:

ფლანდრიის გრაფიები პრეტენზიას აცხადებდნენ იუდეასა და იდუმეაზე, რომლებ-საც მათი წინაპრები დიდი ხნის განმავლობაში ფლობდნენ – დასაწყისში ავტორი გვამც-ნობს ფლანდრიის გრაფების პრეტენზიას წმინ და მინაზე (იუდეასა და იდუმეაზე), რო-მელსაც მათი წინაპრები ხანგრძლივი დროის მანძილზე ფლობდნენ, რაც მართებულია ისტორიულად;¹⁰⁵

^[1] ჭიჭინაძე, საქართველოს ხუთ-ჯვრიანი დროშის წარმომავლობა, 4

^[2] Interets et maximes des princes & des estats souverains (Cologne, 1666), 205-6.

^[3] წმინდა მინაზე ჯვაროსნების მიერ შექმნილი იერუსალიმის სამე-ფოს პირველი მმართველები, ძმები გოდფრუა ბუიონი (1099-1100) და ბალდუინ I ბულონელი (1100-18), ბალდუინ I რკინის მკლავის (830-79) მიერ დაარსებული ფლანდრიის გრაფთა სახლის უმცროს შტოს (ბუ-ლონის სახლს) წარმოადგენდნენ. ფლანდრიის გრაფები იდგნენ 1204 წელს დაარსებული კონსტანტინოპო-ლის ლათინთა იმპერიის სათავეშიც.

^[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლ-იძემ, ტ. II (თბილისი, 1965), 12.

^[5] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 21.

^[6] იქვე, 25.

^[7] იქვე, 40.

^[8] იქვე, 194.

^[9] იქვე, 205, 207.

^[10] იქვე, 398.

^[11] მაგალითისათვის, ასეთივე ტე-ქსტს ვპოულობთ დონ არქანჯელო ლამბერტის რელაციაში: „კოლხ-იდელები, თუმცა ქრისტიანები არიან, მაგრამ მხოლოდ სახელით, რადგან დაივიწყეს ჭეშმარიტი წესი ნათლობი-სა და მასთან ერთად სხვა საიდუმლო-თა წესები“. დონ არქანჯელო ლამბერ-ტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიური-დან თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ, გამოსაცემად მოამზადა და წინასი-ტყვაობა დაურთო ილია ანთელავამ (თბილისი, 1991), 8. დამატებით იხ. დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შეს-ავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა (თბილისი, 1977), 35-37, 58; დონ არქანჯელო ლამბერ-ტი, სამეგრელოს აღწერა, 105-19; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილე-ბი საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნა, წინა-სიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი, 1964), 27, 39, 47, 94, 108-12; დონ კრისტო-ფორო დე კასტელი, ცნობები და ალ-ბოში საქართველოს შესახებ, ტექსტი გამოიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორ-გაძემ (თბილისი, 1976), 109, 203, 220.

^[12] ამის თაობაზე ევროპელ ავტორ-თა ცნობები იხ. რენე ჟანენი, ქარ-თ-ველები იერუსალიმში, ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ (სტამბო-ლი, 1921), 28-29; დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 16, 48-50; დონ კრისტოფორო დე კასტე-ლი, ცნობები და ალბოში საქართვე-ლოს შესახებ, 80, 117, 145.

^[13] გეორგიკა, ტ. IV/2, 255-56. იქვე იხ. ს. ყაუხჩიშვილის კომენტარი სხვა მაგალითებით: 256, შენ. 1.

^[14] იქვე, 275-76, 278.

^[15] გიორგი ნადარეიშვილი, ძვე-ლი ქართული საოჯახო სამართალი (თბილისი, 1996), 12-18.

როდესაც დიდმა სულთანმა სალადინმა განდევნა ქრისტიანები – სწორია; *ისინი საქართველოში წავიდნენ და მათგან მოდიან ქრისტიანები, რომლებსაც დღეს ქართველებად უხმობენ* – ეს, რა თქმა უნდა, მცდარია;

ისინი თავს კათოლიკეებს უწოდებენ – სწორია, საუკუნეების განმავლობაში ქართულ ეკლესიას „კათოლიკე“ (საყოველთაო) ეწოდებოდა. ასე, როგორც „კათოლიკე“ ან „წმი-და კათოლიკე და სამოციქულო კათოლიკე“ მოიხსენიება ქართული ეკლესია 1072 წელს დაწერილ გიორგი II-ის სიგელში შიომღვიმისადმი,¹⁰⁶ 1170 წ. გიორგი III-ის სიგელში ში-ომღვიმისადმი,¹⁰⁷ 1188 წ. თამარ მეფის სიგელში გელათისადმი,¹⁰⁸ 1245-50 წწ. გრიგოლ სურამელის სიგელში შიომღვიმისადმი,¹⁰⁹ 1569 წ. კახთა მეფის ლეონის სიგელში სვეტ-იცხოველისადმი,¹¹⁰ 1592 წ. სვიმონ I-ის სიგელსა¹¹¹ და 1749 წ. თეიმურაზ II-ის წიგნში;¹¹²

იმდენად თავისუფლად ცხოვრობენ, რომ, როგორც ჩანს, ქრისტიანის სახელს მხ-ოლოდ ძალიან მარტივი და სულელური რწმენით ატარებენ – დასავლეთევროპელის ასეთი შეხედულება ქართულ ქრისტიანობაზე გასაკვირი არაა. საკმარისია ითქვას, რომ XVII საუკუნის ევროპელი მისიონერების რეპორტები სავსეა იმდროინდელი ქართველი სამღვდელოების, მათი ცრურწმენებისა და მათ მიერ შესრულებული ნათლობისა თუ სხვა ქრისტიანული საიდუმლოებების კრიტიკით;¹¹³

შესაძლოა, მხოლოდ ღვინის დასალევად – ქართველების სიყვარული ღვინისადმი საყოველთაოდ იყო ცნობილი;¹¹⁴

თურქებმა ვერ შეძლეს მათი დამორჩილება და, მცირე ხარკის სანაცვლოდ, თავისუ-ფლად ცხოვრების საშუალება მისცეს – აქ რეალობა ძირითადად სწორადაა ასახული;

ისინი დღესასწაულობენ და ღვთისმსახურებენ იერუსალიმში – ეს მონაკვეთიც, სა-დაც ავტორი აღნიშნავს ქართველების ერთგულებას იერუსალიმისადმი, მართებულია; *ისინი აქორწინებენ ძმებს, დებს და ახლო ნათესავებს* – ერთი შეხედვით ეს ცნობა სრულ აბსურდად შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგან აღმოსავლეთის საქრისტიანოში დამკვიდრებული კანონიკის კვალდაკვალ, ქართული ეკლესიაც კრძალავდა მეშვიდე ხარისხის ნათესავების ქორწინებას, მაგრამ საქმე ასე იოლადაც არ არის. რიგითი მოკვ-დავებისათვის სავალდებულო კანონებს სამეფო საგვარეულო და დიდებულები იოლად არღვევდნენ ხოლმე. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი (913-59) აღნიშნავდა, რომ ბაგრატიონთა სახლის წევრები, მიიჩნევდნენ რა თავს ებრაელთა ჩამომავლებად, ტრადიციულად ქორწინდებოდნენ თავიანთ ნათესავებზე.¹¹⁵ პორფირო-გენეტს თავადვე მოჰყავს ბიძაშვილებს შორის ასეთი ქორწინების ორი მაგალითიც.¹¹⁶ როგორც გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს, ქართულ სამეფო საგვარეულოებში პოლიტი-კური და ეკონომიკური მიზეზებით განპირობებულ ენდოგამიას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. შემდგომში, გვიან შუასაუკუნეებში ასეთი შემთხვევები მხოლოდ მეხუთე-მე-ექვსე ხარისხის ნათესავებს შორის შეინიშნება;¹¹⁷

შვეიცარიელთა მსგავსად, მათ ქირაობენ – სწორია, ქართველ დაქირავებულ მეომრებს ხშირად ვხვდებით ახლო აღმოსავლეთის (და არა მარტო) არმიების რიგებში;

ისინი თავიანთ გერბად ატარებენ იერუსალიმის ჯვარს, ფლანდრიის [გერბს] ზემოთ – ეს ცნობა ადასტურებს პორტოლანების მონაცემებს ქართული ხუთჯვრიანი დროშის შესახებ და თავისებურ ახსნას უძებნის მას, აკავშირებს რა ფლანდრიის გრაფებთან. საინტერესოა შემდეგი პარალელიც: ფლანდრიის გერბი არის უკანა თათებზე მდგომი ლომი (სურ. 159), ლომები კი ფიგურირებენ უძველეს ქართულ გერბებშიც, რომლებიც ვახტანგ VI-ის მიერ არის შემუშავებული. მისი პირველი ნიმუში 1709 წელს ახალგახსნილ თბილისის სტამბაში დაბეჭდილ „სამოციქულოში“ გვხვდება, სადაც ბაგრატიონთა გერ-ბზე ლომი ფარის ქვემოთაა გამოსახული (სურ. 160), ხოლო 1724-37 წლებში შექმნილ ვახტანგ VI-ის პირად გერბზე ორი ლომი უკვე კლასიკური ფარისმტვირთავების პოზა-



სურ. 159
ფლანდრიის გერბის გრაფიკული
გამოსახულება (ა), ფლანდრიის
გერბი გელრეს არმორიალში (ბ).

ში არიან განთავსებულნი (სურ. 161).¹¹⁸ სავარაუდოა, რომ თავის მხრივ, ვახტანგ VI-ც რაღაც ტრადიციას ან გადმოცემას ემყარებოდა, როდესაც ლომი შემოჰყავდა ქართულ ჰერალდიკაში. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ტრადიციის გამო თვლის ქართული გერბის შემადგენელ ნაწილად ლომს ევროპელი ავტორიც, რომელიც ამ ჰერალდიკურ ფიგურასაც ფლანდრიასთან აკავშირებს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ამ შემთხვევაშიც ის წერს საქართველოში რეალურად არსებულ ტრადიციაზე.

საერთო ჯამში, უნდა დავასკვნათ, რომ დასავლეთევროპელისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ცდომილების გარდა, ავტორის მონათხრობი ძირითადად სწორია.

ყველაზე საინტერესო ბოლო მონაკვეთია, საიდანაც ვიგებთ ქართველების მიერ გამოყენებული იერუსალიმის ჯვრის შესახებ, მაგრამ სანამ ამ ცნობის წარმოშობასა ან საიმედოობაზე ვიმსჯელებდით, თავად მისი გამოცემის ვითარება დავაზუსტოთ.

ჩვენთვის საინტერესო ცნობა ერთი თავია საკმაოდ ვრცელი ნაშრომისა *მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების ინტერესები და მაქსიმები* (*Interets et maximes des princes & des estats souverains*), რომელმაც 1666 წელს იხილა დღის სინათლე. ამ წიგნში ორი თხზულებაა გაერთიანებული – *მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების ინტერესები* და *მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების მაქსიმები*. თავფურცელის მიხედვით წიგნი გამოიცა ჟან დუ პაის მიერ კიოლნში 1666 წელს. სინამდვილეში კი „ჟან დუ პაი“ არარსებული სახელია. ამ პერიოდში, საფრანგეთში გაბატონებული ცენზურის გამო, წიგნები ხშირად გამოდიოდა ყალბი საგამომცემლო სახლების სახელით, რეალურად კი ჰოლანდიაში იბეჭდებოდა. ეს წიგნიც დაბეჭდილი უნდა იყოს დანიელ ელსევიერის (ელზევირის)¹¹⁹ მიერ ამსტერდამში.¹²⁰ როდესაც ელსევიერებს არ სურდათ თავიანთი ემბლემა დაეტანათ წიგნის სატიტულო ფურცელზე, მას სფეროთი ანაცვლებდნენ.¹²¹ ასეთ სფეროს ვხედავთ „მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების“ კიოლნის გამოცემაზეც (სურ. 162). ზემოხსენებული პირველი თხზულება (*მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების ინტერესები*) ანრი დე როჰანის ნაშრომზე – *მთავრებისა და ქრისტიანი სახელმწიფოების ინტერესები* (*De l'interêt des princes et états de la chrétienté*) – არის დაფუძნებული და შესაბამისი თავები ფაქტობრივად უცვლელია, მხოლოდ მრავალი თავია დამატებული. სწორედ ამიტომ, როგორც მისი თხზულების ახლახანს გამომცემელი ჟან-ფრანსუა ბლანი წერს, მას ანრი დე როჰანს აკუთვნებენ.¹²²



სურ. 160
ბაგრატიონთა გერბი „სამოციქულოდან“. 1709 წ.

სურ. 161
ვახტანგ VI-ის გერბი. 1724-37 წწ.

¹²³ Jonathan Dewald, *Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, 1550-1715* (University Park, PA, 2015), 14-16. დედამისი, ეკატერინე დე პართენი, ამაყოფა, რომ ლუზინიანების სამეფო სახლის ჩამოშავალი იყო. Jack Alden Clarke, *Huguenot Warrior: The Life and Times of Henri de Rohan, 1579-1638* (Hague, 1966), 1-2.

¹²⁴ Dewald, *Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family*, 39-43; Clarke, *Huguenot Warrior*, 8-10.

¹²⁵ Andreas Nijenhuis-Bescher, “Les Provinces-Unies, une nouvelle Rome? Henri II de Rohan (1579-1638), République et Calvinisme,” *Chrétiens et sociétés*, 22 (2015), 59; Clarke, *Huguenot Warrior*, 11.

¹²⁶ “Rohan, Henri,” in *The Encyclopædia Britannica*, vol. 23, 11th ed. (Cambridge, 1911), 460.

¹²⁷ Clarke, *Huguenot Warrior*, 21-22, 26-27, 64.

¹²⁸ Olivier Ribière, “Le duc de Rohan: officier et penseur militaire du XVIIe siècle,” *Dans Stratégique*, 88/1 (2007), 146.

¹²⁹ Clarke, *Huguenot Warrior*, 82-108.

¹³⁰ Dewald, *Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family*, 65; Clarke, *Huguenot Warrior*, 119-35.

ვინ იყო ანრი დე როჰანი და რა ინფორმაცია შეიძლება ჰქონოდა მას საქართველოსა და ქართული რეალობის შესახებ?

ანრი დე როჰანი (1579-1638), საფრანგეთის პერი, როჰანის ჰერცოგი და ლიონის პრინცი, წარმოდგებოდა ერთ-ერთი უძველესი წარჩინებული ფრანგული გვარიდან, რომელიც XI საუკუნიდან იყო ცნობილი (სურ. 163).¹²³ ბავშვობიდანვე ინტელექტუალებითა და მეცნიერებით გარშემორტყმული, ანრი სამხედრო კარიერისათვის ემზადებოდა და თავიდანვე მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა საკუთარ თავს: ცოტა ეძინა, მცირედით კმაყოფილდებოდა, სასმელს არ ეტანებოდა და ცხენიდან არ ჩამოდიოდა.¹²⁴ ის 18 წლიდან მონაწილეობდა სამხედრო კამპანიებში და თავი გამოიჩინა ამიენის ალყის დროს 1597 წელს.¹²⁵

ანრი დე როჰანი ახალგაზრდობაში ბევრს მოგზაურობდა და 1599-1601 წლებში მოიარა გერმანია, იტალია, ავსტრია, უნგრეთი, ნიდერლანდები, ინგლისი და შოტლანდია. ინგლისში დედოფალმა ელისაბედ I-მა (1558-1603) მას თავისი რაინდი უწოდა, შოტლანდიაში კი ჯეიმს VI-მ შვილი, ინგლისის მომავალი მეფე ჩარლზ I (1625-49) მონათლინა.¹²⁶ 1606 წელს დე როჰანი ნიდერლანდებში ებრძვის ესპანელებს ნასაუს პრინცის მორისის მხარდამხარ, 1610 წელს ომობს გერმანიაში, ხოლო 1617 წელს – იტალიაში.¹²⁷

საფრანგეთის მეფის ანრი IV-ის (1589-1610) სიკვდილის შემდეგ, ანრი დე როჰანი ფრანგი კალვინისტი პროტესტანტების (ჰუგენოტების) წინამძღოლი გახდა. ის იარაღით ხელში სამჯერ გამოვიდა სამეფო ტახტის წინააღმდეგ, როდესაც მან ჰუგენოტთა შევიწროება დაიწყო.¹²⁸ ამ აჯანყებების სერიას ზოგჯერ როჰანის ომებსაც უწოდებენ. პირველი ამბოხის დროს, 1621-22 წლებში ანრი წარმატებით იბრძოდა სამეფო ჯარების წინააღმდეგ. ომი დასრულდა მასსა და ლუი XIII-ს შორის დადებული 1622 წლის მონპელიეს ზავით, რითაც ჰუგენოტებმა შეინარჩუნეს თავიანთი მდგომარეობა და უფლებები.¹²⁹ ხელისუფლებამ არ დაიცვა ზავის პირობები, რასაც მოჰყვა მეორე აჯანყება 1625-26 წლებში, რომელიც დასრულდა პარიზის ზავით, სადაც გარკვეული დათმობების ფასად ჰუგენოტებმა საკუთარი ორგანიზაცია და რწმენის თავისუფლება შეინარჩუნეს.¹³⁰ მეს-

¹¹⁸ თორნიკე ასათიანი, *ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა)* (თბილისი, 2010), 17-19.

¹¹⁹ დანიელ ელსევიერი (1626-80) ცნობილი ჰოლანდიური საგამომცემლო დინასტიის წარმომადგენელი იყო.

¹²⁰ Henri de Rohan, *Intérêts réciproques des princes et des états souverains*, ed. Joan Francés Blanc (Strasbourg, 2016), V.

¹²¹ “Elzevir,” in *The Encyclopædia Britannica*, vol. 9, 11th ed. (Cambridge, 1910), 304.

¹²² Henri de Rohan, *Intérêts réciproques des princes et des états souverains*, V-VI.

ანრი დე როჰანი სამართლიანად ითვლება XVII საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო მეთაურად. სამი სამოქალაქო ომის დროს, ყოველთვის უმცირესობაში მყოფი, ის წინააღმდეგობას უწევდა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სამეფოს არმიას, ხოლო იტალიაში ხუთჯერ დაამარცხა საღვთო რომის იმპერიისა და ესპანეთის ჯარები.¹³⁸ ის ნაყოფიერი მწერალიც გახლდათ, რომლის კალამს ეკუთვნის როგორც მემუარული ხასიათის ლიტერატურა (*Voyage du duc de Rohan; Mémoires du duc de Rohan*), ისე სამხედრო და პოლიტიკური ტრაქტატები (*Le Parfait Capitaine; De l'intérêt des princes et états de la chrétienté*). ჯერ კიდევ თავისი მოგზაურობების დროს ანრი დე როჰანმა გაიცნო ევროპის მმართველი წრეები და დაინახა მათი ინტერესები, რამაც შეუქმნა ადეკვატური წარმოდგენა ეპოქის გეოპოლიტიკური რეალობის შესახებ. მისი *De l'intérêt des princes et états de la chrétienté* პოლიტიკური ცხოვრების მამოძრავებელი ძალების შესახებ ნოვატორული კვლევაა. დე როჰანი ფაქტობრივად პირველი ევროპელი მწერალი იყო, რომელმაც შეიმუშავა პირადი ინტერესების თეორია, როგორც ადამიანთა საქმიანობის წარმმართველი ძალა. როგორც თავად წერდა: „მთავრები მართავენ ხალხებს და ინტერესი მართავს მთავრებს. ამ ინტერესის გაგება ისევე მალღა დგას მთავრების ქმედებებზე, როგორც ისინი დგანან ხალხზე მალღა... სახელმწიფოების გადარჩენა ან დაღუპვა ინტერესების სწორ ან არასწორ გაგებაზეა დამოკიდებული“.¹³⁹ ანრი განათლებული მოღვაწე იყო, ჰქონდა მიმოწერა ევროპელ ინტელექტუალებთან და ლაშქრობების დროსაც თან ატარებდა პირად ბიბლიოთეკას.¹⁴⁰ მისი ნაწერები XVII საუკუნის მემუარული ჟანრის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება. „კალმისა და დაშნის“ კაცი, როგორც მას პიერ და სოლანჟ დეიონებმა უწოდეს,¹⁴¹ და რომლის სიკვდილსაც ვოლტერმა ეპიტაფია მიუძღვნა,¹⁴² ანრი დე როჰანი იმ დიდ მეთაურებს

სურ. 162
ელსევიერების სფერო „მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების ინტერესებისა და მაქსიმუმის“ კოლონის გამოცემაზე.

ებრძოდა საკუთარ ბატონს,
და უფრო დიდი, როდესაც
მას მსახურებდა“.

სურ. 163
ანრი დე როჰანი. ბალთაზარ
მონკორნეს გრავიურა.

¹⁵² ოქვო, 217.

იმ მრავალ მდიდრულ დროშათა შორის, რომლებიც ომში მიაქვთ, [ქართველ-
თა] მეფის დროშა ყველაზე მდიდარი და ლამაზია; ის შედგება (გაკეთებუ-
ლია) ოქროქარგული ნატიფი **ნითელი ქსოვილის ოთხი ნაწილისაგან, ყოვ-**

¹³¹ Dewald, *Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family*, 66; Clarke, *Huguenot Warrior*, 150-79.

¹³² Clarke, *Huguenot Warrior*, 181.


¹³³ Dewald, *Status, Power, and Identity in Early Modern France: The Ro-*

han Family, 68.

¹³⁴ ვალტელინის გადასასვლელი იტალიისა და გერმანიის დამაკავშირებელი ე.წ. „ესპანური გზის“ უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი იყო. „ესპანური გზა“, იგივე „ესპანური ტერციების გზა“, იყო

სამხედრო გზა, რომელიც XVI-XVII საუკუნეებში ესპანეთიდან, მილანის გავლით, ნიდერლანდებამდე მიდიოდა.

¹³⁵ Clarke, *Huguenot Warrior*, 187-89. 1632 წელს შვედეთის მეფე გუსტავ-ადოლფ დიდი, რომელიც



ელ (ოთხივე) ნაწილზე (გამოსახული) ულამაზესი ჯვრით, (სულ) მაღლა კი ძვირფასი ქვებისა და მარგალიტების ორნამენტით გამოხატული სამეფო გვირგვინია.

ანუ, სვიმონ I-ის ელჩის აღწერით, ქართლის მეფის წითელი დროშა ოთხ ნაწილად არის გაყოფილი და ოთხივე ნაწილზე ჯვარი არის გამოსახული (სურ. 164).

ზედმეტია საუბარი წარმოდგენილი ცნობის მნიშვნელობის შესახებ. ეს გახლავთ ქართული მხრიდან დადასტურებული პირველი წერილობითი მოწმობა იმისა, რომ ქართველები ნამდვილად იყენებდნენ ხუთჯვრიან დროშებს¹⁵³ და რომ პორტოლანების მონაცემები საქართველოს ტერიტორიაზე დატანილი ხუთჯვრიანი დროშების შესახებ სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს; მისგან ვიგებთ, რომ **XVI** საუკუნის II ნახევარში, სვიმონ I-ის ეპოქაში, ქართლის სამეფოში ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული ხუთჯვრიანი დროშის გამოყენების ტრადიცია.¹⁵⁴ ცნობაში არ არის აღნიშნული დროშაზე გამოსახული ჯვრების ფერები; ეს შესაძლოა იყოს თეთრი¹⁵⁵ ან სულაც ოქროსფერი, ოქროთი ნაქარგი. ასეა თუ ისე, ოქროსფერი თუ თეთრი (თუნდაც ნებისმიერი სხვა ფერი), საქმის ვითარებას ეს არ ცვლის – აღმის ოთხივე კუთხეში დატანილი ჯვრები სწორედაც რომ ხუთჯვრიანი კომპოზიციის სასარგებლოდ მეტყველებს!

თუ **შევაჯამებთ**, დავინახავთ, რომ ბოლო ხანებში ყოველი ახალი მონაცემის გამოჩენა ქართულ ვექსილოლოგიაში, პირდაპირ (ანრი დე როჰანი, სამეფო საბუთების ოთხწერტილიანი ჯვარი, ფარსადან გორგიჯანიძე) თუ ირიბად (გიორგი მეფის „ხუთჯვრიანი“ ბეჭედი, კონრად გრიუნენბერგი, ბურგუნდიული ჰერალდიკის წიგნი, სვიმონ I-ის დროშა) მიუთითებს ხუთჯვრიანი დროშის არსებობაზე საქართველოში.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოსახული ხუთი ჯვრის სხვადასხვა ვარიანტები იერუსალიმური კომპოზიციის მყარ და ხანგრძლივ ტრადიციაზე მიუთითებს, რომელიც გამოსახვას სხვადასხვა ფორმაში ჰპოვებს. ხუთჯვრიანი კომპოზიცია ქართულ სინამდვილეში დასტურდება ეკლესია-მონასტრების ფასადებსა და ქვასვეტებზე, ნუმიზმატიკურსა და სფრაგისტიკულ მასალაში, დიპლომატიკურ აქტებში, უცხოურ და ქართულ ნარატიულ წყაროებში, ჰერალდიკის წიგნებსა და საზღვაო რუკებზე.

ეს მონაცემები ასევე აჩვენებენ, რომ ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ცალკეული სამეფო-სამთავროების მესვეურებიც ხუთჯვრიან დროშის დერევატებს იყენებდნენ: **XV** საუკუნის ქართლ-კახეთი – წმ. გიორგის ჰერალდიკურ ჯვარს, სამცხე – თავად მაცხოვარს, **XVI** საუკუნის ქართლი კი წითელ ველზე ოთხ ჯვარს.

ყველა ეს მონაცემი, რომლებიც სრულიად სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობს და არავითარი კავშირი არ აქვს ან ერთმანეთთან ან თუნდაც პორტოლანებთან, სხვა-

სურ. 164
ქართლის სამეფოს დროშა XVI საუკუნეში. რეკონსტრუქცია: ა) გრაფიკული; ბ) თეთრი ჯვრებით; გ) ოქროსფერი ჯვრებით.

^[153] ოპონენტები შეიძლება იმაზეც შეგვედავონ, ცნობაში გარკვევით მხოლოდ ოთხი ჯვარია დასახელებული და მეხუთე საიდან მოგაქვთო; საქმე ისაა, რომ დროშის ოთხ ნაწილად გაყოფა მხოლოდ ცენტრალური ჯვრით არის შესაძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, დროშის ოთხივე კუთხეში დატანილი ოთხი ჯვარი პირდაპირ მიგვანიშნებს ხუთჯვრიანი დროშის არსებობაზე საქართველოში.

^[154] ქართლის სამეფოში წითელი დროშის გამოყენების ტრადიციას, ომში თუ მის გარეშე, შესაძლოა, სწორედ ერთიანი საქართველოს სამხედრო, წითელ-თეთრჯვრებიანმა დროშამ ჩაუყარა საფუძველი.

^[155] თუკი ვიგულისხმებთ, რომ სვიმონის დროშაში გამოყენებული ფერების სათავე სტეფანოს ორბელიანის სამხედრო დროშაში უნდა ვეძებოთ.

დასხვა კუთხიდან ადასტურებს, რომ საქართველოსთან მიმართებაში პორტოლანებზე დატანილი ინფორმაცია რეალობას შეესაბამება.

შეცდომები პორტოლანებზე გვხვდება და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუნდაც ინფორმაციის იმ მოცულობის გამო, რომელიც მათზეა დატანილი, მაგრამ, გამორიცხულია, შეცდომას უშვებდეს საზღვაო ნავიგაციის ყველა ევროპული სკოლა (გენუის, ვენეციის, მაიორკის), რომლებიც თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ჯიუთად ათავსებდნენ ხუთჯვრიანი დროშის სხვადასხვა კომპოზიციებს საქართველოს ტერიტორიაზე; გამორიცხულია, შეცდომა იყოს ხუთჯვრიანი დროშის ის კომპოზიციები, რომლებსაც, პორტოლანებისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა კონტექსტში მიუთითებს საქართველოსთან დაკავშირებით.

პორტოლანებზე დროშებით აღნიშნულია ტერიტორიის მფლობელი ან ამ ტერიტორიაზე რაიმე პრეტენზიის ან უფლების მქონე; სხვა შინაარსი არცერთ – არც კათოლიკური და არც მართლმადიდებლური ქვეყნების დროშაში (გერბში) არ დევს. შეუძლებელია ეს სისტემა საქართველოსთან მიმართებაში დაერღვია ვინმეს და ახალი, სხვებისაგან განსხვავებული, განზომილება შეეთხზა რუკის ერთი მონაკვეთის, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროსათვის.

ნებისმიერი, მათ შორის, საზღვაო რუკის ლეგენდა იმისათვის იყო მოწოდებული, რომ გამონაკლისების გარეშე, ერთი სისტემის ფარგლებში აეხსნა და მიენოდებინა ინფორმაცია დაინტერესებული პირისათვის, იქნებოდა ეს გემის შკიპერი თუ კაბინეტში მჯდომი მეცნიერი; ევროპელ კარტოგრაფებს არ ჰქონდათ არავითარი მიზეზი მიღებული წესისათვის გადაეხვიათ და ჩვენი ქვეყნისათვის შეექმნათ სხვაგვარი მოცემულობა.

ის ინფორმაციებიც, რომლებსაც პორტოლანებისაგან დამოუკიდებლად ვიღებთ ქართული თუ ევროპული წყაროებიდან, ერთმნიშვნელოვნად გვიდასტურებენ, რომ

ა) ქართველები დროშებზე ჯვარს გამოსახავდნენ (კონრად გრიუნენბერგი, ბურგუნდიული ჰერალდიკის წიგნი),

ბ) ქართველების (ქართლის) ოთხად გაყოფილ დროშაზე ოთხი ჯვარი იყო დატანილი (სვიმონ I-ის დროშა),

გ) ქართველთა (სამცხის) დროშებზე (გერბზე) მაცხოვარი იყო გამოსახული (ბურგუნდიული ჰერალდიკის წიგნი),

დ) საქართველოს დროშაზე იერუსალიმის ხუთფიგურიანი (ხან ბეზანტებით, ხანაც ჯვრებით) კომპოზიცია იყო აღბეჭდილი (ანრი დე როჰანი, ქართული საბუთების ოთხწერტილიანი ჯვარი, ქართული მონეტები, ფარსადან გორგიჯანიძე).

ქართული დროშები და ევროპული პორტოლანები

ზოგიერთი მოსახეზეა ერთიანი მონახილის დროშის შესახებ

ქვემოთ მოცემულია ჩემი მოსაზრებები ერთიანი ქართული მონარქიის დროშის წარმოშობის, ფორმისა და სახელწოდების შესაძლო ევოლუციის შესახებ. იმისდა მიუხედავად, რამდენად საფუძვლიანი (თუ პირიქით) გამოდგება აქ ჩამოყალიბებული არგუმენტები, საქმის არსს ეს არ ცვლის და ხუთჯვრიანი დროშის შესახებ ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები ძალაში რჩება; ქვემოთ მხოლოდ მათ შესაძლო გზაზე იქნება მსჯელობა, საბოლოო გამომსახველობით – ხუთჯვრიან ფორმამდე.

როგორც ვიცით, პიეტრო ვესკონტეს 1320, 1321 და 1325 წლებისა და პერინო ვესკონტეს 1327 წლის რუკებზე საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება დროშები, სადაც ცენტრალური ჯვრის მკლავებში ოთხი დისკო ანუ ბეზანტია გამოსახული, ანჯელინო დულჩეტის 1339 წლის პორტოლანიდან მოყოლებული კი თბილისისა და ცხუმის თავზე წითელი ხუთჯვრიანი დროშებია აღმართული. ისმის კითხვა, რატომ გვაქვს XIV საუკუ-ნის 20-იანი წლების ვესკონტების პორტოლანებზე საქართველოს დროშაზე ოთხი ბე-ზანტი და 1339 წლიდან რატომ ჩნდება მათ ნაცვლად ჯვრები?

ეს გადახვევა შეიძლება კარტოგრაფის – პიეტრო ვესკონტესა და მისი ატელიეს თა-ვისებურებისათვის მიგვეწერა, რომ არა ერთი გარემოება – ზუსტად ასეთივე ბეზან-ტებიან იერუსალიმის ჯვარს ვხედავთ XII-XIII საუკუნეების საქართველოში უმაღლესი ხელისუფლების ნიშნებზე, როგორიცაა სიგელები, ქვასვეტები, ფული. როგორც ჩანს, პორტოლანებზე ამჯერადაც რეალობა აისახა და საქმე გვაქვს ქართული დროშის გარკვეულ ტრანსფორმაციასთან.

მოვლენების განვითარებას თუ აღვადგენთ, დავინახავთ, რომ XI საუკუნის II ნახ-ევრიდან ქართულ სამეფო საბუთებზე ჩნდება ოთხნერტილიანი იერუსალიმის ჯვარი: მას იყენებს როგორც გიორგი II, ისე დავით აღმაშენებელი. ქართულ სამეფო ხელისუ-ფლების ნიშნებზე იერუსალიმის ჯვრის ეს კომპოზიცია ბიზანტიის ნაბაძვით უნდა გა-ჩენილიყო.

ბიზანტიურ ხუთფიგურიან კომპოზიციებზე საუბრისას უკვე აღვნიშნეთ, რომ XI საუკუნეში ჯვარ-ბეზანტებიანი დროშები საიმპერატორო ხელისუფლების სიმბოლოდ იქცა. ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცულია XI საუკუნის შუახანების ბიზანტიური ფსალ-მუნი (Vat. gr. 752). ეს არის დიდი ზომის მდიდრული ხელნაწერი, რომლის თითქმის 500 გვერდი 220 ოქროს მინიატურითაა მორთული. ხელნაწერი ზუსტად თარიღდება 1058/9 წლებით. ავტორისა და შემკვეთის ვინაობა უცნობია, მაგრამ მას თამამად შეგვიძლია

ვუწოდოთ „სამეფო ტექსტი“, სადაც წარმოდგენილია დავითი, არქეტიპული მეფე, რომ-ლის იმპერატორთან გაიგივება ჩვეული მოვლენა გახლდათ ბიზანტიაში და საიმპერიო იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი იყო.¹ ბეზანტებით გაწყობილი ჯვარი ფსალმუნის სამი მინიატურის დროშაზეა წარმოდგენილი. ორ მათგანზე ეს დროშა ბიზანტიის იმ-პერატორს ახლავს თან.² (სურ. 165, 166 და 167)

ჯვარ-ბეზანტებიანი დროშა დადასტურებულია კიდევ ერთ ბიზანტიურ ხელნაწერ-ში, რომელიც სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში იმყოფება. ეს გახლავთ X-XI საუკუნეების იობის წიგნი, სინაზე დაცული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ილუს-ტრირებული ხელნაწერი.³ ამ კოდექსის ერთ-ერთ მინიატურაზე გამოსახულ სცენაში იმპერატორს წინ დროშა მიუძღვის, რომლის წითელ ველზე ოქროს ჯვარი ოთხი ოქროს ბეზანტით არის შემკული (Ms Sinaiticus Gr. 3, f. 29v). (სურ. 168)

ცხადია, ხელნაწერებში წარმოდგენილი დროშები და სიუჟეტები რეალური ცხოვრე-ბიდანაა აღებული. ბიზანტიურ მინიატურებზე ასახულ ბიბლიურ სიუჟეტებზე მსჯელო-ბისას, ჯ. დენისი მიუთითებს, რომ აქ გამოსახული დროშები ნამდვილ დროშებს გად-მოგვცემენ.⁴ სხვადასხვა ხელნაწერის დროშების იდენტიურობა და ერთი სახე – წითელ ველზე დადებული ოქროს ჯვარი ოთხი ოქროს ბეზანტით, გვიჩვენებს, რომ ისინი ერთსა და იმავე საიმპერატორო დროშას ასახავენ. თუ გავიხსენებთ, რომ ფერების ეს შეთანხ-მება სამი საუკუნის შემდეგაც გვხვდება, უკვე პალეოლოგოსურ საიმპერატორო დრო-შაზე, დავინახავთ ბიზანტიაში მტკიცედ ფეხმოკიდებულ ტრადიციას, სადაც უცვლე-ლი რჩება დროშის ველი (წითელი) და ცენტრალური ჯვარი (ოქრო); იცვლება მხოლოდ ფიგურები ჯვრის მკლავებში (დისკოს ნაცვლად B), თუმცა მათი ფერი (ოქრო) კვლავაც შენარჩუნებულია. ყველა ნიშნით საქმე გვაქვს XI საუკუნის ბიზანტიის საიმპერატორო დროშასთან.

ჩვენ ვიცით, რა სწრაფად აღწევდა ბიზანტიური სახეები ქართულ სინამდვილეში, მით უფრო საიმპერატორო ხელისუფლების ნიშნები. დავით III კურაპალატიდან მოყოლებუ-ლი, ქართველი მონარქები ცდილობდნენ მიებაძათ ბიზანტიის იმპერატორებისათვის გარეგნულ ბრწყინვალებაში, მმართველის კულტში, ტიტულატურასა და ა.შ.⁵ დავით აღმაშენებლის ხანაში ჩამოყალიბდა სამეფო რეპრეზენტაციის უაღრესად დახვეწილი სისტემა, რომელიც, ძირითადად, ერთი მიმართულებით ვითარდებოდა. მისი მოდელე-ბი სათავეს ბიზანტიაში იღებდა და კონსტანტინოპოლის საიმპერიო კულტის გავლენით ყალიბდებოდა. თუმცა, დავითმა შეძლო იმპერიის ჩრდილიდან გამოსვლა და ბიზან-ტიური სახეები თავის მიზნებს მორავო. ბიზანტიის დასუსტებამ ქართველ მეფეს მისი სახეების უზურპაციის საშუალება მისცა.⁶ დავით IV-მ, როგორც ეს მის ცნობილ მონე-ტაზე ჩანს, იმპერატორობაზე განაცხადა პრეტენზია და იმპერატორის სხვა რეგალი-ებთან (საიმპერატორო გვირგვინი (*stemma*), სკიპტრა, ჯვრიანი სფერო (*globus cruciger*), ბისონი, მანიაკი) ერთად,⁷ შესაძლოა, ხუთფიგურიანი იერუსალიმის ჯვრით აღბეჭდი-ლი საიმპერატორო დროშაც „გადაიბარა“,⁸ მხოლოდ ბიზანტიური ოქროსფერ-წითელი ალაში თეთრ-წითელი დროშით ჩაანაცვლა.⁹ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო „ჯვარცმის საწვხედ მქნილი“ დროშა, სადაც მაცხოვრის ხუთი ჭრილობა ბიზანტიური ტრადიცი-ით ჯვრითა და ოთხი ბეზანტით გამოისახებოდა.¹⁰ ასეთი გადაწყვეტილების მიღებას

^[1] იქვე, 70-71.

^[2] იხ. პატარიძე, დავით აღმაშენ-ებელი: ნუმიზმატიკური მემ-კვიდრეობა, 52-60.

^[3] რასაც ხელს შეუწყობდა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატე-ბა და იერუსალიმის თემის აქტუალ-იზაცია მსოფლიო პოლიტიკაში.

^[4] მისთვის დამახასიათებელია ასეთი ქცევა. როგორც ე. ისტმონ-დი წერს, დავით აღმაშენებლის ამბიციები ბიზანტიის მიბაძვას კი არ გულისხმობდა, არამედ მის ჩანაცვლებას; ამიტომ, ის ბრმად კი არ ბაძავდა ბიზანტიურ ნი-მუშებს, არამედ ცვლიდა და თავის


^[5] საჭიროებისამებრ იყენებდა მათ. Eastmond, Royal Imagery in Medieval Georgia, 70.

^[6] ჯვარი ოთხი ბეზანტით იერუ-სალიმის ჯვრის ვარიანტია, იმავე სიმბოლიკის მატარებელია და ჯვარცმულ მაცხოვარს განასახი-ერებს.



სურ. 165
საული ჯვარ-ბეზანტებიანი დრო-
შის თანხლებით. Vat. gr. 752, f. 54r.
XI ს. ვატიკანის ბიბლიოთეკა.

სურ. 166
ისუ ნავეს ძე ჯვარ-ბეზანტებიანი
დროშით. Vat. gr. 752, f. 153r. XI ს.
ვატიკანის ბიბლიოთეკა.



სურ. 167
საული ჯვარ-ბეზან-
ტებიანი დროშასთან
ერთად. Vat. gr. 752, f.
448v. XI ს. ვატიკანის
ბიბლიოთეკა.

სურ. 168
ჯვარ-ბეზანტებიანი
დროშა წინ მიუძღ-
ვის იმპერატორს. Ms
Sinaiticus Gr. 3, f. 29v.
X-XI სს. სინას მთის
წმინდა ეკატერინეს
მონასტერი.



სამეფო საბუთებზე ქართველი მეფეების მიერ იერუსალიმის ჯვრის დასმის უკვე ნახ-ევარსაუკუნოვანი პრაქტიკაც გაადვილებდა. ერთიანი მონარქიის დროშა, ისევე რო-გორც მისი სხვა ინსტიტუტები, დავით აღმაშენებლის მიერ რომ არის შექმნილი, ამაზე მისი სახელიც უნდა მიანიშნებდეს – „დავითიანი“.¹¹ სხვა უფრო ახლო პარალელი ქარ-თულ სინამდვილეში გაჩენილი იერუსალიმის ჯვრის კომპოზიციისათვის, რომელიც ასე ხშირად გვხვდება სამეფო ნიშნებზე და ვესკონტეს პორტოლანებზეც იჩინა თავი, არ მეგულება.¹²

და თუ ასეა, მაშინ დგება საკითხი გორგასლიან-დავითიანი დროშის უწყვეტობისა და საუკუნეების სიღრმიდან მისი მომდინარეობის შესახებ. აქამდე, ქართული ისტო-რიოგრაფია უკრიტიკოდ იღებდა მემატიანეთა ინფორმაციას ამ დროშის შესახებ და მიიჩნევდა, რომ ერთიანი მონარქიის დროშა ჯერ კიდევ გორგასლის ეპოქიდან გვაქვს. საქმე ისაა, რომ გორგასლიან-დავითიანი დროშის ცნება XII საუკუნის II ნახევარში ჩანს გაჩენილი ან კიდევ უფრო გვიან; ყოველ შემთხვევაში, XIII საუკუნის დამდეგზე უფრო ადრე ის არსად არ იხსენიება.¹³ გორგასლიან დროშას არ ახსენებს არც სუმბატ დავი-თის ძე და არც „მატიანე ქართლისაჲ“, რომლებიც დავით IV-მდე მოგვითხრობენ ბაგრა-ტიონთა ისტორიას. თავის ანდერძში დავით აღმაშენებელი მას მოიხსენებს როგორც „დროშა ჩემი სვიანი“¹⁴ და ტახტის მემკვიდრეს დემეტრე I-ს უტოვებს; ვახტანგ გორგას-ლის სახელს არც ის ახსენებს.¹⁵ ეს იმას უნდა გვანიშნებდეს, რომ დროშა მას მემკვიდრე-ობით კი არ მიუღია გორგასლისა ან, თუნდაც, ბაგრატიონებისაგან, არამედ მისია, მისი შექმნილია.¹⁶

გორგასლიან-დავითიანი დროშას იმ შემთხვევაში დაერქმეოდა, თუკი ის (ან მისი აღწერილობა) მართლაც აღმოჩნდებოდა ბაგრატიონთა ხელში ვახტანგ გორგასლის შემდეგ. მაგრამ ასეთი გარემოება ძნელად სარწმუნოა და მართალია ივ. ჯავახიშვილი, როდესაც არ სჯეროდა, რომ „მრავალგვარი და ხანგრძლივი პოლიტიკური უკუღმარ-თობის გამო, რომელიც აღმოს. საქართველოს ვახტანგ გორგასლის შემდგომ თავს დაა-ტყდა“, მის დროშას ერთიანი მონარქიის ხანამდე მიეღწია.¹⁷ სხვას რომ თავი გავანებოთ, ასეთი დროშა რომც არსებულებო, ის ტაოს ბაგრატიონთა საკუთრება უნდა ყოფილიყო და არა აფხაზეთის სამეფოსი.

შეიძლება დაუშვავთ ვარაუდი, რომ ძველი დროშის რაიმე ნიშანი – თეთრი ფერი ან სულაც, თეთრ ველზე ერთი (წითელი?) ჯვარი – ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან მემ-კვიდრეობით ერგო ბაგრატიონებს, რასაც დავითის დროს ოთხი დისკო (ბეზანტი) დაე-მატა. ეს ცვლილება ისეთი რადიკალურიც არ იყო, რომ დროშას ძველი სახე და, შესა-ბამისად, სახელიც დაეკარგა. მაგრამ უფრო რეალურად თუ ვიმსჯელებთ, იმ დასკვნამ-დე უნდა მივიდეთ, რომ გორგასლიანი დროშა სამეფო პროპაგანდის მიერ გამიზნულად შეთხზული ლეგენდაა, რომელმაც სახელოვანი წინაპრის სახელის გამოიყენა დავით აღმაშენებლის მიერ ბიზანტიიდან გადმოღებული დროშისათვის.

რა აუცილებლობამ განაპირობა ვახტანგ გორგასლის სახელის ამოტივტივება ერ-თიანი მონარქიის ხანაში?

დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, ძლიერების ზენიტში მყოფი ბაგრატიონი მონარქები თავს ბიზანტიის იმპერატორების თანასწორებად თვლიდნენ და უმთავრე-

დროშა იახლის მსრველად მტერთათ-ვის“ (იოანე შავთელი, *აბდულმესიანი*, 127); „დროშისა, სჳანად მოჴმარებუ-ლისა, ბაგრატიანურისა და უფროსლა გორგასლიანურისა“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 438), „დროშა იგი გორგასლიანი“ (იქვე, 441), „დროშა სჳანად ჴმარებული, გორგასლიანი და დავითიანი“ (იქვე, 472); „მალისა და საჩინოსა დავი-თიანისა დროშისა გამარჯუბული-სა... დროშა დავითიანი და გორგას-ლიანი“ (ჟამთააღმწერელი, „ასნლო-ვანი მატიანე“, 533).

¹⁴ სხვათა შორის, ეპითეტი „სჳანი“, რომლითაც ხშირად ამკობდნენ ქა-რთულ დროშას, დავითის მიერაა მოწოდებული და პირველად მისი ან-დერძის ტექსტში გვხვდება.

¹⁵ „ანდერძი დავით მეფისა“, *ქართუ-ლი ისტორიული საბუთები IX-XIII სს.*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზა-დეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შო-შიაშვილმა (თბილისი, 1984), 62.

¹⁶ ბიზანტიისაგან განსხვავებით, საქართველოში ერთი იქნებოდა სამეფო და დინასტიური დროშები, რადგან ქვეყანას მხოლოდ ბაგრა-ტიონთა დინასტია მართავდა. ამ მხ-რივ საინტერესოა ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიების შედარება: ტრაპიზონის დროშაზე მსჯელო-ბისას, ს. კარპოვი მიუთითებს, რომ „თუ ბიზანტიის მიმართ გამოყენებ-ისას შესაძლებელია დაისვას კითხვა დინასტიურ და ზოგადად იმპერიულ დროშებს შორის განსხვავების შეს-ახებ, ტრაპიზონის იმპერიისთვის, რომელსაც ერთი დინასტია მართა-ვდა და იმპერიაც მასთან იყო იდენ-ტიფიცირებული, ასეთი განსხვავება, როგორც ჩანს, არ არსებობდა. ყოე-ელ შემთხვევაში, ის არ არის დაფიქ-სირებული არც წერილობით და არც იკონოგრაფიულ წყაროებში“. С.П. Карпов, “К вопросу о государственной символике в поздневизантийском мире: Герб и флаг Трапезундской империи. // *Вспомогательные исторические дисциплины*, т. XXX (2007), 230.

¹⁷ ჯავახიშვილი, „ქართული სამართ-ლის ისტორია“, 158-59.

დროშა, რომელიც 1210 წელს, ანუ თხზულება 1210 წლის შემდეგ არის დაწერილი. მათ შორის სხვაობა ათიოდე წელი თუ იქნება.

¹⁸ სინას ხატის ბერძნულ წარწერაში დავით IV „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ ბასილევსად იწოდება (დარეჯან კლ-დიაშვილი, „სინის მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრე-ტული გამოსახულებით“, *მრავალთა-ვი*, XV (1989), 119), ხოლო „ისტორიან-ისა და აზმანის“ ავტორი, გიორგი III-ისა და თამარის მეფობის აღწერისას, თავის ტექსტს „ვასილოღრაფიას“ უწოდებს („ისტორიანი და აზმანი შარ-ავანდედთანი“, 378), ანუ ბასილევსთა (იმპერატორთა) ცხოვრების თხრო-ბას. Stephen H. Rapp Jr., “From *Bumber-azi* to *Basileus*: Writing Cultural Synthesis and Dynastic Change in Medieval Georgia (K’art’li),” in *Eastern Approaches to Byz-antium*, ed. Antony Eastmond (Aldershot, 2001), 114.

¹⁹ Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 94, 96, 184, 220. თავის როლს ითამაშებდა ის გარემოებაც, რომ ბიზანტიური კულტურა მტრულად უყურებდა ქალის სქესს და უარყოფ-ითად აფასებდა მის როლს სახელმწი-ფოს მართვაში. იქვე, 131-32.

²⁰ ე. ისტმონდიც აღნიშნავს, რომ თამარის მეფობაში ძალაუფლების ბიზანტიურ იდეალებს სულ უფრო და უფრო ავსებდა მოდელები ქართული წარსულიდან. იქვე, 183.

²¹ „აბდულმესიანში“ ასახულია ბა-სიანის ბრძოლა (1202) და ტრაპიზო-ნის იმპერიის დაარსება (1204), თუმ-ცა თამარიცა და დავით სოსლანიც ცოცხალია, „ისტორიანი და აზმანის“ დაწერის დროს კი ორივე მათგანი გარდაცვლილია, ანუ თხზულება 1210 წლის შემდეგ არის დაწერილი. მათ შორის სხვაობა ათიოდე წელი თუ იქნება.

სად ძალაუფლების ბიზანტიურ ატრიბუტიკას იყენებდნენ.¹⁸ მდგომარეობა იცვლება XII საუკუნის II ნახევარში, როდესაც სამეფო ხელისუფლების რეპრეზენტაციაში ახალი მოტივები შეინიშნება, რაც სამეფოს გაზრდილი საზღვრებითა და ხელისუფლების ლე-გიტიმაციის სურვილით უნდა იყოს განპირობებული: კავკასიასა და აღმოსავლეთ ანა-ტოლიაში საქართველოს მზარდი დომინაციის შედეგად სომეხ და მუსლიმ ქვეშევრდომთა რიცხვმა იმატა, იმპერიის ფარგლებში შემავალი სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები კი ძალაუფლების განსხვავებულ მოდელებს საჭიროებდნენ.¹⁹ რაც მთავარია, გიორგი III-სა და თამარის მეფობაში, შინაომების შემდეგ, მძაფრად დადგა დინასტიის ლე-გიტიმაციის საკითხი.

ასეთ ვითარებაში, ბიზანტიურ მოდელებთან ერთად კვლავ ჩნდება საუკუნეებით მივიწყებული ხოსროიანი მეფეების სახეები.²⁰ ეს მოტივი ყველაზე გამოკვეთილად თამარის პირველ ისტორიკოსთან გვხვდება, მაგრამ ოფიციალურად პირველად იო-ანე შავთელის „აბდულმესიანში“ უნდა გაჟღერებულებო, რომელიც „ისტორიანი და აზმანზე“ რამდენიმე წლით ადრე დაწერილი ჩანს.²¹ შავთელის მიხედვით, დავით სო-სლანმა „გორგასლიანი, დავითიანი / დროშა იახლის მსრველად მტერთათვის“.²² იოანე შავთელთან, რომლის მესიანისტური ოდა ბაგრატიონების ლეგიტიმაციას ემსახურება (მათ უფალმა მისცა მეფობა და დაუმტკიცა დავით წინასწარმეტყველისთვის მიცემული ფიციტ)²³ და რომელიც თამარს რომისა („ხარ კეისარი“) და სპარსეთის („ჯიმშედ-მფლო-ბელი“) მმართველს უწოდებს,²⁴ ასეთი მოტივი სრულიად ბუნებრივია.

იდეა, რომელიც მონახაზის სახითაა მოცემული შავთელთან, სრულად არის გაშლი-ლი „ისტორიანი და აზმანის“ ანონიმი ავტორის მიერ, როგორც ბაგრატიონთა ლეგიტი-მაციის კიდევ ერთი მიმართულება. ამ თხზულებაში უხვად ჩანს ვახტანგ გორგასალთან შედარებები და ხოსროიანებთან პარალელები; აქ წარსული დინასტები გოლიათებად და ბაგრატიონთა წინამორბედებად არიან დასახულები: თამარი არის „ნაყოფი ხისაგან, დავითიანთაგან და ხუასროიანთაგან“,²⁵ ხოლო გიორგი III „გორგასლიანია“ და „ვახ-ტანგის სანატრელი“.²⁶ ის თითქოსდა ვახტანგ გორგასლის კვალზე დადის: „ამას ესე-ვითარსა მარჯუებასა და ზეობასა განამრავლნა საჭურჭლენიცა და დადვა თჳთ მისით მონაგები და მისთა ტყუეთაგან მონაგები ციხესა შინა უჯარმოსასა, რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან, რომელსა შინა თჳთ აღესრულა ღომი იგი ღომთა და გო-ლიათი გოლიათთა“;²⁷ გარდაცვლილ გიორგი III-ს ავტორი კვლავ ვახტანგ გორგასალს ადარებს: „და თჳთ იხილეს ტანითა გორგასლიანითა და მკლავითა აქილიანითა და პირ-ითა მნათობიერთა კაცი იროდ საგონებელი“.²⁸ დემეტრე I და გიორგი IV ლამაც არი-ან „გორგასლიანები“: „პაპსა ამათსა დემეტრეს, ჴელმწიფესა დიდსა და ჴელმწიფესა სახელგანთქმულსა, ჭბბუკსა გორგასლიანსა“;²⁹ „პირველ დარჩომასა თამარისსა და აღ-მოშობასა ძისა გორგასლიანისასა“.³⁰ აღსანიშნავია, რომ გორგასლიანი დროშის ლეგ-ენდა ძირითადად სწორედ „ისტორიანი და აზმანში“ გვხვდება. შემდგომში ის მხოლოდ ერთგანაა ნახსენები ჟამთააღმწერელთან და ისიც, საფიქრებელია, „ისტორიანი და აზმანის“ გავლენით.³¹

როგორც ჩანს, ამ ფონზეა აღმოცენებული გორგასლიანი დროშის ლეგენდა, რომე-ლიც ბაგრატიონთა დინასტიის განდიდებას ემსახურებოდა. ამ მიზნით სამეფო პროპა-

^[1] თეთრ-წითელი ფერების არჩევის მიზეზზე შეიძლება მხოლოდ ვიმარჩიელოთ, თუმცა შეიძლება საქმე მარტივად არის და ეს არჩევანი თავად აფხაზეთის სამეფოს არსებულმა დროშამ განაპირობა

^[2] რიტუალური ინერსია არც ისეთი იშვიათი მოვლენა იყო შუა

^[3] ბოლოს კი იმდენად გაისაკუთრეს, რომ 1571 წელს ლეპანტოს ბრძოლაში ზოგი მათგანი ესპანურ გემებზეც კი ფრიალებდა. Michel Pastoureau, “Du vague des drapeaux,” Le Genre humain, 20 (1989), 122.

^[4] გორგასლიან-დავითიანი დროშა შემდეგ ტექსტებში გვხვდება: „გორგასლიანი, დავითიანი /

^[5] იქვე, 118, 161.

^[6] იქვე, 128.

^[7] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 378.

^[8] იქვე, 380.


^[9] იქვე, 393.

^[10] იქვე, 400.

^[11] იქვე, 417.

^[12] იქვე, 429.

^[13] დამახასიათებელია, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი სამეფო დროშას მხოლოდ „დავითიანს“ უწოდებს. ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი“, 483.



განდამ გამოიყენა დროშა, როგორც სოციალური კომუნიკაციის მიმზიდველი ფორმა და ახალი ვითარების შესაფერისი სახელი მოუძებნა ბაგრატიონთა სამეფო სახლში არსებულ, დიდი დავითის მიერ შემუშავებულ ძლევამოსილ დროშას.

რაც შეეხება ხუთჯვრიან დროშას, პორტოლანების მიხედვით, ის XIV საუკუნის IV დეკადიდან დასტურდება საქართველოს მიწაზე. დროის ეს შუალედი გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანას შეესაბამება. ძნელია ითქვას, თუ რამდენად უკავშირდება ეს მოვლენა ცნობილ „კლიტენი იერუსალიმისანი“³² მიღების ფაქტს გიორგი V-ის მიერ;³³ შეიძლება, ეს ამბავი ერთგვარი ბიძგის მიმცემიც აღმოჩნდა, მაგრამ მთავარი უნდა ყოფილიყო დასავლური ჰერალდიკური და ვექსილოლოგიური ტრადიციის გავლენა, რომელმაც ამ დროისათვის უკვე დაამკვიდრა იერუსალიმის ხუთჯვრიანი კომპოზიცია. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს მეფემ, როგორც თავის დროზე მისმა დიდმა წინაპარმა, მიბაძა გაბატონებულ ქრისტიანულ ტენდენციას და დროშაში მცირე ცვლილების შეტანით, უფრო შთამბეჭდავი და გამომსახველობითი იერუსალიმის ჯვრის ვარიანტი დაამკვიდრა, რომლის სხვადასხვაგვარი ხუთჯვრიანი ფორმები უკვე კარგა ხანია ფეხმოკიდებული იყო ქართული ეკლესია-მონასტრების ფასადებზე. (სურ. 169)

მოვლენების ასეთი სავარაუდო განვითარება წინააღმდეგობაში არ მოდის ჟამთააღმწერელის ჩვენებასთან, რომელიც აიგივებს და ერთი სახელით მოიხსენიებს დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალის დროშასაც;³⁴ ის მინიმალური ჩარევა, რომელიც დროშის ოთხ პატარა დისკოსებურ ბეზანტს ჯვრად აქცევს, ისე რომ ინარჩუნებს ფერებს, განლაგებასა და დომინანტურ ცენტრალურ ჯვარს, იმდენად უმნიშვნელო იქნებოდა, რომ დროშისათვის ახალი სახელის დარქმევა არც დადგებოდა დღის წესრიგში: ის ყველასათვის ისევ ძველებურ, გორგასლიან-დავითიან დროშად დარჩებოდა. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟამთააღმწერელი 1330 წელს ცოცხალი აღარ უნდა იყოს,³⁵ ცხადი გახდება, რომ ის ვერც მოესწრებოდა დროშის ცვლილებას.

სურ. 169
თანამედროვე რეკონსტრუქცია: ა) ბიზანტიის საიმპერატორო დროშა XI საუკუნეში, ბ) ბიზანტიის საიმპერატორო დროშა XIV საუკუნეში, გ) ქართული სახელმწიფო დროშა XII საუკუნეში, დ) ქართული სახელმწიფო დროშა XIV საუკუნეში.

³² რაშიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ აღდგომის ეკლესიის კარიბჭის გასაღებები იგულისხმება.

³³ „ძეგლი ერისთავთა“, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II (თბილისი, 1965), 107.

³⁴ ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიაწე“, 533.

³⁵ იხ. ვაჟა კიკნაძე, „ვინ არის ჟამთააღმწერელი?“, მნათობი, 5 (1984), 156-57.

სურ. 170

ექვსქიმიანი ვარსკვლავი: ა) დავით VI ნარინის მონეტაზე. საქართველოს ეროვნული მუზეუმი; ბ) ზრესკის გიორგი IV ლაშას ხელიან ქვასვეტზე. ანა იმედაშვილის ფოტო.



საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიაში, ჯვაროსნულ აღმოსავლეთსა და საქართველოში მიმდინარე ვექსილოლოგიური ცვლილებები ასე გვესახება:

ევროპულ-ჯვაროსნული ხუთი ჯვრის წინამორბედი ბიზანტიური ხუთფიგურიანი კომპოზიციებია, მეტადრე დისკოებიანი (ბეზანტებიანი) ჯვრის გამოსახულებები;

ჯერ რომის, შემდეგ კი ბიზანტიის იმპერიიდან ეს კომპოზიცია (ჯვარი ოთხი ბეზანტით) ერთნაირი წარმატებით გადაიღო როგორც კათოლიკურმა ევროპამ, ისე მართლმადიდებლურმა საქართველომ;

XI საუკუნის ბიზანტიაში წითელი დროშა ოქროს ჯვრითა და ოთხი ბეზანტით საიმპერატორო დროშად გვევლინება;

XII საუკუნის დამდეგს, ბიზანტიური მაგალითით შთაგონებული, იმპერიის შენების პროცესში მყოფი დავით აღმაშენებელი, იერუსალიმის თეთრ-წითელ დროშას ამკვიდრებს საქართველოში;

ოთხ ბეზანტიანი ჯვრის ხუთ ჯვარად გადაქცევა გეომეტრიული კანონზომიერებაა, რომელიც შეინიშნება როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის საქრისტიანოში (მათ შორის, საქართველოშიც);

XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დასაწყისში ხუთი ჯვარი იერუსალიმის სიმბოლოდ იქცევა დასავლურ ჰერალდიკაში;

პირველივე ვექსილოლოგიური (ვესკონტეს ჯგუფის) პორტოლანები XIV საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოს ტერიტორიაზე გვიჩვენებენ დროშებს ჯვრითა და ოთხი ბეზანტით. პორტოლანების მონაცემები დასტურდება ქართული მასალითაც (სამეფო სიგელები, ქვასვეტები, მონეტები);

XIV საუკუნის IV დეკადიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ხუთჯვრიანი დროშები. როგორც ჩანს, საქართველო, რომლის სახელმწიფო იდეოლოგია იერუსალიმზე ორიენტირებული ქრისტიანობა იყო, დასავლურ ტენდენციას გაჰყვა და ხუთჯვრიანი კომპოზიცია დაამკვიდრა სახელმწიფო სიმბოლიკაში. ეს სრულიად ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა ბაგრატიონთა მხრიდან, იმ ბაგრატიონთა, რომლებიც შემთხვევას არ უშვებდნენ ქრისტესთან და იერუსალიმთან თავიანთი კავშირის წარმოსაჩენად.³⁶

როგორიც არ უნდა იყოს ასეთი დროშების გამოჩენის მიზეზი, შედეგი სახეზეა: XII-XIII საუკუნეების ჯვარ-ბეზანტებიანმა დროშამ სახე იცვალა და XIV საუკუნის 30-იან წლებში ხუთჯვრიან დროშად იქცა, თუმცა შეინარჩუნა თავისი ფერები და კომპოზიცია. ქართული თეთრ-წითელი იერუსალიმის ჯვრის ტრანსფორმაციის შემთხვევაში არაფერია უჩვეულო ან უცხო. ასეთი გზა გავლილი აქვს მრავალ მნიშვნელოვან ჰერალდიკურ სიმბოლოს მსოფლიოში და თავად იერუსალიმის ოქროსფერ-ვერცხლისფერ ჯვარსაც.

³⁶ გავიხსენოთ, თუნდაც დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი მათ მონეტებსა და სამეფო ხელებზე. (სურ. 170)

ბოლოთქა

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ხუთჯვრიანი დროშის გარშემო საქართველოში გაჩაღებული მძაფრი პოლემიკა ისე უცნაურადაც აღარ მოგვეჩვენება, თუ გავიაზრებთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში დროშა ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიმბოლოა.¹ ამ უბრალო გრაფიკულ სიმბოლოსთან მრავალი ემოცია, შიში და იმედია დაკავშირებული, რის გამოც დროშებზე ხანგრძლივად და მძაფრად კამათობდნენ ყველა კონტინენტზე – გერმანიაში, სამხრეთ აფრიკასა თუ კანადაში.² პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიაში დროშის კრიზისი (*Flaggenstreit*), სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა 1848 წლის რევოლუციის შავ-წითელ-ოქროსფერი დროშა და იმპერიული შავ-თეთრ-წითელი დროშა, იმდენად აქტუალური გახდა, რომ 1926 წელს კანცლერ ჰანს ლუთერის გადადგომა გამოიწვია.³

ამავე დროს, ცხადია, დაუსრულებელი ეჭვი და კამათი ისეთი მნიშვნელობის სიმბოლოს მიმართ, როგორიც სახელმწიფო დროშაა, ერთგვარად ღირსებას უკარგავს მას. უიტნი სმიტი, ვექსილოლოგიის ფუძემდებელი და თავად ამ ტერმინის ავტორი, რომელსაც კარგად ესმოდა დროშების სიმბოლიზმი და მათი ძალა, წერდა: „როდესაც დროშის მიმართ ადგილი აქვს სხვადასხვა ინსინუაციებს, მას ამცირებენ და აუგად იხსენიებენ, ის კარგავს თავის საკრალურობას (გნებავთ, სიდიადეს), რომელიც აუცილებელია ერის გაერთიანებისათვის, იდეოლოგიური პრინციპების განმტკიცებისა და თავდადებისათვის“.⁴

უტყვი სიმბოლოების მთელი არსენალიდან, დროშა ყველაზე ადვილად იზიდავს და გადმოცემს ემოციურ მუხტს, რის გამოც მას ფართოდ იყენებენ რიტუალებსა და ცერემონიებში.⁵ ეროვნული დროშა მოგვითხრობს ამბავს ქვეყნის წარსულსა და მოვლენაზე, რომელმაც ერის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ამასთან, აუცილებელი არ არის ეს ამბავი ისტორიულად ზუსტი იყოს. დროშის გამოყენების წესები, ცერემონიები, ტრადიციები, სამთავრობო პროპაგანდის ჩათვლით, გავლენას ახდენს ადამიანთა აზროვნებასა და ქმედებაზე. იმ პრინციპების რწმენა, რომელსაც დროშა განასახიერებს, ადამიანებს თავგანწირვისკენაც კი უბიძგებს.⁶

ჰერალდიკის ისტორიაში გერბის განვითარება წინ უსწრებდა დროშისას და ის ყოველთვის გერბიდან მომდინარეობდა. დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა და დღეს ეროვნულ დროშას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში – მნიშვნელობა, რომელიც ბევრად აღემატება ეროვნულ გერბს. არ არსებობს მსოფლიო ისტორიის უკეთესი ან უფრო დასამახსოვრებელი ილუსტრაცია, ვიდრე დროშების

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

ზღაპრული დროშები, რომლებიც გამოიყენებოდა 19-18-ე საუკუნეებში

^[1] Whitney Smith, “The Principles of Vexillology,” in *Proceedings of the Twenty-Third International Congress of Vexillology*, eds. Miru Takano and Zachary Harden (Tokyo, 2011), 1.

^[2] William G. Crampton. “Flags as Non-verbal Symbols in the Management of National Identity,” PhD thesis (University of Manchester, 1994), 11.

^[3] იქვე, 83-140.

^[4] Smith, “Flag Abuse,” 87.

^[5] Crampton. “Flags as Non-verbal Symbols,” 170.

^[6] Whitney Smith, *Flag Lore of All Nations*, Brookfield, 2003), 5.


ისტორიაა. ვინც იცის სახელმწიფო დროშის ისტორია, იცის მისი პოლიტიკური ისტორიაც.⁷ ჰანს ფონ ჰორსტმანის ამ დებულებიდან რომ ამოვიდეთ, ვნახოთ, თუ რას წარმოიდგენდა, მაგალითად, 1918-21 წლების სამფეროვანი დროშის შემხედვარე უცხოელი, რომელმაც იცის ისტორია და ჰერალდიკა, მაგრამ არ იცნობს ჩვენი ქვეყნის წარსულს: ის იფიქრებდა, რომ საქმე აქვს ევროპული რესპუბლიკური იდეების მიმდევარ ერთან (და ეს მართალი იქნებოდა), რომელიც არც მთლად გამართულად არის გადმოცემული ჰერალდიკურად. და რას ფიქრობს იგივე პიროვნება, რომელიც ხუთჯვრიან დროშას უყურებს? ის წარმოიდგენს ქრისტიან ერს, რომელსაც აქვს მაცხოვართან და იერუსალიმთან დაკავშირებული უძველესი ისტორია, რომელიც დროშაზე ევროპული ჰერალდიკის წესების დაცვით არის გადმოცემული. ახლა კი საკუთარ თავს ვკითხოთ, რომელი შეხედულება უკეთ ასახავს ქართველი ერის ისტორიას?

დღეს ხუთჯვრიანი დროშა გათავისებული აქვს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, რაშიც თავის დადებით როლს თამაშობს დროშის იშვიათი მხატვრული სახე და უზადო გეომეტრიული კომპოზიცია, რაც მას დედამიწაზე არსებულ უამრავ ალამს შორის გამოარჩევს.

ბოლოს და ბოლოს, რას განასახიერებს ეს ხუთი ჯვარი – ქრისტიანობას და მის მთავარ ფიგურას, იესო ქრისტეს – ორიენტირს როგორც ქართველი ერისათვის, ისე მისი სამეფო დინასტიისათვის. **იერუსალიმის ხუთ ჯვარზე უფრო ზუსტად, ლაკონურად და ლამაზად ვერცერთი სხვა სიმბოლო ვერ გადმოსცემს ქართველი ერის განვლილ გზას**, რომელიც მ. თამარაშვილის სიტყვებით „მარადიული ჯვაროსანია“, „მისი ისტორია კი – მარადიული მარტიროლოგი“.⁸


ევროპული საზღვარი იქნება დიდი
საქართველოს ტერიტორიაზე

გადაწყვეტილი



რუკა 15

შავი ზღვის რუკა პიეტრო ვესკონტეს 1320 წლის ატლასიდან. პორტოლანების იტალიური სკოლა. Biblioteca Apostolica Vaticana, MS Pal. Lat. 1362A, ff. 2v-3r. სებასტოპოლზე სამკუდიანი დროშა თეთრ ველზე წითელი ჯვრითა და ოთხი ბეზანტი, ფოთზე – სამკუდიანი დროშა ოქროსფერ ველზე ლაჟვარდოვანი ჯვრით.




რუკა 16

შავი ზღვის რუკა პიეტრო ვესკონტეს 1325 წლის ატლასიდან. იტალიური სკოლა. British Library, Add MS 27376. სებასტოპოლზე სამკუდიანი დროშა თეთრ ველზე წითელი ჯვრითა და ოთხი ბეზანტი, ფოთზე – სამკუდიანი დროშა ოქროსფერ ველზე ლაჟვარდოვანი ჯვრით.




რუკა 17
ჯოვანი და კარინიანოს
დ.1328/9 წწ. სმელთაშუა ზღ-
ვის, შავი ზღვისა და დასავ-
ლეთ ევროპის რუკა. გენუის
სკოლა. განადგურდა II მსოფ-
ლიო ომის დროს. Collezione Al-
berto Quartapelle.
გერბები საქართველოს ტერ-
იტორიაზე: ბიჭვინთა – ირიბი
და ჰორიზონტალური ზოლე-
ბი, სებასტოპოლი – ჰორი-
ზონტალური ზოლები, ფოთი
– ჰორიზონტალური ზოლე-
ბი, ბათუმი – ვერტიკალური
ზოლები.



რუკა 18
 ანჯელინოდულჩეტის 1330 წლის ხმელთაშუა
 ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ ევროპის
 რუკა. კატალანური სკოლა. ფლორენცია,
 ფილიპო კორსინის კერძო კოლექცია.
 სეზასტოპოლზე დროშა თეთრ ველზე ირიბი
 მწვანე ზოლებით.




რუკა 19
 ანჯელინო დელჩეტის
 1340 წლის ხმელთაშუა
 ზღვის, შავი ზღვისა და
 დასავლეთ ევროპის რუკა.
 კატალანური სკოლა. Brit-
 ish Library, Add MS 25691.
 სებასტიანოლზე ორად
 გაყოფილი დროშა წითე-
 ლი ხუთი ჯვრითა და ირი-
 ბი მწვანე ზოლებით.



რუკა 20
 ფრანკესკო და დომენიკო
 პიციგანების 1367 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი
 ზღვისა და დასავლეთ ევ-
 როპის რუკა. ვენეციური
 სკოლა. Biblioteca Palatina di
 Parma, MS Parm. 1612.
 თბილისზე წითელი ხუთ-
 ჯვრიანი დროშა




რუკა 21
გილელმო სოლერის 1368-85 წწ.
ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა
და დასავლეთ ევროპის რუკა. კატ-
ალანური სკოლა. Bibliothèque natio-
nale de France, MS GE B-1131 (RES).
სეზასტოპოლზე დროშა ხელით წი-
თელ ველზე.



რუკა 22
 ჟოჰანეს დე ვილადესტესი,
 1428 წ. სმელთაშუა ზღვის,
 შავი ზღვისა და დასავლეთ
 ევროპის რუკა. კატალანური
 სკოლა. Topkapi Sarayı Müzesi
 Kütüphanesi, MS Hazine 1826.
 სეზასტოპოლზე დროშა ხე-
 ლით ნიშნულ ველზე.




რუკა 23
გაბრიელ დე ვალსეკას 1439
წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი
პის რუკა. კატალანური სკო-
ლა. Biblioteca de Catalunya (on
deposit at the Museo Marítimo,
Barcelona), Inv. 3236.
სეზასტოპოლზე ორად გაყო-
ფილი დროშა წითელი ხუთი
ჯვრითა და ირიბი მწვანე
ზოლებით.




რუკა 24
 გაბრიელ დე ვალსეკას ატელიე, 1440
 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა
 და დასავლეთი ევროპის რუკა. კატ-
 ალანური სკოლა. Biblioteca Nazionale
 Centrale di Firenze, MS Port. N.16.
 სეზასტოპოლზე ორად გაყოფილი
 დროშა წითელი ხუთი ჯვრითა და ირიბი
 მწვანე ზოლებით.




რუკა 25
 გაბრიელ დე ვალსეკას 1447
 წლის ხმელთაშუა და შავი
 ზღვების რუკა. კატალანუ-
 რი სკოლა. Bibliothèque natio-
 nale de France, MS GE C-4607
 (RES).
 სეზასტოპოლზე ორად გაყო-
 ფილი დროშა წითელი ხუთი
 ჯვრითა და ირიბი მწვანე
 ზოლებით.




რუკა 26
გაბრიელ დე ვალსეკას 1449
წლის ხმელთაშუა და შავი
ზღვების რუკა. კატალანური
სკოლა. Archivio di Stato di Firen-
ze, MS CN 22.
სებასტიანოლზე ორად გაყოფი-
ლი დროშა წითელი ხუთი ჯვარი-
თა და ირიბი მწვანე ზოლებით.



რუკა 27
რაფელ სოლერის 1425-
50 წწ. ხმელთაშუა და
შავი ზღვების რუკა.
კატალანური სკოლა.
Das Geographische Institut
(Humboldt-Universität), MS
H14-12.
სეზასტოპოლზე ორად
გაყოფილი დროშა წითე-
ლი ხუთი ჯვრითა და
ირიბი მწვანე ზოლებით.




რუკა 28
 რაფელ სოლერის 1425-50 წწ. ხმელთაშუა ზღ-
 ვის, შავი ზღვისა და დასავლეთი ევროპის რუკა.
 კატალანური სკოლა. Bibliothèque nationale de
 France, MS GE B-8268 (RES).
 სეზასტოპოლზე ორად გაყოფილი დროშა წითე-
 ლი ხუთი ჯვრითა და ირიბი მწვანე ზოლებით.




რუკა 29
 ხაიმე ბერტრანისა და ბერენგერ
 რიპოლის 1456 წლის ხმელთაშუა
 ზღვის, შავი ზღვისა და დასავლეთ
 ევროპის რუკა. კატალანური სკოლა.
 National Maritime Museum, Greenwich,
 MS G230:1/7.
 სეზასტოპოლზე ორად გაყოფილი
 დროშა წითელი ხუთი ჯვრითა და
 ირიბი მწვანე ზოლებით.



რუკა 30
ანონიმის 1450-60 წწ. კატალანური მსოფლიოს
რუკა. Estensi Digital Library, Biblioteca Estense Uni-
versitaria.
სებასტიანოლზე ორად გაყოფილი დროშა წითელი
ჯვრითა და ირიბი მწვანე ზოლებით.



რუკა 31
ანდრეა ბენინკაზას 1476 წლის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავ-
ლეთი ნაწილისა და შავი ზღვის რუკა. იტალიური სკოლა.
Bibliothèque de Genève, Ms. lat. 81, f. 3v.
სებასტიანოლზე ორნაწილიანი დროშა ერთში ირიბი მწვანე
ზოლებით, მეორე ნაწილია.




რუკა 32
 ანდრეა ბენინკაზას 1508 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა
 და აღმოსავლეთ ატლანტიკის
 რუკა. იტალიური სკოლა.
 Biblioteca Apostolica Vaticana, MS
 Borg. Carte.naut.VIII.
 სეზასტოპოლზე ორნაწილიანი
 დროშა ერთში ირიბი მწვანე
 ზოლებით, მეორე წაშლილია.




რუკა 33
ესპანელი ანონიმის დ.1487 წლის
ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვისა და
დასავლეთ ევროპის რუკა. კატალანური
სკოლა. Archivio di Stato di Firenze, MS CN
08.

სეზასტოპოლზე ორად გაყოფილი დროშა
წითელი ხუთი ჯვრითა და ირიბი მწვანე
ზოლებით, დაზიანებული ზედა ნაწილით.




რუკა 34
 ხორხე დე აგიარის 1492 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღ-
 ვისა და აღმოსავლეთ ატლან-
 ტიკის რუკა. პორტუგალიური
 სკოლა. Beinecke Rare Book and
 Manuscript Library, MS Art Storage
 30cea 1492.
 სოჭთან ირიბად გადაკვეთილი,
 ოთხნაწილიანი ლაჟვარდო-
 ვან-მწვანე დროშა.



რუკა 35
ანონიმის დ.1500 წლის
ხმელთაშუა ზღვისა და
შავი ზღვის რუკა. Hispanic
Society of America, MS
K28.
სებასტოპოლზე ორად
გაყოფილი დროშა წითე-
ლი ხუთი ჯვრითა და
ირიბი მწვანე ზოლებით.




რუკა 36
პორტუგალიელი ანონიმის 1502 წ. კანტინოს
პლანისფერო, მსოფლიოს საზღვაო რუკა. პორ-
ტუგალიური სკოლა. Biblioteca Estense Universitar-
ia, Modena, MS C.G.A.2.
ფაზისთან წითელ-ლურჯ-წითელი დროშა ნახე-
ვარმთვარეებით.




რუკა 37
 ჯაკოპო რუსოს 1533 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღ-
 ვისა და დასავლეთ ევროპის
 რუკა. კატალანური სკოლა.
 Nationaal Archief, Hague, MS
 4.VTH-3803.
 სეზასტოპოლზე ოსმალუ-
 რი დროშა წითელ ველზე
 ოქროს ნახევარმთვარით, და-
 ზიანებული.



რუკა 38
 ლოპუ ჰომეის 1554 წლის
 პლანისფერო, მსოფლიოს
 საზღვარო რუკა. პორტუ-
 გალიური სკოლა. Istituto e
 Museo di Storia della Scienza,
 Firenze, MS SD A 037.
 ბიჭვინთის კონცხთან
 ოქროს ჯვრით ოთხად
 გაყოფილი ლაფვარდო-
 ვან-წითელი დროშა ოთხი
 კვებით.



რუკა 39
 ჯორჯიო სიდერის (კალაპოდა)
 1561 წლის ხმელთაშუა ზღვის,
 შავი ზღვისა და დასავლეთ ევ-
 როპის რუკა. კრეტას სკოლა.
 Museo Correr, Venezia, MS Port.
 08.
 ბომბორას ყურეზე ოსმალური
 დროშა წითელ ველზე ოქროს
 ნახევარმთვარითა და ხუთი
 წერტილით.




რუკა 40
 ჯორჯიო სიდერის (კალაპო-
 და) 1565 წლის ხმელთაშუა
 ზღვის, შავი ზღვისა და
 დასავლეთი ევროპის რუკა.
 კრეტას სკოლა. Bibliothèque
 nationale de France, MS GE D
 4497 (RES).
 ალაზაძეზე ოსმალური
 დროშა ყვითელ ველზე შავი
 ნახევარმთვარითა და ხუთი
 წერტილით.



რუკა 41
დიოგუ პომეზის 1559 წლის შავი ზღვის რუკა. პორტუგალიური
სკოლა. Bibliothèque nationale de France, MS CPL GE DD-2003 (RES).
სამეგრელოზე ორკუდა მწვანე დროშა ოქროს (გაცრეცილი) ნახე-
ვარმთვარიტა და ოქროს კვესებით.



რუკა 42
დიოგუ პომეზის 1561 წლის სმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი
ნაწილის, ეგეოსისა და შავი ზღვების რუკა. პორტუგალიური
სკოლა. Österreichische Nationalbibliothek, Wien, MS Cod. 335, f. 12.
სამეგრელოზე დროშა ოქროს ჯვრით წითელ ველზე.




რუკა 43
დიოგუ ჰომეის დ.1560 წ.
ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღ-
ვისა და დასავლეთ ევროპის
რუკა. პორტუგალიური სკო-
ლა. Biblioteca Guarnacci, Volter-
ra, ხელნაწერი ნომერი უცნო-
ბია.
სამეგრელოზე დროშა ოქროს
ჯვრით ოთხად გაყოფილი
თეთრ-წითელი ველით.



რუკა 44
 დიოგუ პომეის 1561 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი
 ზღვისა და დასავლეთ ევ-
 როპის რუკა. პორტუგალი-
 ური სკოლა. Biblioteca Pala-
 tina di Parma, MS Palatina 40
 dell'inventario.
 სამეგრელოზე დროშა ოქ-
 როს ჯვრით წითელ ველზე.


რუკა 46


პორტუგალიელი ანონიმის 1550-60 წწ. ხმელთაშუა და შავი ზღვების აღმოსავლეთი ნაწილების რუკა. პორტუგალიური სკოლა. National Maritime Museum, Greenwich, MS P/14. კოდორთან ოსმალური დროშა ოქროს ნახევარმთვარით ლაფეარდოვან ველზე.



რუკა 47

ჟაუმა ოლივას 1572 წლის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილისა და შავი ზღვის რუკა. კატალანური სკოლა. Médiatèque Simone Weil, Ms. 488. სებასტოპოლზე ოსმალური დროშა ლაფეარდოვანი ნახევარმთვარით.






რუკა 48
 ჟაუმა ოლივას 1563 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღ-
 ვისა და დასავლეთ ევროპის
 რუკა. კატალანური სკოლა.
 Beinecke Rare Book and Man-
 uscript Library, MS Art Storage
 30cea 1563.
 სეზასტოპოლზე ოსმალური
 დროშა ოქროს ნახევარმთ-
 ვარით წითელ ველზე.



რუკა 49
 ჯაკოპო მაჯიოლოს 1561 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღ-
 ვის, აფრიკის დასავლეთ სანა-
 პიროსა და ევროპის დასავლეთ
 სანაპიროს რუკა. იტალიური
 სკოლა. Galata Museo del Mare,
 Inv. no. 3372.
 სეზასტოპოლზე ოსმალური
 დროშა წითელი ნახევარმთ-
 ვარით ოქროს ველზე.



რუკა 50
 ჯაკოპო მაჯიოლოს 1563 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღ-
 ვისა და დასავლეთ ევროპის
 რუკა. იტალიური სკოლა. Bib-
 liothèque nationale de France, MS
 Sgy 1704 Rés.
 ქუთაისისა და ახალციხეზე –
 ოსმალური დროშები წითელი
 ნახევარმთვარით ოქროს
 ველზე.




რუკა 51
 ჯაკოპო მაჯიოლოს 1564 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღ-
 ვის, ევროპისა და აფრიკის
 დასავლეთ სანაპიროს რუკა.
 იტალიური სკოლა. Bibliote-
 ca Civica Berio, Genova, MS
 BEA0026166V.
 სეზასტოპოლსა და ფოთზე –
 ოსმალური დროშები წითელი
 ნახევარმთვარით ოქროს ველ-
 ზე.



რუკა 52
 ჯაკობო მაჯიოლოს 1602 წლის
 ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღ-
 ვისა, ევროპისა და ჩრდილოეთ
 აფრიკის რუკა. იტალიური
 სკოლა. Biblioteca Ambrosiana,
 MS SP 11/18.
 სეზასტოპოლისა და ფოთზე –
 ოსმალური დროშები წითელი
 ნახევარმთვარით ოქროს ველ-
 ზე.

რუკა 53
ლაზარე ლუისის 1563 წლის
ხმელთაშუა ზღვის, შავი
ზღვისა და ევროპის რუკა.
პორტუგალიური სკოლა. Ac-
ademia das Ciências de Lisboa.
აფხაზეთზე დროშა ლაჟვარ-
დოვან ველზე ოქროს რვა-
ქიმიანი ვარსკვლავით.







რუკა 54
დომინგო ოლივას 1568 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი
ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკა. კატალანური სკო-
ლა. Helsinki University Library.
სეზასტოპოლზე დროშა ოქროს ღუზით წითელ ველზე.




რუკა 55
 დომინგო ოლივას 1568 წლის
 ხმელთაშუა ზღვისა და შავი
 ზღვის რუკა. კატალანური
 სკოლა. Newberry Library, Ayer
 MS map-16.
 სეზასტოპოლზე დროშა ოქრ-
 ოს ლუზით ნითელ ველზე.



რუკა 56
ჯოან მარტინესის
1571 წლის აღმოსავ-
ლეთ ხმელთაშუა ზღ-
ვისა და შავი ზღვის
რუკა. კატალანური
სკოლა. Galata Museo
del Mare, Inv. no. 3483.
სეზასტოპოლზე ოს-
მალური დროშა ოქ-
როს ნახევარმთვა-
რით წითელ ველზე.



რუკა 57
ჯოან მარტინესის
1578 წლის აღმოსავ-
ლეთ ხმელთაშუა ზღ-
ვისა და შავი ზღვის
რუკა. კატალანური
სკოლა. Huntington Li-
brary, MS HM 33.
სეზასტოპოლზე ოს-
მალური დროშა ვერ-
ცხლის ნახევარმთ-
ვარით წითელ ველზე.




რუკა 58
 ჯოან მარტინესის 1583
 წლის ხმელთაშუა ზღვის,
 შავი ზღვისა და დასავლეთ
 ევროპის რუკა, ბრიტანე-
 თის კუნძულებით. კატ-
 ალანური სკოლა. Biblio-
 thèque nationale de France, MS
 Ge DD 682 Rés.
 სეზასტოპოლზე ოსმალური
 დროშა წითელი ნახევარ-
 მთვარით ოქროს ველზე.





რუკა 59
დომინგუს ტეშეირას 1573 წლის პლანისფერო, მსოფლიოს საზღვაო რუკა. პორტუგალიური სკოლა. Bibliothèque nationale de France, GE SH ARCH-3. დასავლეთ საქართველოზე თურქული გერბი – ნახევარმთვარე ლაჟვარდოვან-წითელ ფარზე.

რუკა 60
ანტონიო მილოს 1583
წლის შავი ზღვის რუკა.
პოლონეთის ნაციონალური
ბიბლიოთეკა, Biblioteka Narodowa, MS
BN 0.2399.
ფოთზე ოქროს ოსმალური
ნაბევაზობის ლაქ-
ვარდოვან ველზე, სეზას-
ტოპოლზე – ორი ოქროს
ოსმალური ნაბევაზობის
ვარდოვან ნერტილებით წი-
თელ ველზე.



რუკა 61
ჯოან ოლივას 1592
წლის შვედეთის
ზღვის აღმოსავლეთი
ნაწილისა და
შავი ზღვის რუკა.
კატალანური სკო-
ლა. National Mari-
time Museum, Green-
wich, MS P/22.
სეზასტოპოლზე
დროშა სამი ოქროს
ბეზანტით ირიბად
წითელ ველზე.





რუკა 62
 ჯოან ოლივას 1602 წლის ხმელთაშუა ზღვის, შავი
 ზღვისა და დასავლეთ ევროპის რუკა. კატალანური
 სკოლა. Huntington Library, MS HM 40.
 სეზასტოპოლზე დროშა სამი ბეზანტი ირიბად წი-
 თელ ველზე.

**GEORGIAN FLAGS
AND
EUROPEAN PORTOLANS**

Summary

Introduction

The flag is an integral part of our daily lives. While flags were primarily used for military purposes in ancient times, they are now widely adopted by countries, cities, and organizations. They are hoisted on cars, ships, and buildings, utilized in various ceremonies, and prominently displayed during sports events. Flags remain a key instrument of political expression, often seen during elections, demonstrations, or revolutions. As William Crampton aptly noted, “a nation is not a nation today unless its flag is flying outside the UN headquarters.”

The precise design of the “Gorgasliani-Davitiani” standard of the Georgian monarchy has not survived. The only vague descriptions we have come from Tamar’s first historian, Stepanos Orbeliani, and Muhammad ibn ‘Ali Rawandi. Following the discovery of flags with five crosses depicted on European sea charts on the territory of Georgia, a heated debate erupted over the origins and ownership of the design. In 2004, the Georgian parliament officially granted the five-cross flag state status. However, scholarly disputes on the matter persist.

Most researchers agree that the relationship between Georgian flags and portolan charts warrants further investigation. In 2003, the Institute of History held a discussion on this topic. Prof. Mikheil Kekelia emphasized the importance of cartographic analysis, stating, “due to the specifics of the compilation of old maps, a special study is to be conducted.” Similarly, Mariam Lortkipanidze argued that “the question – whether there was a five-cross sign on the state flag – needs additional research.” Scholars Apolon Silagadze and Gocha Japaridze highlighted the abundance of literature on portolans, suggesting it is crucial to examine these sources and analyze conflicting data and perspectives. Meanwhile, Tvaradze, who studied flags depicted on eight European portolans, acknowledged that “the material I had obtained is also incomplete. Many portolans, or ordinary maps, have not yet been published. Large-scale work needs to be done in this regard.”

Despite these discussions, a comprehensive exploration of portolans that could resolve these questions has yet to be undertaken. Works by David Muskhelishvili, David Kldiashvili, and Alexander Tvaradze represent only the initial steps toward addressing the issue. This is further complicated by the lack of a detailed vexillological study of portolans by Western scholars. Some notable contributions include Giuseppe Gerola (“Le carte nautiche di Pietro Vesconte dal punto

di vista araldico”), Georges Pasch (“Les drapeaux des cartes-portulans”), Anna-Dorothee von den Brincken (“Portolane als Quellen der Vexillologie”), Tony Campbell (“Portolan Charts from the Late Thirteenth Century to 1500”), Ramon J. Pujades (*Les cartes portolanes; La carta de Gabriel de Vallseca*), and Igor Fomenko (*The Image of the World on Old Portolans*). However, as Tony Campbell noted, “a detailed study of the portolan charts’ vexillology is long overdue.”

Critics raise several objections regarding the reliability of portolans as sources: they question European knowledge of the Georgian flag, note that the five-cross flag is depicted over other cities besides Tbilisi, and argue that the flag is more closely associated with Catholic, Crusader, or Franciscan origins. Additionally, some European sources indicate that Georgian pilgrims entered Jerusalem bearing flags with the image of St. George.

The debate surrounding the five-cross flag continued even after its approval by Parliament, as evidenced by articles in which some authors categorically deny any historical connection between the five-cross symbol and Georgian heritage. Furthermore, on May 17, 2019, the Georgian Academy of Sciences convened a session proposing a change to the state flag.

This work examines a wide array of sources, both Georgian and foreign (including Armenian, Persian, Greek, Latin, French, Italian, German), that shed light on the history of Georgian flags. Special focus is given to portolans, medieval navigation charts, which provide crucial data for historical vexillology. The study explores the significance of portolans, their general features and peculiarities, the technology behind their creation, the traditions of flag depiction on portolans, and their correlation with contemporary political contexts. The subjectivity and errors in portolan representations are also analyzed, alongside an examination of five-cross flags displayed on portolans and other flags found within the territory of Georgia. The research extends beyond the Black Sea and Georgian coasts to encompass the entire Mediterranean, ensuring that the analysis of Georgian flags aligns with international data. This comprehensive approach situates the history of Georgian flags within a broader global political and cultural context.

Beyond the study of portolans, the research delves into the origins and diffusion of the five-cross composition, including its connection to the Jerusalem cross, its representation in numismatics and heraldry, and its presence in Georgian historical traditions. The study examines the role of Jerusalem in shaping Georgian ideological doctrines and compares its findings with existing interpretations in Georgian historiography, offering new insights and conclusions. Many previously unknown materials have been introduced and analyzed, enriching the field. An extensive catalog of flags from the territory of Georgia, compiled during the research, is included as an appendix. This catalog serves as a valuable resource for both historiographical and vexillological studies.

The findings will appeal to anyone seeking a deeper understanding of the state and cultural dimensions of medieval Georgia. They will be of particular interest to both Georgian and international scholars, as portolan vexillology remains a largely unexplored area of research.

Currently, as Georgia continues to fight for its territorial integrity, sovereignty, and pursuit of a Western course of development, the materials included in the monograph serve as an excellent means to introduce both domestic and international audiences to the centuries-old national flag tradition and to highlight all significant aspects of its expression. Therefore, the topic presented in the project falls into the category of fundamental research but, as outlined above, also holds practical significance.

Medieval Nautical Charts

Portolan charts hold a special place in the history of medieval European civilization, given their immense and multifaceted importance. These maps played a pivotal role in advancing cartography

and laid the technical groundwork for the discovery of the New World and global exploration. The emergence of portolan maps in the Mediterranean world at the end of the 13th century is regarded as one of the most significant milestones in the history of cartography. Their extraordinary realism stood in stark contrast to the contemporary *mappaemundi*, which were laden with religious symbolism and classical references. This revolutionary approach to mapmaking marked an unprecedented leap forward, establishing principles that would define cartography throughout the Age of Discovery and beyond.

The term *portolan* derives from the Italian word *portolano*, which originally referred to a written guide listing ports. A portolan chart was a navigational aid, marking coastal routes and providing directions and distances between points along the shore. As the etymology suggests, it was essentially a descriptive guide to ports and navigable routes. Over time, the term came to encompass the maps illustrating these routes, becoming known as *portolan maps*, or simply *portolans*.

Portolans, often referred to as “the first true maps,” were the most accurate geographical representations of their time. In many respects, they resemble modern maps and share a surprising level of similarity with the cartographic standards familiar to people today.

Portolans are believed to have been created in the second half of the 13th century. The oldest examples include the Carte Pisane and Cortona chart, which date to the late 13th century. Designed with sailors in mind, portolan maps prioritized practicality and functionality. Equipped with such a map and a compass, sailors could confidently navigate from port to port and reach their destinations. For over four centuries, portolan maps guided sailors across the Mediterranean and Black Seas, along the coasts of Europe and Africa, and eventually across the oceans to the Americas, Asia, and Australia.

Portolan maps represent the earliest systematic tools for marine navigation, incorporating more cartographic innovations than any other type of map. The renowned Portuguese cartographer Armando Cortesão considered the emergence of portolans one of the most pivotal moments in the history of cartography. Similarly, Alberto Magnaghi described them as a unique achievement, not only in the history of navigation but also in the broader history of civilization.

Vexillology of Portolans

Much of what we know about the form, imagery, and use of medieval flags comes from literary sources such as chronicles and statutes, as well as iconographic sources, including paintings and miniatures. Among these, portolan maps occupy a particularly significant place.

Flags depicted on portolans almost always symbolize kingdoms and ruling dynasties. Typically, they display the sovereign’s coat of arms, even if only on a portion of the flag. Many portolans are adorned with the flags of various countries and cities, providing a fascinating and valuable resource for understanding the flags of states, cities, and peoples from the late 14th century onward. Georges Pasch vehemently criticized the notion that portolan flags served merely as decorative elements, dismissing it as an “unsubstantiated opinion.” He asserted that it is impossible to doubt the accuracy and reliability of the flags displayed on portolans. The esteemed French medievalist Michel Pastoureau echoed this view, emphasizing that kingdoms, provinces, and cities were often identified by their coats of arms on medieval maps and portolans.

Flags on nautical charts serve as a primary tool for reconstructing historical political landscapes. A flag placed at a specific location symbolizes state sovereignty, providing insights into that area’s administrative, commercial, and political significance. Changes in the flags depicted on maps reflect shifts in political control. These flags also acted as navigational landmarks for sailors and,

in most cases, accurately represented the prevailing political realities. However, errors in flag placement occasionally occurred due to various factors, such as cartographers’ reliance on outdated information, adherence to tradition, or deliberate distortion of political realities. For instance, rival Italian maritime republics often omitted each other’s symbols: Venetians excluded Genoese flags in the Black Sea region, and Genoese maps omitted Venetian flags.

Cartographers’ political sympathies also influenced their work. The Portuguese capture of Ceuta in Morocco in 1415, seen as a Christian victory over Islam, was promptly reflected in portolan heraldry. In contrast, the Ottoman conquest of the Black Sea region and Constantinople was ignored on maps for over a century. European cartographers, reluctant to acknowledge the permanence of Ottoman rule, continued to display Christian flags over Salonika and Constantinople long after their fall to the Turks in 1430 and 1453, respectively. Genoese cartographer Albino de Canepa, for example, adorned his 1489 map with numerous Genoese flags across the Black Sea, presenting it as “Lake Genoa,” despite the Ottoman capture of Kaffa in 1475. Even in the 16th century, when the Black Sea had become a Turkish domain, Italian maps continued to feature the flags of former Christian strongholds. The delayed incorporation of Turkish flags on these maps symbolized a refusal to accept the irreversible march of history.

As Georges Pasch aptly concluded, portolan flags were no better or worse than other historical documents of their era and were rarely incorrect. Consequently, the political affiliation flags displayed on portolans often serve as a *terminus a quo* for determining the age of a map.

Flags of Georgia

The depiction of Georgia with flags on European maritime charts can be divided into two main periods: the maps from the 14th-15th centuries, which correspond to the era of a unified Georgia, and the 16th-century maps, where the fragmented Georgia is sometimes depicted as the Duchy of Odishi, but mostly reflects the period of Ottoman domination over the Black Sea ports.

It is noteworthy that the maps from the 14th-15th centuries, with a few exceptions, depict the cities of Georgia, including Sokhumi (Sebastopolis) and Tbilisi, with a five-cross flag or its predecessor. Previously, only eight such maps were known, but today we can present up to twenty such maps. These include the atlases of Pietro Vesconte from 1320, 1321, and 1325, the 1327 map of Perrino Vesconte, the 1339 and 1340 maps of Angelino Dulceti, the 1367 map of Francesco and Domenico Pizzigani, the maps of Gabriel de Vallseca from 1439, 1440, 1447, and 1449, two maps by Rafel Soler from 1425-50, the 1456 map of Jaume Bertran and Berenguer Ripol, the anonymous Spanish map from 1487, the anonymous map from c.1500, and also an anonymous map from the 14th-15th centuries. A similar flag is likely depicted on the 1450-60 Carta Catalana, which features a composition with only one red cross. The five-cross flag should also be represented in Andrea Benincasa’s 1476 atlas and 1508 map, which have survived in a damaged state.

The first flags in European cartography appear on the maps of **Pietro Vesconte**, and the maritime ports on the Black Sea are included among them. These maps were created for practical purposes, to plan a new crusade, and are associated with Marino Sanudo’s project for the crusade. Pietro Vesconte, a Genoese cartographer who worked in Venice, was a partner of Marino Sanudo. Vesconte made a significant contribution to the development of portolans, and his influence is evident across all schools of European maritime cartography.

Pietro Vesconte’s atlases from 1320, 1321, and 1325 are adorned with flags (see maps 4, 5, 6, and 7). One of the most notable aspects of Vesconte’s maps is the use of quite large flags. Prior to this, no maritime or world map featured flags. Considering that flags were not present on Vesconte’s early

maps, the idea of including them must be related to the crusading project. It is likely that Sanudo himself requested the inclusion of flags on the maps.

With his vexillography, Pietro Vesconte, as the introducer of flags on maritime charts, laid the foundation for a principle later used by other cartographers: a flag depicted on a portolan represents the owner of the given point and reflects its political status (even if this sometimes occurred mistakenly), rather than any other given context (whether religious, commercial, or otherwise).

Based on the logic of Vesconte’s maps, the flags placed on Sebastopolis and Poti should belong to Georgia and Georgian cities. The flag of Sebastopolis, featuring a red central cross and four discs (bezants) on a white field (Figs. 3 and 4), is clearly the predecessor of the five-cross flag, which later frequently appears on Sebastopolis and Tbilisi.

Angelino Dulceti, who is credited with three portolans – from 1330, 1339, and circa 1340 (maps 18, 14, and 19), worked in Majorca, though he is likely originally from Genoa. This is supported by the toponymic pattern in his maps, which is distinctly Ligurian. Dulceti is the author of the first Catalan maps. While he largely follows his Italian predecessors, the artistic quality of his maps represents a significant advancement and contains many new decorative elements. His work marks the beginning of a tradition of highly decorative maps in Majorca.

On Angelino Dulceti’s 1330 map, only Sebastopolis is marked within the territory of Georgia, depicted with oblique green stripes on a white field (Fig. 6). However, on the maps of 1339 and 1340, the situation changes. In these later maps, Sebastopolis features a flag with five red crosses and oblique green stripes, and by the map of 1339, a red five-cross flag is raised over Tbilisi (Figs. 7 and 8).

The green-striped flag on Dulceti’s portolans likely represents Sokhumi, and possibly the entire principality of Odishi. The combining of two flags is a well-known heraldic technique, with one flag (featuring five crosses) symbolizing the supreme suzerain (Georgia), while the other (featuring green stripes) represents the local government (Odishi). This effectively reflects the political situation in Georgia at the time.

According to Vakhushti Batonishvili, during the early 14th century, Sokhumi was under the control of the principality of Odishi. Giorgi Dadiani (d. 1323) capitalized on the weakness of the royal government in Western Georgia and seized Sokhumi. Vakhushti writes, “Giorgi Dadiani saw the opportunities developing among them, then he took Sokhumi as well and seized all of Odishi up to Anakophia... and they were no longer subject to the kings.” Between 1323 and 1327, his son, Mamia Dadiani, asserted his independence and became the ruler. In 1330, Mamia Dadiani supported Giorgi V the Brilliant in his efforts to unify Georgia, a move that earned him the title of Amirspasalar (commander-in-chief) of the medieval Georgian army.

Vakhushti’s account of the Dadiani family is corroborated by Arab historians. The Syrian scholar Al-Muhibbi (d. 1384), an inspector in the Mamluk army, wrote that “The Georgians have two kings – King David, who rules Tbilisi, and Dadiman, the king who rules Sukhum and Abkhazia.” This work was later cited by the famous Egyptian scholar Al-Qalqashandi (1355-1418), who provided a small clarification:

Georgians have two kings. One of them is the aforementioned governor of Tbilisi, named ‘David’ at that time. The other is the ‘governor of Sukhumi and Abkhazia’... referred to as Dadiani.

Thus, it is not surprising that Dadiani, as one of the most powerful princes in Western Georgia, was distinguished by the flag of his domain. On Dulceti’s 1330 portolan, a flag flies over Sebastopolis,

marked with green oblique stripes on a white field. In his 1339 map, the flag at Sebastopolis is divided, featuring five red crosses and the same green stripes. Additionally, five red crosses are seen flying over Tbilisi. Dulceti’s maps reveal his acute understanding of the political situation in Georgia: the 1330 map accurately depicts the divided state of Georgia, with Dadiani controlling Sokhumi and the regions of Western and Eastern Georgia separated. By 1339, following the reunification of Georgia under Giorgi V, Dulceti’s map reflects the new political reality. A new flag flies over Sokhumi, displaying both the symbols of the suzerain (Georgia’s five-cross flag) and the vassal (Mamia Dadiani’s green stripes), effectively symbolizing the political relationship between the two.

The brothers **Francesco and Domenico Pizzigani** were Venetian cartographers. Their most renowned work is the 1367 map of the Mediterranean, Black Sea, and Western Europe (map 20). Among early maps, this portolan is the largest in size, includes the most topographical features, and contains unique geographical details. The Pizzigani brothers made significant improvements to Vesconte’s earlier model. It is believed that they were sailors themselves. Compared to earlier maps, the Pizzigani portolan introduces 56 new toponyms. It also includes the Baltic and Caspian Seas as well as a considerable portion of the Atlantic Ocean; the first depiction of a wind rose is also found on the Pizzigani maps. On the Pizzigani portolan, only one city in the territory of Georgia is adorned with a flag: Tbilisi, where the red five-cross flag is depicted (see image 10).

